კვირის პალიტრა
გზა
N46 (284) 17/XI.-23/XI.2005. ფასი 60 თ.

1168
2005

63

თემა — სიყვარული უკანასკნელი

...ამ იფიქრა,
...ერ მინდა,
...ბოლოს, ბევ მარცხდებით!"

სქემი
უსაფრთხოებ

ანუ „მერაბიშვილის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ..."

იმიჯშეცვლილი სამეული
და რას აპირებს
საზოგადოებრივი ტელეარხი



გზავნილები — რა შეუძლია ქალს...

ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ
ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲞᲠᲝᲖᲐ

- ᲝᲚᲘᲕᲘᲐ ᲛᲝᲚᲘᲔᲠᲘᲡᲘ
- ᲜᲣᲙᲖᲘᲡᲘ ᲨᲐᲠᲒᲘᲫᲔ
- ᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲪᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲬᲐᲛᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ (ᲛᲫᲘᲤᲠᲘᲡᲘᲣᲞᲔᲡᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲕᲘ)

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

- ᲘᲜᲓᲘᲐ ᲨᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
- ᲜᲘᲚᲐ ᲥᲝᲜᲭᲘᲫᲔ

ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘ

- ᲠᲔᲥᲚᲐᲛᲘ ᲛᲐᲒᲐᲜᲘᲡᲢᲘᲜᲝᲜ-ᲒᲐᲜᲘᲞᲘᲜᲔᲚᲘ
- ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲯᲘᲜᲩᲘᲫᲔ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

- ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲯᲝᲜᲘᲐᲕᲐ

ᲗᲐᲠᲯᲣᲛᲐᲜᲘ

- ᲡᲐᲞᲐᲠᲝ ᲙᲝᲠᲘᲗᲝ

ᲛᲐᲕᲘᲠᲘ

- ᲠᲝᲜᲘᲚᲘ ᲠᲔᲛᲘᲜᲒᲣᲠᲘ

ᲐᲚᲛᲝᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲖᲔ (ᲤᲘᲔᲡᲢᲐ)

№ 11 (14), ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘ, 2005

ᲤᲐᲡᲘ 1.5 ᲚᲐᲠᲘ

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲚᲝᲛ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲘ
ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ...

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ
№46 (284)
17 — 23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
2005
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲐᲜᲣ „ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲐᲛᲝᲘᲑᲠᲣᲜᲝᲗ ᲧᲘᲑᲔᲔᲑᲘ“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲭᲠᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ 4, 5
ᲡᲪᲔᲜᲐ
120 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲐᲜᲣ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲝᲓᲐᲜ“ — „ᲔᲠᲘᲡᲘᲝᲜᲐᲛᲓᲔ“ 7
ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ
ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ ᲐᲜᲣ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲥᲐᲚᲡ ᲔᲮᲔᲠᲮᲔᲑᲐ 9
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
„ᲑᲐᲕᲨᲕᲛᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ ᲐᲢᲔᲮᲐ... ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲒᲖᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ“ 13
ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ
„ᲥᲘᲜᲭᲚᲐᲫᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲜᲐ“ 17
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
ᲥᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲐ ᲗᲣ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ 19
ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ
ᲡᲐᲓ ᲜᲐᲮᲐ ᲙᲝᲢᲔ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ „ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ“... 23
ᲔᲙᲠᲐᲜᲘ
ᲘᲛᲘᲯᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲔᲚᲔᲐᲠᲮᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ 24
ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ
ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ — ᲙᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲘ ᲕᲐᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲜᲣ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲒᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ 27
ᲗᲔᲛᲐ
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲭᲐᲛᲡ ᲐᲜᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ „ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ“... 29
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲨᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 30
ᲯᲐᲜᲗᲐᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲡᲐᲓ ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲛᲣᲜᲝᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ 32
- ᲗᲣᲙᲘ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ 33

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ ᲐᲜᲣ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲥᲐᲚᲡ ᲔᲮᲔᲠᲮᲔᲑᲐ

„ის, რომ მთავრობის წევრები, თავს უფლებას აძლევენ, უკვე ნახსენები, მერაბიშვილის მსგავსი განცხადებები გააკეთონ, პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვერ გრძნობენ მკაცრ ხელს, რომელიც უნდა არსებობდეს — პარლამენტის, სასამართლოს, მასმედიისა და საზოგადოების მხრიდან...“

9

ᲡᲐᲓ ᲜᲐᲮᲐ „ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ“, ᲡᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲨᲝᲙᲘ

„ᲑᲔᲕᲠᲘᲐ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐᲪ. ᲠᲝᲪᲐ ᲩᲐᲕᲔᲓᲘᲗ, ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲬᲘᲗᲔᲚᲚᲝᲧᲔᲑᲐ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ, ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘ, ᲙᲝᲢᲘᲢᲐ, ᲓᲐᲙᲝᲟᲠᲘᲚᲘ, ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲭᲐᲛᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲜᲐᲭᲠᲔᲑᲡ, ᲡᲕᲐᲛᲓᲜᲔᲜ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲚᲣᲓᲡ“.

23

„ᲛᲘᲗᲮᲠᲐ — ᲐᲡᲔᲗᲘ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ ᲓᲐ ᲯᲝᲠᲯ ᲛᲐᲘᲙᲚᲡ ᲒᲐᲥᲕᲗᲝ...“

„ᲘᲛ ᲥᲐᲚᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ, ᲢᲘᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲪᲐ. ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲨᲔᲕᲬᲣᲮᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲝᲜᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲔ ᲓᲐ ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲘ — ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲢᲘᲠᲘᲗᲘ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ?.. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲔᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲒᲐᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲠᲓᲘ ᲒᲐᲕᲘᲖᲘᲐᲠᲔ. ᲛᲝᲜᲘ, ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ“...

41

„ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲒᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲐᲠᲯᲝ...“

„ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲕᲤᲠᲘᲜᲐᲕᲓᲘᲗ, ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲨᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲯᲓᲝᲛᲛᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲘᲪᲜᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲘᲢᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲓ ᲛᲝᲕᲓᲘᲝᲓᲘ, ᲛᲘᲗᲮᲠᲐ — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲘᲜᲭᲚᲐᲫᲔ ᲕᲘᲪᲘᲝ“.

17

დღესასწაული

მთავარანგელოზობა – ხსენება ყოველთა უხორცო ზეციურ ძალთა 34

წმინდანები

წმინდა გიორგის ბორბალზე ბაკვრა სისასტიკით ჯვარცმასაც არ ჩამოუვარდებოდა 35

შთამომავლობა

გიორგი ლეონიძე – ფიქრებში წასული „ყოველდღიური ჯარისკაცი...“ 36

ლეგენდა

„აღმოსავლეთის ექსპრესი“ – მატარებლების მეფე, მეფეთა მატარებელი 38

ტესტი

ერთგული მკითხველი 40

სახე

„მითხრა – ასეთი წვიმა მხოლოდ შენ და ჯორჯ მაიკლს გაქვთო...“ 41

რომანი

რუსლან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 43

ასპარეზი

როგორ ახრჩობდნენ ნუგზარ ჯუღელს მატარებლის კუპეში 47

ადამიანი

მსახიობი ქალის ბედი ქართულ პროვინციაში 51

ავტო 53

დაბრუნება

ხელცარიელი უნდა წავიდეთ აქედანო, – უთქვამს ქაქუცას... 54

ვარსკვლავები 56

ფავორიტები

„პატარა სიკვდილი“ პეტისათვის 58

სპორტული მოზაიკა 59

ასტროლოგია 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი ქალებისათვის

სიყვარულის ასაკი 63

...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მსახიობი ქალის ბედი ქართულ პროვინციაში

სიღნაღის თეატრში, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, კარგა ხანია, სპექტაკლი არ დაუდგამთ. თუმცა, თეატრალური დასი უწინდებურად ბევრითად ცხადდება სამსახურში და ძველი დიდების ნოსტალგიით შეპყრობილი, ისუნთქავს სცენის მონატრებულ მტვერს. ამ დასს, ერთადერთი მსახიობი ქალი შემორჩა...

51

როგორ ახრჩობდნენ ნუგზარ ჯუღელს მატარებლის კუპეში



„ქუჩაში ვიღაც თავგადაპარსული ყმაწვილი მომესალმა. პირველი შეხედვით ვერ ვიცანი და თავად მითხრა: მიშა მესხი ვარო. თურმე, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოძახებული მესხი, სტრელცოვთან ერთად დამთვრალა და რაღაც ინციდენტის გამო, ორივე მილიციის განყოფილებაში მოხვედრილა, სადაც მათთვის თავი გადაუპარსავთ“.

47

პეტრა ნემკოვა – მოდელი, რომელიც იმისთვის გადარჩა, რომ სხვები გადაარჩინოს

ტაილანდში დასვენების დროს, 26 წლის პეტრა ნემკოვა და მისი ბოიფრენდი ფოტოგრაფი საიმონ ეტლი ტრაგიკულ მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. ეტლი დაიღუპა, პეტრამ 8 საათი ხეზე გაატარა და დაღუპვას სასწაულებრივად გადაურჩა.

56

თქეში



თუმცა, მოდი, დიაგნოზის დასმას მაინც ნუ ვიჩქარებთ. ჯერ ყველა გამოკვლევა ჩავატაროთ. თუმცა, აქედანვე უნდა იცოდეთ, რომ სრული განკურნების გარანტიას ვერ მოგცემთ.

– აბა?.. – შეცბა თამარი.

43

ბიზნესი ხალხის სამსახურში

ანუ „გთხოვთ, ამოიბრუნოთ ჯიბეები"

ამ ბოლო დროს, ქვეყანაში მართლაც, ბევრი კარგი რამ გაკეთდა: კვირაობით გადაიკეტა რუსთაველის გამზირი, მერე კვირაობით გაიხსნა რუსთაველის გამზირი და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაგრამ მე პირადად, რუსთაველის თეატრი რომ გარემონტდა, ის გამიხარდა ყველაზე მეტად და მოუთმენლად ველოდი კიდეც სეზონის გახსნას.

ჰოდა, რამდენიმე დღის წინ, გამოჩნდა კიდეც შენობაზე გაკრული ახალი აფიშა: „პრეზიდენტის შეხვედრა ბიზნესმენებთან". ჩემთვის აქამდე ნაცნობი ყველა დრამატურგისა და მწერლის შემოქმედება გადავქექე გონებაში, მაგრამ მსგავსი სახელწოდების პიესა ვერ აღმოვაჩინე. არადა, არც დამდგმელი რეჟისორისა და როლების შემსრულებელთა გვარები ეწერა ამ უჩვეულო აფიშაზე. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა?! როგორც იქნა,

სეზონის გახსნას ველირსე. გამოვეწყვე სათეატროდ და დათქმულ დროს შესასვლელ კართან ავიტუზე. დედაა!.. ვინ არ ვნახე იქ: ცნობილი პოლიტიკოსები თუ ბიზნესმენები... ისე, კი გამიკვირდა: ესენი თეატრში არასოდეს მინახავს და დღეს რა დაემართათ-მეთქი?!.

ჩემი შესვლის რიგი რომ დადგა, დაცვამ მკითხა — თქვენ, რომელ ბიზნესს წარმოადგენთო?

— ინდმეწარმე პროვოკატორი გახლავარ-მეთქი... არ წერიხართ სიაში და ვერ შეგიშვებთო... გაჭირვება რას არ მოაფიქრებინებს კაცს! მეც ვუთხარი — რეჟისორის ახლობელი ვარ-მეთქი, — და იქ ამბავი დატრიალდა!.. ხელში ამიყვანეს, დამატებითი სავარძელი ჩამიდგეს და წინა რიგში დამსვეს.

ნუ, მე არ ვიცი, რა!.. რამდენი შედევრი მინახავს ამ სცენაზე, მაგრამ ასეთ სპექტაკლზე ვერც ვიოცნებებდი... ეს იყო მონოსპექტაკლი — ანუ სცენაზე იდგა ერთი მსახიობი, რომელიც თვითონვე ყოფილა რეჟისორიცა და სცენარისტიც და ისეთი პათოსით კითხულობდა მონოლოგს, რომ სულ გმინავდნენ და ოხრავდნენ დარბაზში მსხდომი ბიზნესმენები.

განსაკუთრებით მომეწონა ერთი მომენტი: პრეზიდენტმა ჩამოთვალა ქვეყანაში განხორციელებული ყველა პროექტი: გზები, შადრევნები, საავადმყოფოები, ციხეები, მოედნები და ბოლოს დააყოლა: „ხედავთ ამ დოვლათს? ეს ყველაფერი თქვენი ჯიბეებიდან მოდის"... ამ სიტყვებს ისეთი რეაქცია მოჰყვა დარბაზში, რომ რამდენიმე ბიზნესმენს ვალერიანის წვეთებით დასჭირდა მოსულიერება, ცნობილმა მეცენატმა კი ჯიბეების მოქექვა და საფულის ძებნა დაიწყო. რომ იპოვა, დამშვიდდა და ისე სიმწრით გაუღიმა ორატორს, რომ მეც და ის ორატორიც მივხვდით: მეცენატობა მისი ტაქტიკა უფრო იყო, ვიდრე ჰობი...

ამ ერთი შეხვედვით, კომიკური ჟანრის პიესაში ტრაგიკული ელემენტიც ერია, რადგან მაყურებლის რეაქციამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა ასეთი სიტყვები გაისმა: „წილებში ჩასმის ინსტიტუტი გარდაიცვალა!" — ანუ თუ ადრე ბიზნესმენებს წილში უსხდნენ კანონიერი ქურდები და კრიმინალები, დღეიდან ხელისუფლება იქნება მათი „კრიშა" და ბიზნესმენები ამ ფულით გაჭირვებულებს დაეხმარებიან.

ასე რომ, ყველა სოციალურად დაუცველ და უმუშევარ ადამიანს შეუძლია მიაკითხოს ნებისმიერ ბიზნესმენს და თამამად მოსთხოვოს ფული ან ნატურალური სახით — ლუდი, ღვინო, ხორცი და სხვა პროდუქტი გამოართვას.

მალე კი ალბათ, ოფიციალურად გაიხსნება სტელეფონო ცხელი ხაზები: თუ 01 არის სახანძრო, 022 — პატრული და 03 — „სასწრაფო დახმარება", 04 იქნება — თოფაძე, 05 — ტყემალაძე, 06 — პატარკაციშვილი, 07 — ხაზარაძე და ა.შ. ამით ფინანსური ბალანსი დარეგულირდება: აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი, ყველა ერთნაირად იცხოვრებს და ასე ვივლით წინ — კომუნიზმისაკენ...

***P.S.** ორი ბიზნესმენის დიალოგი:*

— თუ გინდა, რომ ბიზნესი შეინარჩუნო, შენი მოგების ნახევარი მათხოვარს და გაჭირვებულს უნდა მისცე.

— ვაა! ვთქვათ, მივდივარ ქუჩაში და ჯიბეში მიდევს ჩემი მოგება — 20 ლარი. შემხვდა მათხოვარი, მივეცი 10 ლარი, დამრჩა 10 ლარი. გავაგრძელე გზა, შემხვდა მეორე მათხოვარი, მივეცი 5 ლარი, დამრჩა 5 ლარი. მერე შემხვდა მესამე მათხოვარი, მივეცი 2,5 ლარი, დამრჩა 2,5 ლარი...

— მერე?

— რა მერე?! მე იმ პირველ მათხოვარზე უფრო მათხოვარი არ გამოვდივარ?!

პროვოკატორი

„მოსახლეობის უმეტესობას რევოლუციები და გადატრიალებები არ იზიდავს...“

— საკრებულოს ინიციატივით, რესპუბლიკის მოედანს — ვარდების რევოლუციის სახელი მიენიჭება. თქვენი აზრით, რამდენად გონივრულია ეს გადაწყვეტილება?

ვახუშტი კოტეტიშვილი, *მწერალი, ფოლკლორისტი:*

— ჩემთვის გაუგებარია, რა კავშირი აქვს რესპუბლიკის მოედანს ვარდების რევოლუციასთან ან რატომ ანიჭებს ხელისუფლება დასახელებებს ამხელა მნიშვნელობას. მთავარია, ქალაქში მშვიდობა და ნორმალური ცხოვრება იყოს და რომელ მოედანს რა ერქმევა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. დაუსრულებლად სახელების ცვლა და ამ საკითხების განხილვაზე მუშაობა, უსაქმურობის მაჩვენებელია. შოთა რუსთაველზე ძვირფასი მწერალი ქართველებს არ გვყავს, მაგრამ რუსთაველის მოედანს, მაინც ყველა „ზემელს“ ეძახის და ცოტამ თუ იცის, რომ „ზემელს“ რუსთაველის მოედანი ჰქვია... პრეზიდენტი და მთავრობა უფრო გრძელვადიანი და მნიშვნელოვანი საქმეებით უნდა იყვნენ დაკავებული. თუ მაინც არ დაიშლიან სახელების შეცვლას, ისეთ ვარიანტზე უნდა შეჩერდნენ, რომელიც კონიუნქტურასთან არ იქნება დაკავშირებული და მისი ყოველთვიური შეცვლა საჭირო არ გახდება. რა აუცილებელია სახელწოდებაში „რევოლუციის“ ჩადება — მაშინ, როცა მოსახლეობის უმეტესობას რევოლუციები და გადატრიალებები არ იზიდავს. მსოფლიოში დამკვიდრებულია ტრადიცია — გეოგრაფიული სახელწოდებები ხშირად არ შეიცვალოს. ამის მიზეზი, საზოგადოების ძველ სახელთან შეჩვევაა. ვარდების რევოლუციის მოედანი მოსახლეობისთვის ისევ რესპუბლიკის მოედნად დარჩება. ■

„პრეზიდენტს წინანდალი რეზიდენციის მოსაწყობად უნდა“

— წინანდლის სახლ-მუზეუმის ივჯარით გაცემის შემდეგ, ინვესტორს მისი გამოსყიდვის შესაძლებლობაც მიეცემა. მოარული ხმებით, პრეზიდენტი ამ ტერიტორიაზე რეზიდენციის მოწყობას გეგმავს.

ფეიქრია ჩიხრაძე, *„მემარჯვენე ოპოზიცია“:*

— მართლაც, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ წინანდალთან მიმართებაში შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას პრივატიზაციის ფორმა, რომელიც იჯარა-გამოსყიდვას ითვალისწინებს. ძეგლის სტატუსის მოხსნის შემდეგ, აღარ მოქმედებს გაყიდვისგან წინანდლის დაცვის მექანიზმი, შესაბამისად, არ არსებობს იურიდიული გარანტია, რომ არ მოხდება მისი გაყიდვა. არის ლაპარაკი იმაზეც, რომ წინანდალი პრეზიდენტს საკუთარ რეზიდენციად უნდა, ოღონდ — არა იმ ფორმით, როგორითაც ეს შევარდნაძეს ჰქონდა: პრეზიდენტი იქ, სტუმრების მისაყვანად, ფეშენებელურ აპარტამენტებს მოაწყობს. არადა, მისი რეკონსტრუქცია სახელმწიფოს ხარჯებითაც შეიძლებოდა, თუ მივიღებდით კანონს ქველმოქმედების შესახებ. არაერთი ქართველი ბიზნესმენი იქნებოდა მზად ქველმოქმედებისთვის არა მხოლოდ წინანდალთან, არამედ კულტურის სხვა ძეგლებთან მიმართებაშიც. ვინ არის „სილქ როუდ გრუპი“ ან მისი შვილობილი კომპანია, საზოგადოებამ არ იცის. ე.ი. არ ვართ ინფორმირებული, თუ ნახევარი საუკუნით ვის მივეცით ეროვნული განძი. ეს არაპოპულარული გადაწყვეტლება მხოლოდ ეკონომიკის მინისტრს არ მიუღია, პარლამენტის სრული იგნორირების შემდეგ, საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტის მხარდაჭერითა და მითითებით განმტკიცდა. ახლა კი იერიშს ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმზე მიიტანენ. ■

ჭრელი მსოფლიო

ხელნაწერთა „გაციფრულება“ დაუშვებელია

ამერიკელ მწერალთა ჯგუფმა შეიტანა სარჩელი კომპანიის — Google — წინააღმდეგ, რომელიც მათი ნაწარმოებების ინტერნეტში განთავსებას აპირებს. ავტორთა გილდია, რომელიც 8 ათას მწერალს აერთიანებს, ნიუ-იორკის სასამართლოსგან მოითხოვს, რომ მან დააკისროს კომპანიას ავტორთათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურება და ამასთანავე, აუკრძალოს შემდგომში მსგავსი ქმედება. Google-ის წარმომადგენელთა თქმით, პუბლიკაცია ინტერნეტში მწერლების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. სარჩელის განხილვის საგანს წარმოადგენს კომპანიის მიერ შექმნილი, „მსოფლიო ინფორმაციის თავმოყრის, ორგანიზაციისა და გლობალური მასშტაბით მისი ხელმისაწვდომობის“ გეგმა, რომელიც გვაუწყებს, რომ მილიონობით წიგნის ციფრული არქივის შესადგენად, ის 200 მლნ დოლარს გამოყოფს. როგორც ვარაუდობენ, ციფრულ ფორმატში ამ ვეებერთელა მასალის გადაყვანას 10 წელი დასჭირდება. მაგრამ ზემოთ ხსენებული და ზოგიერთი სხვა ჯგუფისა თუ ავტორის პროტესტის გამო, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამით მათი საავტორო უფლებები ილახება, მუშაობის პროცესი დროებით შეჩერებულია. ■

ვინ იზეიმებს ვარდების რევოლუციას

— ხელისუფლება ვარდების რევოლუციის ორი წლის იუბილეს საზეიმოდ აღნიშნავს. თქვენ, როგორც ამ მოვლენის მონაწილეს, თუ გეზეიმებათ?

ზვიად ძიძიგური, *კონსერვატიული პარტია:*

— ის, რაც ორი წლის წინ მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო, მაგრამ შემდგომში, რევოლუციურმა იდეებმა დისკრედიტაცია განიცადა. ზოგადად, რევოლუცია გულისხმობს ერთი ფორმაციის შეცვლას მეორე ფორმაციით — ანუ როცა მთლიანად იცვლება პირობები და ინსტიტუციური წესრიგი. საქართველოში ასეთი ცვლილებები არ მომხდარა. ქვეყანაში ძალზე მძიმე სიტუაციაა შექმნილი. არ არის კანონის უზენაესობა, უფრო მეტად — დაირღვა ბალანსი ხელისუფლების შტოებს შორის; არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო, უხეშად ირღვევა საკუთრების უფლება. განსაკუთრებით შემაშფოთებელია მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკე. ამასთანავე, ჩვენ ვდგავართ დემოკრატიული პრობლემების წინაშე. ამ პირობებში, რა გვედღესასწაულება, გაუგებარია. შევარდნაძისა და მისი გუნდის ხელისუფლებიდან წასვლას ზეიმით შევხვდით, მაგრამ თუ მხოლოდ ვილაპარაკეთ და ხალხს დანაპირები ვერ შევუსრულეთ, საკაშვილი ნაცადი პიარღონისძიებებით თავს ვერ გადაირჩენს. ჩვენს გუნდს რევოლუციური დაპირებების გამო, მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობა აკისრია, ამიტომ ვცდილობთ ხელისუფლების გამოფხიზლებას. ვარდების რევოლუცია ნამდვილად პოზიტიური პროცესი იყო და მიხარია, რომ მასში ვმონაწილეობდი. თუმცა ხალხის მონაპოვარი, მახინჯი იდეებითა და არასწორი გადაწყვეტილებებით არ უნდა გაცამტვერდეს. ■

„თუ კანონპროექტი ამ სახით გავა, რეალური თვითმმართველობა ვერ შეიქმნება“

— პარლამენტი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტს განიხილავს. როგორ აფასებთ, დემოკრატიულობის თვალსაზრისით, შემოთავაზებულ ვარიანტს?

დავით ბერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტია:*

— ამ კანონპროექტში მოსაწონი არაფერია. რეალური თვითმმართველობა არ გვექმნება: საშუალოდ, 40 ათას კაცზე ერთი თვითმმართველობის ორგანო უნდა შეიქმნას — მაშინ, როცა ევროპული გამოცდილება გვკარნახობს — 8-10 ათასი კაცი წარმოადგენს თვითმმართველობის ერთეულის საფუძველს. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული არის რაიონი და კიდევ — 4-5 ქალაქი. გარდა ამისა, კანონპროექტით, არსებობს ზედამხედველობის ინსტიტუტი სამინისტროების მხრიდან: სამინისტროებს შეეძლებათ აკონტროლონ თვითმმართველობის საქმიანობა, რაც მათ დამოუკიდებლობას ხაზს გადაუსვამს. ამასთან ერთად, ბიუჯეტი არის ძალზე ცენტრალიზებული. თუ კანონპროექტი ამ სახით გავა, რეალური თვითმმართველობა ვერ შეიქმნება. ჩვენთვის უფრო მეტად მისაღებია არასამთავრობოების მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, რაიონის უფლებამოსილების დიდი ნაწილი უნდა მიენიჭოს ქვედა რგოლებს — პირველი დონის თვითმმართველობის ორგანოს — სოფელს, თემს, დაბას, რაიონს. ალტერნატიული კანონპროექტით, დამოუკიდებელ თვითმმართველობას 10 ათასი ადამიანი აირჩევს. თუ ნორმალური, დემოკრატიული ქვეყნის აშენება გვინდა, არასამთავრობოების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი უნდა დამტკიცდეს. ■

ჭრელი მსოფლიო

ძველი და ახალი ტრადიციები

ტაილანდის ხელისუფლებამ წამოიწყო კამპანია, რომლის მიზანია, ბოლო მოუღოს საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური კონტაქტის დამყარების პრაქტიკას. ბანგკოკის ყველა ავტობუსში გააკრეს განცხადებები, რომლებიც ახალგაზრდებს აუწყებს, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში სქესობრივი აქტის დამყარება დაუშვებელია. ეს პრობლემა თურმე, ძალზე აქტუალურია ქვეყნის დედაქალაქისთვის, რადგან ბევრი სტუდენტური წყვილი ვნების დასაცხრობად სწორედ ავტობუსის ბოლო რიგის სავარძელს იყენებს. ზემოთ ნახსენებ განცხადებაში, აკრძალვასთან ერთად, ხელისუფლება საგანგებოდ მანდილოსნებს ასეთი სიტყვებით მიმართავს: „ტაივანელი ქალები ვაღდებული არიან, სექსუალური ქცევის უძველესი ეროვნული ტრადიცია დაიცვან“... ■

„პარტიზანულ მოძრაობას სერიოზული პრობლემები შეექმნება“

— პარტიზანული მოძრაობის გააქტიურების შესახებ განცხადებას, გალში მცხოვრები ქართველების მდგომარეობის გართულება მოჰყვა. რამდენად დროული იყო „თეთრი ლეგიონის“ მეთაურის განცხადება?

პაატა დავითაია, *ექსპერტი:*

— ენგურის ხიდზე შექმნილი ვითარება გასაკვირი არ არის იმ განცხადებების შემდეგ, რომელიც პარტიზანული მოძრაობის შესაძლო განახლებას შეეხება. ბაგაფშის განკარგულებით, გალის რაიონის ე.წ. დაბალ ზონაზე კონტროლი გამკაცრდება. ამ ტერიტორიაზე აფხაზებმა მილიციის გაძლიერებული ქვედანაყ-

ოფები შეიყვანეს. გალის ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება კი დღითი დღე იზრდება. გალში შექმნილი უკიდურესად რთული ვითარების გამო, „თეთრი ლეგიონის“ მეთაური პარტიზანების საერთო შეკრების ჩატარებას გეგმავს. მაგრამ ამ მოძრაობას სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდება, სერიოზული პრობლემებიც შეექმნება და „თეთრი ლეგიონის“ გააქტიურება შედეგს არ მოიტანს. აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის დაცვა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე უნდა იქნას აყვანილი. გალელი ქართველები ყოველდღიურად ხდებიან სეპარატისტების მხრიდან ძალადობისა და შეურაცხყოფის მსხვერპლნი. ამ ტერიტორიაზე პარტიზანების შესვლა და მათი მოქმედებები, მშვიდობიან მოსახლეობას კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშ დააყენებს. იქ მცხოვრებ ქართველებს დახმარება სჭირდებათ, ეს სახელმწიფომ უნდა გააცნობიეროს და რაც შეიძლება დროულად. ■

„ნარკოტიკი რომ თავისუფლად გაიყიდოს“...

— ოპოზიცია შს მინისტრს, ვანო მერაბიშვილს მარიხუანის ლეგალიზაციის მხარდაჭერაში ადანაშაულებს, ნარკოტიკებთან მიმართებაში რა პოლიტიკას ირჩევს ხელისუფლება?

გიგი წერეთელი, *პარლამენტის წევრი:*

— საქართველოში, ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით, კატასტროფული მდგომარეობაა, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენს ქვეყ-

ანას ჰქონდეს სწორი ნარკოპოლიტიკა და სტრატეგია. ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობს სპეციალური საბჭო, გააქტიურდა არასამთავრობო სექტორი, მასმედიამ ჩამოაყალიბა ექსპერტებისა და ჟურნალისტებისგან შემდგარი კლუბი. სამართალდამცავი სტრუქტურებისგან დამოუკიდებლად, თითოეული ეს ჯგუფი ნარკოტიკების პრობლემაზე მუშაობს.

ასე რომ, ნარკოპოლიტიკის განხილვის დროს, მიმდინარეობს მსჯელობა სხვადასხვა ვარიანტზე. ვეცნობით სხვა ქვეყნების გამოცდილებასაც. ჰოლანდიაში ამ პრობლემასთან დაკავშირებით უფრო ლიბერალური მიდგომაა. იქ მარიხუანა გარკვეულწილად, ლეგალიზებულია. ლიბერალური კანონი მიიღო კანადამაც. ძირითადი სტრატეგიის შემუშავების პროცესში, სწორედ მსგავს მაგალითებზე იყო ლაპარაკი, რაც ამ ინფორმაციის გავრცელებისა და მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. პირადად მე, არ მიმაჩნია სწორად, იმ ფონზე, რომელიც საქართველოშია შექმნილი, მარიხუანის ლეგალიზაცია. ვფიქრობ, ეს კარგ შედეგს არ მოგვიტანს. ასეთ მნიშვნელოვან ცვლილებას სათანადო ფონის შექმნა სჭირდება. ხვალ რომ ნარკოტიკი თავისუფლად გაიყიდოს, ამით შესაძლებელია, კიდევ უფრო კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნას, ვიდრე დღეს არსებობს. როცა ქვეყანა თავის ნარკოპოლიტიკას შეიმუშავებს, კითხვის ნიშნებიც მოიხსნება. ■

პრემიერად იმ ფრთის წარმომადგენლის დანიშვნა, რომელიც ხშირად გაუთვლელ ნაბიჯებს დგამს, გაუმართლებელია

— გავრცელებული ინფორმაციით, კულუარებში პრემიერ-მინისტრის პოსტის დასაკავებლად გაცხოველებული ბრძოლა მიმდინარეობს. რა შეგიძლიათ თქვათ ამის შესახებ და რამდენად რეალურია ჭორები მთავრობის თავმჯდომარის შესაძლო შეცვლის შესახებ?

ვალერი გელბახიანი, *პარლამენტის წევრი:*



— ბოლო პერიოდში, აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია — მთავრობის დაკომპლექტებისას ნაციონალური მოძრაობის პარტიულ სახეებს ენიჭებათ უპირატესობა. ჯერ ჭიპაშვილი მიიყვანეს მთავრობაში. შემდეგ, კოტე კემულარია დანიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ, საიდანაც იუსტიციის სამინისტროში გადაიყვანეს, მოგვიანებით, ასტემიროვა, გიორგი ხევიაშვილით ჩაანაცვლეს... როცა აცხადებენ, რომ ქვეყანას მართავს ერთიანი პოლიტიკური გუნდი, ეს მთავრობაზეც უნდა გავრცელდეს. სანამ ყველა სამინისტრო ნაციონალური მოძრაობის სახეებით არ დაკომპლექტდება, მანამ კულუარული ბრძოლები გარდაუვალია. მთავარი აქცენტი პრემიერის პოსტზე კეთდება. ნოღაიდელი საბიუჯეტო ეფექტების მიღწევას ახერხებს, მაგრამ მას, პოლიტიკური მოტივაციით, მაინც შეცვლიან. რაც შეეხება კანდიდატებს — ლაპარაკია კახა ლომაიასა და კოტე კემულარიაზე, მეტი პერსპექტივა, მაინც განათლების მინისტრს აქვს. კახა ლომაიას ზურგს უკან დგას: სახალხო დამცველის ოფისი, თავისუფლების ინსტიტუტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ფონდი — „ღია საზოგადოება — საქართველო“. ეს ძლიერი სექტორია, რომელსაც გავლენა აქვს პრესაზე, პარლამენტსა და პრეზიდენტზე. თანაც, ეს ორგანიზაციები უცხოეთიდან ფინანსდება. დღეს-დღეობით ლომაია ძალზე სარისკო და არაპოპულარულ ნაბიჯებს დგამს, რასაც რადიკალურ რეფორმას უწოდებს, მისი მოღვაწეობის შედეგი კი, მოგვიანებით გამოჩნდება. დარწმუნებული ვარ — პრემიერად იმ ფრთის წარმომადგენლის დანიშვნა, რომელიც ხშირად გაუთვლელ ნაბიჯებს დგამს და იდეოლოგიური რყევების საფუძველს იძლევა, გაუმართლებელია. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

17 ნოემბრიდან „ერისიონი“ სწორედ იმ შოუპროგრამით წარდგება ქართველი მაყურებლის წინაშე, რომლითაც 2000-2002 წლებში აღაფრთოვანა ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი და რუსეთი. როგორც იქნა, ხუთწლიანი მოლოდინის შემდეგ, ქართველებსაც მოგვეცა საშუალება, ვიხილოთ „ქართული ლეგენდა“.

120 წლის იუბილე

ანუ „ქართული ხოროდან“ _ „ერისიონამდე“

_ ბექა თუხიშვილი

ამერიკელი ჯიმ ლოუს, ფრანგი პასკალ ჟურდენისა და ქართველი ჯემალ ჭკუასე-

ლის ერთობლივმა ნამუშევარმა ტრიუმფით მოიარა ჩიკაგოს, პარიზისა და მოსკოვის დიდი სცენები. იქაური მედიის შეფასებაც უმაღლესი გახლდათ:

„იშვიათად თუ შეხვდებით ესოდენ მაღალი ხარისხის სპექტაკლს, რომელიც ისე შთამბეჭდავადაა გადმოცემული, რომ ერთიანად ხიბლავს 5000 მაყურებელს“ („კარეფური“).

„სპექტაკლში სინარნარე და სიძლიერე ერთმანეთს ერწყმის. თბილისიდან ჩამოსულმა აკადემიურმა ანსამბლმა, რომელსაც ჯემალ ჭკუასელი ხელმძღვანელობს, ქართული ფოლკლორი წარუდგინა ფრანგ მაყურებელს. ეს გახლავთ საუკეთესო სიმღერები და ცეკვები, რომლებიც განუწყვეტელი შემოსევების ფონზე იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში“ („გარსონი“).

„ქართველი მსახიობები, მიუხედავად მათ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისისა, საუკეთესოდ აღწევენ იმას, რომ დაანახვონ მაყურებელს მათთვის უცნობი ერის ტრადიციები და კულტურა. ქართველთა დიდ პროფესიონალიზმზე მეტყველებს მათ მიერ მსოფლიო მასშტაბით მიღწეული წარმატებები, რასაც თვით „რეალ ტვ“-ის ვარსკვლავებიც კი ინატრებდნენ“ („ფიგარო“).

„ბრავო ყველაფრისათვის! ორი საათი ზღაპარში ვიმოგზაურეთ. ეს ხალხური ტრადიციები კარგი მაგალითია საფრანგეთისთვის, რომელიც კარგავს ღირებულებებს და ოჯახურ ფასეულობებს. გმადლობთ, რომ ოცნებაში გვამყოფეთ („ატრიცია ლენენი“).

„ერისიონს“ ხშირად ადარებენ ცნობილ „რივერ დანსს“ და „ლორდ ოფ დანსს“, მაგრამ კომპეტენტური სპეციალისტების აზრით, „ერისიონის“ „ქართული ლეგენდა“ უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ეს ცნობილი ანსამბლები“ („მოსკოვსკი კომსომოლეცი“).

ეს გახლავთ იმ აღფრთოვანებულ რეცენზიათა მცირე ნაწილი, რომლითაც აფასებდნენ „ერისიონის“ „ქართულ ლეგენდას“. ახლა კი, როგორც იქნა, ეს შოუპროგრამა ქართველების წინაშეა. საფრანგეთიდან ჩამოვიდნენ დიზაინერები, ჩამოიტანეს ხმის აპარატურა და ათასგვარი წვრილმან-მსხვილმანი, რომელიც ამ გრანდიოზულ შოუს ესაჭიროება.

პრესკონფერენციაზე, რომელიც ოთხდღიან გამოსვლას მიეძღვნა, ცნობისმოყვარე ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდნენ კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ (შოუპროგრამის მთავარი ორგანიზატორი), საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის (მთავარი სპონსორი) წარმომადგენლები, „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი და მთავარი ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე. პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამ საკონცერტო პროგრამას რამდენიმე თარიღი დაემთხვა, კერძოდ: ბატონი ჯემალის 70 წლისთავი, მის მიერ ანსამბლის ხელმძღვანელობის 20 წლისთავი, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის 10 წლისთავი, „ქართული ლეგენდის“ ტრიუმფალური სვლის 5 წლისთავი და ბოლოს, ყველაზე მთავარი — „ერისიონის“ 120 წლისთავი. „ერისიონი“ ხომ იმ ანსამბლიდან იღებს სათავეს, რომლის ჩამოყალიბების შესახებაც 1886 წლის 13 ნოემბერს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ქართული ხორო ერთი წლის უკან შეუდგენია თავისი მეცადინეობითა და მხნეობით ბატონს ვლ. აღნიაშვილს. ამ აღნიაშვილს შეუკრეფია ყმაწვილები და მუსიკის მცოდნესთვის, ბატონი რატილისთვის უთხოვია ხელმძღვანელობა. ხოროს დაუწყია რატილთან სიარული და სწავლა ქართული ხმებისა... ახლა კი გვსურს ზოგიერთი ფიქრი გამოვთქვათ, რამოდენადაც შესაძლოა. აქ, გალობაში ანუ სიმღერაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილი სიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. სიმღერა ამ მხრივ იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა... ქართულმა ხორომ, თუ არ ვცდებით, 20-30 კაცი იქნებოდა, ბატონ რატილის ლოტბარობით იგალობა თეატრში 11-მდე ქართული საერო სიმღერები. დიდი მადლობა გვმართებს ბ-ნ აღნიაშვილისა, რომელმაც მართლა სახელოვანი საქმე იკისრა და შეჰყარა ქართული ხორო, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატკბო იმ მივიწყებულის ხმებით... მადლობა ბ-ნ რატილს, ამ უცხო კაცს, რომელმაც მოამზადა და გაწვრთნა ქართული ხორო“. ეს სიტყვები ჩვენს სულიერ მამას, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მისი ყურადღების მიღმა არასოდეს რჩებოდა კეთილი ქართული საქმე და რა გასაკვირია, რომ ამ დიდ ეროვნულ წამოწყებას ვრცელი წერილი მიუძღვნა.

„ერისიონის“ ფესვები სწორედ „ქართული ხორო“ გახლავთ, რომელსაც ორ დამფუძნებელთან ერთად სული შთაბერეს ქართული მუსიკისა და ფოლკლორის მოამაგეებმა: ზაქარია და ივანე ფალიაშვილებმა, მელიტონ ბალანჩივაძემ, ვანო სარაჯიშვილ-

მა და ია კარგარეთელმა. მოგვიანებით, ღირსეულად გაგრძელეს ტრადიცია: შალვა მშველიძემ, სანდრო და ლადო კავსაძეებმა, ჯანო ბაგრატიონმა, ნოკო ხუციამ, ივანე მჭედლიშვილმა, ბიჭიკო გველესიანმა, ჰამლეტ გონაშვილმა, დავით ჯავრიშვილმა, ავთანდილ თათარაშვილმა, გივი კოჯორაშვილმა და სხვებმა.

„ერისიონი“ დღეს უკვე ანსამბლი-მუზეუმია, რომელიც როგორც ხელიხელსაგოგმანებელი განძი, ისე გადაეცა თაობიდან თაობას. არც ისაა გასაკვირი, რომ უცხოელი ასე დაინტერესდა და აღფრთოვანდა ქართული ხმითა და პლასტიკით. არც ფინანსები დაინანა, არც დრო და შრომა, რათა „ერისიონის“ საშუალებით, სხვადასხვა ქვეყნის მაყურებელი ეზიარებინა „მსოფლიოს მერვე საოცრებად“ შერაცხული ქართული სიმღერისა და ცეკვისათვის...

„ერისიონი“ კარგა ხანია ემზადება თბილისის სცენაზე გამოსასვლელად და ბუნებრივია, „სხვანაირადაც“ ღელავს, რადგან იცის, ქართველი მაყურებელი გემოვნებიანი და ამავდროულად პრეტენზიულიცაა.

ვ ი ე მ ა ლ ჭ კ უ ა ს ე ლ ი , *„ერისიონის“ ხელმძღვანელი:*

— ძალიან ვნერვიულობთ, რადგან ამ შოუპროგრამით პირველად უნდა წარვდგეთ ქართველი მაყურებლის წინაშე. როცა „ქართულმა ლეგენდამ“ ფურორი მოახდინა უცხო ქვეყნებში, ჩვენებისგან საყვედური მივიღეთ: როგორ ვერ მოახერხეთ, რომ ჩვენთვისაც გეჩვენებინათ ეს შოუპროგრამაო?! წლების მანძილზე ვერ შევასმინე მავანთ, რომ ამის ჩვენება ჩემზე არ იყო დამოკიდებული. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფრანგები 100 და 150 ევროს ვერ დაადებდნენ ბილეთს (მაყურებელი ხომ ვერ მოახერხებდა ყიდვას), ფილარმონიის 2000-კაციანი დარბაზი კი, ძვირად ღირებული ბილეთითაც ვერ დაფარავდა იმ თანხას, რომელიც შოუს ესაჭიროებოდა. „ისთერნ პრომოუშენისა“ და საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია — „ბორჯომის“ წყალობით შესაძლებელი გახდა „ქართული ლეგენდის“ დადგმა-ჩვენება ქართულ სცენაზეც, რითიც უპირველესად მე ვარ გახარებული.

რ ე ვ ა ზ ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე , *მთავარი ქორეოგრაფი:*

— ხშირად მეკითხებიან, რა სიახლე შეიტანეთ ცეკვებშიო? მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენთვის ყველაზე დიდი სიახლე ძველთან ლამაზად დაბრუნებაა. „ერისიონი“, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სულ მოძრაობასა და ცვლილებაშია. რაც ჩერდება, ის კვდება. ჩვენ კი ვმოძრაობთ და ვცოცხლობთ. როგორც ერთი დღე არ ჰგავს მეორეს, ისე არ ჰგავს ერთხელ შესრულებული ცეკვა სხვა დროს შესრულებულს. მერწმუნეთ, ანსამბლი კიდევ უფრო დაიხვეწა, ვიდრე იყო 2000 წელს, ასე რომ, იმედს არ გაგიცრუებთ. თანაც, კოსტიუმები ახალი შეკერილია, მხატვარი, მერაბ ბერძენიშვილი გახლავთ. 4 დღის მანძილზე იხილავთ ქართული სულის ზეიმს, რომლითაც აღვაფრთოვანეთ ამერიკა და საფრანგეთი. ჩემთვის „ერისიონი“ ანსამბლზე მეტია, თითქოს ჩემი სისხლი და ხორცია და ბუნებრივია, მის ყოველ კონცერტს ისე განვიცდი, როგორც ბავშვის დაბადებას, ადამიანის ამქვეყნად მოვლინებას...

მ ი ხ ე ი ლ გ ი ო რ გ ა ძ ე , *„ისთერნ პრომოუშენის“ წარმომადგენელი:*

— მინდა გითხრათ იმ სიახლის შესახებ, რომელიც ფრანგებს პირველად ჩამოაქვთ საქართველოში. ეს გახლავთ უნიკალური, ხორცისფერი პატარა მიკროფონი, რომელიც შუბლზე მაგრდება და მსახიობებს თავისუფალი მოძრაობის საშუალებას აძლევს. ჩამოდიან შუქის დიზაინერებიც. თითოეულ მოძრაობას შესაფერისი განათება მოსდევს. შოუპროგამა სულ 2,5 საათს გრძელდება. რა თქმა უნდა, ყველა მაინც ვერ მოახერხებს ამ კონცერტზე დასწრებას, ამიტომ ტელეკომპანია „იმედი“ გადაიღებს „ქართულ ლეგენდას“ და შემდეგ, მთელ საქართველოს უჩვენებს.

ზ ა ზ ა კ ი ბ ნ ა ძ ე , *საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომის“ წარმომადგენელი:*

— თანხას, რომელზეც ფრანგული მხარე დავიყოლიეთ, „ქართული ლეგენდის“ საქართველოში საჩვენებლად, არ დავაკონკრეტებ, თუმცა ვიტყვი, რომ საკმაოდ სოლიდურია. ჩვენი მიზანი ყოველთვის იყო და არის კულტურული სფეროს დაფინანსება. მშვენიერი დამთხვევაა — „ერისიონის“ 120 წლისთავი და „ბორჯომის“ 10 წლის იუბილე. ამიტომაც ვითავეთ ამ შოუპროგრამის ფინანსური მხარდაჭერა.

დაბოლოს, იუნესკომ აღნიშნა: ქართული პოლიფონიური სიმღერა მსოფლიო მუსიკალური შედევრია, ხოლო ცეკვა — ხილული საოცრებაო... საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ ამ კონცერტების მერე საგასტროლოდ ჩინეთში მიემგზავრება. ასე რომ, ქართველები ამ უზარმაზარ ქვეყანასაც გააკვირვებენ ჩვენი მუსიკალური შედევრითა და ხილული საოცრებით. ■

„დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრობლემა, პოლიტიკური პლურალიზმის არარსებობა გახლავთ — ანუ ჩვენი პოლიტიკური გარემო არ შეესაბამება შეხედულებათა მრავალფეროვან სპექტრს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. პოლიტიკური პლურალიზმი კი, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მახასიათებელია“, — ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი ANA DOLIDZE, რომელიც ერთობ კრიტიკულადაა განწყობილი, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მიმართ და თურმე, საკუთარი მშობლების თაობასაც ემდურის...

საშიში უსაფრთხოება

ანუ ყონფლიქტის მოგვარება მამაკაცზე მეტად ქალს ეხერხება

ემა ტუხიაშვილი

— რამდენიმე დღეში, ჩვენი ხელისუფლება ვარდების რევოლუციის ორი წლისთავს აღნიშნავს. რასთან ასოცირდება ეს თარიღი თქვენთვის?

— ჩემთვის ეს არის სიხარულის დღე, იმედის დაბრუნების დღე და მეტსაც გეტყვით: ეს რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ძალზე მცირე იყო იმის შანსი, რომ მე საქართველოში მეცხოვრა, იმდენად მძულდა ის ვითარება, რომელიც აქ იყო დამკვიდრებული. მაშინდელი ხელისუფლების მიმართ დიდი ანტიპათია მქონდა და ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ ის ხელისუფლება შეცვლილიყო. ეს რომ არ მომხდარიყო და შევარდნაძის მმართველობის რეჟიმი გაგრძელებულიყო, მივიღებდი შემოთავაზებას, მემუშავა ჰოლანდიის საარბიტრაჟო სასამართლოში.

— რას ელოდით ვარდების რევოლუციისგან და თქვენი აზრით, რა მივიღეთ?

— პირველ რიგში, ველოდი ხალხის გააქტიურებას, გაღვიძებას; კეთილსინდისიერ ხელისუფლებას, რომელიც ხალხის მოამაგე იქნებოდა და კიდევ — ხელშესახებ პროგრესს ქვეყნის განვითარებაში. რაღაც-რაღაცები მართლაც კეთდება. შევარდნაძის ხელისუფლება იმდენად დიდი ჭაობი იყო, რომ მასთან შედარებით, თუნდაც, ჭადრაკის დაფაზე ფიგურის გადაადგილება, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, თვალში საცემი ხდება. რაღაც პროგრესი მართლაც არსებობს. მაგრამ ამან არ უნდა მოგვიტანოს კმაყოფილების გრძნობა. მე იმის მიმართაც მიჩნდება პროტესტი, როდესაც ამბობენ: ჩვენ შევარდნაძის ხელისუფლებასთან შედარებით რაღაც მაინც გავაკეთეთო... პირადად მე, არასდროს ვაკადრებ ამ ხელისუფლებას, რომ შევარდნაძის დროინდელ მთავრობას შევადარო, რადგან ის ჩემთვის ათვლის წერტილი არასდროს ყოფილა... ძირითადი პრობლემა, რომელიც დღეს ქვეყანას აწუხებს, სამუშაო ადგილების არქონაა. მაგრამ არსებობს გარკვეული მიმართულებები, რაშიც ქვეყანა წინ მიდის და ეს ამ ხელისუფლებას უნდა დავუფასოთ.

— იქნებ, უფრო კონკრეტულად მითხრათ, რა უნდა დავუფასოთ ამ ხელისუფლებას?

— პირველ რიგში, ეფექტურობა, რომელსაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ვერ ვხედავდით. მაშინ, აგური აგურზე რომ დაედოთ, ამასაც კი მთელ წლებს ანდომებდნენ. მაშინდელი ხელისუფლება იყო აბსოლუტური იმპოტენტი, არაფრის გაკეთების უნარი არ ჰქონდა. დღევანდელ ხელისუფლებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება და მიაღწიოს იმას, რომ ეს გადაწყვეტილება შესრულდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანაში რაღაც მექანიზმი მოქმედებს. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს პრობლემებიც ახლავს. მაგალითად, ის, რომ ქვეყანაში ყველაფერი ცენტრალიზებულია. ვაზვიადებ, მაგრამ ვთქვათ, გარდაბნის გამგებელმა ქუჩა რომ გადაკვეთოს, ამისთვის პრეზიდენტ საკაშვილს ურეკავს და მისგან ითხოვს ნებართვას.

— თქვენი დამოკიდებულების მიუხედავად, თუ აქვს ამ ხელისუფლებას დაშვებული ისეთი შეცდომა, რომელსაც მიუტევებლად მიიჩნევთ?

— რაც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ ამ ხელისუფლებაში არიან დემოკრატიული ფასეულობების მიმდევარი ადამიანები, ის დემოკრატიული განწყობილებით ნამდვილად არ გამოირჩევა. სამწუხაროდ, ასეა. თუმცა, თუ სათითაოდ ჩამოვთვლი ამ ხელისუფლების წევრებს, აღმოჩნდება, რომ ისინი მოვიდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, განათლება მიღებული აქვთ დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, ამიტომაც მიკვირს მათი არადემოკრატიული განწყობილება. გავიხსენოთ თუნდაც, ვანო მერაბიშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები, რომელთა მსგავსიც, თავად ბატონმა პრეზიდენტმა გააკეთა ქუთაისში ბოლო ვიზიტისას: თუ მოქალაქეების უსაფრთხოებას ოდნავ მაინც დაემუქრება საფრთხე, ხელი არ აგიკანკალდეთო, — ასე მიმართა მან სამართალდამცველებს... არც ერთი ქვეყნის მეთაური, თუ არ ჩავთვლით ფიდელ კასტროს, არ მისცემს თავს უფლებას, მსგავსი განცხადება გააკეთოს. ამ ხალხს მგონი, დაავიწყდა, თუ რას გადავაყოლეთ კახა თარგამაძე: რკინის კაცი ვარ და ვერავინ დამეჭიდებაო, — რომ ბრძანა... ნახეთ, რა ხდება დღეს საფრანგეთში იმის გამო, რომ პოლიციის ქმედებას ორი უდანაშაულო ახალგაზრდა შეეწირა!.. ჩვენში კი, სპეცოპერაციების დროს, უამრავი უდანაშაულო ადამიანი იღუპება. სასამართლო იმისთვის გვაქვს, რომ მან უნდა გადაწყვიტოს, ეს ადამიანი ეჭვმიტანილია, ბრალდებულია თუ დამნაშავე და „ოპერატივნიკის“ გასარჩევი არ უნდა იყოს, ვინ არის ყაჩაღი და ვინ — არა. მერაბიშვილის განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსი ქმედება, წახალისებისა და ჩინ-მედლების ღირსია.

— ხომ არ მიუთითებს ყოველივე ეს იმაზე, რომ პრეზიდენტის, როგორც პოლიტიკური ფიგურის გავლენა აღმასრულებელ ხელისუფლებაში შესუსტდა?

— არადემოკრატიულობა იმის ნიშანია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ გრძნობს იმას, რომ მასზე სათანადო კონტროლია დაწესებული და ეს მართლაც ასეა: ეფექტური კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე დღეს არ არსებობს. ის, რომ მთავრობის წევრები, თავს უფლებას აძლევენ, უკვე ნახსენები, მერაბიშვილის მსგავსი განცხადებები გააკეთონ, პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვერ გრძნობენ მკაცრ ხელს, რომელიც უნდა არსებობდეს — პარლამენტის, სასამართლოს, მასმედიისა და საზოგადოების მხრიდან. ეს კონტროლი რომ არსებობდეს, მოხელეები იმდენად დიდ ყურადღებას ანიჭებენ საკუთარი პერსონის რეიტინგსა და პოლიტიკურ პოპულარობას, რომ მაშინვე გაიაზრებდნენ, თუ რამდენად დაუშვებელია მსგავსი მიდგომა.

— მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება სიმკაცრეს ვერ იჩენს. ყოველ შემთხ-

ვევაში, სალომე ზურაბიშვილის მიმართ პარლამენტარებმა უკომპრომისობა გამოიჩინეს...

— ამ შემთხვევაში, ჩემი პროტესტი პარლამენტარების ქცევის ფორმამ გამოიწვია. თურმე, რამდენიმე დღით ადრე, კომიტეტის სხდომაზე ქალბატონ სალომეს მადლობას უხდიდნენ, ცოტა ხანში კი აღმოაჩინეს, რომ ეს ქალი ყველაზე დიდი ურჩხული ყოფილა მთავრობაში... დაუშვებელია, ამ ფორმით დაემშვიდობო ადამიანს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები გასულიყო საქართველოდან. ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანი ხომ ჩვენ ჩამოვიყვანეთ საფრანგეთიდან!.. გასაგებია, თუ პარლამენტი აღაშფოთა იმან, რომ თურმე, ქალბატონ სალომეს უთქვამს — პარლამენტს კრიტიკის უფლება არა აქვსო. მაგრამ როდესაც ვანო მერაბიშვილის განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობა ტაშს უკრავს და სალომე ზურაბიშვილის მიმართ ასეთი რეაქცია აქვს, — ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტი საკუთარ კრიტიკასა და კონტროლში მაინცდამაინც გულწრფელი არ არის და კიდევ — რომ ეს პროცესები სხვა ადგილიდან იმართება...

— როგორ ფიქრობთ — შეძლებს სალომე ზურაბიშვილი ისეთი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელისუფლების რეალურ კონკურენტად იქცევა?

— არა მგონია. მაგრამ მხარს ვუჭერ ქალბატონი სალომეს გადაწყვეტილებას, დარჩენილიყო საქართველოში და — რაც მთავარია, — აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა გაეგრძელებინა. დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრობლემა, პოლიტიკური პლურალიზმის არარსებობა გახლავთ — ანუ ჩვენი პოლიტიკური გარემო არ შეესაბამება შეხედულებათა მრავალფეროვან სპექტრს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. პოლიტიკური პლურალიზმი კი, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მახასიათებელია. კარგია, რომ გაჩნდა კიდევ ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებას, ადეკვატურად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები.

— ხელისუფლება ხშირად, ქალიკითაც კი აღნიშნავს, რომ არ ჰყავს ოპოზიცია, რომელსაც თავს გაუტოლებდა...

— მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციური ძალა უნდა იყოს კონსტრუქციული. როდესაც პირიქით ხდება — ე.ი. ოპოზიცია დესტრუქციულია, — ეს ბევრ რამეს აფუჭებს. პირველ რიგში, თვითონ ხელისუფლებას რყვნის, რადგან ხელისუფლება იწყებს ალტერნატიული აზრის იგნორირებას. კონსტრუქციული ოპოზიციის თვალსაჩინო მაგალითი ვნახე ცოტა ხნის წინ, ლონდონში, როდესაც რამდენიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა. ბრიტანეთში ყველაზე რადიკალური ოპოზიციური ძალა — კონსერვატორები — გამოვიდნენ და საჯაროდ, უდიდესი მხარდაჭერა გამოხატეს ტონი ბლერის მიმართ. ჩვენში რომ მსგავსი რამ მომხდარიყო, დიდი შანსი არსებობს იმისა, ოპოზიცია გამომხტარიყო და ეთქვა მთავრობისთვის: თქვენი ბრალია, რაც მოხდაო... ამგვარად, არსებობს ვითარება, როდესაც ოპოზიცია აბსოლუტურად კეთილსინდისიერად უნდა ამოუდგეს მხარში ხელისუფლებას. ამავე დროს, ხელისუფლებამ უნდა მოუსმინოს ოპოზიციას. თუნდაც მაშინ, როდესაც ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლი ა-პუნქტიდან ბ-პუნქტში გადაიტანოს, ის თავად უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ ეს საკითხი სადისკუსიოდ გამოიტანოს. ცოტა ხნის წინ, ნორვეგიაში გახლდით, სადაც კაფე-ბარებში აიკრძალა სიგარეტის მოწევა. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დებატები ამის შესახებ დაახლოებით 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჩვენში კი, თავად ხელისუფლება უწყობს ხელს, საზოგადოების მხრიდან აზრის ულტრა-ფორმებით გამოხატვას — მიტინგი იქნება ეს, მანიფესტაცია თუ საპროტესტო აქცია, რადგან სხვა საშუალებას უბრალოდ, არ უტოვებს. მაგალითად, როდესაც დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანასთან დაკავშირებით ღია ეთერში ვმსჯელობდით, მშენებლები უკვე ძეგლს შლიდნენ...

— ეს პატარ-პატარა საპროტესტო აქციები თითქოს ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად იქცა. მაგრამ საერთო უარყოფითი ფონის მიუხედავად, ოპოზიციურმა ძალებმა მაინც ვერ შეძლეს, ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის ისეთი ერთიანი ძალა ეჩვენებინათ, როგორიც ორი წლის წინ, პარლამენტის შენობასთან მაშინდელმა ოპოზიციამ და ამჟამინდელმა ხელისუფლებამ შეკრიბა...

— პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ მიტინგები და საპროტესტო აქციები, რომლებიც კანონის ჩარჩოებში ჯდება, საკმაოდ კარგი მოვლენაა. ვინც ვაშინგტონშია ნამყოფი, იცის, რომ დღე არ გავა ისე, თეთრი სახლის წინ საპროტესტო აქცია რომ არ მოეწყოს. ყველამ ვნახეთ, რომ რამდენიმე დღის წინ, სალომე ზურაბიშვილმა მხოლოდ ნახევარი საათით ადრე მოუწოდა ხალხს, ქუჩაში გამოსულიყო და მის გვერდით უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ეს არის „ვარჯიში დემოკრატიაში“. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიდეთ იმ ზომამდე, რომ 2003 წლის ნოემბრის მოვლენები გამეორდეს. ეს კატასტროფა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომ, თუნდაც პატარ-პატარა აქციები ხელისუფლებამ უნდა აღიქვას, როგორც თერმომეტრი: როგორც ადამიანი პერიოდულად იზომავს სიცხეს, ხელისუფლება ქვეყანაში „ტემპერატურის“ კლებასა და მატებას საზოგადოებაზე დაკვირვებით უნდა იგებდეს.

— ვფიქრობ, ხელისუფლებისთვის „ტემპერატურის“ განმსაზღვრელი, მასმედიის განწყობილებაც უნდა იყოს. მაგრამ ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ მთავრობის მხრიდან მასმედიის ზეწოლაზე...

— ჯერ კიდევ XX საუკუნიდან მოყოლებული, ამერიკის უზენაესი სასამართლო ქადაგებს იმას, რომ მასმედიის თავისუფლებით თვით ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული. როდესაც მასმედია თავისუფალია, არსებობს საგამოძიებო ჟურნალისტიკა, რომელიც მთავრობისთვის სარკესავითაა, სადაც შეუძლია ჩაიხედოს და შეაფასოს, თუ რამდენად კარგად გამოიყურება... დღეს მასმედია მართლაც, შეზღუდულია. თუმცა, ბოლო დროს, ოდნავ დადებით ტენდენციებს ვხედავ. მაგალითად, ნამდვილად არ ველოდი „რუსთავი 2“-ის ეთერში ისეთი გადაცემის გამოჩენას, როგორიცაა „თავისუფალი თემა“. დებატები პირდაპირ ეთერში მართლაც, პროგრესული ნაბიჯია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კულუარული საუბრები და ზეწოლა დეპუტატების, გამგებლების, რწმუნებულების მხრიდან, ჟურნალისტებსა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მფლობელებზე აღარ არსებობს. ცოტა ხნის წინ, ხელში ჩამივარდა წერილი, რომლის ავტორია სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი, გერგაია, ხოლო ადრესატი — ერთ-ერთი რადიოს დირექტორი. გერგაია წერილში იუწყება, რომ ძალზე უკმაყოფილოა ამ რადიოს ერთ-ერთი ჟურნალისტის საქმიანობით. სიმართლე გითხრათ, ამ ადამიანის თავხედობის ხარისხის შეფასებაც კი მიჭირს, რადგან აღნიშნული თანამდებობის პირი პირდაპირ მიუთითებს, რომ ჟურნალისტი ტენდენციურად აშუქებს მოვლენებს, ლახავს პოლიციის იმიჯს, ამიტომ ის ითხოვს რადიოს ხელმძღვანელობისგან, რომ გადაუგზავნონ ამ ჟურნალისტის მიერ მომზადებული სიუჟეტები. ფაქტია, რომ ამ ადამიანს უბრალოდ არ ესმის, რასთან აქვს საქმე. მაგრამ როდესაც სამხარეო

აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ გრძნობს იმას, რომ მასზე სათანადო კონტროლია დაწესებული და ეს მართლაც ასეა

იხ. მე-12 გვ. →

ნუ წამოეგებით ბოროტ ხუმრობას დიჰიდროგენ მონოქსიდის შესახებ



Nestlé

„ნესტლემ“ საზოგადოება პანიკისგან იხსნა

ახლახან გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულმა სტატიებმა („ევროკავშირი „ჰუმანას“, „ნესტლეს“, „ჰიპის“ და „მალიუტკას“ ბავშვთა საკვებს კრძალავს“ და „რა ვაჭამოთ ერთ წლამდე ბავშვებს, დიჰიდროგენმონოქსიდით რომ არ მოგვეწამლონ?“) საქართველოში თითქმის პანიკური შოკი გამოიწვია. ყველა, ვისაც კი ოჯახში ჩვილი ბავშვი ჰყავს, საგონებელში ჩავარდა გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის გამო, თითქოს „ჰუმანას“, „ნესტლეს“, „ჰიპისა“ და „მალიუტკას“ ბავშვთა საკვები შეიცავს მონოქსიდის დიჰიდროგენის სახელით ცნობილ შხამს. არადა, სინამდვილეში, საზოგადოებას არათუ პანიკის, არამედ შიშის საფუძველიც კი არ აქვს, რადგან მონოქსიდის დიჰიდროგენი, შხამი კი არა, ჩვეულებრივი წყალია, რომელიც ონკანის გაღებისთანავე მოჩხრიალებს ჩვენს სახლებში და ქიმიური ფორმულის სახით, H_2O ჰქვია. რაც შეეხება DHMO-ს – ანუ დიჰიდროგენმონოქსიდს, ის ასე განიმარტება: პრეფიქსი „დი“ ნიშნავს ორს, „მონ“ – „მონოს“ შემოკლებული ვარიანტია, რაც ნიშნავს ერთს, „ოქსიდი“ კი, ნაერთში ჟანგბადის – ოქსიგენის შემცველობას აღნიშნავს და გამოდის, რომ „დიჰიდროგენ-მონ-ოქსიდი“ წყალბადის ანუ ჰიდროგენის ორ და ჟანგბადის ანუ ოქსიგენის ერთ წილ ნაერთს წარმოადგენს, რასაც შხამის მომაკვდინებელი თვისება კი არა, ადამიანის მაცოცხლებელი უნარი აქვს და შესაბამისად, თქვენს პატარებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, თუ სტატიაში დასახელებულ საკვებს აჭმევთ. ისე კი, სკოლაში ცოტა უკეთ რომ გვესწავლა ქიმიის გაკვეთილები და განსაკუთრებით მენდელეევის სისტემა, საეჭვოა, ქიმიაში გაურკვეველი ჟურნალისტისა და ექიმის ზეგავლენის ქვეშ აღმოვჩენილიყავით. ჟურნალისტ თამარ როსტიაშვილს სტატიაში დიჰიდროგენმონოქსიდის მავნებლობას ექიმი ქეთი ნემსაძეც უდასტურებს. თუ როსტიაშვილის განმარტებით, მონოქსიდის დიჰიდროგენი ავთვისებიან სიმსივნეებს იწვევს, ექიმ ნემსაძის თქმით, „მონოქსიდის დიჰიდროგენი გახლავთ ემულგატორი, რომელიც ნატურალურ ბავშვთა საკვებს უხანგრძლივებს შენახვის ვადას. ის, რომ ეს ემულგატორი კარგად არ აისახება ჩვილის კუჭ-ნაწლავის სისტემაზე, ამაზე ორი აზრი არ არის“, – აცხადებს ქეთი ნემსაძე. არადა, ორი აზრი ნამდვილად არ არსებობს, არსებობს ერთი ჭეშმარიტება, რომლის თანახმადაც, მონოქსიდის დიჰიდროგენის ანუ წყლის შემცველობის გამო, ბავშვთა კვების პროდუქტების აკრძალვა ისეთივე არასერიოზული ნაბიჯი იქნება, როგორიც შხამად წყლის გამოცხადება.

„ალიაში“ დაბეჭდილი სტატიებით გავრცელებულ დეზინფორმაციას ნათელი მოჰფინა კომპანია „ნესტლეს“ საქართველოს წარმომადგენლობის მიერ საგანგებოდ ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულმა პრესკონფერენციამ, სადაც „ნესტლეს“ ქართული ოფისის გენერალურმა მენეჯერმა, ესბენ ემბორგმა და ბიზნეს-განვითარების (ბავშვთა კვებაში) მენეჯერმა, თამუნა ბიწკინაშვილმა ჟურნალისტებსა და „ალიაში“ გამოქვეყნებული ზემოთ ხსენებული სტატიებით დაინტერესებულ საზოგადოებას ფრიად საინტერესო ინფორმაცია მიაწოდეს. როგორც „ნესტლეს“ წარმომადგენელთა განმარტებით გაირკვა, როსტიაშვილი ერთ-ერთ ცნობილ საინტერნეტო ბოროტ ხუმრობას წამოეგო და დაიჯერა ის, რაც 1997 წელს გაავრცელეს სტუდენტებმა – ერიკ ლეჩნერმა და კრეიგ ჯექსონმა – თითქოს დიჰიდროგენმონოქსიდი – შხამია. ქართველ ჟურნალისტამდე, ლეჩნერისა და ჯექსონის „ხუმრობას“ უკვე ჰქონდა პარადოქსული შედეგები. სტუდენტთა მიერ გაბრიყვებულმა ადამიანებმა არარსებული პრობლემის წინააღმდეგ მებრძოლ აქტივისტთა ჯგუფიც კი შექმნეს და სხვადასხვა ინტერნეტ-საიტზე დაიწყეს სტატიების გავრცელება სრულიად უწყინარი, წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი წილის ნაერთის შესახებ. არადა, ინტერნეტით ხომ მარტო არასერიოზული და ბოროტი ხუმრობები არ ვრცელდება, იქვე შეგიძლიათ მიიღოთ დაწვრილებითი ინფორმაცია ნებისმიერი ტერმინის ან სახელწოდების შესახებ და არ გაბრიყვდეთ მავანის ავანტიურის გამო, რომლის მიზანი, უბრალოდ, პანიკისა და შოკის გამოწვევაა, რაც ზოგჯერ სავალალოდ მთავრდება. ზოგიერთ ადამიანს გადამოწმების სურვილიც კი არ უჩნდება, ისე სჯერა ნებისმიერი დეზინფორმაციის და ჩვეულებრივი წყალიც კი, შთაგონების წყალობით, შესაძლოა, მის ორგანიზმს შხამად ექცეს. ამჯერად, არ არსებობს შიშის არანაირი საფუძველი: დიჰიდროგენმონოქსიდი წყალია და არა საშიში შხამი, „ნესტლე“ კი, თითქმის თქვენსავით ზრუნავს თქვენს პატარებზე. ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოებაში 140-წლიანი გამოცდილება და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, რომლებიც „ნესტლეს“ საბავშვო პროდუქციას შეეხება, აბსოლუტური გარანტიაა იმისა, რომ თქვენს ჩვილს არანაირი საფრთხე არ ემუქრება, თუკი „ნესტლეს“ გემრიელ ფაფებს მიართმევთ. დაივიწყეთ ლეჩნერის, ჯექსონისა და როსტიაშვილის „ბოროტი ხუმრობები“ და ენდეთ ევროკავშირის EU დირექტივას (№95/2), Codex Alimentarius-ს (WHO/FAO ერთობლივი რეკომენდაციები კვების პროდუქტებთან დაკავშირებით), EC დირექტივას, კვების პროდუქტების ევროპის სამეცნიერო კომიტეტს, ამერიკის პედიატრიის აკადემია/ნუტრიციოლოგიის კომისიას და ESPGHAN-ს. ისინი „ნესტლეს“ მთელ მსოფლიოში რეკომენდაციას უწევენ.

მე-10 გვ-დან

პოლიციის უფროსი ასეთ რამეს ბედავს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა ხდება ქვედა რგოლებში... მე მხოლოდ მაშინ დავინახავ ხელისუფლების მხრიდან საქმის კეთების სურვილს, როდესაც ასეთ

ადამიანებს დაიბარებენ და განუმარტავენ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ჩვენ გვაქვს 153-ე და 154-ე მუხლები, რომლებიც ეხება ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევას და ეს სერიოზულად ისჯება. როდესაც დავინახავ, რომ ამის გამო ვინმეს მისცემენ პასუხისგებაში, მაშინ ვიწამებ, რომ ხელისუფლებას აქვს სურვილი, რეალურად დაიცვას ჟურნალისტები.

— ალბათ გახსოვთ პრეზიდენტად ახალარჩეული სააკაშვილის განცხადება — რომ ქვეყნის ხელისუფლებაში რაც შეიძლება მეტი, სუსტი სქესის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ დღეს ხელისუფლებაში ქალბატონები თითქმის აღარ არიან. რა ხდება? იქნებ, ქართველ კაცებს ჭკვიანი და ძლიერი ქალების ეშინიათ?..

— ხშირად შემინიშნავს ასეთი ტენდენცია, რომ მამაკაცებს ბევრად უადვილდებათ „საქმის გარჩევა“ კაცებთან — ანუ რაღაც ფსევდომორალურ ვაჟკაცურ ნორმებზე ოპონენტების „აგდება“. ამიტომაც, კაცებისთვის იოლია, ამ ვითომდა ფასეულობებით, ისევ კაცებზე მოახდინონ ზეწოლა, მაშინ როდესაც ქალთან მხოლოდ საქმიანი საუბრით უნდა შემოიფარგლონ. ქალს ხომ ვერ ეტყვის კაცი: ეს არაკაცური საქციელი იყო და მხოლოდ ამიტომ უნდა დაწერო განცხადება და თანამდებობა დატოვოო!.. არადა, ამის გამო, სამართლებრივი პრობლემის წინაშე ვდგავართ: გაეროს წინაშე გვაქვს აღებული ვალდებულება, რომ 2015 წლისთვის, საჯარო თანამდებობების ნახევარი, ქალბატონებს უნდა ეკავოთ. მინდა გითხრათ, რომ გაეროს ყოველწლიურად ვაბარებთ ანგარიშს და ამ თვალსაზრისით, კარგი მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. არადა, არაერთი კვლევითაა დადგენილი, რომ კონფლიქტის მოგვარების უნარი უფრო მეტად ახასიათებს ქალს, ვიდრე მამაკაცს.

— დღევანდელი საზომით თუ განვიხილავთ თქვენს პერსონას, ყველა იმ მოთხოვნას აკმაყოფილებთ, რომელიც თანამდებობის დასაკავებლადაა საჭირო: ხართ ახალგაზრდა ქალბატონი და განათლება საზღვარგარეთ გაქვთ მიღებული. თქვენთვის არ შემოუთავაზებიათ რაიმე თანამდებობა?

— ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ჰოლანდიაში ვსწავლობდი, მქონდა რამდენიმე შემოთავაზება სახელისუფლებო წრეებიდან, მაგრამ დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. მაშინ ჩემი პოზიცია ასეთი გახლდათ: ჯერ უნდა ჩამოვსულიყავი საქართველოში და ადგილზე გავრკვეულიყავი იმ ვითარებაში, რომელიც სუფევდა. როდესაც დავბრუნდი, ამირჩიეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილედ. ამის შემდეგაც მქონდა შემოთავაზებები, მემუშავა სხვადასხვა სტრუქტურაში, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიე ჩემი ყოფნა საზოგადოებრივ სექტორში. მიმაჩნია, რომ იმის მიუხედავად, ვარ თუ არა მინისტრი, სახელმწიფოს განვითარებაში ამ რანგის სახელმწიფო მოხელეებზე არანაკლები წვლილი შეაქვს ჩვენს ორგანიზაციას...

— მომავალში თუ წარმოგიდგენია თქვენი თავი აღმასრულებელ ხელისუფლებაში?

— ადამიანის პიროვნული და პროფესიონალური განვითარებისთვის არ არის კარგი, როდესაც დიდხანს, ერთსა და იმავე ადგილზე მუშაობს. მე მართლაც, წარმომიდგენია ჩემი თავი ოდესმე ხელისუფლებაში. მაგრამ დღეს, ჩემი თანამდებობა იმხელა გამოცდილებას მძენს, რომელსაც ვერც ერთ სტრუქტურაში მუშაობისას ვერ მივიღებდი.

— როგორც ჩვეულებრივ თბილისელს, მინდა გკითხოთ, რამდენად მისაღებია თქვენთვის ის მიმართულება, რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტმა თბილისის განაშენიანების სფეროში აირჩია?

— წმინდა ევროპულ ქალაქს თბილისი ვერასოდეს დაემსგავსება, თუმცა შესაძლოა, ძველი ხიბლის შენარჩუნებით, ის აღმოსავლურ-ევროპულ ქალაქად იქცეს. როდესაც თბილისში პარიზიდან ბრუნდები, ყოველთვის ფიქრობ იმაზე, თუ როგორ ჰგავს ჩვენი დედაქალაქი პარიზს. მე არქიტექტურაში კომპეტენტური არ ვარ, მაგრამ მგონია, რომ ის ადამიანები, ვინც თბილისის უბნებს აშენებდნენ, პარიზული შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფებოდნენ. ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს ძველი თბილისი, რომელიც წმინდა აღმოსავლურ სტილშია გადაწყვეტილი. პირადად მე, აღმოსავლურისა და ევროპული კულტურის ჰიბრიდი ძალიან მომწონს. მთავარი საშიშროება, რომელიც ქალაქის განაშენიანების თვალსაზრისით შეიძლება არსებობდეს, გახლავთ ის, რომ ჩვენმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ — მერია იქნება ეს თუ საკრებულო, — კომერციული ინტერესის გამო არ მიიღოს სავალალო გადაწყვეტილებები. მიმაჩნია, ამ გადაწყვეტილებების მიღებისას, მერიაც და საკრებულოც ექსპერტებს უნდა ეკითხებოდეს აზრს. ეიფელის კოშკი რომ აშენებულიყო პარიზში, ამაზე წლების მანძილზე მიმდინარეობდა დებატები და რა მოხდება, თუ თავისუფლების მოედანზე ზურაბ წერეთლის მიერ შესრულებული ქანდაკების დადგმამდე, ექსპერტების აზრსაც მოისმენენ?..

— თაობათა ცვლა ყველა დროისთვის აქტუალური პრობლემაა. ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ახალგაზრდა თაობას კოსმოპოლიტური ხედვა აქვს, რაც ვითომდა ჩვენი კულტურის შენარჩუნებას საფრთხეს უქმნის...

— ამის საშიშროებას ნამდვილად ვერ ვხედავ. ამჟამად ვკითხულობ ლექციებს ორ უნივერსიტეტში და გარდა იმისა, რომ კარგად ვიცნობ ჩემი თაობის ადამიანებს, ასაკით უმცროსებთანაც მაქვს ურთიერთობა. შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ ეს ადამიანები უფრთხილდებიან კულტურულ ღირებულებებს და ამავე დროს, კარგად ესმით გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელობა. უნდა შევეგუოთ იმას, რომ დღეს წერილს მტრედს ვეღარ გაატან და ამისათვის ინტერნეტი უნდა გამოიყენო. მაგრამ აქვე გეტყვით, რომ ძალზე უკმაყოფილო ვარ ჩემი მშობლების თაობით, ვერ მივუტევებ იმას, რომ მათ კომუნიზმს აყვავების საშუალება მისცეს და ამის შედეგებს დღეს ჩვენ ვიმკით...

■

გაეროს წინაშე გვაქვს აღებული ვალდებულება, რომ 2015 წლისთვის, საჯარო თანამდებობების ნახევარი, ქალბატონებს უნდა ეკავოთ

„ბავშვმა ყვირილი აფეხა... სხეული ჯაკნ მოგვკვეხოდა“

ცნობილი ბიზნესმენის 12 წლის შვილის გატაცების დეტალები

ადამიანის გატაცების გახმაურებული ფაქტები სასამართლო განხილვის საგანი კიდევ ერთხელ გახდა. მომხდარი დანაშაულებისთვის მსჯავრდებულმა ექვსმა პირმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გაასაჩივრა და უზენაეს სასამართლოს მისი გაუქმება სთხოვა. ისინი ბრალს უარყოფენ და ალიბებზე ლაპარაკობენ, მათი ადვოკატები კი — სამართალდამცველთა მხრიდან დაკავებულების სასტიკი წამების ფაქტებზე.

მეგი სანავა

პროკურატურის ინფორმაციით, დაჯგუფება საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. მას ჰყავდა ორგანიზატორები და ხელმძღვანელები. ჯგუფი შეიარაღებული იყო დიდი არსენალით — სხვადასხვა ყალიბის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, გადაჭრილი სანადირო თოფებით, ხელყუმბარებით, რევოლვერებით, შესაბამისი საბრძოლო მჭიდებით, ვაზნებით, რეზინის ხელკეტებით, სკოჩებით, ნიღბებით...

სასამართლო განაჩენში ნათქვამია, რომ ჯგუფი ჩამოყალიბებული იყო განუსაზღვრელი რაოდენობის დანაშაულების ჩასადენად. მის მთავარ მიზანს, ადამიანთა გატაცება და მათი ოჯახების წევრებისგან დიდი თანხების გამოძალვა წარმოადგენდა. თავდასხმები იგეგმებოდა, როგორც ბანდის ხელმძღვანელების, ისე ბანდის რიგითი წევრების კარნახით. სამართალდამცავთა განცხადებით, ბანდიტებმა 2002 წლის 26 ნოემბრიდან 2003 წლის 12 თებერვლამდე 3 ადამიანი გაიტაცეს (მათ შორის ერთ-ერთი — არასრულწლოვანი გახლდათ) და ერთის გატაცება სცადეს. ბოროტმოქმედთა სამიზნე, თანამდებობის პირები, წარმატებული ბიზნესმენები ან მათი ოჯახის წევრები ხდებოდნენ. მძევალთა შორის, ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორი, ნაცვლიშვილი, ხოლო შემდეგ — ზესტაფონელი ბიზნესმენის, სარდანაძის 12 წლის შვილი აღმოჩნდა. პირველ შემთხვევაში, გამტაცებლები 50 ათას დოლარს, არასრულწლოვნის გატაცებისას კი, 200 ათას დოლარს მოითხოვდნენ.

ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებული 6 პირი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის წინაშე 2005 წელს წარდგა. განსასჯელები იყვნენ: კონსტანტინე ჭრელაშვილი (დაბადებული 1958 წელს, ქუთაისელი, საშუალო განათლების მქონე, ჰყავს მეუღლე და 3 შვილი: ორი — არასრულწლოვანი, ხოლო ერთი — სრულწლოვანი ინვალიდი; 1977 წელს, იგი გასასამართლა ქუთაისის სახალხო სასამართლომ და 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, შრომაში სავალდებულო ჩაბმით; ნასამართლეობა გაქარწყლებული აქვს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო); გოჩა ბრეგაძე (დაბადებული 1978 წელს, ქუთაისელი, საშუალო განათლების მქონე, უცოლშვილო, არასრულწლოვნების ასაკში ჩადენილი დანაშაულისთვის ის ქუთაისის რეგიონულმა სამხედრო სასამართლომ გასასამართლა, ჯგუფური ყაჩაღობისა და ციხიდან გაქცევისთვის მას 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს); ლევან ბერუჩაშვილი (დაბადებული 1969 წელს, ზესტაფონელი, საშუალო განათლების მქონე, ჰყავს მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი — 11 და 12 წლის; 1996 წელს, ხარაგაულის რაიონის სასამართლომ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ციხიდან ვადამდე ადრე გათავისუფლდა, მაგრამ განსასჯელის სკამზე ისევ მოხვდა; 2000 წელს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მას სხვისი ქონების გატაცებისა და ძარცვისთვის 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა); ზეზვა სანიკიძე (დაბადებული 1966 წელს, ქუთაისელი, საშუალო განათლების მქონე, უცოლშვილო, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, დაპატიმრებამდე გახლდათ შპს „კონტაქტის“ დირექტორი); ზაალ კახნიაშვილი (დაბადებული 1968 წელს, ქალაქ ბაღდათში, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და 3 მცირეწლოვანი შვილი, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, დაპატიმრებამდე იყო შს სამინისტროს სამმართველოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის ინსპექტორი); რამაზ შალიკიანი (დაბადებული 1974 წელს, ქუთაისელი, საშუალო განათლების მქონე, ჰყავს მეუღლე და ერთი მცირეწლოვანი შვილი).

ზემოთ აღნიშნული პირები ქუთაისის საოლქო სასამართლომ ბანდიტიზმში, ყაჩაღურ თავდასხმებში, ცაცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში, ავტომანქანების გატაცებაში, ძარცვასა და სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებაში დაადანაშაულა. მსჯავრდებულები სასამართლო განაჩენს უკანონოს უწოდებენ. მათი თქმით, მათ არანაირ დანაშაულში არ მიუღიათ მონაწილეობა და არც შეიარაღებული ბანდა ჩამოუყალიბებიათ. ასევე აცხადებენ, რომ სამართალდამცველებმა ისინი მხოლოდ ერთ-ერთი დაკავებულის — გიორგი ბაბუნაშვილის ახსნა-განმარტების საფუძველზე დააპატიმრეს. აღსანიშნავია, რომ ბაბუნაშვილი ახსნა-განმარტებაში დეტალურად აღწერს დანაშაულის ფაქტებს და ზემოთ ხსენებულ ყველა პირს (და არა მარტო მათ) ასახელებს, როგორც დანაშაულის მონაწილეებს. მაგრამ მსჯავრდებულთა და მათი ინტერესების დამცველ ადვოკატთა თქმით, ახსნა-განმარტება, პოლიციელთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის შედეგადაა დაწერილი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ახსნა-განმარტების დაწერიდან ცოტა ხანში, გავრცელდა ხმა ბაბუნაშვილის გარდაცვალების შესახებ. სამართალდამცველები ირწმუნებოდნენ, რომ ბაბუნაშვილმა საკანში თავი ჩამოიხრჩო. ადვოკატები კი აცხადებენ, რომ პატიმარი სასტიკ ცემასა და წამებას შეეწირა. მათივე ცნობით, ცემის ფაქტთან დაკავშირებით, ორი პოლიციელის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, შეიარაღებული ბანდა უშუალოდ ჭრელაშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა. 2002 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, ის ამ განზრახვით დაუკავშირდა შალიკიანს, ბრეგაძესა და ბერუჩაშვილს და მათი მონაწილეობითა და დახმარებით, შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფი შექმნა. გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში შეიძინეს გერმანული წარმოების „არმენიუს“ მოდელის რევოლვერი, შემდეგ — „იჟ-58“ და „იჟკ“ მოდელების გლუვლულიანი გადაჭრილი თოფები, „აკს“-ის მოდელის 6 ავტომატი, მჭიდები და საბრძოლო ვაზნები და 5 ხელყუმბარა. პროკურატურის ინფორმაციით, ბანდის ზემოაღნიშნული შეიარაღება ძირითადად, ჭრელაშვილის საცხოვრებელ ბინაში ინახებოდა.

განაჩენის მიხედვით, ბანდის მიერ ჩადენილი პირველი დანაშაული იმავე წელს დაფიქსირდა. მათ სააქციო საზოგადოება „ქუთაისის ავტოქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ნაცვლიშვილის გატაცება და მისი ოჯახისთვის დიდი თანხის გამოძალვა განიზრახეს. ჩანაფიქრი, გეგმის თანახმად, 2002 წლის

26 ნოემბერს, საღამოს საათებში, სამტრედიის რაიონის ბაშის სასოფლო გზაზე უნდა განეხორციელებინათ. აღნიშნულ დღეს ნაცვლიშვილი ბიძის დაკრძალვაზე იმყოფებოდა და საკუთარი ავტომანქანით იქიდან შინ მიმავალს, სწორედ იმ გზაზე უნდა გაევლო. როგორც განაჩენში წერია, ბანდის წევრებმა საქმეში ნაცნობი პოლიციელი — ზაალ კახნიაშვილიც ჩართეს. კერძოდ, მისი ავტომანქანა ქუთაისიდან წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში, დანაშაულის განსახორციელებლად საჭირო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადასაზიდად გამოიყენეს. იარაღის თაობაზე თავად კახნიაშვილისთვის არაფერი უთქვამთ. მას მეზობლის, ა. მჟავიას მეგობარი (ბანდის ერთ-ერთი წევრი) დაუკავშირდა და ნაცვლიშვილის გატაცების განზრახვის შესახებ აცნობა. შეატყობინა ისიც, რომ მისი ოჯახის წევრებისგან 50 ათასი დოლარის გამოძალვას აპირებდნენ. ვინაიდან მასზე, როგორც პოლიციელზე, ეჭვს ნაკლებად მიიტანდნენ, სთხოვა, დახმარება გაეწია ბანდისთვის და ავტომაგისტრალზე უსაფრთხოდ გადასაადგილებლად დაეთმო მისი ავტომანქანა. საუბრისას ბანდის წევრმა კახნიაშვილს ისიც აღუთქვა, რომ გამოძალული თანხიდან წილს მასაც მისცემდნენ. კახნიაშვილი შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდა.

განაჩენის მიხედვით, ბანდიტებს სხვა ავტომანქანაც დასჭირდათ. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა — შალიკიანმა ქუთაისის სადგურიდან შპს „ინტერმედიის“ კუთვნილი ავტომანქანა დაიქირავა. მძღოლი — ა. ქარჩავა მოატყუა, თითქოს სოფელ ქვიტირიდან აკვნის წამოღება უნდოდა. ბანდის დანარჩენ წევრებთან შეთანხმებულ ადგილამდე რომ მიიყვანა, შეირაღებულმა და სახეშენიღბულმა ბოროტმოქმედებმა მძღოლს ხელ-ფეხი შეუკრეს, თავზე ტომარა ჩამოაცვეს და მანქანის უკანა სავარძელზე დასვეს. საჭეს იქვე მყოფი ჭრელაშვილი მიუჯდა და სოფელ ბაშისკენ აიღო გეზი. იმის გამო, რომ ძალზე დაგვიანდა და გზაზე სიბნელეში ავტომანქანების გარჩევა თანდათან სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა, ბანდიტებმა ნაცვლიშვილის გატაცება სხვა დროისთვის გადადეს. სოფელ ქვიტირში მძღოლი ტყვეობიდან გაათავისუფლეს, თუმცა თანხა — 55 ლარი მაინც წაართვეს, ავტომანქანა კი, იქვე მიატოვეს. ქუთაისში კახნიაშვილის მანქანით დაბრუნდნენ. ნაცვლიშვილზე თავდასხმის განხორციელება 2002 წლის 2 დეკემბრისთვის დაგეგმეს.

განაჩენის მიხედვით, შალიკიანი გატაცებისთვის საჭირო სხვა ავტომანქანის შესარჩევად წავიდა. ამჯერად მძღოლს უთხრა, თითქოს გელათის ქუჩიდან ავადმყოფი ბავშვის წამოყვანა უნდოდა. ბანდის წევრები ქუთაისში, მწვანე ყვავილას სასაფლაოს შესასვლელთან ჩასაფრდნენ. როცა შალიკიანი მოტყუებულ მძღოლთან ერთად იმ ადგილზე მივიდა, შეიარაღებულმა და ნიღბებაფარებულმა ბოროტმოქმედებმა მძღოლი — ჯურხაძე ავტომანქანიდან ჩამოაგდეს, სანომრე ნიშნები გამოცვალეს, შებურეს მინები და მანქანა დანაშაულის განსახორციელებლად მოამზადეს. ბანდის წევრებს ფუნქციები განაწილებული ჰქონდათ. ერთ-ერთი, „ქუთაისის ავტოქარხნის“ შესასვლელთან ჩასაფრდა, რათა იქიდან თვალყური ედევნებინა იმისთვის, თუ რა დროს და საით გადაადგილდებოდა ნაცვლიშვილი; დანარჩენები ნაცვლიშვილს საცხოვრებელ სახლთან დაელოდნენ. საღამოს 8 საათისთვის მათ მეთვალყურისგან სატელეფონო სიგნალი მიიღეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაცვლიშვილი ქარხნიდან გამოვიდა და სავარაუდოდ, სულ მალე, თავის სახლთან იქნებოდა.

გიორგი ბაგუნაშვილის ახსნა-განმარტება:

„2002 წლის 28 ნოემბერს ჩემს მეგობარ გელას მის სახლში შევხვდი. მასთან იყო გელა ჭრელაშვილიც, მეტსახელად ცხოველა (იგივე კონსტანტინე ჭრელაშვილი. — ავტ.), *რეზო და ჭუკი შალიკიანი* (იგივე რამაზ შალიკიანი. — ავტ.). *ისინი ავტოქარხნის დირექტორის, ნაცვლიშვილის გატაცებას აპირებდნენ, ფულის გამოძალვის მიზნით. მთხოვეს დახმარება და დავთანხმდი... მოვილაპარაკეთ, რომ ის უნდა გაგვეტაცებინა ავტოფარეხიდან, როცა იქ თავისი ავტომანქანის დაყენებას შეეცდებოდა... მანქანაში გვედო 5 ავტომატი, სკოჩი და ნიღბები...“*

დაახლოებით 20 წუთში, ნაცვლიშვილის ავტომანქანა სახლთან მართლაც, გამოჩნდა. მანქანა საკუთარ ავტოფარეხთან შეაჩერა თუ არა, ნაცვლიშვილს ავტომატებით შეიარაღებული ბოროტმოქმედები წამოადგნენ თავს. ძალადობითა და მოკვლის მუქარით აიძულეს, დამორჩილებოდა, შეუკრეს ხელ-ფეხი, აუკრეს პირი და თავზე ტომარა ჩამოაცვეს. ამის შემდეგ, მისსავე „რენო-მოსკვიჩში“ ჩასვეს და წაიყვანეს.

გიორგი ბაგუნაშვილის ახსნა-განმარტებიდან:

„...მანქანა დააყენა თუ არა, ყველა ერთად შევცვივდით ავტოფარეხში და შევბოჭეთ, შემდეგ, მის „რენოში“ ჩავსვით... გზაში ზაალ კახნიაშვილი და გენო მჟავანაძე გველოდებოდნენ. მათ უნდა ეცნობებინათ ჩვენთვის, თუ რამდენად თავისუფალი იყო გზა, რათა პოლიციასთან პრობლემები არ შეგვქმნოდა... გატაცებული მივიყვანეთ ზეზვა სანიკიძის ბინაში. სანიკიძემ იცოდა ნაცვლიშვილის გატაცების შესახებ...“

ბინა სანიკიძეს არ ეკუთვნოდა, იგი მისი მეზობლის აღმოჩნდა. როგორც განაჩენში წერია, სანიკიძეს ბანდის წევრები ჯერ კიდევ გატაცებამდე დაუკავშირდნენ, განზრახვის შესახებ უთხრეს და გატაცებულის დამალვაში დახმარება სთხოვეს: მძევალი მათ სანიკიძის საცხოვრებელი ბინის გვერდით მდებარე სახლში უნდა გამოეკეტათ. სახლი მიტოვებული იყო და სანიკიძის ოჯახს მოსავლელად ჰქონდა ჩაბარებული, თავად პატრონი ქუთაისში არ იმყოფებოდა. სახლში ბანდიტები სანიკიძის ეზოს გავლით უნდა მოხვედრილიყვნენ. დახმარების სანაცვლოდ, ბანდის წევრები სანიკიძეს აღებული თანხიდან წილის გადახდას შეჰპირდნენ. საქმის მასალების მიხედვით, მაშინ სანიკიძეს ფული მართლაც, ძალზე სჭირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს ზეზვა სანიკიძე შპს „კონტაქტის“ ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი გახლდათ. ფირმა თხევადი აირის ბიზნესს ეწეოდა. მის მიერ აზერბაიჯანიდან იმპორტირებული და სხვადასხვა დროს რეალიზებული იქნა 156600 კგ თხევადი აირი ისე, რომ სათანადო გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის არ გადაუხდია. ამის გამო სანიკიძეს საგადასახადო ინსპექციასთან სერიოზული პრობლემები შეექმნა, რისი მოგვარებაც მან, როგორც განაჩენშია აღნიშნული, გატაცების შედეგად მიღებული თანხით გადაწყვიტა.

განაჩენის მიხედვით, გატაცებულ ნაცვლიშვილს ბოროტმოქმედები სხვადასხვა ადგილას მალავდნენ: ჯერ ქუთაისში, ე.წ. გოჭურას სასაფლაოსთან, შემდეგ — რობაქიძის ქუჩაზე მდებარე მიტოვებულ სახლში, ხოლო ბოლოს — გამოძიებით დაუდგენელ ბინაში. გატაცების პირველსავე დღიდან, ბოროტმოქმედები სისტემატურად უკავშირდებოდნენ ნაცვლიშვილის ოჯახის წევრებს და მათ გამოსასყიდის სახით, 50 ათას დოლარს სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გატაცებულის მოკვლით იმუქრებოდნენ. პარალელურად, თავად ნაცვლიშვილსაც არწმუნებდნენ თანხის გადახდის აუცილებლობაში, მუქარის რეალურობაში და აიძულებდნენ მას, როგორმე დაეთანხმებინა ახლობლები თანხის გადახდაზე. ამ მიზნით, მას ტელეფონზეც დაარეკვინეს ოჯახის წევრთან. აღსანიშნავია ისიც, რომ განაჩენის თანახმად, გამტაცებლები ნაცვლიშვილს სცემდნენ და სხეულის დაზიანებებს აყენებდნენ.

ნაცვლიშვილის მეუღლემ ბოროტმოქმედთათვის გადასაცემად 48 ათასი დოლარი, ათასი ევრო და ათასი დოლარის ეკვივალენტის ლარი მოაგროვა. თანხის ასაღებად გამტაცებლები კახნიაშვილის მანქანით წავიდნენ. ავტომატებით შეიარაღებული ბანდის წევრები თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანში ჩავიდნენ, იქიდან კი — დათქმულ ადგილზე ფეხით მივიდნენ. დაზარალებული ნაცვლიშვილი მათ 2002 წლის 6 დეკემბერს, დაახლოებით ღამის პირველი საათისთვის გაათავისუფლეს, გამოძალვის შედეგად მიღებული თანხა კი, ერთმანეთში გაინაწილეს. აქედან 8 ათასი დოლარი მომავალში განსახორციელებელი ყაჩაღური თავდასხმების ხარჯებისთვის გადაინახეს.

ამის შემდეგ, განაჩენის მიხედვით, ჭრელაშვილმა ბანდის გაზრდაზე დაიწყო ფიქრი. ჯგუფში რამდენიმე ახალი წევრი შეიყვანა. ამავე დროს, შეიარაღება გააძლიერეს. საქმის მასალების მიხედვით, სწორედ ახალმა წევრმა — ბერუჩაშვილმა შესთავაზა დანარჩენ წევრებს, ზესტაფონის მკვიდრის, ცნობილი ბიზნესმენის —

დიმიტრი სარდანაძის გატაცება და მისი ოჯახისთვის დიდი ოდენობით თანხის გამოძალვა. ბანდის წევრებმა წინადადება მაშინვე მიიღეს, გეგმაც შეიმუშავეს და ფუნქციები გაინაწილეს. გადანახული თანხიდან საგანგებოდ შეიძინეს მოპარული ავტომანქანები, რაც თავდასხმის განხორციელების შემდეგ სწრაფი გადაადგილების უზრუნველსაყოფად სჭირდებოდათ. მანქანებს შეუცვალეს სანომრე ნიშნები, დაუმუქეს მინები და მოამზადეს დანაშაულის ჩასადენად. იმავე თანხიდან შეიძინეს სამხედრო სპეცტანსაცმლის 10 კომპლექტი, ხოლო პოლიციელთა რადიოდიალოგის გასაკონტროლებლად გადამცემიც იყიდეს. სარდანაძეზე თავდასხმის დღედ, მათ 2003 წლის 26 იანვარი დათქვეს.

ამ დროისთვის, შეიარაღებული და სამხედრო სპეცფორმებში გადაცმული ბოროტმოქმედები ზესტაფონში ჩავიდნენ. ჭრელაშვილი და ბანდის ერთ-ერთი წევრი ავტომანქანით მოძრაობდნენ ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მიმდებარე ტერიტორიასა და ქუთაისი-ზესტაფონის ავტომაგისტრალზე, რათა სიტუაცია გაეკონტროლებინათ.

იმ დღეს ბიზნესმენი მეგობრებთან ერთად ზესტაფონში მდებარე რესტორან „გემოში“ ქეიფობდა. ბოროტმოქმედებმა მას სწორედ იქ მიაკითხეს. ავტომატის მუქარით, სარდანაძე დარბაზიდან ფოიეში გამოიყვანეს; თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, თავდამსხმელები დარწმუნებული არ იყვნენ, რომ ის ნამდვილად სარდანაძე იყო. ამასთანავე, გეგმის განხორციელებაში მათ ხელი იმ ფაქტმაც შეუშალა, რომ ავტომატიდან გაუთვალისწინებელი გასროლის შედეგად, ბანდის ერთ-ერთმა წევრმა — ბრეგაძემ მარჯვენა ფეხი დაიზიანა. ბოროტმოქმედებმა გადაწყვიტეს, იქაურობა მიეტოვებინათ. ასეც მოიქცნენ, თუმცა, თან სარდანაძის მეგობრის — ზესტაფონის პოლიციის უფროსის პისტოლეტი და მისი 13 საბრძოლო ვაზნაც თან გაიყოლეს. ბიზნესმენის გატაცება მათ სხვა დროისთვის გადადეს. მაგრამ მალე ეს გადაწყვეტილებაც შეცვალეს. ამჯერად ბანდის წევრებმა სარდანაძის არასრულწლოვანი შვილის — 12 წლის გიორგი სარდანაძის გატაცება განიზრახეს.

წინასწარ დაადგინეს ბავშვის სკოლიდან გამოსვლის დრო, მისი გადაადგილების მარშრუტი; დაიგეგმა გატაცებულის სამალავი ადგილებიც. აღსანიშნავია, რომ გიორგი სარდანაძე სკოლიდან ყოველდღე ოჯახის მძღოლს — ა. შველაძეს მიჰყავდა შინ. ერთხელ, ბოროტმოქმედებს სწორედ მის გამო ჩაეშალათ გატაცების გეგმა, რადგან მძღოლმა გამტაცებლებს დაასწრო და ბავშვი სკოლიდან წაიყვანა. 2003 წლის 11 თებერვალს, დილის 9 საათზე, სწრაფი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, ბანდის წევრებმა ყაჩაღობის გზით კიდევ ერთი ავტომანქანის შოვნა გადაწყვიტეს. ამ მიზნით, ავტომატების მუქარით გადმოსვეს კუთვნილი „ბე-ემ-ვედან“ კაკაურიძე და მასთან ერთად მყოფი ჭაჭიაშვილი და ხოჯავა. მეორე დღეს, 2003 წლის 12 თებერვალს, სწორედ ამ მანქანით მოძრაობდნენ ბანდის წევრები ზესტაფონში და გიორგი სარდანაძის გატაცებისთვის ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. გეგმის თანახმად, გატაცებული, თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარში უნდა გადაეყვანათ, ხოლო ამის შემდეგ, სხვა ავტომანქანით, ქუთაისში წაეყვანათ.

გიორგი ბაგუნაშვილის ახსნა-განმარტებიდან:

„გავიგეთ, რომ გიორგი სარდანაძე სწავლას საღამოს 6 საათზე ამთავრებდა. დავიწყეთ მანქანით ქალაქში სიარული. ბავშვი სკოლიდან რომ გამოვიდა, მანქანა ტროტუართან მივუყენეთ. ნიღბებით ვიყავით, ვტაცეთ ბავშვს ხელი და შევაგდეთ მანქანის უკანა სავარძელზე. გავემართეთ ქუთაისისკენ. ბავშვმა მანქანაში ყვირილი ატეხა, მაგრამ ავუხსენით, რომ არაფერს დავუშავებდით და დაწყნარდა. წინ მიგვიძღოდა გენო მჟავანაძე „ჟიგულით“. მას ტელეფონით ვუკავშირდებოდით და ვგებულობდით, თუ რა მდგომარეობა იყო ტრასაზე. უკან ცხოველა მოგვაცილებდა. სიმონეთის საგზაო პოლიციას რომ გავცდით, ჭოგნარში გადავუხვიეთ. „ბე-ემ-ვეზე“, რომელშიც ჩვენ ვისხედით, ლურჯი ციმციმა გვქონდა დამაგრებული. 20 წუთის შემდეგ, მივადექით მდინარეს. მანქანა იქვე მივაგდეთ, ჩვენ კი ხიდზე გადავედით. იქ ქოჩორას „ნივა“ გველოდებოდა. გატაცებული ჯერ საღორიის უბანში მივიყვანეთ, შემდეგ ქუთაისში, „პლაშატკის“ უბანში გადავიყვანეთ. იქ სამი დღის განმავლობაში გვყავდა...“

ბავშვის გატაცებას შეესწრო უშიშროების თანამშრომელი — დათიაშვილი და ამის თაობაზე ზესტაფონის პოლიციის სამძებროს უფროსს აცნობა. ორივენი თავდამსხმელებს დაედევნნენ. მდევარი კონტროლზე მყოფმა ჭრელაშვილმა შენიშნა და თანამზრახველებს მობილური ტელეფონით შეატყობინა. გამტაცებლებმა სიჩქარეს მოუმატეს და მდევრებისგან თავის დაღწევა შეძლეს. გატაცებულს ადგილსამყოფელი რამდენჯერმე შეუცვალეს, ბოლოს ის ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე მდებარე, ბანდის ერთ-ერთი წევრის ახლობლის საცხოვრებელ სახლში დამალეს.

ბიზნესმენის შვილის გატაცების ფაქტს საზოგადოების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. მომხდარის შესახებ ინფორმაციები გადაიცემოდა, როგორც ტელევიზიით, ასევე პრესის საშუალებით. ყოველივე ამან გამტაცებელთა გეგმის განხორციელება შეაფერხა. ბანდის წევრები დარწმუნდნენ იმაში, რომ თანხის გამოძალვას ვერ მოახერხებდნენ და გატაცებიდან ერთი კვირის შემდეგ, ბავშვი გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ ბოროტმოქმედები სარდანაძის ოჯახისგან, გამოსასყიდის სახით, 200 ათას დოლარს ითხოვდნენ.

ლევან ბერუჩაშვილი პროკურატურამ, ბანდიტიზმის გარდა, 2002 წლის 29 სექტემბერს, გამოძიებით დაუდგენელ 4 პირთან ერთად ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმაშიც დაადანაშაულა. ბრალდება ქუთაისის საოლქო სასამართლომაც დაადასტურა. განაჩენის მიხედვით, იმ დღეს ბერუჩაშვილი და მისი თანამზრახველები თბილისიდან ბათუმის მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსს დაესხნენ თავს. ბრალდების თანახმად, მათ წინასწარ იცოდნენ, რომ იმ დღეს ამ მიკროავტობუსით უნდა ემგზავრა საზღვარგარეთ ავტომანქანის შესაძენად მიმავალ ზ. ბლიაძეს და სავარაუდოდ, მას თან უნდა ჰქონოდა სოლიდური თანხა.

ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ავტობუსში, როგორც ჩვეულებრივი მგზავრი, ისე ავიდა. როცა მიკროავტობუსი დაიძრა და გეზი ბათუმისკენ აიღო, მან ამის შესახებ ტელეფონით აცნობა თანამზრახველებს. გეგმის თანახმად, მას მიკროავტობუსი როგორმე უნდა გაეჩერებინა ხარაგაულის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალაში, ავტომაგისტრალზე. მართლაც, ღამის პირველის ნახევარზე, როდესაც ავტობუსი აღნიშნულ ადგილს მიუახლოვდა, ხსენებულმა პირმა გულისრევა მოიმიზეზა და მძღოლს გაჩერება სთხოვა. ავტობუსს დაბა სურამიდან ბერუჩაშვილი მიჰყვებოდა უკან, ხანჯლითა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ 4 თანამზრახველთან ერთად. სახეზე ნიღბებაფარებულები, შეიჭრნენ ისინი დათქმულ ადგილზე გაჩერებულ მიკროავტობუსში და იარაღის მუქარით დაიმორჩილეს მგზავრები, მძღოლი ჩამოაშორეს საჭეს, რომელსაც ერთ-ერთი თავდამსხმელი მიუჯდა და მძღოლთან და მგზავრებთან ერთად, ავტობუსი ხარაგაულის რაიონის სოფელ მაქათუბნის ტყისკენ წაიყვანა. იქ ბოროტმოქმედებმა მგზავრები გაძარცვეს, მათ შორის — საზღვარგარეთ მიმავალი ბლიაძეც, რომელსაც 6.800 დოლარი, 400 ევრო და 12 მილიონი თურქული ლირა წაართვეს. სულ თავდამსხმელებმა 19.631 ლარის ღირებულების ქონება (ფული და ძვირად ღირებული ნივთები) გაიტაცეს.

დაზარალებულებს პოლიციისთვის დროულად რომ არ შეეტყობინებინათ, მიკროავტობუსს საბურავები დაუზიანეს და თავად, შემთხვევის ადგილს გაეცალნენ. განაჩენის თანახმად, ჭრელაშვილის ბანდას ბერუჩაშვილი 2002 წლის იანვრიდან შეუერთდა. იგი 2003 წლის 26 თებერვალს დააკავეს. თბილისში, დიდი ჯიხაიშის ქუჩაზე მდებარე მის დროებით საცხოვრებელ სახლში, ჩხრეკისას, პოლიციის თანამშრომლებმა „კალაშნიკოვის“ ავტომატი, 22 საბრძოლო ვაზნა და „რგდ-5“ ტიპის ხელყუმბარა იპოვეს.

ბანდის კიდევ ერთი წევრი — გოჩა ბრეგაძე, როგორც ეს განაჩენშია აღნიშნული, სასამართლომ, ბანდიტიზმის გარდა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაშიც ცნო დამნაშავედ. სამართალდამცველების ინფორმაციით, ბანდას ის მოპარული ავტომანქანებით ამარაგებდა. ბრეგაძე პოლიციამ 2003 წლის 20 თებერვალს დააკავა და პირადი ჩხრეკისას მისგან „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი და საბრძოლო ვაზნები ამოიღო. რაც შეეხება ბანდის ლიდერს (როგორც ეს განაჩენშია

აღნიშნული) — კონსტანტინე ჭრელაშვილს, სამართალდამცველებმა ის 2003 წლის 2 მარტს აიყვანეს. პირადი ჩხრეკისას, მისგან „არმენიუს“ მოდელის რევოლვერი და 5 ვაზნა ამოიღეს.

რამაზ შალიკიანი ბანდიტიზმთან და ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებთან ერთად, პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევაშიც დაადანაშაულეს. როგორც განაჩენშია აღნიშნული, ნაცვლიშვილის გატაცების საქმეზე ძებნილი შალიკიანის დაკავება პოლიციელებმა 2003 წლის 8 ივლისს სცადეს. იმ დღეს, შეიარაღებული ძებნილი მეუღლესთან ერთად ქუთაისში, კლდიაშვილის ქუჩიდან ქალაქის ცენტრისკენ ფეხით მიდიოდა. როცა ის პოლიციელებმა შენიშნეს, მაშინვე მისი დაკავება განიზრახეს. მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან, განაჩენის თანახმად, შეიარაღებული შალიკიანი მათ მოკვლით დაემუქრა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2003 წლის 7 ნოემბერს, დღის საათებში, შალიკიანი ნაცნობის ავტომანქანით თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირღელის ტერიტორიაზე მოძრაობდა. პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა მას გზა გადაუკეტა და დანებება მოსთხოვა. პოლიციელებისგან თავის დაღწევის მიზნით, შალიკიანმა იარაღი ამოიღო და მათ მოკვლით დაემუქრა. ამის საპასუხოდ, სამართალდამცველებმა ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც, შალიკიანი ფეხში დაიჭრა. შალიკიანმაც მოასწრო პისტოლეტიდან ერთხელ გასროლა, მაგრამ სამართალდამცველებმა ის დაიკავეს და განაიარაღეს. განაჩენის მიხედვით, გაჩხრიკეს მისი საცხოვრებელი სახლიც (ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირში), საიდანაც სანადირო თოფი, ვაზნები, ხელყუმბარა და ნარკოტიკული ნივთიერებები — მარიხუანა (6,3 გ) და ოპიუმი (0,256 გ) ამოიღეს.

პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდება მხოლოდ კახნიაშვილმა აღიარა სასამართლო კოლეგიის წინაშე. სასამართლო სხდომაზე ჭრელაშვილმა, ბრეგაძემ, ბერუჩაშვილმა, სანიკიძემ და შალიკიანმა არ ცნეს თავი დამნაშავედ, კატეგორიულად უარყვეს ბრალი და ალიბიც მოიშველიეს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჭრელაშვილს წინასწარი გამოძიებისთვის აღიარებითი ჩვენება ჰქონდა მიცემული. ჩვენებაში დეტალურადაა აღწერილი ჩადენილი დანაშაულები, მათ შორის — ერთ-ერთი დაზარალებულის, ქარჩხაძის ავტომანქანის გატაცების ფაქტიც. განაჩენის მიხედვით, ქარჩხაძეს მომხდარის შესახებ პოლიციაში არ განუცხადებია და გამოძიებამ ამ ფაქტის თაობაზე სწორედ ჭრელაშვილის ჩვენებიდან შეიტყო. განაჩენის მიხედვით, ჭრელაშვილის მითითებითვე გახდა ძიებისთვის ცნობილი სანიკიძის მეზობლის სახლის შესახებ, სადაც ბოროტმოქმედებს გატაცებული ნაცვლიშვილი ჰყავდათ დამწყვდეული.

სასამართლომ, განსასჯელთა მიერ პროცესზე დაფიქსირებული პოზიცია არ გაიზიარა და სავსებით სარწმუნოდ და დადასტურებულად მიიჩნია პროკურატურის ვერსია. განაჩენში ყურადღებაა გამახვილებული გიორგი ბაბუნაშვილის ახსნა-განმარტებაზეც — მიუხედავად იმისა, რომ კანონის თანახმად, მას მტკიცებულების ძალა არ გააჩნია.

სასამართლომ ჭრელაშვილს — 15 წლით, ბერუჩაშვილს — 13-ით, შალიკიანს — 8-ით, ბრეგაძეს — 9-ით, სანიკიძეს — 3 წლითა და 6 თვით და კახნიაშვილს — 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მიხეილ მარჩილაშვილი, კონსტანტინე ჭრელაშვილის ადვოკატი:

„ის, რომ ჭრელაშვილმა ორგანიზებული, შეიარაღებული ბანდა შექმნა და ადამიანებზე თავდასხმებსა და გატაცებებს გეგმავდა და ახორციელებდა, საქმის მასალებში არაფრით დასტურდება. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ყალბია, ჩვენებებში კი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ფიქსირდება. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ ჭრელაშვილი სამართალდამცველებმა თავის საცხოვრებელ სახლთან დააკავეს. ამ ოპერაციაში უშუალოდ მონაწილეობდა შს სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს მაშინდელი უფროსი — ჯაბა ჯანხოთელი. აღსანიშნავია, რომ დაკავების მომენტს დაესწრო ჭრელაშვილის მეზობლად მცხოვრები ქალბატონი. მან საკუთარი ინიციატივით პირველმა გაჩხრიკა ჭრელაშვილი, რადგან გაგონილი ჰქონდა პოლიციის მიერ დაკავებულებისთვის სხვადასხვა ნივთმტკიცების — ნარკოტიკებისა თუ იარაღის ჩადების ფაქტების შესახებ. ქალბატონი აცხადებს, რომ ჭრელაშვილს თან არაფერი ჰქონდა. საქმის მასალებში კი აღნიშნულია, რომ პირადი ჩხრეკისას, შარვლის უკანა მარცხენა ჯიბიდან მას იარაღი ამოუღეს. არ შეიძლება, ეს ფაქტი, სინამდვილეს შეესაბამებოდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ჭრელაშვილს მარცხენა ხელი დეფექტიანი აქვს და ვერ ხმარობს. აქედან გამომდინარე, იარაღს მარცხენა ჯიბეში არ ჩაიდებდა, რადგან დაზიანებული ხელით მის ამოღებას და გამოყენებას ვერ შეძლებდა. არსებობს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ჭრელაშვილის მარცხენა ხელის დეფექტიანობას ადასტურებს.

ჯანხოთელის მიერ ჭრელაშვილისთვის დასმული პირველი კითხვა მის მობილურ ტელეფონს შეეხებოდა. სამმართველოს უფროსს აინტერესებდა, სად იყო მისი ტელეფონი, რათა გაერკვია, ვისთვის და რა ნომრებზე იყო დარეკილი. ჭრელაშვილმა უპასუხა, რომ ტელეფონი მაღაზიაში ჩააბარა. ამ სიტყვების გადასამოწმებლად, ჯანხოთელმა ის მის მიერ დასახელებულ მაღაზიაში წაიყვანა. გამყიდველი ადგილზე არ დახვდათ და მის მოყვანას დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა. საინტერესოა, რომ ეჭვმიტანილად ცნობის ოქმი, პირადი ჩხრეკისა და ავტომანქანის ჩხრეკის ოქმები სწორედ ამ პერიოდშია შედგენილი. იმ მომენტში ჭრელაშვილი ჯანხოთელთან ერთად მაღაზიაში იმყოფებოდა და ვერანაირად ვერ დაესწრებოდა გამოძიების მიერ ჩატარებულ ზემოთ ხსენებულ ღონისძიებებს, თუმცა, კანონის მიხედვით, მისი დასწრება სავალდებულო იყო. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ოქმები ყალბია და ისინი მტკიცებულებებად არ უნდა ჩაითვალოს.

პოლიციის განყოფილებაში მიყვანილმა ჭრელაშვილმა სამართალდამცველების წინაშე კატეგორიულად უარყო დანაშაულებში მონაწილეობა ან მათთან რაიმე კავშირი. ჯანხოთელის გარდა, ოთახში იმ დროს იმყოფებოდნენ: მისი მოადგილე, ბერდია ხვისტანი და სამინისტროს თანამშრომელი, კონსტანტინე სოფრომაძე. ჭრელაშვილს აღიარებას სთხოვდნენ, მაგრამ უარი რომ მიიღეს, მის ცემასა და წამებაზე გადავიდნენ. როგორც თავად ჭრელაშვილი ამბობს, სასტიკი წამების შემდეგ, მასთან ოთახში შეიყვანეს მისი ინვალიდი შვილი და უთხრეს, თუკი ჩვენს მოთხოვნას არ შეასრულებ, შვილს შენ თვალწინ გაგიუპატიურებთო. ასეთი მუქარის შემდეგ, ჭრელაშვილი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მათ. მას ხელი მოაწერინეს ცარიელ ფურცლებზე, რაც შემდეგ, თავად შეავსეს. სწორედ ეს გახლავთ ის აღიარებითი ჩვენება, რასაც პროკურატურა ძირითად მტკიცებულებას უწოდებს და რასაც სასამართლო განაჩენი ეყრდნობა.

ჭრელაშვილმა ამ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით არაერთხელ მიმართა გენერალურ პროკურატურას და დაასახელა კიდეც ის პოლიციელები, რომლებიც მის ცემაში მონაწილეობდნენ. გენპროკურატურამ საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა. ამის შემდეგ, საქმეში „თავისუფლების ინსტიტუტი“ ჩაერთო. ჭრელაშვილმა საჩივრების წერა არ შეწყვიტა და შედეგად მივიღეთ ის, რომ გენპროკურატურამ ზემოთ ხსენებული პოლიციელების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სოფრომაძე დაიკავეს, ჯანხოთელი და ბერდია კი, იძებნებიან. ყოველივე ეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ მოხდა. ახლახან შევიტყვეთ ისიც, რომ ერთ-ერთმა პოლიციელმა — ფესტვენიძემ, რომელიც ჭრელაშვილის თქმით, ცემის ფაქტს ესწრებოდა, ჭრელაშვილთან დაპირისპირებისას ეს არ უარყო“.

ადვოკატი იმედოვნებს, რომ პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტი უზენაესი სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებაზეც იმოქმედებს. ბრალდების მხარე კი აცხადებს, რომ განაჩენი ძალაში უნდა დარჩეს, რადგან ძიების დროს არანაირი კანონი არ დარღვეულა და ნივთმტკიცებებთან ერთად, საქმეში არსებობს დაზარალებულთა ჩვენებებიც, რომლებიც მსჯავრდებულებს ჩადენილ დანაშაულებში ამხელენ. გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო ამ დღეებში გამოაცხადებს.

■

ინგლისური პრემიერლიგა უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატად იქცა. ნისლიანი ალბიონის მინდვრებზე ერთ დროს ქართველებიც აგორებდნენ ბურთს და თანაც ისე, რომ ბრიტანელი ქომაგი დღესაც აღფრთოვანებით იხსენებს მათ თამაშს. ინგლისის ჩემპიონატი ბოლოს „ჩელსიში“ მოთამაშე რატი ალექსიძემ „დააგემოვნა“, თუმცა, რატის თითქმის არ აძლევდნენ მინდორზე გასვლის შესაძლებლობას და არც ლონდონური კლუბი იყო აბრამოვიჩის საკუთრება. საბედნიეროდ, ცოტა ხნის წინ, პრემიერლიგაში მორიგი „ქართული ხანა“ დაიწყო. შოტლანდიური „რეინჯერსიდან“ „ბლექბერნში“ გადაბარგებული ზურა ხიზანიშვილი ძალიან მალე შეეწყო ახალ კლუბს და მაშინვე იქცა ძირითადი შემადგენლობის წევრად. ახალ გუნდსა და „ჩელსისთან“ დაპირისპირებაზე ზურას ბულგარეთში გამგზავრებამდე დაველაპარაკეთ.

«ქინქლაძეს მსოფლიო უნდა აელაპარაკებინა»

„პრემიერლიგაში ბოლომდე უნდა დაიხარჯო...“

რატი შელეგია

— „ბლექბერნში“ მისულს ისეთი სიტუაცია დაგხვდა, როგორსაც ელოდი?

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. „ბლექბერნზე“ საკმაოდ ბევრი რამ ვიცოდი და იქ მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელსაც ვიცნობდი. საკმაოდ კარგად ვიყავი მომზადებული და შეიძლება ითქვას, მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ვვარაუდობდი. პრემიერლიგა შოტლანდიის ჩემპიონატთან შედარებით ბევრად ძლიერია, ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ...

პირველად „ბოლტონთან“ დერბიში ვითამაშე. ის მატჩი 0:0 დასრულდა და რადგან მცველი ვარ და ჩემი მთავარი მოვალეობა მეტოქის შეტევების ჩაშლაა, კმაყოფილი დავრჩი. ამის შემდეგ, ყველა შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში ჩავატარე.

— ბრიტანეთში დიდი ხანია თამაშობ, მაგრამ პრემიერლიგა სხვა განზომილებაა. შოტლანდიის ჩემპიონატის შემდეგ, ძირითად განსხვავებას რაში ხედავ?

— სხვაობა ძალიან დიდია. თუ შოტლანდიაში სეზონის მანძილზე ერთი სერიოზული „გამოცდა“ — „სელტიკთან“ დაპირისპირება გვქონდა, ინგლისში თითქმის ყოველ კვირას დაძაბული მატჩებია და თავს იმის უფლებასაც ვერ მისცემ, შესაძლებლობების 80% გამოავლინო — თუ ბოლომდე არ დაიხარჯე, აუტსაიდერთან ბრძოლისასაც ვერაფერს გახდები.

— ფეხბურთელს კლუბის გამოცვლასთან ერთად, ხშირად ქალაქის, ატმოსფეროს გამოცვლაც უხდება, რაც საკმაოდ არასასიამოვნო პროცესია...

— მართალია, მაგრამ გლაზგოდან მანჩესტერამდე სულ ორი საათის გზაა და მას შემდეგ, რაც „ბლექბერნში“ ვთამაშობ, მანქანითაც ხშირად ჩავსულვარ გლაზგოში. უსიამოვნო მხოლოდ ის იყო, რომ ბინის ძებნას, გადაბარგებას დრო სჭირდებოდა. თუმცა, ახლა უკვე ყველაფერი მოგვარდა.

ბლექბერნი პატარა ქალაქია, რომელიც, ფაქტობრივად, მანჩესტერს ეკუთვნის და მისგან მხოლოდ ნახევარი საათის სავალზეა. ასე რომ, „ბლექბერნის“ ფეხბურთელთა უმრავლესობა მანჩესტერში ცხოვრობს.

— „ბლექბერნი“ ტიპური ინგლისური კლუბია?

— ჩვენს გუნდში ძალიან ბევრი ლეგიონერია და ეს, გარკვეულწილად, აისახება კიდეც გუნდის თამაშზე. თუმცა, ირლანდიელები, უელსელები და ნორვეგიელებიც კი, ბრიტანულ სტილში თამაშობენ. ნახევარდაცვაში თურქ თუგაის გამოვარჩევდი, რომელიც ძალზე ტექნიკური ფეხბურთელია და საერთოდაც, „ბლექბერნს“ ძალისმიერთან ერთად, ტექნიკური თამაში ახასიათებს.

— სამიოდე ტურის წინ „ჩელსის“ ეთამაშეთ და 2:4 დამარცხდით. „ახლოდან“ ნანახ „არისტოკრატებზე“ რისი თქმა შეგიძლია, „ჩელსი“ მართლა დაუმარცხებელი კლუბია?

— ორი ბურთის სხვაობით კი წავაგეთ, მაგრამ მასპინძლებს ასეთი აშკარა უპირატესობა არ ჰქონიათ. საწყის წუთებზე შტურმი მოაწყვეს ჩვენს კართან და 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ გათანაბრება მოვახერხეთ. ლონდონიდან ქულის წამოღებაც შეგვეძლო, თუმცა, „ჩელსიმ“ მაინც გაგვიტანა. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს — ლონდონელებს ძალზე აწყობილი გუნდი ჰყავთ და სათადარიგო მოთამაშეებადაც კი — უმაღლესი კლასის ფეხბურთელები. მოურინიოს გუნდი შინ თამაშობდა და ფსიქოლოგიური უპირატესობაც ჰქონდა, ჩვენ კი სასურველი ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ. აი, „მანჩესტერთან“ კი 2:1 მოვიგეთ...

— ბევრის აზრით, უკანასკნელი თვეების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფეხბურთელი ხარ. თავად რა აზრის ხარ ამაზე?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. ისე კი, თუ ობიექტურად შევხედავთ ყველაფერს, შეიძლება, ნაწილობრივ დაგეთანხმო კიდეც. ისე, ჩემზე წარმატებული მოთამაშეებიც გვყავს — კალაძე, არველაძე, კობიაშვილი... თუნდაც მალხაზ ასათიანი — ასაკით

საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობაზე რამდენიმე პრეტენდენტი აცხადებს ერთბაშად პრეტენზიას

როცა ზურასთან ერთად ვარ, ძალაუნებურად, ვექცევი ყურადღების ცენტრში

ჩემი ტოლია და უმაღლეს დონეზე ასპარეზობს. მეც მართლა ძალიან მიხარია, რომ უკანასკნელ წლებში, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობაზე რამდენიმე პრეტენდენტი აცხადებს ერთბაშად პრეტენზიას. ამ შემთხვევაში, ნაკრების მოთამაშეები მყავს მხედველობაში, თორემ საქართველოს ჩემპიონატშიც არიან ძლიერი ფეხბურთელები.

— ინგლისში ქართველი მოთამაშეები კარგად უნდა ახსოვდეთ. ყველაზე ხშირად, შენთან ლაპარაკში რომელ ჩვენებურ ფეხბურთელს ახსენებენ?

— მე მანჩესტერში ვარ და ბუნებრივია, ყველაზე ხშირად ქინქლაძის გვარი მესმის. „მანჩესტერ სიტიში“ გატარებული წლების შემდეგ, გიორგი იქ ფანატიკურად უყვართ. მეტიც, ახლაც დიდი სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ იხილონ საყვარელ გუნდში. სხვათა შორის, „ბლექბერნის“ ქომაგებიც კი მასზე მელაპარაკებიან.

როდესაც მე და ჩემი მეუღლე თბილისში მოვფრინავდით, თვითმფრინავში გვერდით მჯდომმა ინგლისელმა მამაკაცმა მიცნო და გამომელაპარაკა. როცა შეიტყო, რომ საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ მოვდიოდი, მითხრა — თქვენი ნაკრებიდან გიორგი ქინქლაძე ვიციო. ძალზე სასიამოვნო გრძნობაა, ახალგაცნობილი უცხოელი პირველსავე სიტყვებზე შენი თანამემამულის გვარს რომ გაიხსენებს. ქინქლაძის მიერ აქამდე ნათამაშებ ფეხბურთს „გავარჯიშებას“ დავარქმევდი — გიორგის ბევრად მეტი შეეძლო და ინგლისი კი არა, მთელი მსოფლიო უნდა აელაპარაკებინა...

ზურასთან საუბრის შემდეგ, რამდენიმე კითხვა მის მეუღლეს — **სალომე ღვინიაშვილსაც** *დავუსვით:*

— სალომე, ინგლისში ცხოვრებას შეეჩვიეთ?

— სხვათა შორის, ძალზე იოლად, ოდნავადაც არ გამჭირვებია და იქაურობა ძალიან მომწონს. ყველაფერზე მეტად კი ის მსიამოვნებს, რომ ზურასთან ერთად ვარ...

— მანჩესტერი ბრიტანეთის ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო ქალაქია. ამავდროულად, ლამაზიც...

— ყველაფრის დათვალიერება, ბუნებრივია, ჯერ ვერ მოვასწარით, მაგრამ ქალაქი მართლაც ძალიან ლამაზია და ბევრი რამ უკვე ვნახეთ. მანჩესტერში უამრავი ღირსშესანიშნაობაა, თუმცა, დრო ჩვენც საკმაოდ გვაქვს და თანდათანობით, ყველაფერს გავეცნობით.

— „ბლექბერნმა“ საცხოვრებლით უკვე უზრუნველგყოთ. მოგვიყევით, როგორი სახლი გაქვთ?

— პატარა, ძალიან ლამაზი ორსართულიანი სახლია. თანდათანობით, ჩემი გემოვნებითაც მოვაწყვე და თავს ძალზე მყუდროდ და ბედნიერად ვგრძნობთ.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— ამ მხრივ დიდად განებივრებულნი ნამდვილად არ ვართ. შეიძლება ითქვას, რომ ზურამ მეც გადამიყვანა სპორტულ რეჟიმზე და საკმაოდ ადრე ვიძინებ. ისე კი, როდესაც შესაძლებლობა გვეძლევა, ძირითადად, რესტორნებს ვსტუმრობთ. ჩვენი ნახვა ყველაზე ხშირად, ჩინურ და იტალიურ რესტორნებში შეიძლება.

— ყველაზე მეტად რომელი ქვეყნის სამზარეულო გიზიდავთ?

— იტალიური სამზარეულოც ძალიან მომწონს და ქართული, ტრადიციული კერძებიც. სხვათა შორის, ზურას ძალიან უყვარს ბაჟე. ასე რომ, „იძულებული“ გავხდი მისი მომზადება მესწავლა და მანჩესტერში ყოფნისას მეუღლეს გავუმასპინძლდი...

— დაოჯახების შემდეგ, თქვენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. დროებით, ყველაფერი გვერდით გადავდე — სამხატვრო აკადემიაში სწავლა, მოდელის საქმიანობა... თუმცა, დიდი სურვილი მაქვს, ეს ყოველივე ინგლისში გავაგრძელო. უკვე დავადგინე კიდეც, სად ვისწავლი — ეს არის პატარა სამხატვრო კოლეჯი მანჩესტერში. რაც შეეხება სამოდელო კარიერას, დრო იმდენად ცოტა მქონდა, ამ მიმართულებით, ჯერ ვერ „ვიმუშავე“. ინგლისში რომ დავბრუნდები, ამ საკითხსაც მივხედავ.

— შვილთან განშორება არ გაგიჭირდათ?

— რა თქმა უნდა! მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს, გარკვეული დროით მანჩესტერში წავიყვანოთ — ხან ჩვენთან იქნება, ხან — თბილისში. ისე, მე და ზურაც საკმაოდ ხშირად ჩამოვდივართ აქ.

— მანჩესტერელი ფანების ყურადღებას უკვე თქვენც გრძნობთ? გცნობენ, ზურას მეუღლე რომ ხართ?

— როცა ზურასთან ერთად ვარ, ძალაუნებურად, ვექცევი ყურადღების ცენტრში — მას უკვე ძალზე ბევრი ფანი ჰყავს. ალბათ, თანდათან, მეც გამიცნობენ...

კარგა ხანია, „გზავნილების“ არც ერთ თემას ასეთი აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია. ვერ ვიტყვი, ჩვენი მკითხველი მამაკაცები აქამდე პასიურობდნენ-მეთქი, მაგრამ აღნიშნულმა თემამ ისინი ძალზე გააცხალისა და უამრავი საინტერესო მესიჯიც გამოგვიგზავნეს „აბა, ბიჭებო, მაგრად დავდგეთ და ვაჩვენოთ ამ ქარაფშუტებსა და შარახვეტიებს, რომ არაფერიც არ შეუძლიათ!..“ — მოუწოდებს ერთ-ერთი მათგანი თავისსავე მოდგმას. „ბიჭებო, უეჭველია, გვიჩალიჩებენ რაღაცას. ეს მარის ოინი იქნება. არ დანებდეთ! ომია? ომი იყოს!“ — ეჭვს გამოთქვამს მეორე... „თქვენ დაგენაცვლეთ, გოგოებოოო... წამლად დაგედებით და გულზე „დაგენაყებით“... თქვენთვის შეუძლებელი არაფერია. ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ვერ გააჩერებსო, — ხომ გაგიგონათ?! ნაღდი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს... გაიხარეთ, უთქვენოდ ჩვენი ფასი — ნულია...“ — თაფლად დაიღვარა მესამე. „მარი, გაფიცებ ყველაზე ძვირფასს, ყველა მესიჯი შეულამაზებლად დაბეჭდე და იქითა კვირის ბოლოს, როცა ქალები ჩვენზე ილაპარაკებენ, მერე გავარჩიოთ შავი და თეთრი“... — მიმესიჯეებს მეოთხე. ზოგიერთი მათგანი კი მესიჯს ასეთი სიტყვებით იწყებს: „მარი, შენთან ბოდიში, მაგრამ...“ საბოდიშო რა გაქვთ? მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვისზეც თქვენ ასე „გულამოსკვნილი“ საუბრობთ და უფლება არ მაქვს, მათი მძიმე ხვედრი მეც არ ვიტვირთო. დედას გეფიცებით, მამას გეფიცებით და „გზავნილებს“ გეფიცებით, ყველა მესიჯს შეულამაზებლად მივიტან მკითხველამდე. ახლა კი პირველ რესპონდენტს მოვუსმინოთ...

მარი ჯაფარიძე

სასიკვდილო საჩუქარი

„ქალს რა შეუძლია და... ის, რაც მე გამიჩალიჩა ერთმა ძუნამ. ყველა მანდილოსნის წინაშე ბოდიშს ვიხდი იმისათვის, რომ ეს სიტყვა ვიხმარე, მაგრამ იმ ქალს სხვას ვერაფერს ვუწოდებ. სამი წლის წინ, შემთხვევით გავიცანი რუსი გოგონა. თბილისში სტუმრად იყო ჩამოსული. მაგარი შხვართი იყო და ბუნებრივია, დაკერვა დავუწყე. ბევრი ხვეწნა არ დამჭირვებია. აქ სამუშაოდ იყო ჩამოსული, რომელიღაც ფირმის საქონლის დისტრიბიუტორი გახლდათ და ქართულ ბაზარზე უნდოდა დამკვიდრება. რომ ვიცი მაგათი სუსტი ნებისყოფის ამბავი, ძალზე ვეჭვიანობდი და სულ იმის შიში მქონდა, რომ არ ეღალატა. უბრალ-

რა შეუძლია ქალს

ქალი ამოუცნობი მფრინავი ობიექტია თუ რეცეპტით გამოწერილი წამალი

ოდ, ასეთი მესაკუთრე და ეჭვიანი ვარ, თორემ, რაიმე სერიოზული მიზნები მის მიმართ არ მქონია. ყოველდღიურად წამალს იღებდა. რომ დავინტერესდი, რას სვამდა, მიპასუხა — კონტრაცეპტივია, რომ არ დავორსულდე, იმიტომ ვსვამო... მე მარტო ვცხოვრობ. ამიტომ ანია ჩემთან გადმოვაბარგე და ვცხოვრობდი მხიარულად, საინტერესო ცხოვრებით. ერთ დღეს, სახლში მოზრდილი ბლოკნოტი დარჩა. გადავფურცლე. მისი დღიური აღმოჩნდა. თვალი გადავავლე, წაკითხვას არც ვაპირებდი, მაგრამ უცებ გავშრი. სასწრაფოდ გადავშალე ბლოკნოტი წინა დღეებით დათარიღებულ ფურცლებზე... კიდევ... კიდევ და ვიპოვე ის ადგილი, რომელსაც ვეძებდი. იქ კი შავით თეთრზე ეწერა — 17 მარტი, 2001 წელი. დღეს ყველაზე საშინელი დღე მქონდა. შიდსის ვირუსზე ანალიზის პასუხი დადებითი აღმოჩნდა... რა მეშველება ახლა? მადლობა ღმერთს, რომ ჯერ დაავადებული არ ვარ და მხოლოდ ინფიცირებული ვარ... წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. ყელში უშველებელი ბურთი მომებჯინა და ცრემლები თავისით გადმომცვივდა თვალებიდან; მორჩა! დაღუპული ვიყავი. ჯერ კიდევ დილა იყო. ბლოკნოტი ისევ ადგილზე დავდე, თითქოს არც გადამიშლია. მე კი შიდსის ცენტრში გავვარდი გიჟივით, თუმცა ანალიზის პასუხი წინასწარ ვიცოდი. მართალიც აღმოჩნდი. როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ, ლაბორატორიას პასუხისთვის მივაკითხე, ისეთი თვალებით შემომხედეს, რომ მივხვდი, ჩემი საშველი აღარ იყო და ის პაწია იმედიც, რომელსაც ვებღაუჭებოდი, საპნის ბუშტივით გამქრალიყო... ანიასთვის ჯერ არაფერი მქონდა ნათქვამი. იმ საღამოს შინ რომ დაბრუნდა, პირდაპირ ვუთხარი — თუ შიდსის ვირუსი გქონდა, რატომ წინასწარ არ გამაფრთხილე-მეთქი? არც კი დაიბნა, ისე შემომიტია — როგორ გაბედე, რომ ჩემი პირადი დღიური წაიკითხეო?!. ამას მეუბნებოდა ქალი, რომელმაც 26 წლის მამაკაცი სასიკვდილოდ გამწირა. ისე ვცემე, რომ სულ მთლად დავსისხლიანე. სასიკვდილოდ გავიმეტებდი, მეზობლის მიერ გამოძახებული პოლიცია რომ არ მომდგომოდა კარზე. ორივენი განყოფილებაში წაგვიყვანეს. იქ მისულმა, როდესაც ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი ვთქვი, ჯერ არ დამიჯერეს. შემდეგ, ქურთუკის ჯიბეში ჩარჩენილი ანალიზის პასუხი რომ დავუდე წინ, მაშინვე გამომიშვეს, თან თავს დანანებით აქნევდნენ. ანია კი სადაც ჯერ არს, იქ მიაბრძანეს, რადგან ჩემი მოწადინებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მაგრამ ეს რას მიშველის? ღმერთმა იცის, როდის დავვაადდები და როდის გამომისვამს სიკვდილი ყელში თავის ცელს. აი, რა შეუძლია ქალს. მოდი და ამის შემდეგ ასეთ მდედრს ძუკნას ნუ უწოდებ. პატივისცემით, მისტერ „შიდსი“.

ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში, სახელი „ალფონსი“ ჩვეულებრივ, სხვა სახელების თანასწორად ითვლებოდა. ამ სახელს არქმევდნენ უბრალო მოკვდავთაც, პატარა პრინცებსაც, რომლებიც შემდგომ, მეფეები ხდებოდნენ... ევროპაში ამ სახელს ახლაც ხშირად არქმევენ შვილებს. მაგალითად, ალ პაჩინოს სრული სახელი ალფონს პაჩინო გახლავთ... ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ ამ სახელმა ზედსართავის მნიშვნელობა ალექსანდრე დიუმას (შვილი) წყალობით შეიძინა. საქმე ის გახლავთ, რომ დიუმამ ეს სახელი შეარქვა თავისი ცნობილი პიესის მთავარ გმირს, რომელიც საყვარელი ქალის ხარჯზე ცხოვრობდა. ამის შემდეგ, ყველა მამაკაცს, რომელიც ქალის კმაყოფაზეა, ამ სახელით მოიხსენიებენ. ვნახოთ, იოლია თუ არა ქართველი ალფონსის ცხოვრება.

„მწირი“ ჯამაგირი და შიშველი კაცი ქალაქში

მაგარი „კრასავჩიკი“ ტიპი ვარ. ბუნებამ არაფერი დაიშურა საიმისოდ, რომ უნაკლო გარეგნობა მქონოდა. სამაგიეროდ, ფინანსებში „იძუნწა“ და არც იმის შნო მომცა, რომ ფული მეშოვა. ჩემი გარეგნობის წყალობით კი, სულ იოლი იყო ფულიანი, შეძლებული ქალის დათრევა და მეც ბევრი არ მიფიქრია. თვალი ერთ ახალგაზრდა, ჩემზე 7 წლით უფროს ქალს დავადგი. უფრო სწორად — იმან დამადგა. ძვირფას საჩუქრებს მიძღვნიდა, უკან არაფერზე იხევდა, ოღონდ ხელში ჩავეგდე. ერთი თვის შემდეგ, „მომათვინიერა“ და დამისაკუთრა კიდეც... სულ ეჭვიანობდა, სისხლი გამიშრო, მარტო არსად მიშვებდა. ყველანაირ პირობას მიქმნიდა საიმისოდ, რომ სხვისკენ არ გამეხედა. თვითონ მაგარი ჯიპი ჰყავდა. მე კი „ფორდი“ მაჩუქა. საუკეთესო ტანისამოსი და ფეხსაცმელი მეცვა და არც ფული მაკლდა. ოღონდაც წამომცდენოდა, რაიმე რომ მინდოდა — რამდენიმე საათში ის „რაიმე“ უკვე მქონდა. მეც გავშალე ფრთები, გარეგნობასთან ერთად, უკვე მატერიალური მხარეც ხელს მიწყობდა, რომ თბილისის საუკეთესო გოგონები შემება. ჩემი „მადამის“ უჩუმრად, აქეთ-იქით დავძვრებოდი. როგორც ჩანს, ამ ამბავმა მის ყურამდე მიაღწია. ვიჩხუბეთ, მაგრამ მალევე შევრიგდით და შევპირდი, რომ მსგავსი რამ აღარ გამეორდებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთად წავედით წვეულებაზე. იქ გავიცანი მისი მეგობარი ქალი, რომელსაც ძალზე ფულიანი ქმარი ჰყავდა. თვალებით შემჭამა იმ ქალმა, ბოლოს, პიჯაკის ჯიბეში თავისი ტელეფონის ნომერი ჩამიცურა. ზედმეტი ქონება არ მაწყენს-მეთქი, ვიფიქრე და რამდენიმე დღის შემდეგ დავურეკე. ახლა მისგან წამოვიდა ფული და საჩუქრები... პირველის მოცემულ ფულს ხელგაშლილად ვხარჯავდი, ხოლო მეორის მიერ მოცემულს — ბანკში ვინახავდი. ასე გაგრძელდა მთელი 2 წელი და გვარიანი თანხაც დამიგროვდა. ჩემს გეგმას ასე, 5 ათასი დოლარი აკლდა, როცა ღალატის შესახებ პირველმა (სახელის ხსენებას ვერიდები) შეიტყო. ჯერ დაქალებმა ითრიეს თმით ერთმანეთი, მერე, მეც მაგრად მომხვდა. იმავე საღამოს წამართვა მანქანა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ყველაფერი, რაც გამაჩნდა და ტრუსით გამომისროლა გარეთ. თან კარი მაგრად მომიჯახუნა და „500-ვე“ საკეტით საგულდაგულოდ ჩარაზა. სად გინდა წახვიდე ასეთ ფორმაში? არც მობილური მქონდა, რომ ვინმესთვის საშველად მეხმო. ღამის 2 საათზე (კიდევ კარგი, ზაფხული იყო) გამოვედი ქუჩაში ასე, ტარზანივით. გავუდექი გზას. იქვე ახლოს საქალაქთაშორისო ტელეფონი იყო. ოპერატორმა ქალმა ჩემს დანახვაზე, ისეთი წივილ-კივილი ატეხა, რომ არ გამომესწრო, პატრულს ჩავუვარდებოდი ხელში. მიდი მერე და ამტკიცე, რომ გაუპატიურებას არ უპირებდი. ის ქალი ნაღდად არ დამარეკვინებდა, მით უმეტეს — უფულოდ. არც ტაქსი

მიჩერებდა... გავუყევი გზას... როდესაც ჯიხურთან გაჩერებული ტაქსი შევნიშნე, ძალზე საცოდავი სახით მივუახლოვდი მძღოლს და ვთხოვე — შინ წამიყვანე, ფულს იქ გადაგიხდი, გზაში კი მოგიყვები, რატომ ვარ ასეთ ფორმაში-მეთქი. სახლთან მთელი ორი საათი გამაჩერა, მანქანიდან მანამდე არ გადმომიშვა, ვიდრე ყველაფერი დაწვრილებით არ მომაყოლა. მაგრად იხალისა იმ ტაქსის მძღოლმა და ფულიც არ გამომართვა. შინ რომ მივედი, ახლა დედაჩემი გადაირია, მაგრამ მისთვის აღარ მომიყოლია, რაც შემემთხვა და დღემდე ჰგონია, რომ იმ ღამით დამაყაჩაღეს... ჩემი „ნაშრომიდან“ მხოლოდ საბანკო ანგარიშზე დადებული 40 ათასი დოლარი დამრჩა... აი, რა შეუძლია ქალს... თუმცა, მადლობის მეტი მაინც არაფერი მეთქმის... კაცების სახელით — ტრიფონი“.

საკმაოდ მძიმე ბრალდებებს გვიყენებენ მამაკაცები... თვითონ კი არაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ასე ცუდად არ მოვიქცეთ. შემდეგი რესპონდენტი აღიარებს, რომ ქალებთან ბრძოლით დაიღალა და ურჩევნია, მარტო იცხოვროს... ვიდრე მის მესიჯს გაგაცნობდეთ, მინდა, ერთი მოკრძალებული რჩევა მივცე მარტოობის მომხრე მამაკაცებს და თან, დავანახვო უცოლობის ყველა უპირატესობა.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქორწინების საკითხი ზეცაში წყდება. ასე რომ, ტყუილად ნუ ფხაკურობთ, დაჯექით და დაელოდეთ ბედნიერ შემთხვევას — სატელეფონო ზარს, მესიჯს, შემთხვევით ნაცნობობას. ხოლო თუ არ გაგიმართლათ, ნუ ინაღვლებთ — სამაგიეროდ, არავინ მოგაკლებთ ძილისთვის განკუთვნილ დროს, ღამით საბანს არავინ წაგართმევთ, არავინ გადაგირთავთ ტელევიზორს ბრაზილიურ სერიალზე, როცა თქვენ ფეხბურთს უყურებთ, არავინ გაიძულებთ, ოთახში შესვლისას ფეხსაცმელი გაიხადოთ და დივნის უკან მოსროლილი ჰალსტუხი თავის დაგილზე დაკიდოთ, არავინ გკითხავთ — სად იყავი? რატომ არ დარეკე? — და ა.შ. აი, რამდენ პრობლემას აარიდებთ თავს, თუ ცოლს არ მოიყვანთ. ახლა კი — დაპირებული მესიჯი.

მენდელსონის მარში და „მოკრძალებული“ საყვედური ქალებს!

„კაცო, ვერ გამიგია, ყველა ქალს ერთი და იგივე აზრი რატომ უტრიალებს თავში: როგორც კი ქალს ქათინაურს ეტყვი, მაშინვე იმაზე ფიქრს იწყებს, კარგი ქმარი იქნები თუ არა, როგორ მოაწყობს ოჯახს შენთან ერთად, რამდენ შვილს გააჩენს და ა.შ... საინტერესო ის არის, მარტო ქართველი ქალები არიან ასეთები თუ სხვებიც? მენდელსონის მარში მაგარია, თეთრი, საქორწილო კაბაც და ტაშ-ფანდურიც, მაგრამ ეს ყველაფერი რომ ჩაივლის, მერე? მერე ხომ გული უნდა გაგიწყალოს ყოველდღიური შენიშვნებით, საყვედურებითა და ჩხუბით... ჩემი ძმაკაცების მეუღლეების წყალობით, მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ცოლს არასოდეს მოვიყვანდი. ქალთმოძულე არ გეგონოთ, სრულფასოვანი მამაკაცი ვარ და „იმ“ საქმისთვის ნებისმიერ ქალზე თანახმა ვიყავი, მაგრამ ცოლიიი? არა, ბატონებო, არა! — გავიძახოდი ყველას გასაგონად. დამღალეს ამ საყვარლებმაც. 1-2 თვე გადაბმულად თუ შეხვდები, მერე იმათაც უჩნდებათ პრეტენზიები. გავალდებულებენ, რომ ყვავილები უყიდო, ყურადღებიანი იყო და ა.შ. ამიტომ, როგორც კი ვიგრძნობდი, რომ ბორკილის დადებას მიპირებდნენ, მაშინვე გამოვრბოდი... ამ ერთი წლის წინ კი საოცარი ამბავი დამემართა. ერთი გოგო შემიყვარდა! წარმოგიდგენიათ?! „ადგა“ და შემიყვარდა. თანაც ისე, რომ საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა დავარღვიე, საკუთარ პრინციპებს ვუღალატე და იქით ვეხვწებოდი, ცოლად გამომყევი-მეთქი. ხედავთ, რა შეუძლია ქალს? მაგრამ ეს არაფერი — ადგა და გამომყვა („ყელგამობრდღვნილი“ ვეხვწებოდი და აბა, რას იზამდა?). სულ რაღაც 2 კვირაში მივხვდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი, მაგრამ სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო. მმაჩის ბიუროს თანამშრომელმა და მოძღვარმა ისეთი მტკიცე ბორკილი დამადეს, რომ მეეჭვება, გავწყვიტო... ისე, ეს ბორკილი ჩემს ცოლს რომ ედოს, დარწმუნებული ვარ, გაწყვეტდა. ქალი რას არ იზამს!..“

ახლა მამაკაცებს ცოტა ხნით ტაიმ-აუტი მივცეთ და სიტყვა ქალს დავუთმოთ. საკუთარი გმირობისა და შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდა ქალბატონი მოგვიყვება.

სასიამოვნო მსხვერპლი

„პატარაობიდანვე პუტკუნა ბავშვი ვიყავი. დიდი, წითელი ლოყები მქონდა, რითიც დედაჩემი ძალიან ამაყობდა. ყველას თვალი ჰქონდა შეჩვეული ჩემს დიდ გაბარიტებზე. სკოლა ისე დავამთავრე, რომ 80 კილოს ქვევით არ ჩამოვსულვარ. უნივერსიტეტში პირველსავე წელს ჩავირიცხე. უკვე ბიჭებსაც ვეპრანჭებოდი და ხშირ-ხშირად მიწევდა დიეტაზე ყოფნა, მაგრამ ვერა და ვერ ვხდებოდი... ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოვაჩინე, რომ ჩემი ჯგუფელი ბიჭის ძმაკაცი შემყვარებოდა და ვიტანჯებოდი. მისი ტელეფონის ნომერი დავადგინე და ყოველდღე ვურეკავდი. ხმა, იცოცხლე, ისეთი ნაზი და ნარნარი მქონდა, რომ გეგონებოდა, ჰა და ჰა, წელში გადავტყდებოდი... ზაური შეხვედრას მთხოვდა, ტელეფონში მეფიცებოდა, მიყვარხარო და ძალზე ბედნიერიც ვიყავი. მაგრამ რომ წარმოვიდგენდი, შეხვედრისას როგორ ამიბზუებდა ცხვირს, გული მისკდებოდა და პაემანს გაურკვეველი ვადით გადავდებდი ხოლმე... ამასობაში პირველი სემესტრი დავხურე, ჩათვლები და გამოცდები ჩავამთავრე და ზაურს შევპირდი — სწავლის დაწყების წინადღეს შეგხვდები, რადგან დასასვენებლად სოფელში მივდივარ-მეთქი. დახმარება დედას ვთხოვე. ერთ ოთახში შევიკეტე, რომელიც მხოლოდ გარედან იღებოდა, შევადგინე მკაცრი დიეტა, რომელიც ფურცელზე დავწერე და დედას მივეცი. ვთხოვე, ყოველდღიურად მხოლოდ ის ულუფა შემოეტანა, რაც იქ ეწერა, ოთახის კარი კი გარედან ჩაეკეტა, და ვიდრე საპირფარეშოში გასვლა არ დამჭირდებოდა, არ გაეღო. მე კი მოვიმარაგე წიგნები, გასართობი ჟურნალები, კომპიუტერიც სწორედ იმ ოთახში იდგა და შევუდექი გახდომას. წინ მთელი სამთვე-ნახევარი მქონდა და ვიმედოვნებდი, რომ ამ ხნის განმავლობაში 30-35 კილოს დავიკლებდი. დილით ტელევიზორს ვრთავდი და მუსიკის ხმაზე ვვარჯიშობდი... დედაჩემი გაგიჟებული იყო ჩემი ნებისყოფითა და მოწადინებით. მობილური ტელეფონი გამორთული მქონდა, სახლის ტელეფონზე ვინც მიკითხავდა, ეუბნებოდნენ, რომ სოფელში ვიყავი წასული. ოთახიდან სარკე სპეციალურად გავატანინე, რომ ყოველდღე არ მეჭვრიტინა ჩემი თავისთვის. სასწორიც კვირაში ერთხელ შემოჰქონდა დედას... ბრწყინვალე შედეგს მივაღწიე. სულ მალე ტანისამოსი გამიდიდდა, მე კი ჯიუტად განვაგრძობდი დიეტის დაცვას. 110! 100! 90! 80! 65! და... 59! ეს იყო ფანტასტიკური შედეგი. თებერვლის 20 რიცხვისთვის, უკვე 59 კილო ვიყავი. ამ დღეს პირველად ჩავიხედე სარკეში. ღმერთო! თვალებს არ ვუჯერებდი, ნუთუ ეს მე ვარ! ლოყაწითელი, პუტკუნა გოგოს ნაცვლად, სარკიდან გამხდარი, ტანწერწეტა გოგო შემომყურებდა. სიხარულის ყიჟინა დავცხე. მაიმუნივით ვხტოდი და ვკიოდი სიხარულისგან. მამამაც გაიხარა ჩემი შედეგით და ფულიც მაჩუქა — ახალი ტანისამოსი იყიდეო. მეორე დღესვე გავქანდი ბაზრობაზე და ისეთი ტანისამოსი ვიყიდე, როგორზეც სულ ვოცნებობდი — მოტკეცილი, მოკლე, ტანზე მომდგარი... ზაურს შეპირებისამებრ, მეორე სემესტრის დაწყების წინადღეს დავურეკე და ვუთხარი — შეეხვდეთ-მეთქი. რა თქმა უნდა, ვერ მიცნო. თვალებით მჭამდა და სიყვარულს მეფიცებოდა. მე კი ბედნიერი თვალებით შევყურებდი. უნივერსიტეტში რომ მივედი, ვერც ჯგუფელებმა მიცნეს. რომ დავილაპარაკე, ლამის გადაირივნენ... ამის მერე, იმდენ ბიჭს შევუყვარდი, რომ აღარ ვიცი, აბეზარი თაყვანისმცემლები როგორ მოვიცილო. მე ხომ ზაური მიყვარს და მალე ალბათ გავიპარებით კიდეც. აი, არ შეუძლია ქალს, როცა მოიწადინებს“.

არ არის გამორიცხული — დედამიწაზე მხოლოდ მამაკაცები ან ქალები რომ ცხოვრობდნენ, გაცილებით ნაკლები პრობლემა იქნებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ღმერთმა სამყარო სხვაგვარად „დაგეგმა“ და საჭიროდ ჩათვალა, რომ ერთსა და იმავე პლანეტაზე ქალებიც ცხოვრობდნენ და მამაკაცებიც. ჩვენ კი უნდა ვეცადოთ, საერთო ენა გამოვნახოთ... მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ქალი, როცა საყვარელი მამაკაცი სთავაზობს — ცოტა ხნით დავშორდეთ, მინდა, ჩემს გრძნობებში გავერკვეო, — მას კი, „სათადარიგო აეროდრომის“ როლი არ ხიბლავს? სწორედ ისე, როგორც შემდეგი მესიჯის გმირ ქალბატონს...

ორ კვირაში ნაპოვნი ბედნიერება და გაგიჟებული საყვარელი

„გამარჯობათ. მე დათო ვარ, ადრეც შეგეხმიანეთ და ჩემი რამდენიმე მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდა კიდეც. ახლა მინდა, კიდევ ერთი ამბავი მოგიყვეთ. 38 წლის,

უცოლო ვარ და მოგეხსენებათ, ასეთი კატეგორიის მამაკაცები როგორ ვცხოვრობთ: დღეს ერთი ქალი, ხვალ — მეორე და ა.შ. ამ ორი წლის წინ, მოკრძალებული ქალბატონი გავიცანი. წინათ არასოდეს მიმიცია უფლება ქალისთვის, რომ ღამე ჩემს სახლში გაეთია. მივიყვანდი შინ, მერე ჩემივე მანქანით უკან, თავის სახლში მივაბრძანებდი ხოლმე, რადგან არ მინდოდა, ვინმეს ჩემთან თავისი კანონების დამყარება დაეწყო და დიასახლისის როლი მოერგო. მაგრამ ნინოსთან ყოფნა მომწონდა, თითქმის მთელ დღეებს მასთან ვატარებდი, შინიდან კი დილაობითაც აღარ ვუშვებდი. ასე რომ, ნინო ერთადერთი ქალი იყო, რომელსაც უფლებას ვაძლევდი, 2-3 დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ჩემ გვერდით ყოფილიყო. ბოლოს შევშინდი, რადგან ვგრძნობდი, რომ ამ ქალის გარეშე გაძლება აღარ შემეძლო და ძლივს ვაჭერდი ენას კბილს, რომ არ მეთქვა — ჩემთან გადმობარგდი, დავქორწინდეთ-მეთქი. ამის გამო, გადავწყვიტე, თავი გამომეცადა და დავრწმუნებულიყავი, მართლა მინდოდა თუ არა მასთან ერთად ოჯახის შექმნა. ნინო ხშირად ტიროდა, მეუბნებოდა — დავიტანჯე, ან ასე გადავწყვიტოთ ჩვენი ურთიერთობა, ან — ისეო... ბევრჯერ სცადა, მაგრამ ვერ დამაცდენინა — ცოლად გამომყევი-მეთქი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ვუთხარი — დროებით ერთმანეთს დავშორდეთ, ჩემი გრძნობის გამოცდა მინდა-მეთქი, — ჩათვალა, რომ მისი თავიდან მოშორება მინდოდა და გასკდა ტირილით. ვამშვიდებდი, მაგრამ ის ჯიუტად იმეორებდა — აღარ გიყვარვარ? პირდაპირ მითხარი, გაურკვეველ სიტუაციაში ნუ დამტოვებო. მე შეუვალი ვიყავი. მისი ნივთები ჩემი ხელით ჩავალაგე, შემდეგ თვითონაც ღამის ძალით ჩავტენე მანქანაში და თავის სახლში მივიყვანე. მთელი 2 კვირა ვებრძოლე თავს, არ მინდოდა, რომ დამერეკა მისთვის, მაინტერესებდა, შევძლებდი თუ არა მის დავიწყებას ან რამდენ ხანს გავძლებდი ნინოს გარეშე... 2 კვირა საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გიჟს დავმსგავსებოდი. ნევროზი ჩამომიყალიბდა. ბოლოს ვიფიქრე — ან თავს რად ვიტანჯავ, ან იმ ქალს რად ვტანჯავ-მეთქი და მისი მობილურის ნომერი ავკრიბე. მამაკაცმა მიპასუხა. ნინო რომ ვიკითხე, მითხრა — ვიცი, დათო ხარ, ისიც ვიცი, შენ და ნინოს როგორი ურთიერთობა გქონდათ, მაგრამ მისი დავიწყება მოგიწევს, რადგან ნინო გათხოვდა, მე კი, მისი ქმარი ვარო... აი, სულ ორი კვირით დავშორდი ქალს და ხედავთ, რა გააკეთა?!. იმის შემდეგ, ცხოვრებაზე ხელი ჩავიქნიე. მის გარეშე სიცოცხლემ აზრი დაკარგა. მთელი წელი გავიდა და გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ქალს ახლოსაც არ გავკარებივარ. ვიტანჯები და საშინლად განვიცდი უნინოობას. აი, რა შეუძლია ქალს! ღალატი! ერთგულება მათთვის უცხო ხილია! პატივისცემით, დათო“.

მკითხველმა იცის, რომ მესიჯებიდან საინტერესო ფრაზებს ამა თუ იმ თემაზე ცალკე ვიწერ და დროდადრო თქვენც გაცნობთ. ამჯერად მოგიმზადეთ ჩვენი მკითხველი მამაკაცების აზრი ქალბატონების შესახებ. მაშ ასე, „გზავნილების“ თანამონაწილე მამაკაცების აზრით, ქალი არის არსება, რომელიც — დღის ნახევარს სილამაზის სალონში ატარებს და იქიდან მაინც დაუვარცხნელი გამოდის; ხანდახან გიყურებს ისეთი თვალებით, თითქოს მისი საკუთარი ბებია გაძარცვე, თან უარს ამბობს, აგიხსნას, რით არის უკმაყოფილო და ტუჩებს ისე პრუწავს, რომ აშკარად გეუბნება — რა აზრი აქვს ახსნას, როცა ასეთი ელემენტარული რამ არ გესმისო?!.

არსება, რომელსაც შეუძლია კერვა, ქსოვა, კერძების მომზადება; იპუტავს წარბებს, უყვარს კატები და ვერ იტანს ვირთხებს; დარბის ტუალეტში ნებისმიერ შესაფერის დროს, ყიდულობს ერთი ზომით პატარა ფეხსაცმელს, გულწრფელად სჯერა, რომ ქართველებს ბევრი კარგი მომღერალი გვყავს, შეუძლია, საათობით ილაპარაკოს ტელეფონზე და არ იტყვის უარს ლიპოსაქციაზე, დისტროფიის უკანასკნელ სტადიაშიც კი შეუძლია, დახარჯოს უამრავი ფული, მაგრამ ვერ გაიხსენოს — რაში; ცოცხლობს 12 წლით მეტს, ვიდრე მამაკაცები (სტატისტიკის მიხედვით), მოაქვს სახლში უცნაური ნივთები — დეპილატორი, მიქსერი, ფენი და იცის მათი გამოყენება, ჭამს უამრავ შოკოლადს და აქვს უცნაური მხედველობა — სხვისი ქმრები გაცილებით მდიდრები და სიმპათიურები ეჩვენება, უყვარს სერიალების ყურება... მე ამ ჩამონათვალს ერთს მივუმატებდი — ქალი ეს არის არსება, რომელსაც ყველაფრის მიუხედავად, მაინც უყვარხართ თქვენ, მამაკაცები (რის მიუხედავად, ამას მომდევნო ნომერში თავად ქალბატონები მოგახსენებენ).

„მისთვის მეტისმეტად პატარა ვარ...“

„მინდა, ჩემი უიღბლო სიყვარულის შესახებ გიამბოთ. 18 წლის ისე გავხდი, რომ არავინ მყვარებია. მეგობრები უკარებას მეძახდნენ. ყოველთვის თავგამოდებით გავიძახოდი — არასდროს არავინ შემიყვარდება-მეთქი, მაგრამ მეც გავები მახეში. 31 დეკემბერს საღამოს, ძალზე ცუდად ვიგრძენი თავი. სასწრაფოდ ნაღვლის ბუშტის ოპერაცია დამჭირდა. ახალ წელს საავადმყოფოში შევხვდი. სწორედ იქ გავიცანი ლევანი. პირველად რომ დავინახე, რაღაცნაირად, მთელ სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. მთელი ღამე არ დამეძინა, სულ მასზე ვფიქრობდი. ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალებდი და ერთხელ, წამიერად ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. საავადმყოფოდან უგონოდ შეყვარებული გამოვედი... გადიოდა დრო, მაგრამ ის არ მავიწყდებოდა. სიყვარულის ალი უფრო და უფრო მეკიდებოდა. დავიწყე მის შესახებ ინფორმაციის მოგროვება. მე თვითონ მიკვირდა, რომ ამდენს ვბედავდი. უაზროდ დავდიოდი მის ქუჩაზე და თუ სადმე მის მანქანას თვალს მოვკრავდი, უზომოდ ბედნიერი ვიყავი. მისგან კი ვერავითარ თანაგრძნობას ვერ ვგრძნობდი. არ ვიცი, რატომ ვერ შემიყვარა. იქნებ მიაჩნია, რომ მისთვის მეტისმეტად პატარა ვარ... ის ჩემზე 14 წლით უფროსია. მე კი ამ 2 წლის მანძილზე ყველა შესაძლებლობა ამოვწურე... მაიკო“.

„გაგვიჩალიჩეს, ბიჭებო!“

„გაინტერესებთ, ერთმა ქალმა რა გაუჩალიჩა რამდენიმე კაცს?.. ერთ დღეს, ჩვენმა გელამ უცნობი ნომრიდან მესიჯი მიიღო. მესიჯის ავტორი, რუსეთიდან ჩამოსული გოგონა იყო, რომელიც მეგობრებთან ერთად ცხინვალის რეგიონში სტუმრად იმყოფებოდა. გელას და მის საძმოს იქ წასასვლელად ეპატიჟებოდნენ. გელა დაფაცურდა, საძმო შეკრიბა და გეზი თბილისიდან გორისკენ აიღეს, რა თქმა უნდა — მისი მანქანით. გორში იკითხეს იმ სოფლის ადგილმდებარეობა, სადაც რუსი სტუმრები იმყოფებოდნენ. ის ადგილი ლამის კონფლიქტის ზონაში აღმოჩნდა, მაგრამ ვნებამოჭარბებული ბიჭები ამან ვერ შეაშინა. ბევრი იარეს თუ ცოტა... დამთავრდა საავტომობილო გზაც. ბიჭები უკვე აშკარად ღელავდნენ. გელა კვლავ გოგონებს დაუკავშირდა. მათ სოფლის სალოცავში დაუთქვეს შეხვედრის ადგილი. ეს ეკლესია შორს, მთის წვერზე ყოფილა, სადაც მანქანით მისვლა შეუძლებელი იყო. გელა იძულებული გახდა, მანქანა ადგილზე დაეტოვებინა და გზა ფეხით განეგრძო, თანაც — მარტო. საკმაოდ უკაცრიელი ადგილი იყო. ბიჭები მანქანაში უცდიდნენ ძმაკაცს და ძალზე ღელავდნენ. გავიდა 20, 30 წუთი, მთელი საათი.. ბიჭებს ნერვები დაეწყდათ, მანქანაში საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია. ბოლოს და ბოლოს, კონფლიქტის ზონაა!.. როგორც იქნა, გამოჩნდა ჩვენი გელა-ბიჭიც. უნდა გენახათ, როგორი ყურებჩამოყრილი მოდიოდა. სახე მთლად გალურჯებოდა... ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ, როდის ამოიღებდა ხმას. მან კი გაჭირვებით ამოილუღლუღა — გაგვიჩალიჩეს, ბიჭებოო... სალოცავთან მისულს ტელეფონმა შეახსენა თავი. ეკრანზე მისი შეყვარებული ქალის ნაცნობი ნომერი ეწერა. უპასუხა. მან კი უთხრა: შედი სალოცავში და ილოცე, რომ გაპატიოო... აი, ასეთი „მშვენიერი“ თავგადასავალი“ გაუჩალიჩა საყვარელმა ქალმა გელას“.

ახლა კი მოკლე მესიჯებსა და „საჩივრის სვეტს“ გავეცნოთ.

„10 წლის წინ გავიცანი... მერე სხვაზე დავქორწინდი...“

„ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ მუსლიმანი კაცი შემიყვარდებოდა. ძალიან ცუდ დღეში ვარ. ახლა საბერძნეთში ვიმყოფები და ეს ამბავი სწორედ აქ შემემთხვა. არც ის მინდა, რომ ქმარს ვუღალატო, არც — სარწმუნოებას, მაგრამ ვატყობ, რომ თანდათან ძალა მეცლება... ეკა“.

„სიდედრის გაუპატიურებას მაბრალებენ, უშვილო კაცს! სულ ტყუილად გამომკეტეს გისოსებში... ხათუ, არ გეწყინოს, ბოლოს იძულებით ვაღიარე...“

„ქალი ნაზია, როგორც ყაყაჩო, თუ მოინდომა, კაცსაც დაახრჩობს. ფრთხილად, კაცებო! ქალთან თამაში ზოგჯერ სახიფათოა. ელზა“.

„მარი, „გზის“ ყველა „გზავნილს“ გაფიცებ, გამომიქვეყნე ეს მესიჯი: „რუსთაველო დათო ლ., გთხოვ, დამირეკე! მერე უკვე მართლა გვიან იქნება. უზომოდ მიყვარხარ და უსაზღვროდ მენატრები. ნატალი“.

„პირდაპირ ვერ ვეუბნები სათქმელს და მინდა, თქვენი მეშვეობით გავაგებინო: ნიკუშ, სიღნაღის უნივერსიტეტის ყველა გოგოსთვის სასურველო, მალე გაიგებ, რა არის ნამდვილი სიყვარული. მაშინ, როცა მე მომაქცევ ყურადღებას. უნივერსიტეტში ხომ ყველაზე მაღალი და სიმპათიური ვარ. მიყვარხარ! ქეთათო“.

„ვეხმაურები გვანცას. ეს ლექსი — შენ, ჩემო კარგო: გარეთ ცა ტირის და ცის ცრემლები ეალერსება გზას, ვიცი, შენს ლოდინში გავწამდები, მაგრამ ვის ველოდო სხვას?“

„ქალის ძალა ამოუცნობი მფრინავი ობიექტივითაა. ტელეფონით გაცნობილმა გოგონებმა 350 კმ გამოიარეს, რომ ვენახე და... არადა, ულამაზესი გოგონები არიან, ვაფასებ კიდეც. დროა, ქალები სათანადოდ დავაფასოთ. ასე რომ, მამაკაცებო, თავი გავანძრიოთ! გაუმარჯოს ყველა ქალს, გულს ჩუმად რომ გვიფანცქალებს!“

„ქალს იმდენი რამ შეუძლია... ერთმა მათგანმა თავისი სილამაზით თავი შემაყვარა, ახლა კი მეუბნება, მე რა შუაში ვარო... თათა, მიყვარხარ! შალვა“.

„თავი შემაყვარა, ჩემს ხარჯზე „იგულავა“. მერე გული მატკინა, დამამცირა... ორი თვის განმავლობაში, უთავმოყვარეო იდიოტივით კუდში დავდევდი. მხოლოდ სიცარიელე დამიტოვა. მისი სიტყვები დღესაც ჩამესმის ყურში: შენ მათხოვარი ხარ, აქ კი არა, ეკლესიის კართან უნდა იდგე, ხელგაწვდილიო... ენაჩაგდებული ვიდექი, ბოლოს, მხოლოდ ის მოვახერხე, რომ უსიტყვოდ გამოვბრუნდი და წამოვედი... პატივისცემით, გიორგი“.

„შესაძლოა, ჩემი მესიჯით ბევრი ქალი გავაღიზიანო, მაგრამ რა ვქნა, თუ ყველა ჩემი პრობლემა მათ უკავშირდება? მეც ქალი ვარ და მიმაჩნია, რომ ქალებს მეგობრობა არ შეუძლიათ, მაცდურები არიან და ბოლოს მაინც გაგწირავენ, ფეხზე დაგიკიდებენ... ანი, ეს ყველაფერი შენი დამსახურებაა. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არ უნდა წაგერთმია... მარიკა“.

„10 წლის წინ გავიცანი... მერე სხვაზე დავქორწინდი... ცოლს დავშორდი და მეგონა, ცხოვრება დამთავრდა. მან კი საზღვარგარეთიდან დამირეკა და ცხოვრება ისევ გალამაზდა.. აი, რა შეუძლია ქალს“.

„ეჰ, ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს ეგ კითხვა კი უნდა დამისვათ, რა შეუძლია ქალსო?.. ქალი წამალივითაა. თუ „რეცეპტით დაგიმზადეს“, მოგარჩენს, თუ არადა — სულ „ვაი დედას“ გაძახებინებს.“

„იცით, ერთმა ქალმა რა ქნა?.. ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ფიზკულტურის კათედრის გამგე იყო. 5 ბიჭს უთხრა — ერთად მეჩხუბეთ, თუ 15 წუთს გამიძლებთ, ჩათვლებს დაგიწერთო. ბიჭებმა ვერ გარისკეს. მაგარი „მამალი“ ქალია და იმიტომ! ნეტავ, მართლა მოერეოდა?.. სანდრინიო.“

„ლაშა, სიგიჟემდე მიყვარხარ? დამივიწყე, თორემ, გაჩვენებ, რა შეუძლია ქალს. სნაიპერი“.

„მარი, ისეთ საინტერესო თემებს გვთავაზობთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძნელია, მთელი ამბის მესიჯით გამოგზავნა, რომ არ დაგიმესიჯო, ვერ ვითმენ. ამას წინათაც მოგწერე მესიჯი და რომ გამოაქვეყნე, მაგრად გამახარე. იცი, ჩემმა ყოფილმა შეყვარებულმა წაიკითხა და სულ მთლად გადაირია სიყვარულისგან. მართალია, ამ ნომერში მესიჯებს მამაკაცებისგან ელოდები, მაგრამ მაინც დაგიმესიჯებ. ქალმა თუ მოინდომა, შეუძლებელს შეძლებს! მედუკა“.

„საჩივარი — არა, მაგრამ მადლობა მინდა გადაგიხადო, მარი. შენ და შენს „გზავნილებს“ ისეთ საიდუმლოებებს განდობთ, რომ ხანდახან, რომ დავფიქრდები, მეშინია კიდეც... ბევრ გაუბედურებულ ადამიანს გვჭირდები... ნონა“.

„იცით, ქალს რა შეუძლია? პირველად ბიჭმა სიყვარული რომ ამიხსნა, სამაგიერო გადავუხადე — ღამაზად შეფუთული გველი მივართვი და გული გავუხეთქე... ბაიდაური.“

„ქალს შეუძლია, წყაროზე ჩაგიყვანოს და წყალი არ დაგალევინოს, როგორც ჩემი ერთი მოსწავლის დედამ გააკეთა. მას შემდეგ ვდგავარ გამშრალი და აზრი ველარ მომიკრებია. მერაბი“.

„ქალს შეუძლია აგაშენოს, დაგაქციოს, თავის მოკვლის გადაწყვეტილებამდეც მიგიყვანოს და ეს გადაწყვეტილებაც თვითონვე შეგაცვლევინოს. ქალებს ნურასდროს ენდობით, კაცებო! პატივისცემით, ლევანი“.

„ვიტყვი, მორჩა, არ დავიწყებ ლოდინს, მაგრამ გული ისევ შენკენ მოდის, დავფიქრდები, ღმერთო, ეს რა მომდის? ასე ძლიერ შემიყვარდი როდის?.. აი, ეს შეუძლია ქალს. ცელქი“.

„გიოს მართლა მაგრად ვუყვარდი. მას ახლაც ვუყვარვარ, მაგრამ მისი სიყვარული და სითბო თავში ამივარდა, ვერ დავაფასე და მაგრად ვეკაიფებოდი. ბოლოს ვუთხარი, — დავშორდეთ-მეთქი... ძალიან შემეცოდა. ახლა მივხვდი, რომ მიყვარს და მენატრება, მაგრამ ძალიან გამამწარა და ვერ ვაპატიებ... ახლა კი ველოდები მის ძმაკაცს, რომ დამირეკოს და გიოზე ვეჭორაო, იქნებ, რაიმე ახალი შევიტყო. სიხა, მენატრები.“

„გამარჯობა, მარი დიდი ბოდიში მინდა მოგიხადო, რომ დილის 7 საათზე, ასე უდროო დროს გიმესიჯებ. პირველად გეკონტაქტებით. მე პოლიციის თანამშრომელი ვარ და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე თაღლითობისა და ყალბი საბუთების დამზადებისთვის ნასამართლევი, ახალგაზრდა გოგონა შემიყვარდებოდა, რომელიც შემთხვევით გავიცანი ფოთში... მოკლედ, სიყვარულზე ხელჩაქნეულს, ამ ღამაზმა კრიმინალმა გოგონამ უზომოდ შემაყვარა თავი. ვაღიარებ, რომ ქალს ყველაფერი შეუძლია. გ. ზარნაძე“.

„ორი წლის წინ, შემთხვევით მოვხვდი სიონში და მას მერე, დასასვენებლად სულ იქ დავდივარ. ერთ წელს, პლაჟზე ახალგაზრდა მამაკაცი შევნიშნეთ მე და ჩემმა მეგობარმა. კარგი ტიპი იყო, მაგრამ სულ კაიფში გახლდათ. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ მაშინ ვერ გავიცანით. წელს კი, ჩასვლიდან მეოთხე დღესვე მოვახერხე გაცნობა. მოვინდომე და გავიცანი კიდეც! აი, ასე! მარი, გმადლობ, რომ „გზავნილები“ არსებობს. ვისაც ჰგონია, რომ ეს მესიჯები შენი მოგონილია, მაგარი გოიმია. მარიკა“.

„მარი, შენ არ გეწყინოს, მაგრამ ქალს მხოლოდ ის შეუძლია, რასაც აიძულებ. მაგალითად, ჩემი ცოლი შეგუებულია იმ აზრს, რომ ყოველ საღამოს ჩემი „ნასკები“ უნდა გარეცხოს. ნამდვილი მამაკაცი“.

„შენი თვალები ზღვას მაგონებს, ღრმას და უძიროს, შენი სახე კი მეხატება კაშკაშა მთვარედ... სიყვარულისთვის ნუ გამწირავ, ცოდვაა გული, ნუ შემიძულებ იმისათვის, რომ შეგიყვარე! ეძღვნება დათო კირკიტაძეს“.

„მე ასე ვიტყოდი — რა არ შეუძლია ქალს? მარი, შენი „თამადობით“ ყველა მანდილოსანს მოვეფერები და დავლოცავ წრფელი გულით. სიყვარული იყოს თქვენი მფარველი. თქვენი მონა-მორჩილი პავლიკა“.

საჩივრის სვეტი

„ვუჩივი იმ ადამიანებს, ვინც სიმაღლეში 197 სმ იზრდება. მე ხომ სულ 170 სმ ვარ და 197-სანტიმეტრიანი ბიჭი მიყვარს...“

„ვუჩივი მამას, რომელიც ჩემთვის ჩექმას არ ყიდულობს. მამი, დროზე მიყიდე, რა! ზამთარი მოვიდა უკვე. გვანცა“.

„ვუჩივი ჩემს ქმარს, რადგან ცხოვრება გამიმწარა. ბევრჯერ შემპირდა, გამოვსწორდებიო, მაგრამ... ამაოდ. ვაძლევ უკანასკნელ შანსს: ან გამოსწორდეს, ან მართლა ვუჩივლებ, სადაც საჭიროა. თათია“.

„მინდა, ვუჩივლო... ვის? არ ვიცი! ვსვამ კითხვას — როდის მოვესწრები იმას, რომ ბათუმში დილაუთენია ვიყიდო „გზა“? დავიღალე შუადღემდე ლოდინით და სერიოზული ნევროზი ჩამომიყალიბდა ამის გამო“.

„მინდა ვუჩივლო იმ ქალს, რომელიც ყოველდღე დილაუთენია, 7 საათზე ჩემი ფანჯრის წინ გაჰკივის — აბა, ცხელი ქადა-„ბულკებიიი“-.. დეიდა, დამაძინე, რა! დილის 7 საათზე ვის რად უნდა ქადა-„ბულკები“?!. პატივისცემით, სანდრო“.

„დიდი ხანია, მგონია, რომ „გზავნილები“ შენი შეთხზულია, მარი. ახლა კი როცა ეჭვი სხვებმაც დამიდასტურეს, უფრო დავრწმუნდი. გირჩევ, რაიმე საინტერესო გააკეთო, თორემ... თათია“.

აი, მემუქრებიან კიდეც! ჩემო თათია, თუ „დიდი ხანია, გგონია“, მაშ, გამოდის, „გზავნილებსაც“ კარგა ხანია, კითხულობ. თუ ახლა უკვე ამ ტექტსაც ეცნობი, ე.ი. დღევანდელი ამბებიც ბოლომდე „ჩაგირაკრაკებია“... მაინც არ გჯერა, რომ თითოეული ამბავი მკითხველის გამოგზავნილია?.. ვისაც სჯერა, გაატარე, შენ კი წაუკითხავად გადაფურცლე ეს 2 გვერდი (თუ შეძლებ, რა თქმა უნდა).

დღეს „გზავნილები“ ამით დავამთავროთ. მომდევნო ნომრის თემა უკვე წინასწარ იცით და თქვენი მესიჯებიდანაც ჩანს, რომ კბილების კრაჭუნით ელით, როდის დადგება თქვენი რიგი. მაშ ასე, შეგახსენებთ — რა შეუძლიათ მამაკაცებს. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ამჯერად ქალების ჯერია და ფრთხილად, მამაკაცებო! გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

რუბრიკის დღევანდელი სტუმარია ბატონი კოტე გაბაშვილი, რომელიც გერმანიაზე გვესაუბრა. როდის მიიღო ბატონმა კოტემ კულტურული შოკი, რა რიტუალს ასრულებს წელიწადში ერთხელ, რა დამოკიდებულება აქვს რუსეთთან და არსებობს თუ არა მისთვის სხვა საქართველო — ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.

სად ნახა **კოტე გაბაშვილმა**

„მეორე გურჯაანი“, სად განიცადა კულტურული შოკი და რომელი ეკლესია იცქირება ლამაზი ქალწულის თვალებით

გვანცა მამისაშვილი

— პირველად როდის ჩახვედით გერმანიაში?

— პირველად გერმანიაში, ზაარბრიუკენში, 1989 წელს ჩემს მეგობართან სტუმრად ჩავედით მე და ჩემი მეუღლე. პირველ შთაბეჭდილებას რაც შეეხება, ერთ ამბავს მოგიყვებით: ჩემს მეგობართან პირველ სართულზე ვცხოვრობდით. მგზავრობის შემდეგ, ჩემი მეუღლე ისვენებდა, მე კი ფანჯარასთან ვიდექი. სწორედ იმ დროს ისეთი საშინელი ავარია მოხდა, რომ მანქანებს არც ფარი, არც ფანჯარა და არც საქარე მინა აღარ შერჩა. როცა დავინახე, რომ ორივე მძღოლი გადარჩა და გადმოვიდა მანქანიდან, „თბილისური განცდებით“ გავემართე მათკენ — ვაპირებდი, ჩხუბის დროს გამეშველებინა... სანამ მათთან მივედი, დავინახე, რომ მშვიდად შეათვალიერეს მანქანები, გადააქნიეს თავები, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, იქვე ლუდი შეუკვეთეს და დაიწყეს ლოდინი, როდის მოვიდოდა პოლიცია. ვერ გავიგე, რა ხდებოდა, რატომ არ ნერვიულობდნენ, რატომ არ ჩხუბობდნენ... მაგრამ მერე ამიხსნეს, რომ ყველა მძღოლს დაზღვეული აქვს მანქანა და როცა გაარკვევდნენ დამნაშავეს, მისი დაზღვევა უზრუნველყოფდა დაზარალებულს, რემონტისთვის საჭირო თანხით. კიდევ რა გამიკვირდა, იცით?.. როცა ჩვენი მასპინძლის მეგობრებმა იმაზე დაიწყეს საუბარი, თუ როგორ ბინძურდებოდა ქალაქი — მაშინ, როდესაც ბაღში სეირნობისას, ციყვმა და მელამ გადაგვირბინეს, ხოლო მდინარეში კალმახები დაცურავდნენ. ამ დროს, თბილისში, ეკოლოგიური დაბინძურების თვალსაზრისით, უკიდურესი მდგომარეობა იყო...

— როგორ გაიხსენებდით გერმანიაში თქვენი ელჩად ყოფნის წლებს?

— ეს იყო 1994 წელს. მაშინ, გერმანიაში არაფერი გაგვაჩნდა და ნულიდან დავიწყეთ საელჩოს „აწყობა“. ემოციებისთვის არ გვეცალა. ეს ყოველივე შემდგომში, საქმიან ურთიერთობებად ჩამოყალიბდა. მინდა გითხრათ, რომ ესეც არაჩვეულებრივი აღმოჩენა იყო ჩემთვის, რადგან ყველა გრძნობდა თავის პასუხისმგებლობას სხვის წინაშე. ბიუროკრატია, რა თქმა უნდა, ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ძლიერია, მაგრამ ეს არის პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული ბიუროკრატია, პირდაპირი გაგებითაც და იმ თვალსაზრისითაც, რომ მზადაა პასუხი გაგცეს დასმულ კითხვებზე. ჩვენში მოქმედ საბჭოთა ბიუროკრატიას ახასიათებდა უპასუხისმგებლობა და პასუხგაუცემლობა. სწორედ ეს რადიკალურად განასხვავებდა ჩვენებურ ბიუროკრატიას გერმანულისგან... ჩასვლისთანავე, საკმაოდ თბილად მიგვიღეს, ყველა იმას გვეუბნებოდა, რადგანაც ჩვენთვის უცხო იყო ყველაფერი, არ მოგვრიდებოდა და ნებისმიერი შეკითხვა დაგვესვა. ისინი მზად იყვნენ ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. ნამდვილად გულითადი მეგობრობა გაგვიწიეს და ბევრთან ახლაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. იცით, ბევრი ქართველისგან გამიგონია — გერმანელები ცივი ხალხიაო, ეს ნამდვილად არ არის სწორი. ძალიან თბილი ხალხია და ამავე დროს, ძალზე სამართლიანი. ჩვენ კი ეს სამართლიანობა რატომღაც გვაღიზიანებს. ბევრ გერმანელს ვიცნობ, რომელიც სამუდამოდ დარჩა საქართველოში. აგრეთვე დიპლომატებს, რომლებმაც ქართული წერა-კითხვა ისწავლეს. მათ საოცრად ღია და მეგობრული დამოკიდებულება აქვთ ჩვენი ქვეყნის მიმართ.

გერმანიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან, ჰანს-დიტრიხ გენშერთან ერთად

— რა შეგიძლიათ თქვათ, გერმანიასა და საქართველოს შორის არსებულ განსხვავებასა და მსგავსებაზე?

— ბევრია განსხვავება და ბევრია მსგავსებაც. მკვეთრ მსგავსებასთან დაკავშირებით, აი, რა მახსენდება: ერთ-ერთმა დეპუტატმა ქალმა ღვინის მწარმოებელ რეგიონში დაგვპატიჟა. როცა ჩავედით, მეგონა, გურჯაანში ვიყავი. წითელლოყება, საყვარელი კაცები, კეთილი თვალებით, კოტიტა, დაკოჟრილი, ნაშრომი თითებით ჭამდნენ ხორცის დიდ ნაჭრებს, სვამდნენ ღვინოს და არა ლუდს. ოღონდ ეგ იყო — ლაპარაკობდნენ გერმანულად და არა ქართულად... მათაც ძალიან უყვართ შრომა, არაჩვეულებრივად აქვთ მოვლილი ვენახები. ვერ წარმოიდგინეთ, ისეთ დონეზეა ვენახის მოვლის საქმე: ვაზზე გამჭვირვალე ბადეები აქვთ გადაფარებული, რომ ჩიტებმა არ დაკენკონ!.. რაც შეეხება განსხვავებას — განსხვავებაა წესრიგში: გერმანია ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ავტომანქანის სიჩქარე ნაკლებადაა შეზღუდული. გზებზე ნახავთ საოცარი სისწრაფით მიმავალ მანქანებს, მაგრამ რა არის, იცით? იქ ერთი, მეორეს ხელს არ შეუშლის, არავინ გადააგდებს ფანჯრიდან ბანანის ქერქს ან კიტრს, როგორც ამას საქართველოში სჩადიან. ასეთი ქცევა გერმანიაში უზრდელობად და უსინდისობად ითვლება. ეს არის საზოგადოებრივი თანაცხოვრების კულტურა, რომელიც საქართველოში ძალზე დაბალია. ჩვენ უამრავი რამ არ ვიცით და როცა ვინმე მიგვითითებს, მას ჭკუის

მასწავლებელს ვეძახით და არ მოგვწონს. ის კი არ ვიცით, რომ ეს უაზრო ამბიციაა. რუსთაველზე ხალხი ისე უაზროდ დადის, რომ გადამეტებული არ იქნება, თუ ნახირს შევადარებთ. ხალხის მოძრაობა პირდაპირ მეტყველებს მათ შინაგან ბუნებაზე.

— თუ არსებობს გერმანიაში ქართულის მსგავსი ტრადიციები და თუ შეგიძლიათ შეადაროთ ერთმანეთს?

— რა თქმა უნდა, არსებობს. გერმანია ძალზე თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ იქ დიდ პატივს სცემენ ოჯახურ ტრადიციებს. მათთან თავისუფლება და ტრადიციები თანაარსებობს და არანაირ დისკომფორტს არ უქმნის ადამიანებს. ეს დიდი ხელოვნებაა, როცა შეგიძლია, იყო თავისუფალიც და ტრადიციის მიმდევარიც. ამით გამოირჩევა აგრეთვე იაპონია და ინგლისი. ერი ვერ განვითარდება, თუ მან სიახლე არ მიიღო. ადამიანებს, რომლებიც დღეს ვითომდა თავგადაკლულები იცავენ ტრადიციებს, თვითონაც ვერ გაუგიათ, ისე ანგრევენ ერის ფსიქოლოგიას. ტრადიცია მაშინ ინახება, როცა ადამიანი თავისუფალია ქცევაში. მაგალითად, ავიღოთ ინგლისი. ვინ იტყვის, რომ იქ ტრადიციები აღარ არსებობს? გერმანიაში რეფორმებისკენ და საზოგადოების გახსნილობისკენ უფრო დიდი მიდრეკილებაა და არ არის საქართველოსნაირი ჯგუფურ-ჯოგური მიდგომა.

— რას იტყოდით ზოგადად ქართულ და გერმანულ კულტურაზე?

— ჩვენ ორივენი, იდეალისტი ერები ვართ. ჩვენი მიდრეკილებები მათთვის გასაგები და მისაღებია. ალბათ ამიტომ, ისინი ყოველთვის გვეხმარებოდნენ. გერმანიაში რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, რუსეთი საქართველოს ხელმეორე ანექსიას ვერ მოახერხებდა და გერმანიის მხარდაჭერით, 100 წლის წინ გავხდებოდით ევროპული ოჯახის წევრი. გერმანელები მატერიალისტები არიან, მაგრამ ამავე დროს, ანალიზის უნარი შესწევთ. ჩვენც ასეთები ვართ, მაგრამ უფრო მეტად სიცოცხლის მოყვარულები. ქართველი თავისთავად ტკბება სიცოცხლით — თავისი სიცოცხლითაც, სხვისი სიცოცხლითაც და საერთოდ, ზოგადად სიცოცხლით. ქართველებსა და გერმანელებს გვაკავშირებს სულის პრიმატით გაანალიზება და არა სხეულის პრიმატით — როგორც ეს ანგლო-საქსურ კულტურას ახასიათებს. მე და ჩემმა მეგობრებმა თბილისში გერმანული სკოლა დავაარსეთ, რათა არ დაკარგულიყო გერმანული კულტურის გავლენა. დიდ წარმატებას მივაღწიეთ და მე ამით ვამაყობ, რადგან, მივიჩნევ, რომ გარკვეულწილად ჩემი ვალი მოვიხადე, თუმცა რაღაცები მაინც დამრჩა გასაკეთებელი.

— იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც ყოფილხართ, რომელმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება? თქვენთვის რომელი სამყაროა უფრო მისაღები?

— ჩემთვის ყველა სამყარო მისაღებია, მაგრამ ჩემი თბილისი ყველას მირჩევნია. ბევრი ქვეყანა მიყვარს, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება არ გიყვარდის იტალია, ციცქნა ლუქსემბურგი... რუსეთიც მიყვარს, მაგრამ არა მისი პოლიტიკა. ყველაზე დიდი განცდა, საქართველოს გარდა, რომსა და ფლორენციაში დამეუფლა. ეს იყო კულტურული შოკი და შემიძლია გითხრათ, რომ სიხარულისგან „დავიშალე“. როგორ შეიძლება, არ გიყვარდეს რომელიმე სამყარო, როცა შეხვალ გერმანიის ეგვიპტურ მუზეუმში და ნახავ ნეფერტიტის, რომელიც გგონია, რომ სუნთქავს, ან როდესაც საქართველოში შეხედავ სამთავისს და გგონია, რომ ეკლესია ულამაზესი ქალწულის თვალებით გიყურებს... მე მაქვს ერთი რიტუალი: წელიწადში ერთხელ, დილის 5 საათზე მზის ამოსვლას ვხვდები გერგეტზე. ამას რომ ნახავთ, აღმოაჩენთ ღმერთთან კავშირს...

— თქვენი აზრით, არსებობს სადმე სხვა საქართველო?

— არა. როგორ შეიძლება, ეგ მოხდეს?!. აი, ხედავთ, გაღებული ფანჯრიდან რამდენი მტვერი შემოდის? ეს ჩემი სამშობლოს მტვერია. საქართველოც ერთია და მხოლოდ აქ არის. ■

იმიჯუმცვლილი სამეული საზოგადოებრივი ტელეარხის ახალ პროექტში

21 ნოემბერს, საზოგადოებრივი არხი განახლებულ დილის გადაცემას წარმოგვიდგენს, რომელსაც უკვე საკმაოდ გამოცდილი ტელეწამყვანები — ქეთი კეკელია, მადი სერებრიაკოვა და ლულუ (ეკა კახიანი) წარუძღვებიან.

მადი:

— პროფესიით მუსიკოსი ვარ, მაგრამ ჟურნალისტიკაში მანამ აღმოვჩნდი, ვიდრე პროფესიონალურ განათლებას მივიღებდი. პრესაში მუშაობა სკოლის ასაკიდან დავიწყე. მაშინ არეული სიტუაცია იყო, სწავლა ვიღას ახსოვდა?!. მე კი, უსაქმოდ ყოფნა არ მინდოდა, წერა მეხერხებოდა და ბედი ვცადე. პარალელურად, რადიოში — „მწვანე ტალღა“ — ვმუშაობდი. ერთხელ, ჩემი რესპონდენტი გახლდათ გაზეთ „7 დღის“ ჟურნალისტი, ცნობილი კრიტიკოსი ბიძინა მაყაშვილი. მან ამ გაზეთთან თანამშრომლობა შემომთავაზა და ამის მერე, ჟურნალისტიკას ვეღარ შევეშვი. „7 დღის“ გარდა, ვმუშაობდი გაზეთებში: „საქართველო“, „24 საათი“.

შარშან თებერვალში, არხის მიერ გამოცხადებულ კასტინგზე მოვედი. მაშინ არაფერი გამომივიდა, მაგრამ რამ-

დენიმე დღის შემდეგ, დამირეკეს და კონკრეტული წინადადება შემომთავაზეს. სიმართლე გითხრათ, ტელეწამყვანობის არანაირი გამოცდილება არ მქონდა, ამიტომაც ტელეკამერების წინ დგომა ძალიან გამიჭირდა. ვნერვიულობდი, მაგრამ შემოქმედებითი ჯგუფი ამ სიტუაციიდან გამოძრომაში დამეხმარა.

ძეთი:

— მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტი დავამთავრე. ჩემი ჟურნალისტური კარიერა იმდენად დიდი ხნის წინ დაიწყო (1994 წელს), რომ აღარც კი მახსოვს, ეს პროფესია რატომ შემიყვარდა. ალბათ, ძალიან მომინდა უცხო ხილის გასინჯვა და ტელეკომპანია II არხში მივედი, რომელიც ფაქტობრივად, პირველ ახალგაზრდულ, დამოუკიდებელ ტელეკომპანიად ითვლება. II არხის წამყვანი 8 წლის განმავლობაში ვიყავი... ერთი პერიოდი, რადიოს წამყვანადაც ვმუშაობდი, მერე კი — ტელეკომპანია „იმედის“ დილის გადაცემას ვუძღვებოდი.

ლულუ:

— არც მე ვარ პროფესიით ჟურნალისტი. ლინგვისტი გახლავართ, ინგლისური ენის სპეციალისტი. ტელევიზიაში შემთხვევით მოვხვდი. საკუთარ თავს ჯერჯერობით ჟურნალისტს ვერ ვუ-

წოდებ, უბრალოდ, წამყვანი ვარ; ჩემთვის ვერთობი — ხალხთან კონტაქტი მსიამოვნებს. იმედია, როგორც ჟურნალისტი, დავიხვეწები და მომავალში უფრო სერიოზული გადაცემების წაყვანასაც შევძლებ.

— პრესა, რადიო, ტელევიზია ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდება. სად უფრო საინტერესო ან ადვილია მუშაობა?

მადი:

— თითოეულს თავისი სპეციფიკა აქვს. რადიოში მუშაობისას ფიქრობ იმაზე, რომ რაც შეიძლება მხიარული იყო. მაქსიმალურად უნდა ეცადო, შენი სიტყვებით მოხიბლო მსმენელი. პრესაში მუშაობისას, ამოსავალი წერტილი, ფაქტებისა და მოვლენების შინაარსია. ტელევიზიაში კი, გარდა იმისა, რომ უნდა გქონდეს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე, უნდა მიეჩვიო ვიზუალურ აზროვნებას.

ლულუ:

— პრესაზე ვერ ვილაპარაკებ. რაც შეეხება რადიოსა და ტელევიზიას — ორივე საინტერესოა, მაგრამ ჩემთვის რადიო უფრო ინტიმურია: გრძნობ, რომ ის შენია. ტელევიზია კი — ყველასია...

ძეთი:

— მე კი ვფიქრობ, რომ ყველაზე საინტერესო, ტელევიზიაში მუშაობაა.

ლულუ:

— გამოდის, რომ მეც ტელევიზია ავირჩიე, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ აქ მუშაობა უფრო პერსპექტიულია, შემოსავლიანია. რადიოში ხანდახან ისე ხდებოდა, რომ ხელფასს წლობით ვერ ვიღებდი. ტელევიზიაში ცარიელ ენთუზიაზმზე ვერ იმუშავებ.

— ლულუ, წლების განმავლობაში, თინეიჯერულ გადაცემებს უძღვებოდი. როგორ ფიქრობ — საზოგადოებრივი არხის ტელეწამყვანობას შეძლებ?

— არხი რატომღაც ყველას სხვანაირი ჰგონია. რამდენიმე დღის წინ, მეგობარმა დამირეკა და მკითხა: იმ ტელევიზიაში ისევ კომუნისტური სიტუაციაა?.. ყველას ჰგონია, რომ აქ ძალიან სერიოზული პონტია — ყველა ჰალსტუხით დადის და ა.შ. წესით, ამ დილის პროგრამის წამყვანობა კარგად უნდა შევძლო, რადგან ეს იქნება ნაკლებად სერიოზული, მსუბუქი ხასიათის გასართობ-შემეცნებითი გადაცემა.

— კასტინგზე როგორ მოხვდით?

მადი:

— მე ამ კასტინგამდეც ვმუშაობდი არხის დილის გადაცემაში — „ადრე“, „კულტპანორამასა“ და შოუბიზნესის სიახლეებს ვაცნობდი საზოგადოებას. ამ შერჩევაზე მთლიანი ტური არც გამივლია.

— ანუ?

— ანუ იმას, რასაც სხვები რეპეტიციაზე აკეთებდნენ, მე ყოველდღე, პირდაპირ ეთერში ვაკეთებდი. ჩემი მხრიდან არასწორი იქნებოდა იმ ადამიანებთან გაჯიბრება, რომლებიც ქუჩიდან მოვიდნენ, მაგრამ რაღაც შესარჩევი ეტაპი მეც გავიარე...

— დიდი კონკურსი იყო?

ლულუ:

— კი, დაახლოებით 200 კაცამდე მონაწილეობდა.

ძეთი:

— კასტინგი 3 ტურისგან შედგებოდა. ბოლო ტურში 14 კაცი გავედით. კონკურსანტებს გვითხრეს: მეწყვილეები აირჩიეთო. ვინაიდან მე და ლულუ ერთმანეთს ადრეც ვიცნობდით, ერთმანეთი დავასახელეთ. კონკურსის პირობების მიხედვით, ერთმანეთის რესპონდენტები უნდა ყოფილიყავით.

ლულუ:

— დაწყვილებული კონკურსანტების ნაწილმა პოლიტიკური დებატები გამართა. მე და ქეთიმ კი, ჭორაობა დავიწყეთ...

— რაზე ჭორაობდით?

— ერთმანეთს პროფესიონალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ვუსვამდით — როგორ მოხვდი ტელევიზიაში? რას წარმოადგენს შენთვის რადიო და ა.შ.

ძეთი:

— ჯერ მე ვიყავი დილის პროგრამის წამყვანის ამპლუაში. ლულუს მივესალმე, დილა მშვიდობისა ვუსურვე და ვკითხე: როგორ იწყება, ყველასთვის კარგად ცნობილი ადამიანის, ეკა კახიანის დილა? მარტივი თუ რთული საქმეა მისთვის დილაადრიან ლოგინიდან წამოხტომა? — და ა.შ. იმდენი ვილაპარაკეთ, რომ ბოლოს, ყვირილი მოგვესმა: გააჩუმეთ ეს გოგოები, რა უბედურებაა ამდენი ლაპარაკი!..

ლულუ:

— ანუ იმდენად ბუნებრივი, ცოცხალი დიალოგი გამოგვივიდა, რომ ხელმძღვანელობის მოწონება დავიმსახურეთ და წამყვანებადაც შეგვარჩიეს. ალბათ, ასეთი დიალოგები მათთვის ხელსაყრელია.

— რა სიახლეებს უნდა ველოდოთ საზოგადოებრივი არხის დილის გადაცემაში?

მადი:

— „ადრე“, სოციალურ პრობლემებზე იყო ორიენტირებული. ამას, რა თქმა უნდა, თავისი უპირატესობა ჰქონდა. მაგრამ ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწ-

ყვიტა, რომ გაკეთდეს უფრო მსუბუქი ხასიათის გადაცემა, სადაც ნაკლებად იქნება საუბარი ყველასათვის მტკივნეულ სოციალურ პრობლემებზე. მაყურებელს დილა მხიარულად უნდა გაატარებინო... მგონი, ასეთი გადაცემა მაყურებელს მოიზიდავს.

— ეი. ფორმატის შეცვლა იმიტომაც გადაწყდა, რომ „ადრეც“ არ ჰყავდა მაყურებელთა საკმარისი რაოდენობა?

— ვერ ვიტყვი, რომ მაყურებელი არ გვყავდა. ასეც რომ ყოფილიყო, ეს მარტო დილის გადაცემის პრობლემა არ იქნებოდა. როცა რომელიმე არხს არა აქვს მაღალი რეიტინგი, ის მხოლოდ ერთი გადაცემით ვერ გახდება პოპულარული.

— I არხის ახალი დილის პროგრამა შეცვლის თუ არა თქვენი ცხოვრების ჩვეულ რიტმს?

ლულუ:

— რა თქმა უნდა. ჩემთვის უკვე ბევრი რამე შეიცვალა: მოვხვდი ახალ გარემოში, შევიძინე ახალი მეგობრები, ნაცნობები...

ძეთი:

— ჩემს ცხოვრებაში ის შეიცვალა, რომ უკვე დაძაბულ რეჟიმში ვმუშაობ და ეს რეჟიმი ერთ კვირაში, კიდევ უფრო დაძაბული გახდება. ყოველდღე მიწევს ტელევიზიაში სიარული. ჯერ კიდევ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ავდგე ლოგინიდან დილის 6 საათზე. ვერ დავიჯერებ, რომ ამქვეყნად არსებობს ადამიანი, რომელსაც დილით ადრე გაღვიძება არ უჭირს.

მადი:

— მე დილით ადრე ადგომასაც მიჩვეული ვარ და ამ ტელევიზიაში მუშაობასაც. წინა სამუშაო რეჟიმისგან განხვავებით, შეღავათი მაქვს — გადაცემა, რვის ნახევრის მაგივრად, 8 საათზე იწყება.

— ამ გადაცემაში თითოეულ თქვენგანს საკუთარი რუბრიკა ექნება?

— არა, სამივე ყველა სფეროში ერთნაირი აქტიურობით მივიღებთ მონაწილეობას. მაგრამ კონკრეტულად რა როგორ იქნება, ამას ჯერჯერობით ვერ გეტყვით.

ლულუ:

— მხოლოდ ერთს გპირდებით: თინეიჯერებს მოვიზიდავ, დავაინტრიგებ. დარწმუნებული ვარ, მათ უკვე აინტერესებთ, როგორ წაიყვანს ლულუ სერიოზულ დილის გადაცემას.

ძეთი:

— არხის დილის გადაცემაში არავისზე ნაკლები ჯგუფი არ მუშაობს. ყველას დავუმტკიცებთ — პროგრამის ფორმატის შეცვლა, მარტო ახალი გოგონების ეთერში გამოჩენით როდი შემოიფარგლება. მაყურებლები აუცილებლად გვეყოლება.

— მაყურებლების მოსაზიდად იმიჯის შეცვლაც საჭიროა?

— იმიჯის რადიკალურად შეცვლა საჭიროდ არ მიმაჩნია, მაგრამ თმის ვარცხნილობის შეცვლა მაინც დამჭირდა: ყოველთვის გრძელ თმას ვატარებდი და უეცრად მთხოვეს, თმა შემეჭრა. ახლა ე.წ. მეგ რაიანის „პრიჩო“ მაქვს.

მადი:

— მე კი იმიჯი რადიკალურად შემიცვალეს: რამდენიმე დღის წინ, ქერა გოგო ვიყავი, მაგრამ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ თმა წითლად შემეღება.

ლულუ:

— იმიჯის შეცვლა მხოლოდ მე არ დამჭირდა. ხელმძღვანელობა ჩემმა მეღირებამ სრულიად დაკმაყოფილა. თუმცა, თმის სიგრძე ცოტათი დამამოკლებინეს.

— რეპეტიციები როგორ მიმდინარეობს?

მადი:

— რეპეტიციებს ყოველდღე გავდივართ. ვწერთ, ვკითხულობთ, ვმუშაობთ რეჟისორთან, ოპერატორთან. ვცდილობთ, მოვერგოთ ახალ სიტუაციას, შევეწყოთ ერთმანეთს. მართალია, უკვე დავმეგობრდით, არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, მაგრამ რა მოხდება პირდაპირ ეთერში?..

ძეთი:

— როცა პირდაპირ ეთერში 3 წამყვანია და სამივე, ერთნაირად დატვირთული, თუ ისინი ერთმანეთს კარგად არ იცნობენ, გადაცემა კარგად შეკრული არ იქნება. ხელმძღვანელობის ჩანაფიქრით, ჩვენ ბუნებრივი, უშუალო ურთიერთობა გვჭირდება — ეს დადებითად იმოქმედებს პროგრამაზე.

მადი:

— უნდა შევეთვისოთ ერთმანეთის აზროვნების ტემპს, ვიცოდეთ, როგორ მეტყველებს ჩვენი მეწყვილე, რა დროს რა რეაქცია ექნება. ეს დღეს და ხვალ არ მოხდება, ამიტომაც ერთმანეთის გასაცნობად, ინტენსიური მუშაობა გვიწევს.

ძეთი:

— ჩვენ ერთი გამოხედვითაც უნდა

გვესმოდეს ერთმანეთის, იმიტომ, რომ პარტნიორები ვართ.

ლულუ:

— დარწმუნებული ვარ, რომ ერთმანეთს კარგად გავუგებთ. იმდენად კარგად, რომ ცოტა ხანში, როცა ჩვენი შვილები გაიზრდებიან — დამეგობრდებიან და რაღაც კლუბსაც კი შექმნიან *(იცინის)*...

ძეთი:

— სხვათა შორის, შარშან ჩემი შვილი ტელეეკრანზე ვერ მცნობდა. წელს როგორი რეაქცია ექნება ჩემს დანახვაზე, ძალიან მაინტერესებს.

მადი:

— ჩემი შვილი კი, უკვე 5 წლისაა. მას ტელეეკრანზე ჩემი გამოჩენა იმდენად მოჰბეზრდა, რომ აღარც კი მიყურებს.

ლულუ:

— ჩემი გოგონა კი, ჩემს დანახვაზე ტიროდა: დედა მინდაო!..

მადი:

— მოკლედ, მაქსიმალურად ვეცდებით, ჩვენი გადაცემით თქვენს დაინტერესებას. იმედია, ეს გამოგვივა კიდეც. ■

ცოტა ხნის წინ, მეგობრისთვის საჩუქარს ვარჩევდი და შემთხვევით სუვენირების მაღაზიაში „შაბათის შოუს“ პერსონაჟების — გურამისა და ნანულის თოჯინებს წავაწყდი. ამ აღმოჩენამ ჩემს საჩუქარს ორიგინალობა შესძინა, მე კი თოჯინების ავტორებს პატარა სახელოსნოში მივაგენი.

შემოქმედი – ყველაფერი ვასლი იქნება ანუ ექსკლუზიური ფიგურები თოჯინების დამზადებაზე

ემა ტუხიაშვილი

გიორგი ბერიაშვილი, *მოქანდაკე:*

— სახელოსნოს შექმნის იდეა მე მეკუთვნის. თუმცა, ჩემი მეგობრების დახმარების გარეშე ამ ყველაფერს თავს ვერ გავართმევდი. ზოგიერთი ჩვენგანი სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულია, ზოგიც — ჯერჯერობით სწავლობს. სახელოსნოში ის ახალგაზრდებიც მუშაობენ, ვისაც მხატვრობასთან პროფესიონალური საქმიანობა არ აკავშირებს; მათ შორის, სასულიერო აკადემიის მსმენელებიც არიან, მოცეკვავეებიც და მომღერლებიც. სიმღერა კი თოჯინების შექმნის დროს ძალზე გვეხმარება.

ზურა გაბროშვილი, *მოქანდაკე:*

— ჩვენ დიდი ქანდაკების შექმნაც შეგვიძლია, ამაში, საქართველოში მოწყობილმა რამდენიმე გამოფენამაც დაგვარწმუნა. თუმცა, იმასაც მივხვდით, რომ ჩვენს ქვეყანაში უფულო მოქანდაკეს არავინ აღიარებს, ამიტომაც, ვიდრე დიდ ფულს ვიშოვით, ამ პატარა და, რაც მთავარია, საზოგადოებისთვის საყვარელი პერსონაჟების თოჯინების შექმნით ვიქნებით დაკავებული.

თუ კედელს მოხატავ ან ფასადს შეღებავ, გაცილებით მეტს გიხდიან, ვიდრე ქანდაკების შექმნაში.

გიორგი ბერიაშვილი, *სამხატვრო აკადემიის სტუდენტი:*

— პირველად ჩვენი ნამუშევრები „ცისფერ გალერეაში“, სამხატვრო აკადემიის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარვადგინეთ. შემდეგ იყო კომპანია „კოკა-კოლის“ მიერ გამართული კონკურსი. ბოთლის ქანდაკების შექმნაზე რამდენიმე მეგობარი ვმუშაობდით. ერთი კვირის განმავლობაში, დღე და ღამე გვქონდა გასწორებული, ფაქტობრივად, სახელოსნოში ვცხოვრობდით. და როდესაც ჟიურის წინაშე ჩვენი ქანდაკება წარმოვადგინეთ, გამარჯვებაში თითქმის დარწმუნებული ვიყავით. მაგრამ ჟიურიმ სხვა გადაწყვეტილება მიიღო... ეს იყო 1,80 მ სიმაღლის ბოთლის ქანდაკება, დამზადებული თიხისგან, გარედან კი — ბრინჯაოში ჩასმული. მახსოვს, თემურ ჭყონიამ ჩვენი ნამუშევარი რომ შეათვალიერა, თითი დააკაკუნა ზედ და თქვა — ამას რა წაიღებსო?!. მიგვაჩნია, რომ ჟიურიმ არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, მით უმეტეს — ჩვენი ინფორმაციით, ჩვენ მიერ დამზადებული ბოთლის ქანდაკება კომპანიის ოფისში დგას. სამწუხაროა, მაგრამ დღეს, უპირატესობა დურგლებსა და „მალიარებს“ ენიჭებათ და არა პროფესიონალ მოქანდაკეებს. თუ კედელს მოხატავ ან ფასადს შეღებავ, გაცილებით მეტს გიხდიან, ვიდრე ქანდაკების შექმნაში.

— „შაბათის შოუს“ პერსონაჟთა თოჯინების შექმნის იდეა ვის დაებადა?

გიორგი ბერიაშვილი:

— თოჯინების შექმნის იდეა მე მეკუთვნის. მინდოდა, მინიმალური ხარჯებით ისეთი რამ შემექმნა, რაც მყიდველის დაინტერესებას გამოიწვევდა. თავდაპირველად, მიშა ანდღულაძის და ვანო ჯავახიშვილის რამდენიმე თოჯინა დავამზადეთ და პატარა საზოგადოებრივი

გამარჯვებაში თითქმის დარწმუნებული ვიყავით. მაგრამ ჟიურიმ სხვა გადაწყვეტილება მიიღო...

გამოკითხვაც მოვაწყვეთ. 10 გამოკითხულიდან 8 ადამიანი მაშინვე ცნობდა, ეს თოჯინები ცნობილი შოუს რომელი გმირების კარიკატურებს წარმოადგენდა, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, ვინც თოჯინას, შალვა ნათელაშვილს ადარებდა, ზოგს კი საერთოდ, პრეზიდენტის კარიკატურა ეგონა.

თინათინ ბარბაძაძე, *სამხატვრო აკადემიის სტუდენტი:*

— როდესაც თოჯინების შექმნის იდეა გაჩნდა, საჭირო გახდა ვანოსა და მიშას ფოტომასალის მოძიება. ამაში ძალიან დაგვეხმარა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი მათი ფოტოები. ამ სურათების მიხედვით, მხატვარ ზაალ სულაკაურს ვთხოვეთ, დაეხატა კარიკატურები. სწორედ მისი კარიკატურების მიხედვით შეიქმნა პირველი თოჯინები.

— როგორია ამ თოჯინების დამზადების ტექნოლოგიური პროცესი?

გიორგი ბერიაშვილი:

— კარიკატურის მიხედვით პლასტილინისგან იძერწება სკულპტურა, მის ზედაპირს მთლიანად ვფარავთ თაბაშირით, რომლის მიხედვითაც შემდეგ, ამ ფიგურის ყალიბის ჩამოსხმა ხდება. თითოეული ორიგინალი სეიფში ინახება, ხოლო ყალიბში ჩამოსხმული თოჯინა ხელით დამუშავებას მაინც საჭიროებს. ყალიბში ჩამოსხმული თაბაშირის ფიგურის გამოშრობას რამდენიმე დღე ესაჭიროება. ზაფხულში სიცხის გამო, ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობს, ზამთარში კი, როგორც ხედავთ, ვანოს და მიშას თოჯინებს „ფეჩის“ ქვეშ ვაშრობთ.

მაგრამ ისეთებიც იყვნენ, ვინც თოჯინას, შალვა ნათელაშვილს ადარებდა, ზოგს კი საერთოდ, პრეზიდენტის კარიკატურა ეგონა...

ნინო ჩიფჩური,
სამხატვრო აკადემიის სტუდენტი:

— ზოგჯერ გამოშრობის პროცესი რომ დავაჩქაროთ, თოჯინებს სულსაც ვუბერავთ... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი, პირადად მე, ამ თოჯინების მოხატვა კარგ ხასიათზე მაყენებს. ზოგჯერ რომელიმე სკეტჩი გამახსენდება მათი შოუდან და ისე გადავიხარხარებ ხოლმე, რომ მეგობრები გაოცებულები შემომყურებენ.

— ვანო ჯავახიშვილმა და მიშა ანდღულაძემ თავად თუ იციან ამ თოჯინების არსებობის შესახებ?

გიორგი ბერიაშვილი:

— „შაბათის შოუს“ გმირებთან დაკავშირება მხოლოდ მას შემდეგ ვცადეთ, როდესაც რამდენიმე თოჯინა უკვე დასრულებული სახით გვქონდა. ტელეკომპანიის ოფისში მიშას და ვანოს ვეძებდით, როდესაც თავად ამ შოუს ხელმძღვანელი, ვანო ჭელიძე შეგვხვდა. ძალიან მოეწონა თოჯინები და მათ შექმნაზე ექსკლუზიური უფლებაც მოგვცა. სხვათა შორის, ამ ამბიდან ძალიან მალე, ჩვენ მიერ დამზადებული, მიშა ანდღულაძის თოჯინა, დათო გოგიჩაიშვილმა „ღამის შოუშიც“ გამოიყენა.

მიშა ანდღულაძის თოჯინა, დათო გოგიჩაიშვილმა „ღამის შოუშიც“ გამოიყენა

გიორგი ბერიკაშვილი:

— მოგვიანებით, თავად ჩვენი თოჯინების პროტოტიპებს — მიშას და ვანოსაც შევხვდით და არა მხოლოდ მათ — ვასო ფხაკაძე, გოჩა თანდარაშვილი და შოუს სხვა მსახიობებიც გავიცანით. მიშამ პირველად რომ დაინახა თავისი თოჯინა — რამხელა ცხვირი გაგიკეთებიათო! — გვითხრა. ვანომ, რა თქმა უნდა, „ინერვიულა“, ხოლო ვასო ფხაკაძემ აღნიშნა: ახლა ამათ რა გადაურჩებაო!.. ახლა მართლაც, ვმუშაობთ მისი ტელეგმირის — ვახტანგის თოჯინაზე, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ იმავდროულად, კარატისტი ვასოს თოჯინაც შევქმნათ. დამუშავების ბოლო ეტაპზეა ქალბატონი ნანულის თოჯინა: ხალათსღა ჩავაცმევთ და ქუდზე მოზრდილ ყვავილს დავუმაგრებთ...

— პოლიტიკოსების თოჯინების შექმნაზე არ გიფიქრიათ?

— შესაძლოა, ახლო მომავალში, მართლაც შეიქმნას ჩვენს სახელოსნოში შალვა ნათელაშვილის თოჯინა. თუმცა, მაინც გვგონია, რომ პოლიტიკამ და პოლიტიკოსებმა მეტისმეტად დაღალეს საზოგადოება... პოლიტიკოსებზე გამახსენდა: სხვათა შორის, ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველმა, სადაც ჩვენი თოჯინები იყიდება, გვითხრა: ორივე თოჯინა პრეზიდენტ საკაშვილის ვაჟმა ედუარდმა შეიძინა, მერე ერთ-ერთი გაუტყდა და დაცვის თანხლებით, თოჯინის საყიდლად კიდევ ერთხელ მოვიდაო... კიდევ, ძალიან გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ დამზადებული თოჯინები ევროპაში მცხოვრები ქართველებისთვისაც მიაქვთ. როგორც მითხრეს, უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეები „შაბათის შოუს“ ინტერნეტის საშუალებით უყურებენ, ამიტომაც ცნობილი ტელეგმირები მათ შორისაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ... ყველაზე მეტად კი, მაინც ის ფაქტი დაგვამახსოვრდა, როდესაც ჩვენ მიერ შექმნილი პირველი თოჯინა გაიყიდა. ისიც კი გვინდოდა, რომ პირველად შემოსული 4 ლარი ჩარჩოში ჩაგვესვა და თვალსაჩინო ადგილას დაგვედო...

— როგორც ვხედავ, ცნობილი ფეხბურთელების თოჯინებსაც ქმნით.

გიორგი ბერიაშვილი:

— ეს ჩვენი მეგობრისა და სახელოსნოს წევრის, ბექა ფალავანდიშვილის იდეა გახლდათ. თავდაპირველად გვინდოდა, რომ მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელების თოჯინების ევროპაში ექსპორტირება გვეცადა. როგორც შემდეგ კომპეტენტურმა ადამიანებმა აგვიხსნეს, შესაბამისი ნებართვის უქონლობის შემთხვევაში, ამის გამო შესაძლებელია, რომელიმე ფეხბურთელმა სასამართლოში გვიჩივლოს. თუმცა, თუკი რონალდოს ან რონალდინიოს თოჯინის დამზადებისთვის დამიჭერდნენ, ბედნიერი ვიქნებოდი...

— თაბაშირის თოჯინების გარდა, სახელოსნოში მინანქრის სამკაულებსაც ამზადებთ, არა?

თინათინ ბარბაქაძე:

— ტიხრულ მინანქარზე მე ვმუშაობ და ნივთების დამზადებისას, ძველქართულ დადუღების მეთოდს ვიყენებ. ახლა ამ ტექნოლოგიას იშვიათად იყენებენ, რადგან მინანქრის ნაკეთობის დამზადების უფრო მარტივი ხერხიც არსებობს — მაგალითად, წებოს გამოყენებით. მაგრამ ასე დამზადებული მინანქარი ადვილად ზიანდება. მომავალში ვაპირებ, რომ ჩემი ნამუშევრების გამოფენაც მოვაწყო;

გიორგი ბერიაშვილი:

— მინდა გითხრათ, რომ ეს თოჯინები სახელოსნოსთვის სასტარტო ეტაპივითაა. რადგან სამომავლოდ გაცილებით სერიოზული გეგმები გვაქვს დასახული და გვსურს, რომ უფრო მაღალ ხელოვნებას ვემსახუროთ.

■

„...მაგრამ ყვავილი შემოდგომის ხშირად პირველს სჯობს“, — გვეუბნება პოეტი, რომელიც ყვავილში ცხოვრების შემოდგომის ჟამს მოსულ, უკანასკნელ სიყვარულს გულისხმობს. ადამიანებს გვიყვარს რაღაც-რაღაცების გაიდეალება, მით უმეტეს ისეთი ამოუცნობი გრძნობის, რომელსაც სიყვარული ჰქვია და გვჩვევია თქმა — სიყვარული ერთხელ მოდის მხოლოდო. მაგრამ რეალობა სულ სხვა რამეზე მეტყველებს: სიყვარული ცხოვრებაში რამდენჯერმე მოდის და სხვადასხვაგვარად აძგერებს გულს. პირველი სიყვარული, რომელიც ადრეულ ასაკში ჩნდება, უმწიკვლო, დაუვიწყარი და განუმეორებელი განცდების მომტანია. უფრო გვიან მოსული გრძნობა, ვნებასა და ურთიერთლტოლვაზეა დამყარებული. ჩვენი დღევანდელი მსჯელობის საგნად კი ის გრძნობა ავირჩიეთ, რომელიც უკვე ბებიობისა და ბაბუობის ასაკს მიღწეულ ადამიანებს შორის ჩნდება. რესპონდენტებთან საუბრით ვეცდებით, გავცეთ პასუხი იმ კითხვებს, რომლებიც ჩვენ, შედარებით ახალგაზრდა ადამიანებს გვებადება, როდესაც შევიტყობთ, რომ 50 წელს გადაცილებულ 2 ადამიანს ერთმანეთი შეუყვარდა და გვიკვირს, როდესაც ისინი ამ გრძნობისთვის მსხვერპლის გასაღებადაც მზად არიან.



სიყვარული მოხუცემულობის ჟამს ანუ რაღომ არის „სულ სხვა, სიყვარული უკანასკნელი“...

მარი ჯაშარიძე

ბატონი ფრიდონი 64 წლის გახლავთ. უკვე 10 წელია, ქვრივია და ამ ერთი წლის წინ, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ უზომოდ შეყვარებულია. ჩვენი საუბარი კი მისი პირველი სიყვარულის გახსენებით დავიწყეთ.

— უმაღლესი სასწავლებელი გასული საუკუნის 60-იან წლებში დავამთავრე. განაწილებით მოვხვდი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. რაიონიდან ჩამოსული ბიჭი ვიყავი, სულ მალე ბინაც მომცეს და რუსთავში დავფუძნდი. ჯერ კიდევ უცოლო ვიყავი, როდესაც იმერეთში, ჩემს სახლს მეხი დაეცა და მთლიანად დაიწვა. ავდექი და მშობლები საცხოვრებლად ჩემთან ჩამოვიყვანე. ჩემს საამქროში ერთი ნაზი და სათნო გოგონა მუშაობდა. ისიც ჩემსავით, განაწილებით იყო მისული ქარხანაში და საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ჩვენ შორის დიდი გრძნობა გაჩნდა და მალე გადაწყვეტილებაც მივიღეთ, რომ უნდა გვქორწინა. როდესაც ჩემს მშობლებს ამის შესახებ შევატყობინე, დედაჩემი ლამის გადაირია: ქალაქელი გოგოები გამოილია, ვიღაც სოფლელი რომ არ მოათრიო, თანაც — „ოფშეუიტელიო“! ისე აღშფოთდა, ვითომ თვითონ იმერეთის ტალახი ტუფლის ძირზეც არასოდეს მოსცხებია. ჯერ გამიკვირდა, მერე — გავბრაზდი და შინიდან წავედი. მე და თამარმა ბინა ვიქირავეთ და მაინც დავქორწინდით. მალე მასაც ერგო ქარხნიდან ოროთახიანი ბინა და უკვე საკუთარი ჭერიც გაგვიჩნდა. ორი შვილი შეგვეძინა — ლია და გურამი. დედაჩემი მხოლოდ მეორე შვილის გაჩენის შემდეგ შემოგვირიგდა.

— **ბედნიერი ოჯახი გქონდათ?**

— კი, მართლა ბედნიერები ვიყავით. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ცოლისთვის ერთხელაც არ მიღალატია. ლიასა და გურამს შორის სხვაობა ზუსტად ერთი წელი იყო. თამარს უჭირდა ორი პატარის მოვლა, ამიტომ ძალ-ღონეს არ ვიშურებდი საიმისოდ, რომ მისთვის შრომა შემემსუბუქებინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ჯანმრთელი გახლდათ, მაინც ჩემზე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. 54 წლის ასაკში გარდაიცვალა. ძალზე მძიმედ გადავიტანე მისი სიკვდილი, თითქოს სულ მარტო დავრჩი. ჩემი ბინა, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ, გურამს ვაჩუქეთ, ჯერ კიდევ თამარის სიცოცხლეში. ლია გათხოვილი გახლდათ და ქმრის ოჯახში ცხოვრობდა. მე კი, ჩემი და თამარის ბინაში ვიყავი. შინ დაბრუნებულს მეჩვენებოდა, რომ კედლებიც კი ცივი იყო. მთელი დღის განმავლობაში რა უნდა მეკეთებინა?.. ქარხანაში აღარ ვმუშაობდი, ამიტომ დრო თავზე საყრელი მქონდა და მთელ დღეებს სახლის წინ, სკვერში ვატარებდი, სადაც ჩემი კბილა პენსიონერები იკრიბებოდნენ ხოლმე. ხან ჭადრაკის თამაშით ვირთობდით თავს, ხან — საუბრით. ერთხელ, დილით, უთენია გამოვედი შინიდან და სკვერისკენ გავემართე. მერხზე ჩამოვჯექი და გამვლელ-გამომვლელს ვადევნებდი თვალყურს, როდესაც შევნიშნე, რომ ვიღაც ასაკოვანი ქალი უცნაურად ადგამდა ნაბიჯებს. მივხვდი, რომ ცუდად იყო. წამოვდექი, ხელი შევაშველე, ჩანთა გამომიწოდა და თვალით მანიშნა, გახსენიო... ხმას ვერ იღებდა. მივხვდი, მისი „მშველელი“ სწორედ ჩანთაში იქნებოდა. სხვადასხვანაირი წამლით სავსე ცელოფანის პარკი ამოვიღე. თვითონვე მანიშნა, რომელი უნდა მიმეწოდებინა. აბი პირში ჩაიდო და 10-15 წუთის შემდეგ, სახეზე ფერიც დაუბრუნდა. შევთავაზე — აქვე ვცხოვრობ, ჩემთან წამოდით, ჩაის დაგალევინებთ, ცოტა მომჯობინდებით და მერე წახვალთ თქვენი გზით-მეთქი. სხვა გზა მაინც არ ჰქონდა. თითქმის საღამომდე შევყევით საუბარს. ისიც ქვრივი ყოფილა, ორი ბიჭის დედა, რძლები, ერთმანეთის ჯიბრით, ყურადღებას არ აქცევდნენ. უმცროს შვილთან ცხოვრობდა, სადაც მხოლოდ ერთ ოთახში ყოფნის უფლება ჰქონდა. მინისამზარეულოც იქვე ჰქონია მოწყობილი და საკუთარი პენსიით ირჩენდა თავს... ამის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, ერთი წლის შემდეგ კი მივხვდი, რომ პატარა ბიჭივით შეყვარებული ვიყავი. ხელიხელჩაკიდებული დავდიოდით, კაფეშიც ხშირად ვეპატიჟებოდი. ამ ქალსაც ჩემი პირველი ცოლის სახელი — თამარი ჰქვია.

— **სიყვარულში გამოუტყდით?**

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეროვნული უბის წიგნაკიდან:

1. ერქვანი და გუთანი სინონიმებია.
2. სუმოს მოჭიდავეთა საასპარეზო რინგს დოჰიო ჰქვია.
3. მედიევისტიკა შუა საუკუნეების ისტორიას შეისწავლის.
4. ნიკა ქავთარაძე რეპერებს სახალხო მთქმელებს ეძახის.
5. შვრიის ფაფა ინგლისელ ჯენტლმენთა საფირმო კერძია.
6. რომში კოლიზეუმი ვესპასიანეს იმპერატორობის დროს აიგო.

7. რუზველტი შარლ დე გოლს წუნია პატარძალს ეძახდა.
8. რომის პაპს ფიდელ კასტრო ეკლესიისგან ჰყავს განკვეთილი.
9. დაბალ დგომს კრივსა და სათხილამურო სპორტში კრაუჩი ჰქვია.
10. ვიქტორ ჰიუგო და ალექსანდრე დიუმა გულითადი მეგობრები იყვნენ.
11. ამერიკასთან ომის დროს ვიეტნამს საერთოდ არ ჰყავდა საჰაერო ძალები.
12. „ტიტანიკის“ ტრაგედიის დროს მისი ეკიპაჟის 700 წევრიდან 560 დაიღუპა.
13. რუზველტი პოლიომიელიტით იყო დაავადებული — ფეხები სპაგეტის მიუგავდა.
14. კავშა და კოჭბროლი სინონიმებია. ასე ეძახდნენ საქართველოში თეთრფეხება ცხენს.
15. „კაშილიოკ მაია სამაია ეროგენნაია ზონა“, — ამტკიცებს მსახიობი კლარა ნოვიკოვა.
16. 30 ოქტომბერს საფეხბურთო კლუბ „როსტოვის“ მოთამაშე მაქსიმ ბუზნიკინს, მატჩის დროს (რომელშიც მან გოლიც გაიტანა) გაუძარცვეს ბინა.
17. საინგილოში გახურებულ თონეში პირველად სამ მხარეს წაგრძელებულ დიდ პურს აცხობენ. ამ პურის ერთი მხარე ძაღლისაა, მეორე — კატის და მესამე — ბავშვის.
18. ჰუნების ლეგენდარულ მეფეს, ატილას, საკუთარმა ბიძამ ასწავლა ცხენზე ჯდომა, სანამ იგი სიარულს ისწავლიდა, ხოლო მშვილდ-ისრის ხმარება — სანამ ხუთი წლის გახდებოდა.
19. პიერ კარდენის სახელს 800 დასახელების სხვადასხვა ნივთი ატარებს. მისი სახელობისაა ბევრი თეატრი, სასტუმრო, სააგენტო და რესტორანი. „მე მომწონს იმ ნივთების

— *(დაირცხვინა)* კი...

— **ღელავდით?**

— ოჰ, ისე ვღელავდი, რომ ლამის გული წამივიდა. ჩემთან, სახლში ვიყავით, როდესაც ყურში ჩავჩურჩულე, მიყვარხარ-მეთქი. ისიც პატარა გოგოსავით გაწითლდა, აირია, ხელები აუკანკალდა და ძლივს ამოთქვა — მეცო... ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ, მაგრამ ვიდრე ამ ნაბიჯს გადავდგამდით, გადავწყვიტეთ, ჯერ შვილებისთვის გვეცნობებინა. მისი შვილები და რძლები აღფრთოვანდნენ კიდეც თამარის გადაწყვეტილებით, მაგრამ ჩემი შვილებისგან ისეთ წინააღმდეგობას წავაწყდი, რომ ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. მეჩხუბებოდნენ, ხმამაღლა მიყვიროდნენ: რა გაკლია, რით ხარ უკმაყოფილო, ეს ბებერი კაცი რამ აგაცუნდრუკა, რა ცოლის მოყვანა და ქორწილი აგიტყდაო?!. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ ასეთ ამბავს ამიტეხდნენ. ბოლოს, გურამმა დაუფარავად მომახალა — ორი ბიჭი მყავს, ორივეს ბინა სჭირდება, შენ კი იმ ქალის შვილებსა და შვილიშვილებს უნდა დაუტოვო შენი სახლიო? მივხვდი, რაშიც ყოფილა საქმე და ძალზე მეტკინა გული. იმ სახლს სამარეში ხომ არ წავიღებმეთქი?! — ვუთხარი. — შენ რომ უფრო ადრე მოკვდე, ის ქალი შენს ბინას ჩვენ აღარ დაგვითმობსო! — მიპასუხა. ჩემი ბინის გასაღები წამართვეს, საცხოვრებლად თავისთან გადამიყვანეს და თამარზე ფიქრიც კი ამიკრძალეს. რომ ვერაფერი გავაწყვე, ავდექი და სასამართლოში ვუჩივლე. რა თქმა უნდა, პროცესი ჩემი გამარჯვებით დასრულდა. აღმასრულებელმა ბინის გასაღები ჩამაბარა. მეორე დღესვე, თამარი ჩემთან გადმოვაბარგე და ტკბილად და ბედნიერად ვცხოვრობთ... ახალგაზრდობაში მშობლების წინააღმდეგობას წავაწყდი, მოვხუცდი და — შვილები არ მაძლევენ გასაქანს, რომ ჩემს ნებაზე ვიცხოვრო. ახლა კიდევ, დგანან და მთელ ნათესაობას ჩემს წინააღმდეგ ამხედრებენ — აქაოდა, მამაჩვენმა ჩვენს თავს სხვისი ბებერი ამჯობინა, სასამართლოში გვიჩივლა და შვილიშვილი უბინაოდ დატოვაო... მათ ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქცევ.

— **თქვენ და თამარმა ქორწილი გადაიხადეთ?**

— კი, პატარა წვეულება მოვაწყვეთ და ჩვენი რამდენიმე მეგობარი დავპატიჟეთ. თამარს საგანგებოდ ამ დღისთვის — ახალი კაბა და მართალია, უბრალო, მაგრამ 5-ლარიანი ბეჭედიც ვუყიდე. ახლა ჯვარსაც დავიწერთ.

— **როგორ გგონიათ — რომელი სიყვარულია უფრო ძლიერი?**

— მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. პირველად რომ დავქორწინდი, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ჯან-ღონით სავსე. სიკვდილზე არც ვფიქრობდი, სიცოცხლე მიხაროდა და უზომოდ მიყვარდა... ახლა, როცა ვიცი, რომ ცხოვრების უმეტესი ნაწილი გავლილი მაქვს და არავინ იცის, ხვალ არ იქნება, ეს სიყვარული თითქოს უფრო ტკბილია. ოქტომბრის ბოლოს, როცა ზამთრის წინ მზე კიდევ ერთხელ დააცხუნებს ხოლმე, ამ პერიოდს რუსები Бабье лето-ს ეძახიან. სწორედ ეს პერიოდი დგას ახლა ჩემს ცხოვრებაში. თამარსაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები. ის ხომ ახალგაზრდა აღარ არის და იმდენი აღარ შეუძლია, რამდენიც წინათ...

ქალბატონი ელენეც უკვე 60 წელს გადაცილებული გახლავთ და მეორე სიყვარული, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, პირველს არაფრით ჩამოუვარდება, სწორედ ახლა ეწვია.

— პირველად 35 წლის ასაკში გავთხოვდი ცოლგაყრილ მამაკაცზე. 10 წელი ვიცხოვრეთ ერთად. უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი და მუდამ იმის ცდაში ვიყავით, რა გვესიამოვნებინა ერთმანეთისთვის. საერთო შვილი არ შეგვეძინა. ამიტომ საზრუნავი თითქმის არაფერი გვქონდა და დრო რაში დაგვეხარჯა, აღარ ვიცოდით. მისი ორი შვილი დედასთან ცხოვრობდა, მაგრამ ჩვენთანაც ხშირად მოდიოდნენ სტუმრად. მე ყოველთვის გულღიად და მხიარულად ვხვდებოდი, სასეირნოდაც დამყავდა და საჩუქრებსაც ვუძღვნიდი ხოლმე. ჩემი მეუღლე აფასებდა ჩემს ასეთ დამოკიდებულებას და ყოველთვის, ნებისმიერ სურვილს მისრულებდა. შემდეგ ის გარდაიცვალა. მეგონა, რომ ცხოვრება დამთავრდა. ძალზე განვიცადე. თითქოს მიწა გამომეცალა ფეხქვეშ. გულით ვნატრობდი, რომ მეც მალე მოვმკვდარიყავი... როგორც ყოველთვის ხდება, ჩემმა ტკივილმაც ნელ-ნელა გაიარა; წლები ისე გავიდა, რომ მამაკაცისკენ აღარც გამიხედავს. ჩემი ქმრის მონატრების სურვილს მისი გოგონები მივსებდნენ, ამიტომ მათთან კონტაქტი არ გამიწყვეტია. ორივეს ოჯახი აქვს და მათთან ყოველთვის მიღებული და სასურველი სტუმარი გახლავართ. საკუთარი შვილები რომ მყოლოდა, მათზე მეტად ალბათ, არც მეყვარებოდა... ამ რამდენიმე ხნის წინ, გაზაფხულზე, მეზობელმა ჩემთან წყალი ჩამოუშვა. ვინაიდან მას არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ჩემი ჭერი შეეკეთებინა, გადავწყვიტე, მე თვითონ მიმეხედა ამ საქმისთვის. ერთ-ერთ სიძეს მივადექი, რომელსაც თავისი ბრიგადა ჰყავს და რემონტებს აკეთებს. ვთხოვე — ცემენტს, გაჯს და ყველა მასალას ვიყიდი, შენ მხოლოდ ოსტატი გამომიგზავნე, რომ კარგად შემიკეთოს ჭერი-მეთქი. გამეხუმრა — ერთი ქვრივი კაცი მყავს ჯგუფში და იმას გამოგიგზავნი, იქნებ, შენც საშველი დაგადგეს და მასაცო... მაშინ მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. როდესაც ოსტატი მოვიდა, გამიკვირდა, რომ ასეთი კარგი გარეგნობისა და ინტელიგენტური იერის მქონე ადამიანს შეეძლო ხელოსნად მუშაობა... მოკლედ, დათომ თავის საქმეს 3 დღე მოანდომა. ამასობაში ერთმანეთი გავიცანით. როდესაც თავისი ხელსაწყოები ჩაალაგა და წავიდა, გული დამწყდა. უკვე იმაზე

ფიქრიც კი დავიწყე, მთელ ბინაში ხომ არ გავაკეთო რემონტი-მეთქი?.. მაგრამ ეს არ დამჭირდა, რადგან რამდენიმე დღეში, დათო ისევ შემეხმიანა, ხოლო საღამოს, ყვავილების თაიგულით ხელში მეწვია სტუმრად. ის ჩემზე 5 წლით უმცროსია, უკვე მოზრდილი, დაოჯახებული შვილები და 6 შვილიშვილი ჰყავს. მისმა სიყვარულმა ისე გადამრია, რომ გაახალგაზრდავება გადავწყვიტე: თმა შევიღებე, კაბა დავიმოკლე და წარმოვიდგინე, რომ პატარა გოგო ვიყავი. სწორედ ისე ვიყავი შეყვარებული, როგორც პირველად, 17 წლის ასაკში. ისეთივე გულისფანცქალით ველოდი პირველ კოცნას... ვიბუტებოდი, ვურიგდებოდი, ტუჩებსაც ძველებურად ვბერავდი, როცა რაიმე მწყინდა. მერწმუნეთ, ეს საოცარი გრძნობაა. სხვას რომ მოეყოლა, არ დავიჯერებდი. როცა ცხოვრებაზე ხელი ჩავიქნიე, სწორედ მაშინ ვიპოვე ჩემი ბოლო სიყვარული.

— მალე დაქორწინდით?

— 4 თვის შემდეგ. მისი შვილები ძალზე კარგად შეხვდნენ ჩვენს გადაწყვეტილებას. იცით, როგორ გამიჭირდა მათთან პირველი შეხვედრა?!. სირცხვილით ვიწვოდი, ვნერვიულობდი... დათო მამშვიდებდა, — ყველაფერი კარგად იქნებაო, — მეუბნებოდა... მაინც ამით ვერ ვმშვიდდებოდი. შემდეგ, ისინი ისე თბილად შემხვდნენ და ისე კარგად მიმიღეს, რომ დაძაბულობა ერთბაშად მომეხსნა.

— ქორწილი გადაიხადეთ?

— კი, საკმაოდ დიდი წვეულება გავმართეთ. ასამდე სტუმარი გვყავდა მოწვეული — ჩემი, მისი ნათესავები... საგანგებოდ შევიკერე თეთრი კოსტიუმი და საპატარძლო „ბუკეტიც“ მეჭირა ხელში, რომელიც ჯვრისწერის შემდეგ ხელუკუღმა ვისროლე და დათოს 18 წლის შვილიშვილმა დაიჭირა. ჩემს ცხოვრებაში მეორე გაზაფხული დადგა...

საინტერესოა, სოლიდურ ასაკში მოსული სიყვარულის შესახებ რა კომენტარს გააკეთებს ფსიქოლოგი. ეს კითხვა ქალბატონ **მარინა რეხვიაშვილს** *დავუსვით და აი, რა გვიპასუხა ფსიქოლოგმა:*

— ძალზე საინტერესო ფენომენია ის გრძნობა, რომელიც ადამიანს ამ ასაკში ეწვევა ხოლმე. როდესაც 50-60 წლის ადამიანები მარტონი რჩებიან, ისინი ძალზე მწვავედ განიცდიან ამას. ასეთ დროს, უმეტეს შემთხვევაში, მათი შვილები დაოჯახებული არიან, თავიანთი ცხოვრება აქვთ, უმეტეს დროს შვილებსა და მეუღლეებს უთმობენ და შესაძლოა, მშობელი მხოლოდ მაშინ გაახსენდეთ, როდესაც სადმე წასასვლელად ემზადებიან და ბავშვების დატოვების პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. ამ ასაკში ადამიანს ესაჭიროება ურთიერთობა საპირისპირო სქესთან, რომ თავი დაჯერებულად იგრძნოს. აქედან გამომდინარე, თუ იქნება შესაძლებლობა, რომ ორი ადამიანი ერთმანეთს დაუკავშირდეს, ამას დიდი სიყვარული მოჰყვება ხოლმე. ერთხელ ჩემთან მოვიდა პაციენტი, რომელიც 50 წლის გახლდათ და ჯერ კიდევ გაუთხოვარი იყო. მამა ადრე დაღუპვია, ხოლო დედა 72 წლის ასაკში მეორედ გათხოვილა. ამ ქალბატონს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემა შეექმნა იმის გამო, რომ თვითონ ერთხელაც ვერ გათხოვდა, ხოლო დედამისმა მოხუცებულობის ჟამსაც მოძებნა მეწყვილე... ბოლოს დავძენ: როგორც წესი, ამ ასაკში მეუღლეები ყველაზე ერთგულნი არიან, ერთმანეთს მზრუნველობით ეკიდებიან და თავს ბედნიერად გრძნობენ. ■

გელფრენდი—ბოიფრენდი ქართულ სინამდვილეში



„...დედაჩემმა, ატირებულმა მითხრა — იმისთვის გაგზარდე, რომ ოჯახისთვის ლაფი დაგესხა?!. ნუცა ანგელოზივით გოგოა და თუ მაინცდამაინც ერთად გინდათ ცხოვრება, დაოჯახდით და ჩვენც დავწყნარდებითო...“

„გადაჭრით იმის თქმა, რომ საჭირო, შეყვარებულმა წყვილმა დაქორწინებამდე, ერთად იცხოვროს, არ შეიძლება. ჩვენი მენტალიტეტიდან, ქალიშვილობის ინსტიტუტიდან გამომდინარე, ამ ნაბიჯის გადადგმა ძალზე ძნელია“...

საქართველოში გელფრენდ-ბოიფრენდის ურთიერთობებს ახალგაზრდების ერთი ნაწილი მხარს უჭერს, მეორე კი, დიდი სიფრთხილით ეკიდება. რას ფიქრობენ თავად ახალგაზრდები ამ პრობლემაზე, რამდენად განსხვავდება გოგონებისა და ვაჟების შეხედულებები და რას გვკარნახობს ამ სფეროში უკვე გამოცდილი წყვილის ტკბილ-მწარე გამოცდილება, — ყოველივე ამის შესახებ, რუბრიკით — „თემა“ — „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

გარემოცვაში ცხოვრება, რომლებიც ჩემს სახელს ატარებენ,“ — ამბობს პარიზელი მოდელიერი.

20. „უკვდავნი“ — ასე ერქვა სპარსეთის მეფის, დარიოსის, საუკეთესო მეომრებისგან შემდგარ გვარდიას. მათი რაოდენობა ყოველთვის 10000 იყო — არც ერთი ჯარისკაცით მეტი და არც ერთი ჯარისკაცით ნაკლები. როდესაც რომელიმე მათგანი ბრძოლაში კვდებოდა, მის ადგილს მყისვე ახალი მეომარი იკავებდა და ამიტომაც ეძახდნენ უკვდავებს.

21. უოლტ დისნეი ბევრს ეწეოდა, რის გამოც საშინლად ახველებდა. ხველების გამო ოფისში დისნეის მისვლა შორიდანვე ესმოდათ .და მის გამოჩენისთანავე ყველგან წესრიგი ისადგურებდა.

22. რუსი გლეხები თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთში სხვადასხვა ადგილას შუშის გამჭვირვალე ჭიქას მიწაზე პირქვე დებდნენ და ასე ტოვებდნენ. სადაც უფრო მეტად იორთქლებოდა ჭიქა, სავარაუდოდ იქ უფრო მეტად იყო წყალი მიწის ზედაპირთან ახლოს მომდგარი და ჭასაც იქ თხრიდნენ.

23. კენიაში მოხდა აქამდე გაუგონარი შემთხვევა. ველურ ბუნებაში მობინადრე ძუ ლომმა ანტილოპის ნაშიერი საკუთარი რძით გამოზარდა. იგი დიდი ხნის განმავლობაში თავგამოდებით იცავდა შვილობილს სხვა მტაცებლებისგან. მხოლოდ ერთხელ მოადუნა ყურადღება და პატარა ანტილოპა მაშინვე ხვადმა ლომებმა დაგლიჯეს.

24. II მსოფლიო ომის დროს პირველი დახმარება ამერიკისაგან ინგლისის სამხედრო ფლოტმა მიიღო. მეზღვაურებს დაურიგეს მუყაოს ყუთები, რომელშიც ერთი ფორთოხალი, ორი ვაშლი, ერთი ბანანი, 450 გრამი დაკონსერვებული ყველი და თამბაქო იდო. ყველა ყუთში იყო წერილი, რომელშიც ამერიკის პრეზიდენტი წარმატებას უსურვებდა ბრიტანელ ჯარისკაცებს.

25. ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში იტალიის ტერიტორიაზე შოშიების დიდი გადაფრენაა. ამ ულამაზეს სანახაობას ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს და უკლებლივ ყველა მათგანს, გაზეთი აქვს თავზე გადაფარებული.

სად ბინადრობს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ)

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

უკვე 20 წელზე მეტია, რაც აივ-ი „დასეირნობს“ მსოფლიოში და ამ ვირუსის გამოკვლევაზე უკვე უამრავი ფული დაიხარჯა. ნებისმიერი გზით დასნებოვნების ალბათობა, პროცენტის მეასედის სიზუსტითაა გამოთვლილი. მიუხედავად ამისა, ბევრს აივ, არა მხოლოდ საშიშ, არამედ მეტისმეტად იოლად გადამდებ ვირუსად მიაჩნია. თუმცა, ეს მთლად ასე არ არის.

აივ არ გადადის...

...კოცნისას

ჯერ ერთი, ვირუსი არ არის ნერწყვში; მეორეც — ყბადაღებული მიკროჭრილობები და ნაკაწრები, რომლისაც ასე ეშინიათ შიდსოფობებს, დასნებოვნების მხოლოდ თეორიულ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს. დასნებოვნება რომ მოხდეს, ჭრილობა ძლიერ სისხლმდენი უნდა იყოს, ხოლო კოცნა — მეტისმეტად ხანგრძლივი;

...ხელის ჩამორთმევისას და შეხებისას

დაუზიანებელი კანი საიმედოდ იცავს ადამიანს ვირუსის შეჭრისგან. საშიშია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა ღია სისხლმდენ ჭრილობაში ხვდება დიდი რაოდენობის ვირუსით გაჯერებული სისხლი;

...როცა სისხლს ვაბარებთ

დასნებოვნების ალბათობა აბსოლუტურად გამორიცხულია, თუ სისხლს ერთჯერადი ინსტრუმენტით იღებენ (სხვაგვარს დღეს არც იყენებენ);

...ტუალეტიდან, სააბაზანოდან, აუზიდან და აბანოდან

ჰაერსა და წყალში აივ-ი სწრაფად იღუპება. ამასთან, კანი ვირუსისაგან ორგანიზმის დამცავი მშვენიერი ბარიერია. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოურიდებლად ჩამოჯდეთ ვაგზლის ტუალეტის სკამზე და ფეხშიშველმა იაროთ საზოგადოებრივ აბანოში. ამგვარად, იმუნოდეფიციტის ვირუსით არა, მაგრამ კანის დაავადებით ნამდვილად დასნებოვნდებით;

...პრსახოცით, ტანსაცმლითა და ჭურჭლით

ადამიანის ორგანიზმის აივ-ის შემცველი რომელიმე სითხეც (სისხლი, სპერმა, საშოს სეკრეტი ან დედის რძე) რომ მოხვდეს ქსოვილზე ან ჭურჭელზე, ისინი საშიშროებას მაინც არ წარმოადგენს, რადგან ვირუსი ჰაერშივე იღუპება;

...მწერის კბენისას

კოღოები, ტკიპები და სხვა მკბენარები ჩვენს სისხლს სვამენ, მაგრამ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი მათ ორგანიზმში ვერ ცოცხლობს და ვერ მრავლდება.

ამგვარად, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელების გზა უფრო ცოტაა, ვიდრე ბევრს ჰგონია. თუმცა, ეს მოდუნების საშუალებას როდი გვაძლევს, რადგან დაავადება კვლავ მძვინვარებს მსოფლიოში და ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები არ იყენებენ სათანადო თავდაცვის საშუალებებს თავიდან მის ასაცილებლად. ■

აივ გადაეცემა	წილი დასნებოვნებულთა შორის (%)
სქესობრივი გზით	70-80
საინიექციო ნარკოტიკების გზით	5-10
ორსული ან მეძუძური დედისგან შვილს	5-10
დაავადებულის სისხლის გადასხმისას	3-5
მედიცინის მუშაკთა პროფესიონალური საქმიანობისას	0,01-ზე ნაკლები

პრეზერვატივი — უძილობის წამალი

თუ უძილობა გაწუხებთ, გირჩევთ, სექსით ნაკლებად დაკავდეთ. ფრანგი ექიმების ვარაუდით, უძილობა გადაეცემა... სქესობრივი გზით!..

უკანასკნელი კვლევების თანახმად, საფრანგეთის მოქალაქეთა დაახლოებით 50%-ს დარღვეული აქვს ძილი, თანაც მათი უმეტესობა — ქალია; მათი 67% საძილე საშუალებებს იღებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უძილობა „ქალთა დაავადებაა“.

საინტერესოა, რატომ „აირჩია“ მსხვერპლად უძილობამ მაინცდამაინც მშვენიერი სქესის წარმომადგენლები?.. სწორედ ამ საკითხის გარკვევა გადაწყვიტეს ფრანგმა ექიმებმა და დაადგინეს ასეთი კანონზომიერება: ქალებს ძილთან დაკავშირებული პრობლემები მაშინ აქვთ, როდესაც ორგანიზმში მომატებულია ქალის სექსუალური ჰორმონი — ესტროგენი.

ცნობილია, რომ ღრმა და ხანგრძლივ ძილზე პასუხისმგებელია ტვინის მიერ გამოყოფილი მელატონინი. ეს ჰორმონი მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის და ადამიანს რული ეპარება. ექიმებმა გულდასმით შეისწავლეს იმ პაციენტი ქალების ცხოვრების წესი, ვისაც უძილობა აწუხებდა და აღმოაჩინეს, რომ ძილის პრობლემა დაკავშირებულია არა მავნე ჩვევებთან ან სტრესთან, არამედ... სექსთან! ქალები, რომლებიც კვირაში ერთხელ მაინც არიან სექსით დაკავებული, შემდეგ უძილობას ებრძვიან. ტესტების მეშვეობით ექიმებმა დაადგინეს: ეს მაშინ ხდება, როდესაც ქალის ორგანიზმში მამაკაცის სპერმა შეაღწევს; სპერმაში არის ნივთიერება, რომელიც ურთიერთმოქმედებს ესტროგენთან და გავლენას ახდენს მელატონინზე; ამ დროს, ჰორმონის გამოყოფის სადღეღამისო რიტმი ირღვევა და შედეგად, ქრონიკული უძილობა ვითარდება.

თუ კონტაქტი საღამოს მოხდა, ქალს უფრო უძნელდება დაძინება. სისტემატური სექსი სასარგებლოა ორგანიზმის ტონუსის ასამაღლებლად, მაგრამ შესაძლოა, ქრონიკული უძილობაც დაგჩემდეთ. ამიტომ, ფრანგი ექიმების რეკომენდაციით, საჭიროა პრეზერვატივის გამოყენება, რომელიც ორგანიზმს სპერმის მავნე გავლენისგან დაიცავს და მშვიდ ძილსაც მოგგვრით. ■

თუკი თქვენ გაწუხებთ...

...ჰემოროი

რაც შეიძლება სწრაფად გადადით ჯანსაღ, სრულფასოვან კვებაზე. დეფეკაციისას ერიდეთ მეტისმეტ დაძაბვას. თუ რაციონში ხილსა და ბოსტნეულს ჩართავთ, კუჭის მოქმედება მალევე მოგიწესრიგდებათ. ამისათვის იდეალური ხილია: ვაშლი, მსხალი, შავი ქლიავი, ავოკადო, ანანასი, ლეღვი, კომში, ხურტკმელი, ყურძენი. ბოსტნეულიდან კი, სასურველია: ბადრიჯანი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, ხახვი, ბოლოკი, ნიახური, ისპანახი. ჰემოროიდული ტკივილების შესამსუბუქებლად კარგია აბაზანები (მაგალითად, გვირილისა) დღეში რამდენჯერმე, აგრეთვე — ცივი კომპრესები;



...დაბალი წნევა

დაგეხმარებათ სპორტი, ვარჯიში და სხვაგვარი ფიზიკური დატვირთვა, რომელიც ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას და ტონუსში ამყოფებს ძირითადი ჯგუფის კუნთებს. გარდა ამისა, ძალზე სასარგებლოა კონტრასტული და ცხელი აბაზანები, კონტრასტული შხაპი და მასაჟი. დაბალწნევიანებისთვის რეკომენდებულია მარილიანი კერძები. წნევის მოსამატებელი მსუბუქი საშუალებაა მაგარი ჩაი, რომელიც ბუნებრივ მატონიზებელ ნივთიერებებს შეიცავს;

...წელკავი

თქვენთვის პირველ რიგში, წოლითი რეჟიმია აუცილებელი; საწოლი სწორი და მაგარი უნდა იყოს. გარდა ამისა, სასურველია მასაჟი, თბილად შეხვევა, თბილი და ცხელი აბაზანები. პერიოდულად ფეხები ისეთ მდგომარეობაში მოათავსეთ, რომ ისინი თავზე ოდნავ მაღლა მდებარეობდეს. წელკავისას მოერიდეთ ორპირს, სიცივეს, სინესტეს. ტანსაცმელი უნდა იყოს თბილი, განსაკუთრებით — წელის არეში. მნიშვნელოვანია დამათბობელი ქამრის ან დამჭერი ბანდაჟის ტარება. თუ ხშირი შეტევა გაქვთ, გირჩევთ, თავს გაუფრთხილდეთ, წელი გამუდმებით თბილად გქონდეთ, ნუ ასწევთ სიმძიმეებს, ნუ იმუშავებთ ხანგრძლივად ერთსა და იმავე უხერხულ და არაბუნებრივ მდგომარეობაში. ჯდომისას დროდადრო შეიცვალეთ პოზაც. თუ მანქანას მართავთ და სავარძელი მეტისმეტად რბილია, გირჩევთ, იგი მყარი და მაგარი სავარძლით შეცვალოთ. იმავე ხერხს მიმართეთ სამსახურშიც. სკამი ოდნავ წინ უნდა იყოს გადახრილი. ზურგი სწორად უნდა გეჭიროთ. სამუშაო დღის განმავლობაში, ზურგის კუნთების მსუბუქი ვარჯიში ჩაიტარეთ;



...ღვიძლობა

ეცადეთ, ძილის წინ მოდუნდეთ და რაიმე სასიამოვნოზე იფიქროთ. ისეირნეთ ძილის წინ, ცოტა წაიკითხეთ, მიიღეთ თბილი აბაზანა მომადუნებელი მცენარეებით, მოუსმინეთ სასიამოვნო მუსიკას. ვახშმობისას ნუ შეჭამთ ნოყიერ, ცხიმიან საკვებს. სრულფასოვანი ძილისთვის მნიშვნელოვანია ტრიპტოფანის საკმაო რაოდენობით ტვინისთვის მიწოდება. ამ ამინომჟავას შეიცავს ბოსტნეული. ტკბილი ხილი კი, ხელს უწყობს, სისხლის ნაკადთან ერთად ტვინში მის მოხვედრას. ტვინის გარკვეული უჯრედები მისგან ასინთეზებს სეროტონინს, ამ უკანასკნელისგან კი, ძილის ჰორმონი — მელატონინი წარმოიქმნება.

კვების რაციონის ფორმირებისას, უპირატესობა მიანიჭეთ ახალ ხილს, სოიის პროდუქტებს, ბანანს, ისპანახს, კანიანად მოხარშულ კარტოფილს, მზესუმზირას. არ გამოგრჩეთ ფინიკიც, რომელიც ძველი დროიდან მოყოლებული, მსუბუქ საძილე საშუალებად ითვლება. ძილის წინ 5-7 ცალის მიღება მშვიდი ძილის გარანტიას მოგცემთ.

მკაცრად დაიცავით დღის რეჟიმი, დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს დაწექით. მნიშვნელოვანია ორგანიზმის ფიზიკური დატვირთვა, სუფთა ჰაერზე ყოფნა, დაწოლამდე, საძინებელი ოთახის განიავება. ■

...ეაც	საგნის საზღვრული ზომები	ბესიკი „... ტატანო“	ყველაზე მაღალი მწვერვალი დედამიწაზე	საქარგავი ძაფი	თევზის ჯიში	დათვის ნაშიერი

...ატვიის დაქალაქი	რეალითი-შოუ „ჯეო-...“	ყვავილი	ის, ვინც ააგო კიდობანი	მდინარე თბილისში	საქმისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი	ბაღჩეული	ვინ მოკლა კაენმა

მთავარანგელოზობა — ხსენება ყოველთა უხორცო ზეციურ ძალთა

21 ნოემბერს, მართლმადიდებელი ეკლესია მთავარანგელოზ გაბრიელისა და სხვა უხორცო ზეციურ ძალთა კრებას აღნიშნავს, რომელიც მთავარანგელოზობის დღესასწაულის სახელწოდებითაა ცნობილი. ანგელოზებისადმი თაყვანისცემა დადგინდა ლაოდიკიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე, რომელიც IV საუკუნის დასაწყისში, ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებამდე რამდენიმე წლით ადრე გაიმართა. გადაწყდა, რომ დღესასწაულის აღნიშვნა მარტიდან (საიდანაც ძველად წელიწადის ათვლა იწყებოდა) მეცხრე თვეს — ნოემბერში, ანგელოზთა ცხრა დასის პატივსაცემად მომხდარიყო. რაც შეეხება მთავარანგელოზობის აღნიშვნას მერვე დღეს — ეი. 8 ნოემბერს (მთავარანგელოზობა აღინიშნება 8 ნოემბერს ძველი სტილით, რომლითაც ხელმძღვანელობს მართლმადიდებელი ეკლესია) — დადგინდა ნიშნად იმისა, რომ წმინდა მამები „დღესა მერვესა“ უწოდებენ უფლის მეორედ მოსვლასა და საშინელ სამსჯავროს: „რვა მისტიკური რიცხვია, იგი დიდი საიდუმლოებითაა მოცული. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ რვა რიცხვშია მთავარანგელოზობა. კვირაში შვიდი დღეა, ხოლო მე-8 დღეს, წმინდა მამები მეორედ მოსვლის დღეს უწოდებენ. კაცობრიობის განკითხვის დღეს, უპირველეს ყოვლისა ზეციური ძალები მიიღებენ მონაწილეობას“, — გვიქადაგებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.

რამდენი მთავარანგელოზი არსებობს?

წმინდა მამათა ნაშრომებში მოცემულია სწავლება ცხრა მთავარანგელოზის შესახებ. ესენი არიან: მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი, ურიელი, სელაფიელი, იეგუდიელი, ვარაქიელი, იერომიელი, ტახნიელი.

მთავარანგელოზთა შორის, პირველია **მიქაელი** (იგი დადგენილია ანგელოზთა ყველა დასის მთავრად), რომლის სახელიც ებრაულიდან ასე ითარგმნება: „ვინაა ვითარცა ღმერთი“ — ე.ი. მიქაელი ნიშნავს „ღვთის მსგავსს“. მთავარანგელოზმა მიქაელმა, ზეციური სასუფევლიდან ქვესკნელში განდევნა ბოროტი სულები — დაცემული მთავარანგელოზი ლუციფერი და მისი მომხრე დაცემული ანგელოზები (ეშმაკები). მიქაელი ითვლება მტრული, ბოროტი ძალების მძლეველად, გვიცავს ბოროტებისა და განსაცდელთაგან, მას ლოცვით მიმართავენ ადამიანები, როდესაც დემონური საცდურის წინაშე აღმოჩნდებიან. იგი ხატზე საბრძოლო ჯავშნით გამოისახება, ფეხებით დემონს თრგუნავს, მარცხენა ხელში ზეთისხილის მწვანე რტო ან სამკუთხედი ფარი უჭირავს, რომელზეც ჯვარია გამოსახული, მარჯვენაში — შუბი ან ცეცხლოვანი მახვილი უპყრია. ზოგიერთ ხატზე მიქაელი შუბით ან მახვილით დედამიწაზე შემოხვეულ გველს განგმირავს. ეკლესიური მოძღვრებით, მახვილი და შუბი ბრძოლის სიმბოლოა, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ მთავარანგელოზი მიქაელი მარადიულად იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ. რაც შეეხება ჯავშანს — ღვთიური მადლის ნიშანია, სწორედ ღვთიური მადლი აძლიერებს მას და ბოროტი ძალებისგანაც იცავს.

გაბრიელი ნიშნავს — „სიმტკიცე, ძალი ღვთისა“ — და „უფლის საიდუმლოს კეთილ მაცნეს“, რადგან იგი ღვთის საიდუმლოთა კეთილი მაცნე, მისი ყოვლისშემძლეობის მახარებელია: ადამიანებს ღვთის საიდუმლოსა და განგებას აუწყებს; ამასთანავე, რწმენას განუმტკიცებს. სწორედ მთავარანგელოზმა გაბრიელმა ამცნო წინასწარმეტყველებს ძე ღვთისას განკაცების შესახებ, მანვე ახარა ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამს, რომ იგი გახდებოდა მშობელი ღვთისა, მრავალ ღვთისმოსავს კი მოახლოებული აღსასრულის შესახებ აუწყა. ხატზე მთავარანგელოზი გაბრიელი გამოისახება პალმის რტოთი ან ყვავილით.

რაფაელი — „ღვთის შეწევნას“ და „ღვთიურ მკურნალს“ ნიშნავს, რადგან იგი მწუხარეთა ნუგეშისმცემელი და სნეულთა მკურნალია: მან არაერთი ადამიანი განკურნა მძიმე სენისგან. ხატზე მთავარანგელოზ რაფაელს მარცხენა ხელში სამკურნალო თასით გამოსახავენ, მარცხენა ხელი კი ყრმა ტობიასთვის აქვს ჩაკიდებული, რომელიც დაბადებიდან ბრმა იყო და მთავარანგელოზმა რაფაელმა დაუბრუნა თვალისჩინი. გარდა ამისა, მთავარანგელოზი რაფაელი ბევრ ადამიანს შეეწია შორეულ ქვეყანაში მოგზაურობისას, მძიმე მწუხარებისა და სასოწარკვეთილების ჟამს. ამიტომ მას შემწედ მოუხმობენ მძიმე სნეულებათა დროს, მგზავრობის წინ, შორეულ უცხო ქვეყანაში ყოფნისას, მძიმე მწუხარებისა და სასოწარკვეთილების ჟამს.

ურიელი — ნიშნავს „ღვთაებრივ ცეცხლს და ნათელს, განმანათლებელს“. იგი ბოროტისაგან იცავს ბერმონაზონებს, ღვთისმეტყველებსა და მონანულთ, მფარველობს მათ. საეკლესიო გადმოცემით, მთავარანგელოზი ურიელი, ადამთან და ევასთან ერთად ლოცულობდა, როდესაც ისინი სამოთხიდან იქნნენ განდევნილნი და მათი სინანულის ცრემლი უფლის საკურთხეველზე მიჰქონდა. ურიელი ადამიანებს შეეწევა გონების გახსნაშიც, რათა ღვთის სიტყვის მართებულად შეცნობა და „წმინდა წერილის“ გაგება შეძლონ. იგი ხატზე გამოისახება ერთ ხელში მახვილითა და მეორეში — ცეცხლით: მახვილი მიგვანიშნებს, რომ ურიელი ბოროტებისგან იცავს ბერებს, ღვთისმეტყველებსა და მონანულებს, ცეცხლი კი ღვთაებრივ სიბრძნესა და განათლებას აძლევს ღვთის სიტყვისა და „წმინდა წერილის“ ჭეშმარიტად შეცნობის მსურველთ.

სელაფიელი — ნიშნავს „ღვთისადმი მლოცველს“. იგი ადამიანებს უხილავად შეეწევა ლოცვის დროს და ლოცვის ძალას ანიჭებს. ამიტომ მას შემწედ მოუხმობენ ლოცვის დაწყების წინ. სელაფიელი ხატზე დახრილი თვალებითა და გულზე სალოცავად დაკრეფილი ხელებით გამოისახება. გარდა ამისა, მთავარანგელოზი სელაფიელი ციებ-ცხელებისა და ეპილეფსიისგან დაავადებულთა მკურნალადაც ითვლება.

იეგუდიელის სახელი ითარგმნება, როგორც „ღვთის განმადიდებელი“. იგი განსაკუთრებულ მფარველობას უწევს მოგზაურობაში მყოფთ და ეხმარება გაჭირვებაში ჩავარდნილთ; განამტკიცებს და ღვთის წინაშე შუამდგომლობს საღვთო ღვაწლის გზაზე შემდგარ ადამიანებს. მთავარანგელოზი იეგუდიელი ხატზე გამოისახება ერთ ხელში შოლტით, მეორეში კი — გვირგვინით.

ვარაქიელი — ნიშნავს „კურთხევა ღვთისა“, რადგან იგი აკურთხებს ყველა კეთილი საქმის წამოწყებას. განსაკუთრებით მფარველობს მოწამეებს, ქრისტეს აღმსარებლებსა და მოსაგრე ბერმონაზვნებს. მთავარანგელოზი ვარაქიელი ხატზე ყვავილით გამოისახება, რაც სულიწმიდის მადლს ნიშნავს.

იერომიელი — ნიშნავს „ამაღლება ღვთისა“ — ე.ი. ღვთისკენ ამაღლებას. იგი ადამიანებს ხორციელი ვნებებისა და მაცდუნებელი მიდრეკილებების დაძლევაში ეხმარება, მათში ღვთისადმი სიყვარულს აღძრავს და საღვთო სიყვარულით აღანთებს.

ტახნიელი — გვიცავს და შეგვეწევა უბედურებისა და თავდასხმის დროს.

■

წმინდა გიორგის ბორბალზე გაკვრა სისასტიკით ჯვარცმასაც არ ჩამოუვარდებოდა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გიორგობის დღესასწაულს წელიწადში ორჯერ — 23 ნოემბერს და 6 მაისს აღნიშნავს. 23 ნოემბერს იხსენიება წმინდა გიორგის ბორბალზე გაკვრა, მას მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ზეიმობს. საეკლესიო გადმოცემით, წმინდა გიორგის ბორბალზე გაკვრის დღესასწაული, ქართველთა განმანათლებელს, კაპადოკიელ ქალწულს — წმინდა ნინოს დაუწესებია, რომელიც დიდმოწამის ბიძაშვილი იყო. ქართველმა ხალხმა სწორედ წმინდა ქალწულისგან შეიტყო წმინდა გიორგის ღვაწლის შესახებ. წმინდა ნინო განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და მის მიერ მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული...

წმინდა გიორგი საუკუნეში, კაპადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. ის ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში იყო, როდესაც მამამისი — გერონტიოსი ქრისტიანული სარწმუნოებისთვის აწამეს და მოკლეს. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, გიორგის დედა პალესტინაში, თავის საგვარეულო მამულში გადავიდა საცხოვრებლად. იგი ღვთის მოშიშებითა და სიყვარულით ზრდიდა შვილს. ახალგაზრდა გიორგი რომის ლაშქარში მხედრად გამწესდა. მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე ყველას შეაყვარა თავი და იმპერატორ დიოკლეტიანეს ყურადღებაც მიიპყრო, რომელმაც თავის პირად მცველად დანიშნა და მხედარმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა.

დიოკლეტიანე კერპთმსახური იყო. მისი ბრძანებით, სულ მალე, ქრისტიანთა წინააღმდეგ სასტიკი კანონები გამოსცეს — დევნიდნენ და ავიწროებდნენ ყველას, ვინც ქრისტეს სჯულს აღიარებდა. როდესაც გიორგიმ ამის შესახებ შეიტყო, მთელი თავისი ქონება გაყიდა, ღარიბ-ღატაკებს დაურიგა და სენატში გამოცხადდა, სადაც ქრისტიანთა ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

სენატის წინაშე წარმდგარმა გიორგიმ უშიშრად და ხმამაღლა აღიარა ქრისტიანობა და შემდეგი სიტყვებით მიმართა შეკრებილთ: „მეფეო, მე ქრისტიანი ვარ და მინდობილი ვარ ჭეშმარიტ ღმერთსა და ზეციურ მეფეს, ქრისტეს და აი, ვდგავარ მე თქვენ წინაშე და მიკვირს თქვენი შეცდომილება, რადგან არ იცით — ჭეშმარიტი ღმერთია დამბადებელი ყოველივესი. ამიტომ გთხოვთ, ნუ სცდებით ეშმაკის საცდურებით, რადგან თქვენი ღმერთი, რომელსაც ცა და ქვეყანა არ გაუჩენია, უნდა მოისპოს და გაქრეს, ხოლო ჩვენ, ქრისტიანები თაყვანს ვცემთ და გვწამს ერთი ღმერთი, შემოქმედი მამა და ერთი უფალი იესო ქრისტე, მისი მხოლოდშობილი ძე და სულიწმიდა...“

დიოკლეტიანეს თავზარი დასცა საყვარელი მხედარმთავრის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა, შეეცადა დაერწმუნებინა გიორგი, რომ უნდა განდგომოდა ქრისტიანულ სჯულს და მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის, მაგრამ წმინდანს აზრი ვერ შეაცვლევინა. განრისხებულმა იმპერატორმა საპყრობილეში გიორგის ჩასმა ბრძანა. მეფის ბრძანებით, მას ფეხებზე ხუნდები დაადეს, გულზე კი მძიმე ლოდი დაჰკიდეს და დილამდე ასე ამყოფეს. მაგრამ გიორგი მამაცურად იტანდა სატანჯველს და მადლობას სწირავდა უფალს.

მეორე დღეს, წმინდა გიორგი კვლავ წარუდგინეს იმპერატორს.

„შეინანე თუ არა?“ — ჰკითხა დიოკლეტიანემ. გიორგიმ კი მიუგო: „ნუთუ შენ ფიქრობ, მეფევ, რომ ამ უბრალო წვალებით უარვყოფ მე ჩემს სარწმუნოებას. შენ უფრო ადრე დაიღლები ჩემი წვალებით, მე კი დავითმენ ყოველივე ტანჯვას“. განრისხებულმა დიოკლეტიანემ ბრძანა, რომ წმინდანი ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ. მეფის ბრძანებით, შიშველი გიორგი გააკრეს ურმის მბრუნავ თვალზე, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილები იყო დამაგრებული; ჯალათები ატრიალებდნენ ბორბალს, წმინდანს წვეტები ერჭობოდა სხეულში და ხორცის ნაჭრებს ჰგლეჯდა. ამ საშინელი წამების დროს, გიორგი მადლობას სწირავდა უფალს, თავიდან ხმამაღლა ადიდებდა ღმერთს, შემდეგ დადუმდა და გულში ლოცულობდა. დიოკლეტიანემ და მისმა მეომრებმა ჩათვალეს, რომ ის აღესრულა. იმპერატორმა იქ მყოფთ მიმართა: „იხილეთ ყველამ, რამეთუ არა არს სხვა ღმერთი გარდა აპოლონისა და პოსეიდონისა, ირაკლისა და დიოსი, ზევსისა და დიდი არტემისი, სად არის გიორგის ღმერთი? რატომ არ მოვიდა და დაიხსნა იგი ჩვენი ხელიდან?“ ამის შემდეგ, აპოლონის ტაძარში წავიდა, რათა კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირა. გიორგის სხეული კი, ურმის თვალზე დატოვეს.

მოულოდნელად, ირგვლივ ყოველივე ბნელმა მოიცვა, ამას ჭექა-ქუხილიც მოჰყვა; ზეციურმა სხივმა გაანათა მთელი მოედანი და გაისმა ხმა: „ნუ გეშინია, გიორგი! მე შენთან ვარ“. წმინდა მოწამეს, უფლის ანგელოზი გამოეცხადა, ხელი შეახო მას და უთხრა: „გიხაროდეს!“ უფლის ანგელოზი მყისვე გაუჩინარდა, წმინდა გიორგი კი, სრულიად უვნებელი ჩამოვიდა მბრუნავი ბორბლიდან და თაყვანი სცა ღმერთს.

სწორედ ამ მოვლენას განადიდებს და აღნიშნავს სადღესასწაულოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 23 ნოემბერს, რადგან საგვემელ ბორბალზე წმინდა გიორგის წამება სისასტიკით ჯვარცმასაც კი არ ჩამოუვარდებოდა.

საქართველოში განსაკუთრებულ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, ის ჩვენი სამშობლოს მფარველად ითვლება. წმინდანისადმი ეს განსაკუთრებული თაყვანისცემა დასაბამს V საუკუნიდან იღებს — ე.ი. იმ დროიდან, როდესაც ქართლში წმინდა ნინო შემოვიდა და ქართველმა ერმა მისგან შეიტყო დიდმოწამის ღვაწლის შესახებ. ოდითგანვე, საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანა — გეორგია ეწოდება.

წმინდა გიორგისადმი განსაკუთრებულ თაყვანისცემას მოწმობს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ყველაზე მეტი ტაძარი სწორედ მის სახელზეა აგებული: „არა არს ბორცუნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს ეკლესიანი წმინდისა გიორგისანი“, — აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.

წმინდა გიორგი ითვლება მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად. მას აგრეთვე შესთხოვენ, ბოროტი, დემონური ძალებისგან დახსნას. ■

რუბრიკა მოამზადა მორენა მერკვილაძემ

ერთი ენამოსწრებული კაცისთვის უკითხავთ — გიორგი ლეონიძის შემოქმედებიდან რა მოგწონსო? — რა მომწონს და, მისი უმცროსი ქალიშვილიო. — გულახდილად უპასუხია. „პაპას უმშვენიერესი მეუღლე ჰყავდა. დედაჩემი — თინათინ ლეონიძე უფრო ბებიას ჰგავდა“, — მითხრა გიორგი ლეონიძის შვილიშვილმა და სეხნიამ — გიორგი გვინჩიძემ. მან სიამოვნებით გაიხსენა სახელოვან პაპასთან დაკავშირებული ამბები, რომლებიც მის მეხსიერებას დღემდე ცოცხლად შემორჩენია.

„გიორგი ლეონიძე — ფიქრებში წასული ყოველდღიური ჯარისკაცი“...

ნინო ჯავახიშვილი

— ბატონო გიორგი, თავდაპირველად თქვენს პროფესიაზე გკითხავთ: მაინც რამ განაპირობა არქეოლოგიით თქვენი დაინტერესება?

— ეს სფერო თავიდანვე მიზიდავდა, თუმცა პაპაც დაინტერესებული ყოფილა არქეოლოგიით. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, წინამავალი მაინც მყავდა. ადრე, ჟურნალში „ძეგლის მეგობარი“ წერილიც კი გამოქვეყნდა — გიორგი ლეონიძის არქეოლოგიით გატაცების შესახებ. იქ საუბარი იყო პატარძეულსა და მის შემოგარენში არსებულ ძველ ნაშთებზე — თურმე, დადიოდა და ეძებდა არქეოლოგიურ ობიექტებს... ამჟამად ვმუშაობ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. ვარ 54 წლის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესიით არქეოლოგი და ისტორიისა და სიძველეთმცოდნეობის სპეციალისტი გახლავართ. მონაწილეობა მიმიღია ისეთ მნიშვნელოვან გათხრებში, როგორიც იყო ნოქალაქევის ექსპედიცია. უმაღლესის დამთავრების შემდეგ, სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დავიწყე მუშაობა. ეს იყო 1973 წელს. მაშინ ამ მუზეუმის ექსპედიცია აწარმოებდა გათხრებს ნოქალაქევში. ექსპედიციის შემადგენლობაში მეც აღმოვჩნდი. რაკი ახალბედა და გამოუცდელი ვიყავი, ჩემგან არავინ ელოდა რაიმე მნიშვნელოვან აღმოჩენას. ნოქალაქევს გალავანი ჰქონდა შემორტყმული და მისგან 100 მეტრში რაღაც მშენებლობა დაიწყო. ჩემი მოვალეობა, საძირკვლის გაჭრისას იმისთვის თვალყურის დევნება გახლდათ, რომ შემთხვევით რაიმე არ გამოგვპარვოდა. მოკლედ, პირველსავე დღეს აღმოვაჩინე ძვ. წ. აღ-ით საუკუნის ქვევრსამარხი. ქალაქი კი აღმოჩენილი იყო, მაგრამ სამაროვანი — ანუ ადგილი, სადაც ხალხი იმარხებოდა, ნაპოვნი არ გახლდათ. ადრე მიცვალებულებს თურმე ქვევრებში კრძალავდნენ. ამას რამდენიმე მეცნიერული ახნა აქვს. თუმცა, დღემდე არავინ იცის, ზუსტად რა აზრი იყო ამაში ჩადებული. ერთ-ერთი ჰიპოთეზით, ქვევრი არის სიმბოლო საშვილოსნოსი. ამგვარად, აღნიშნული წესის დედააზრი ის გახლავთ, რომ ადამიანი, მას შემდეგ, რაც გაივლის ამქვეყნიურ ცხოვრებას, უბრუნდება იმ ადგილს, საიდანაც წამოვიდა — ანუ შეუცნობელი სამყაროდან მოვიდა და შეუცნობელში უნდა დაბრუნდეს... ყველასთვის ცნობილია მითი არგონავტების შესახებ, მაგრამ სად მდებარეობდა ოქროს საწმისის მფლობელი ქალაქი კუტაია, ცნობილი არ არის. ფიგურირებს ქუთაისი — სახელწოდების მსგავსების გამო. მრავალჯერ ჩატარებული ანალიზის შედეგად და მრავალ წყაროზე დაყრდნობით დავადგინე, რომ ეს არის ადგილი მდინარე რიონისა და მდინარე ცხენისწყლის შესაყართან. იქ ამჟამად ორი პატარა სოფელია. ვნახოთ, რა იქნება შემდეგში. ეს საკითხი სამეცნიერო საბჭოს გადასაწყვეტია. ჩვენი ცენტრის დირექციამ მოიხილა ის ადგილი და მიიჩნია, რომ მოსინჯვას აქვს აზრი. თუ დაზვერვას შედეგი არ ექნება, გათხრები აღარ გაგრძელდება. გაზაფხულზე ალბათ, დავიწყებთ სამუშაოს და თუ მართლაც დადასტურდა ჩემი ვერსია, ეს იქნება მნიშვნელოვანი აღმოჩენა არა მხოლოდ საქართველოსთვის...

— ახლა თქვენს ოჯახზე, დიდი პოეტის შთამომავლობაზეც მიამბეთ...

— პაპას ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი — დედაჩემი პროფესიით ფილოლოგი გახლავთ. მყავს მეუღლე — მარინა ცომაია, ქალიშვილი — ნინო და 9 წლის შვილიშვილი ანა. ნინო არის გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, თუმცა, მუზეუმი ჯერჯერობით არ გახსნილა დამთვალიერებლებისთვის. ბინა, რომელშიც პაპა 1927-დან 1953 წლამდე ცხოვრობდა, ლეონიძის ქუჩაზე მდებარეობს და ის ჯერ უნდა გარემონტდეს, რათა შემდგომ, ექსპოზიცია გაკეთდეს. თბილისის მერია დაგვპირდა დახმარებას და მუზეუმი ალბათ, მალე გაიხსნება.

— მისი ნაქონი ბევრი ნივთი გაქვთ შემორჩენილი?

— 1953 წელს პაპა ვაკეში — რიგის ქუჩაზე გადავიდა და იქ ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. მთელი თავისი ნივთები და არქივიც, რომელიც ძალზე მდიდარი გახლდათ, ახალ ბინაში გადაიტანა. ჩვენთან დარჩა რამდენიმე ნივთი, ძირითადად — ავეჯი.

— რამდენი წლის იყავით, როდესაც გარდაიცვალა?

— პაპა 1966 წელს გარდაიცვალა. მაშინ 15 წლის ვიყავი და ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი. ბევრ დროს ვატარებდი მასთან. დღისით ხომ სულ მასთან ვიყავი და ღამითაც, ერთ ოთახში გვეძინა: პაპას — ტახტზე, მე — გასაშლელ დივანზე. გულახდილად რომ გითხრათ, სწავლა არ მეხალისებოდა. მანქანებზე ვგიჟდებოდი. პაპას კი ყოველთვის ჰყავდა მანქანა. მახსოვს, ერთხანს, „ომგამოვლილი“ ამერიკული „ვილისიც“ ემსახურებოდა. ყოველთვის ვცდილობდი, სკოლა რაიმე მიზეზით გამ-

რა თქმა უნდა. მისი უახლოესი მეგობრები, გიციან ტაბიძე და პაოლო იამვილი იყვნენ. არ უყვარდა 30-იან წლებზე ლაპარაკი...

ეცდინა, პაპა კი ამაში ხელს მიწყობდა — დარჩი, ბიჭო, დარჩიო, — მეტყოდა...

— არ გტუქსავდათ ხოლმე?

— არ მახსოვს, რაღაცის გამო დავეტუქსე. განა იმიტომ, რომ არ ვიმსახურებდი. ალბათ, ხშირად ვიმსახურებდი კიდეც დატუქსვას, მაგრამ მაინც არ გამიბრაზდებოდა. ასეთი ბუნების ადამიანი იყო.

— არ განცდიდა, ვაჟი რომ არ ჰყავდა?

— როგორ არა! თუმცა, ამას ხუმრობაში ატარებდა. ვაჟი შეეძინა, მაგრამ არ შერჩა... ეს ამბავი პაპას ვაჟკაცურად გადაუტანია. გახდი ლეონიძეო, — ხშირად მეუბნებოდა... მიუხედავად იმისა, რომ სიძე-სიმამრს ერთმანეთი ძალიან უყვარდა, მამაჩემი მართლა ლეონიძედ ხომ არ დაწერდა ერთადერთ შვილს!..

— მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ მის სახლში?

— რა თქმა უნდა. მისი უახლოესი მეგობრები, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი იყვნენ. არ უყვარდა 30-იან წლებზე ლაპარაკი... ქალაქიდან ხშირად გავდიოდით მისი მანქანით. მეტყოდა ხოლმე — გავიდეთ სადმე, აქ სული მეხუთებაო. ფასანაურისკენ მივდიოდით ხშირად. რუსთავისკენ გახედვაც კი არ უნდოდა — თურმე, იქ მიჰყავდათ ხალხი დასახვრეტად... მეგობრები დღესასწაულებზეც მასთან იკრიბებოდნენ და ქეიფობდნენ. ტრადიციებს მაშინ ქართული სუფრა და მწერლობა ინახავდა. პაპა ყოველთვის თამადა იყო. უყვარდა მოლხენა. მისთვის სუფრა იყო ზნეობისა და აღზრდის ასპარეზი, მით უფრო, თუ სუფრას ახალგაზრდებიც უსხდნენ. კარგი მსმელიც გახლდათ. ყველა ჭიქას ბოლომდე ცლიდა, იტანდა კიდეც სასმელს. სუფრას უცაბედად არასდროს მიატოვებდა, ბოლომდე მიიყვანდა დაწყებულ საქმეს, ყველა სადღეგრძელოს იტყოდა. რეგლამენტი მისთვის არ არსებობდა. რა თქმა უნდა, სხვებსაც აძლევდა ლაპარაკის საშუალებას. ამიტომაც გვიანობამდე გრძელდებოდა ხოლმე სუფრა მისი თამადობით. ლექსების წაკითხვა არ უყვარდა, მაგრამ ექსპრომტს კი ხშირად უძღვნიდა თანამეინახეებს. იყო ერთი ცნობილი თამადა — პეტრე ბოკერია. ერთხელ პაპას ყანწი დაუცლია და მისთვის გადაუცია. ბოკერიას გასჭირვებია ყანწის დაცლა. „ვერ დასცალე, ბოკერია, ლეონიძე მოგერია“, — გაულექსავს მაშინვე პაპას... მაშინ რაიკომებში ყველაფერი ჩაწყობით იყო და ამაზეც უთქვამს — „შენ თუ გინდა კარგი კომში, მოიკითხე რაიკომში“... 1964 წელს, თბილისის „დინამო“ ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. იმ პერიოდში რატომღაც გამქრალი იყო ქართული ღვინო და ერთ-ერთ სუფრაზე შემოუტანიათ უკრაინული, რომელსაც „ბილე“ ერქვა. სტადიონზე ბილეთის ტაციაობა იყო მაშინ და პაპას უთქვამს: „დღეს მომეცი სტადიონის ბილეთი, ხვალ დაგათრობ უკრაინის „ბილეთი“... ასეთ ექსპრომტებს ამბობდა სუფრაზე, თორემ ახალ ნაწარმოებს, დედაჩემის გარდა, სხვას არავის წაკითხებდა — მას ძალიან ენდობოდა. წაიკითხე და პირდაპირ გამომცემლობას გადაუგზავნეო, — ეტყოდა ხოლმე.

მაშინ 15 წლის ვიყავი და ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი...

— გამორჩეულად თუ უყვარდა რომელიმე სადღეგრძელოს თქმა?

— ეს იყო სადღეგრძელო, რომელსაც „გოგლაურა“ უწოდეს. სადღეგრძელოს ყოველთვის ფეხზე ამდგარი ამბობდა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც ძალზე შინაურები იკრიბებოდნენ ერთად. მას ჰყავდა მეღვინე მეგობრები და ხშირად ილხენდა ღვინის სარდაფში. ზუსტად მისი სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, მაგრამ გეტყვით, რომ ეს იმწუთას დაბადებულების სადღეგრძელო გახლდათ: უკვე რა ხანია, რაც სუფრასთან ვსხედვართ. შევსვით სამშობლოს სადღეგრძელო, წინაპრების სადღეგრძელო; აი, ამ დროს, ვინც კი მსოფლიოში ქართველი დაიბადა, ამ წუთში რომ ჭყივის, არტახებში რომ აკრავენ, იმათ გაუმარჯოს, სამშობლო ვუდღეგრძელოთ და ღირსეული ქართველობა ვუსურვოთო!.. პაპა „ყოველდღიური ჯარისკაცი“ იყო. ხომ შეეძლო, ეთქვა — მე შემოქმედი ვარ და ბოჰემური ცხოვრებით უნდა ვიცხოვროო. არა, ამის უფლებას არ აძლევდა თავს. წარსულზე ხშირად მესაუბრებოდა. პირდაპირ არ მეტყოდა — დამონებულები ვართო, მაგრამ თამარის დროინდელ საქართველოს რომ გაიხსენებდა, ყველაფერი დღესავით ნათელი ხდებოდა... მომაკვდავისთვის უკითხავთ უახლოეს მეგობრებს — რას ინატრებდიო? მას კი ასეთი რამ უპასუხია — საქართველოს დამოუკიდებლობასო!

— მისი დაოჯახების შესახებაც მიამბეთ. ვიცი, რომ მეუღლეზე უზომოდ შეყვარებული იყო.

— ბებიაჩემი იყო ეფემია გედევანიშვილი. პაპას ჰყავდა 2 და და 2 ძმა. უფროსი — ევგენია ცოლად გაჰყვა რევაზ გედევანიშვილს. სწორედ მისი და გახლდათ ეფემია. პირველი ნახვისთანავე შეჰყვარებიათ ერთმანეთი. ბებია ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. მოკლედ, როდესაც შეყვარებულების ამბავი გამჟღავნებულა, ნათესავებს წინააღმდეგობა გაუწევიათ — ახლობლები ხართო. პაპამ თურმე, ორჯერ სცადა თავის მოკვლა, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა. ძალიან დახმარებია ვასილ ბარნოვი, რომელიც მისი მასწავლებელი გახლდათ სასულიერო სემინარიაში. დაუმშვიდებია — ნუ გეშინია, დარწმუნებული ვარ, შეიძლება, მაგრამ შენ რომ დაწყნარდე, წავალ და კათალიკოსს ვკითხავო. მართლაც, უკითხავს და კათალიკოსს ნება დაურთავს, რაკი სისხლით ნათესავები არ იყვნენ და ჯვარიც თვითონვე დაუწერია წყვილისთვის სიონში. მაშინ პაპა 21 წლის იყო. ცოლ-ქმარს სამაგალითო ურთიერთობა ჰქონდა, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი...

— დაბოლოს, როგორი ჩაგრჩათ მეხსიერებაში გიორგი ლეონიძე?

— ფიქრებში წასული: ბევრს ფიქრობდა ხოლმე. და ის ფიქრები, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკუთვნოდა. ■

ყოველი ბავშვი სულ ცოტა მაინც გენიოსია, ყოველი გენიოსი სულ ცოტა მაინც ბავშვია.

არტურ შოპენჰაუერი

ფრაზა გენიალური



მატარებელი-ლეგენდა, ბორბლებზე შემდგარი საოცრება, რომლით გასეირნებაც მრავალი ადამიანის აუხდენელ ოცნებას წარმოადგენს. ამ მატარებლით მგზავრობის პატივი მხოლოდ რჩეულთა — გვირგვინოსანთა და მილიონერთა, პრეზიდენტთა და სახელგანთქმულ მზვერავთა, კინოსა და შოუბიზნესის ვარსკვლავთა ხვედრია...

„აღმოსავლეთის ექსპრესი“

— მაგზარეგლეგის მეფე, მეფეთა მაგზარეგელი

XX საუკუნის დასასრულს, ბელგიელ ბანკირთა შთამომავალი, ინჟინერი ჟორჟ ნაგელმეიკერსი ერთმა გიჟურმა იდეამ გაიტაცა. მისი ოცნება იყო, ევროპა და აზია პირდაპირი სარკინიგზო ხაზით დაეკავშირებინა. იმ დროს ძველი სამყაროს სარკინიგზო გზები არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იყო. სამგზავრო ვაგონებში საძილე ადგილები, რესტორნები და ტუალეტის ოთახები არ არსებობდა. შორეულ კომფორტულ მოგზაურობაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა, მაგრამ ნაგელმეიკერსი იმ პრინციპით მოქმედებდა, რომლის თანახმად, შამპანურის სმა მხოლოდ რისკიანთა ხვედრია. ენერგიულმა ინჟინერმა სამშობლოში საძილე ვაგონების წარმოება დაიწყო (შემდგომში ამგვარი ვაგონების გამოშვება ინგლისსა და საფრანგეთშიც დაიწყეს).

1883 წლის 5 ივნისს საფრანგეთის დედაქალაქის რკინიგზის სადგურიდან შორეულ მოგზაურობაში პირველი ტრანსკონტინენტული ექსპრესი გავიდა, რომელმაც მიუნხენში, ვენაში, ბუდაპეშტსა და ბუქარესტში ხანმოკლე შეჩერებები გააკეთა და 80-საათიანი მგზავრობის შემდეგ, მგზავრები ბულგარეთის საპორტო ქალაქ ვარნაში ჩაიყვანა. ვარნიდან ბორანმა მგზავრები სტამბოლში გადაიყვანა. პირველი „აღმოსავლეთის ექსპრესი“ (მატარებელი აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობდა) ვაგონ-რესტორნის, ორი საძილე და ორი საბარგო ვაგონისგან შედგებოდა. მგზავრებს კუპეში მხოლოდ 2 ჩემოდნის შეტანა შეეძლოთ, დანარჩენი ბარგი საბარგო ვაგონში ინახებოდა. ნაგელმეიკერსს 6 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ რკინიგზა სტამბოლამდე მიეყვანა.

ჟორჟი მხოლოდ მეოცნებე როდი იყო. ის შესანიშნავი ბიზნესმენიც გახლდათ. მისმა მარკეტინგულმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო — „აღმოსავლეთის ექსპრესის“ მომსახურებით, მაღალი საზოგადოება სარგებლობდა. სხვადასხვა დროს ამ მატარებლის მგზავრები იყვნენ ელისაბედ და პრინცესა გრეის მონაკოელი, შარლ დე გოლი და ნიკიტა ხრუშჩოვი, ბალზაკი, ფლობერი და ნაბოკოვი, ჟან მარე, მარლენ დიტრიხი, გრეგორი პეკი, შერი... უბრალოდ, შეძლებული ადამიანებისთვის „აღმოსავლეთის ექსპრესის“ ბილეთის შეძენა საოცნებო რამ იყო, რადგან ეს ბილეთი უმაღლეს საზოგადოებაში შესასვლელი ბილეთის ტოლფასი იყო.

დღეს, „აღმოსავლეთის ექსპრესის“ პარიზი-სტამბოლის მარშრუტზე კუპეთი მგზავრობის ღირებულება 7.000 ევროა

1885 წელს „აღმოსავლეთის ექსპრესის“ რესტორანი ასე გამოიყურებოდა

ერკიულ პუარო „აღმოსავლეთის ექსპრესში“ მომხდარ მკვლელობას იძიებს (კადრი ფილმიდან)

ლეგენდარული მატარებლის მგზავრები იყვნენ: ნატალი ეპლგონი (All Saints)

...შლაპების დიზაინერი ფილიპ გრეისი და მეგ მეთიუზი...

თქმა უნდა, იმ დროისათვის გაუგონარი ფუფუნებითა და კომფორტით (დღესაც, მატარებლის პირველი რეისის გასვლიდან 120 წლის შემდეგ, „აღმოსავლეთის ექსპრესი“ ფუფუნებისა და კომფორტულობის სიმბოლოდ ითვლება). წარმოიდგინეთ: სპილენძის სახელურების დახმარებით და ბრინჯაოს საფეხურებით ადიხართ ლეგენდარული მოცისფრო ოქროს ემბლემით დამშვენებულ საძილე ვაგონში და რას ხედავთ? წითელი ხით მოპირკეთებულ დერეფნებს, აღმოსავლურ ნოხებს, ხავერდით შემოსილ გადასასვლელებს ვაგონებს შორის, ცოცხალ ყვავილებს, მოდერნის სტილის ინკრუსტაციებს, უძვირფასეს, ოქროსფერ ქსოვილგადაკრულ სავარძლებს, შროშანის ფორმის მთის ბროლის სანათურებსა და ძვირფასეულობის შესანახ სეიფებს. თითოეული კუპეს კარს უკან პირსაბანი იმალება. კუპეებს შორის კი, საიდუმლო კარია, რომლის მეშვეობით 2 კუპეს გაერთიანება შეიძლება.

„აღმოსვლეთის ექსპრესის“ თითოეულ მგზავრს პირადი სტიუარდი ემსახურებოდა, რომელიც პირველსავე ნიშანზე, მზად იყო მისთვის კუპეში საუზმის მისართმევად. შეფ-მზარეული მთელ მატარებელში დადიოდა და პირადად აზუსტებდა, თუ რა კერძებს ინებებდა საღამოს ვაგონ-რესტორნის სტუმარი (რესტორნის მრავალფეროვანი მენიუ ფრანგული, იტალიური და ინგლისური სამზარეულოების კერძებისგან შედგებოდა). მატარებლის შემადგენლობაში საძილე ვაგონების გარდა, საბარგო ვაგონი, დიზელზე მომუშავე ელექტროსადგური, საშხაპე ვაგონი და რაღა თქმა, უნდა ვაგონ-რესტორანი შედიოდა, სადაც დღესაც კი მხოლოდ საღამოს კაბებსა და სმოკინგებში გამოწყობილ სტუმრებს უშვებენ. განსაკუთრებით მიმზიდველად საკლუბო ვაგონი გამოიყურება, რომლის სალონში მგზავრები ცოცხალი საფორტეპიანო მუსიკის თანხლებით, მშვიდად საუბრობდნენ და ბანქოს თამაშით იქცევდნენ თავს.

„აღმოსავლეთის ექსპრესის“ თითოეულ ვაგონს საკუთარი საინტერესო ბედი აქვს. მაგალითად, ვაგონი №3425, ამ ვაგონით მგზავრობა მეფური წარმოშობის ადამიანებს უყვარდათ, ბულგარეთის მეფე ბორისი №3425-ის ხშირი მგზავრი იყო, მაგრამ მგზავრობის ძირითად დროს კუპეს ნაცვლად მემანქანის ან ცეცხლფარეშის გვერდით ატარებდა. რუმინეთის მეფე №3425-ის კუპეში მრავალრიცხოვან ფავორიტთან ერთად სასიყვარულო თამაშებით ერთობოდა. 1940 წელს რუმინეთის მეფე სწორედ ამ ვაგონით გაიქცა ქვეყნიდან, საყვარლები და ძვირფასეულობა ხელს გააყოლა და თავშესაფარი შვეიცარიაში პოვა.

„ვენეციის ღამის მატარებლის“ (ლონდონი-ვენეცია) სალონში დღესაც ელიტარული საზოგადოება იყრის თავს

უინძორის ჰერცოგი (ინგლისის მეფე ედუარდ V, რომელმაც ამერიკელი უოლისის გამო სამეფო ტახტზე უარი განაცხადა) მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ბიარიცში მუდამ საფრანგეთში დამზადებული №3525-ით მიემგზავრებოდა. ომის დაწყების შემდგომ, უინძორის ჰერცოგის საყვარელი ვაგონი, სხვა ვაგონებთან ერთად ქალაქ ლურდში იდგა. საომარი მოქმედებების პერიოდში ამ ვაგონებს გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი და საბჭოთა მხედართმთავრები შტაბებად და სასტუმროებად იყენებდნენ. ლიმოჟში მდგომ №3534-ს კი განსხვავებული ფუნქცია დაეკისრა. მასში შტაბის ნაცვლად საროსკიპო მოაწყვეს... 1946 წელს, ეს ვაგონი ამსტერდამში გადაიტანეს, რეკონსტრუქცია ჩაუტარეს და ჰოლანდიის სამეფო ოჯახის პირად მატარებლს მიუერთეს.

...ჯგუფი The Gure

ჰიუ გრანტი და ტანი უელში ტრილერში – „ვენეციის ღამის მატარებელი“

„აღმოსავლეთის ექსპრესით“ მოგზაურობდნენ, მასში უყვარდათ და კვდებოდნენ ბალზაკის, ფლობერის, გრინისა და კრისტის ლიტერატურული პერსონაჟები. ზღაპრული ექსპრესი კინემატოგრაფისტებმაც არ დაივიწყეს. ჯეიმს ბონდი საიდუმლო დავალების შესრულების შემდეგ, მორიგ შეყვარებულთან, რუს მზვერავ კატია ალმაზოვასთან



მეფ-მზარეული მენიუს მგზავრებთან პირადად აზუსტებს

ერთად, სტამბოლიდან სწორედ ამ მატარებლით მიემგზავრება (უნდა ითქვას, რომ ცნობილი ჯაშუში ქალი მატა ჰარი „აღმოსავლეთის ექსპრესის“ ხშირი მგზავრი იყო).

და მაინც, ყველაზე ცნობილი ფილმი, რომელშიც ადამიანებთან ერთად ერთ-ერთ მთავარ გმირად მატარებელი გვევლინება, სიდნეი ლიუმეტის გახმაურებული სურათია. რომანის — „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“ — ავტორი, დეტექტივების დედოფალი აგატა კრისტი ამ მატარებლით ხშირად მგზავრობდა. ქარბუქის გამო მატარებელი რამდენიმე დღით იუგოსლავიის საზღვართან ჩერდება. იძულებითი შეჩერების დროს მატარებელში მკვლელობა ხდება, რომელსაც ერკიულ პუარო იძიებს (საინტერესოა, რომ 1929 წელს უამინდობის გამო მატარებელი რამდენიმე დღით სტამბოლის ახლოს მართლაც გაჩერდა). გადასაღებ მოედანზე კომპანია „ვაგონ-ლის“ ძველი, ბრიუსელური ვაგონები დააყენეს. ფილმში მოქმედება ძირითადად, ვაგონ-რესტორანში ვითარდება. ამიტომ ინტერიერის აღსადგენად „აღმოსავლეთის ექსპრესის“ რამდენიმე ვაგონს პანელები მოხსნეს. ფილმში მონაწილეობდნენ: ალბერტ ფინი, შონ კონერი, ვანესა რედგრეივი, ინგრიდ ბერგმანი, მაიკლ იორკი, ლორენ ბეკოლი და სხვები. სურათი ინგლისის კინოს ისტორიაში ყველაზე ამბიციურ და ძვირად ღირებულ ფილმად შეფასდა.

სამწუხაროდ, პოპულარულმა ფილმმა და ეკრანის ვარსკვლავებმა „აღმოსავლეთის ექსპრესის“ გადარჩენა ვერ შეძლეს. საავიაციო ტრანსპორტის განვითარებამ მდიდრული, მაგრამ გადაადგილების ნელი საშუალების აუცილებლობა მოსპო. 1977 წელს კლასიკური მარშრუტი ბუქარესტამდე შემოკლდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, არარენტაბელობის გამო, „აღმოსავლეთის ექსპრესი“ სამგზავრო მატარებლად საერთოდ აღარ ფუნქციონირებდა. მიუხედავად ამისა, „ექსპრესის“ მუდმივი მგზავრები ამ მატარებლით კვლავაც მოგზაურობენ. მოხერხებულმა ბიზნესმენებმა ანტიკვარული ვაგონები შეისყიდეს, რეკონსტრუქცია ჩაუტარეს, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვეს და გზას გაუყენეს.



საძილე ვაგონის ყოველ კუპეში რბილ დივანს და სპეციალურ კარადაში დამალულ ხელსაბანს ნახავთ

ადამიანები ლეგენდებს აღმერთებენ და დღეს ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის, მალაიზიის და თვით რუსეთის სარკინიგზო გზებს მრავალი ტურისტული მატარებელი „აღმოსავლეთის ექსპრესის“ მარკით სერავს.

■

ეს ბარი „აღმოსავლეთის ექსპრესის“ ნაწილია (ვაგონების რესტავრაციაზე 15 მილიონი დოლარი დაიხარჯა)

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვინაა განათლებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, კახა ლომაია?

ა) მეღვინე;
ბ) ჰიდრომშენებელი;
გ) გეოლოგი.

2. რისი სიმბოლოა კუნძულ იამაკაზე ანანასი?

ა) სტუმართმოყვარეობის;
ბ) უშვილობის;
გ) სუსტი გონების.

3. რას ნიშნავს იაპონურ ენაზე „კარატე“?

ა) სწრაფ მოძრაობას;
ბ) შიშველ ხელს;
გ) თავდაცვას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ახალგაზრდა მომღერალი ქრისტინე იმედაძე ბოლო დროს, ნაკლებად ჩანს ტელეეკრანსა თუ საჟურნალო ფურცლებზე, არადა, სულ ცოტა ხნის წინ, ახალი სიმღერა ჩაწერა და მასზე კლიპიც გადაიღო. იმის გამო, რომ ჟურნალისტებზე განაწყენებულია, რადგან მასზე სულ სკანდალურ რაღაცეებს წერენ, ამ ბოლო დროს ინტერვიუზე თითქმის აღარ თანხმდება. ჰოდა, საქმეში მისი მეგობარი მიშა ჩავრიე, ხათრი ვერ გაუტეხა და შეხვედრაზე დამთანხმდა... მსოფლიო დონის რომელი ვარსკვლავი გიჟდება ქრისტინეზე, რა აჩუქა მას შალვა რამიშვილმა და როგორ იცნო ის ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა, — ამ ყველაფერზე თავად ქრისტინე მოგვიყვება.

„ითხრა – ასეთი წვიმა ახლოლდ შენ და ჯორჯ მაიკლს გაქვთო...“

ქრისტინე იმედაძე კლიპების პრეზენტაციას პრინციპულად არ მართავს

ნათია ქივიძე

— ქრისტინე, საუბარი შენ ახალი კლიპით დავიწყოთ, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა ეკრანებზე. ვისი სიმღერაა, ტექსტი ვის ეკუთვნის და ა.შ.?

— ჩემმა მეგობარმა დისკზე ბევრი სიმღერა ჩამიწერა, რათა მანქანაში მომესმინა. ეს სიმღერაც იმ ალბომში იყო. ძალიან მომეწონა. მერე მასთან დაკავშირებით ბევრი კარგი მოგონება მქონდა და გადავწყვიტე, რომ ეს სიმღერა თავად ჩამეწერა. ინგლისურენოვანია და ვინ მღერის, ნამდვილად არ ვიცი. ქართული ტექსტი მე თვითონ დავწერე, თუმცა გამოყენებულია ერთადერთი ინგლისური სიტყვა — why? — რაც ნიშნავს — „რატომ?“ ამიტომ სიმღერასაც „უაი“ ვუწოდე. იმ პერიოდში, შალვა რამიშვილთან ვმუშაობდი „202“-ში. შალვას მოვასმენინე, ამ სიმღერის ჩაწერა მინდა-მეთქი, — ვუთხარი. მასაც მოეწონა და მითხრა — შენ თავმოუბმელი გოგო ხარ, ამიტომ მე ვიზრუნებ ამ სიმღერის ჩაწერაზე, თორემ, დიდხანს ვერ მოახერხებ ჩაწერასო. წაიღო, ფონოგრამა გააკეთებინა და მაჩუქა...

— ეს დაკავებამდე, შალვას ბოლო საჩუქარი იყო?

— შალვა ძალიან მიყვარს, არაჩვეულებრივი ადამიანია და დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ საჩუქარს გამიკეთებს, როცა ამას მოახერხებს. შალვა რომ არ ყოფილიყო, მე ეს კლიპიც არ მექნებოდა. ძალით წამიყვანა სტუდიაში და იქ ჩავწერეთ. კლიპის იდეა მთლიანად მე მეკუთვნის. ბავშვობაში, ჩემი მეგობრის დედას ხშირად დავყავდით რესტორანში, რომელიც ფუნიკულორზე იყო. მის კიბეზე ძალიან მიყვარდა თამაში და მომწონდა ის ადგილი. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ის ადგილი გამომეყენებინა. რამდენიმე კადრი მამიდაჩემის — ია ფარულავასა და ფადი ალის სახლშიც არის გადაღებული, უფრო სწორად — მათ ავტოფარეხში. რადგან წვიმის ეფექტის გაკეთება გვინდოდა, რამდენიმე კადრი საცურაო აუზშიც გადამიღეს და გამყინეს, მაგრამ კლიპში აღარ გამოიყენეს, რადგან ცოტა „გაცვეთილი“ კადრები გამოვიდა. ასეთი კადრები — ბევრ დღევანდელ მომღერალს, მათ შორის მეც, კლიპში — „ოთხი გოგოს სიმღერა“ — მაქვს გამოყენებული. რაც შეეხება წვიმას — ისიც ბევრი ქართველი მომღერლის კლიპში შეგხვდებათ, მაგრამ ჩემმა მეგობარმა მითხრა — ასეთი წვიმა მხოლოდ შენ და ჯორჯ მაიკლს გაქვთო... ძალზე ბევრი ვიწვალეთ ამის გაკეთებისას. სხვა კლიპებში ეტყობა, რომ შლანგით ასხამენ, ჩემთან კი მსხვილი წვეთებია და ნამდვილ, შხაპუნა წვიმას ჰგავს. ჩემს ვარცხნილობაზე ჩემმა მეგობარმა — სტილისტმა მიშამ იზრუნა.

— კლიპის პრეზენტაცია არ გქონია?

— არა. არასოდეს!.. არ მესმის, რა საჭიროა. როგორც ვიცი, პრეზენტაცია უკეთდება ისეთ პროდუქტს, რომელიც უნდა გაიყიდოს, კლიპი კი არ იყიდება. უბრალოდ, ეს ერთ-ერთი საშუალებაა იმისა, რომ საკუთარი თავი დააპიარო. შეიძლება, ძალიანაც მჭირდება პიარი, მაგრამ მე საკუთარი თავის პიარით დაკავებული არ ვარ. ამას ცუდი გაგებით ნამდვილად არ ვამბობ. თუ სხვებს ასე მოსწონთ, თავიანთი საქმის თვითონვე იციან.

— პროდიუსერიც ამიტომ არ გყავს?

— სიმართლე გითხრა, ამაზე არც მიფიქრია. მარტოც კარგად ვახერხებ ყველაფრის გაკეთებას და ალბათ, ამიტომ არ მომსვლია თავში აზრად, რომ პროდიუსერი მყოლოდა.

— ალბომი რატომ არ გამოგიშვია?

— არ ვიცი. ალბომზე არასოდეს მიმუშავია. რაც მთელი 6 წლის მანძილზე მიმღერია, მინდა, რომ ყველა ამ სიმღერის კრებული გავაკეთო. მაგრამ არ ვიცი, რამდენად სწორი იქნება, რომ ამ ყველაფერს ალბომი დავარქვა, რადგან როცა მომღერალი ალბომზე მუშაობს, მთელი წელი იკეტება სტუდიაში და იქიდან არ გამოდის, მე კი ასე არასოდეს მიმუშავია.

— შენი საუბრიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სიმღერა შენი ჰობია და არა პროფესია.

— პროფესია რომ დავარქვა, მაშინ პროფესიონალ მომღერლობაზე უნდა მქონდეს პრეტენზია და მე ამის პრეტენზია ჯერჯერობით არ მაქვს. წარმოიდგინე, არც ვარსკვლავობაზე მაქვს პრეტენზია... მაინცდამაინც არც ჰობია — უბრალოდ, ბევრი სიმღერის ჩაწერას აზრი არ აქვს, რადგან მაინც არავინ აფასებს. ოდესმე საშუალება თუ მომეცემა, კარიერა გავაგრძელო სხვა ქვეყანაში, სადაც სიმღერას აფასებენ, იმ დროისთვის, უფრო პროფესიონალი მომღერალიც ვიქნები და ალბათ, ვარსკვლავობაზეც მექნება პრეტენზია. მაგრამ ეს რამდენად რეალურია, არ ვიცი. ისე კი, პროფესიით ტელერადიოჟურნალისტი ვარ, ამ ფაკულტეტზე ვსწავლობ. როცა დავამთავრებ, მერე გავიგებ, ვიქნები თუ არა კარგი ჟურნალისტი.

— მოგწონს ეს პროფესია?

— არც ერთ ჟურნალისტს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ რომელიმე მათგანი რომ მირეკავს და მეუბნება, რომ ჟურნალისტია, მაშინვე ცუდზე ვფიქრობ, ან ვინმე რომ მეუბნება — შენ ჟურნალისტი გამოხვალო, — ცუდად მხვდება ყურში. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ რამდენ ჟურნალისტსაც აქამდე შევხვედრივარ, არც ერთი არ ყოფილა ისეთი, როგორიც, ვთქვათ, მე მინდა, რომ გამოვიდე. ძალიან გთხოვ, ეს შენს თავზე არ მიიღო... ჟურნალისტობა ჩემი სურვილით ავირჩიე, მაგრამ წერა მაინცდამაინც არ მხიბლავს, თუმცა, მეუბ-

ნებიან, რომ კარგად ვწერ. მირჩევნია, გადაღებებზე ვიარო...

— ან გადაცემის წამყვანი იყო, არა?

— არა. ეგ უკვე ხმამაღალი ნათქვამია. ეგ რომ ვინმეს ვუთხრა, „კიოსკი“ მთვარეზე არ გინდაო? — მეტყვიან...

— რატომ? თუკი ვინმეს, წამყვანობაზე უოცნებია, ყველა ტელეკომპანია „202“-ის ეთერში ზის. შენ ხომ, შალვასთან კარგი დამოკიდებულების გამო, ამის რეალური შანსი გქონდა?!

— სიმართლე გითხრა, მქონდა ასეთი შემოთავაზება, მაგრამ არ დავთანხმდი. ჯერ ერთი, პროფესიონალი ჟურნალისტი არ ვარ, თანაც, ახლა რომ წამყვანად ვიმუშაო, მერე რაღა ვაკეთო?.. რომ ვსწავლობ და თავს ვიკლავ, ამას იმისთვის ვაკეთებ, რომ ოდესმე, კარგ არხზე ხარისხიანი გადაცემის წამყვანი ვიყო. ეს ჩემი ოცნებაა.

— ეს გამოცდილებას შეგძენს და მერე, „კარგ არხზე“ გადახვალ...

— არა. პრაქტიკას „იმედში“ გავდივარ და სამშაბათობით, დილიდან საღამომდე იქ ვარ; ხანდახან, კვირაში ორი-სამი დღე მიწევს იქ ყოფნა. ძირითადად, ნიუსებზე ვმუშობ. ერთხელ, ჟურნალისტმა თეა ბოლქვაძემ მიკროფონი და ოპერატორი დამიტოვა და მითხრა — მე აქ რაღაცებს გავარკვევ და შენ იმ ქალისგან ინტერვიუ ჩაწერეო. საოლქო სასამართლოს აუქმებდნენ თუ რაღაც ამგვარი შემთხვევა იყო. იმ ქალთან რომ მივედი, ტირილი დაიწყო და ინტერვიუ არ მომცა. იმდენად შევწუხდი, რომ მიკროფონი გვერდზე გადავდე და ვეკითხებოდი — ქალბატონო, რატომ ტირით-მეთქი?.. მისი შვილის სასამართლო გადაუდიათ და ამის გამო ყოფილა განერვიულებული. მე კი მისი დარდი გავიზიარე... მგონი, ჩემგან ჟურნალისტი არ გამოვა *(იცინის)*...

— იმ ქალბატონმა ვერ გიცნო?

— იმ ქალბატონმა — ვერა, მაგრამ მქონდა ასეთი შემთხვევაც: პარლამენტში ვიყავი მისული სიუჟეტის მოსამზადებლად. ერთ-ერთი ოთახიდან ძალზე ცნობილი პოლიტიკოსი გამოვიდა, რომლის სახელსა და გვარსაც შეგნებულად არ ვიტყვი. მოვიდა და მომიკითხა: ქალბატონო ქრისტინე, როგორ ბრძანდებითო? მე იმდენად აპოლიტიკური ვარ, რომ საერთოდ ვერ ვერკვევი, ვინ ვინ არის და როცა ის კაცი წავიდა, ვიკითხე — ვინ არის-მეთქი? თურმე, ძალიან ცნობილი პოლიტიკოსი ყოფილა. თან, ტელეეკრანზე ძალიან სხვანაირები არიან ხოლმე და პირადად ვერ ვიცანი. გადავწყვიტე, რომ ახლა ჩავება ამ საქმეში და ყველა კარგად დავიმახსოვრო.

— ეი. შენ პრესის ჟურნალისტებთან ვერ გაქვს კარგი დამოკიდებულება...

— არა, კარგი დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ ბოროტი ჟურნალისტები არ მიყვარს — ისეთები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რაც უფრო ცუდ სტატიას დაწერენ ადამიანზე, მით უფრო კარგად გაეყიდებათ ჟურნალი. რატომ ჰგონიათ ასე?.. ხომ შეიძლება, რომ კარგი და მყვირალა სათაური გაუკეთო კარგ ამბავს და მკითხველს მისცე იმის საშუალება, რომ იმ ადამიანთან დაკავშირებით საკუთარი აზრი შეექმნას.

— მოდი, ახლა, თემა შევცვალოთ და მითხარი, სამოდელო კარიერას საბოლოოდ შეეშვი?

— ეგ კარიერა არც დამიწყია — მოყვარულის დონეზე ვმოდელობდი. უფრო ხშირად, პოდიუმზე ბავშვობაში გამოვდიოდი — როცა მეგობრები მთხოვდნენ. ამ ბოლო დროს კი, ორჯერ გამოვედი სცენაზე: ერთხელ — ზალიკო ბერგერის ჩვენებაზე, სადაც ულამაზესი შავი კაბა მეცვა და სიმართლე გითხრა, ამ კაბის გამო დავთანხმდი, ჩვენებაში მონაწილეობაზე; ვოცნებობდი, რომ ის კაბა ჩემს ტანზე მენახა... გასულ წელს კი, მაკა ასათიანის ჩვენებაში ვმონაწილეობდი.

ჟურნალისტობა ჩემი სურვილით ავირჩიე, მაგრამ წერა მაინცდამაინც არ მხიბლავს

— ახლა რომ მიიღო შემოთავაზება, ისევ დათანხმდები?

— არ ვიცი, გააჩნია, როგორ ხასიათზე ვიქნები და დრო თუ მექნება.

— პირად ცხოვრებაში სიახლე არაფერი გაქვს? შენი გული ისევ თავისუფალია?

— დევიდ ბექჰემი მომწონს ძალიან და მასაც მოვწონვარ. გაგიჟებულია ჩემზე. დღე და ღამე, სულ ჩემი სახლის წინ დგას... თუ არ გჯერა, მიბრძანდი მრგვალ ბაღთან და თავად ნახავ: ხელში სულ „პეპსის“ ბოთლი უჭირავს და სვამს *(იცინის)*. სარეკლამო აბრაზე ვლაპარაკობ... ჩემი გული თავისუფალია, მართლა — არავინ არ მიყვარს.

...ამიტომ, ალბათ, ვიღაცამ იფიქრა, დავეხმარებიო. არ მინდა, ბატონო, ნუ წუხდებით!..

— ტელეფონის ნომერს ასე ხშირად რატომ იცვლი? ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავს, ხომ?

— რატომღაც ძალიან მალე იგებს მთელი საქართველო ჩემს ნომერს. მგონი, ვიღაც მუშაობს ჩემი ნომრის „გაპიარებაზე“. ალბათ, ვიღაც ფიქრობს — ისე ვერ პიარდება საწყალი ქრისტინე, კლიპის პრეზენტაციაც ვერ მოუწყვია და ამით მაინც დავეხმარებიო... ვერავინ იგებს, რატომ არასოდეს ვმართავ კლიპის პრეზენტაციას, რატომ არ ვარ ყველა ჟურნალსა და ყველა გადაცემაში. ამიტომ, ალბათ, ვიღაცამ იფიქრა, დავეხმარებიო. არ მინდა, ბატონო, ნუ წუხდებით!..

— შოუბიზნესის წარმომადგენლებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მაგრამ ჩემი ძალზე ახლო მეგობრები, ნინი ბადურაშვილი, ნეკა სებისკვერაძე და რუსული შოუბიზნესის ყველაზე მაგარი წარმომადგენელი — ქეთა თოფურია არიან. ბოლოს ჩამოსული რომ იყო, დილის 9 საათზე დამირეკა და მითხრა — შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისაც ახლა ღვიძავს და ამიტომ, კარი გააღეო. გავაღე კარი და ქეთა შემრჩა ხელში. მთელი დღე წინ და უკან ვიპორწიალეთ. დაახლოებით 3 კვირის წინ კი, ყველანი ნეკასთან ვიყავით. ამ დროს ქეთამ დამირეკა „მოსკოვიდან“. ვუთხარი — ახლა, ყველანი აქ ვართ შეკრებილები და რა კარგი იქნებოდა, შენც აქ რომ ყოფილიყავი-მეთქი!.. — ნეტავ, მანდ ვიყოო, — მითხრა და გამითიშა. ზუსტად ორ წუთში, შემოსასვლელი კარი გაიღო და ქეთა შემოვიდა. ასეთ სიურპრიზებს გვიწყობს ხოლმე.

■

რუსუდან ბერიძე

ქალაქის ერთ-ერთი კლინიკური საავადმყოფოს ახალგაზრდა ქირურგ ლანა მესხს მთავარი ექიმი სამსახურიდან გაათავისუფლებს. ეს ამართლოდ მოხსნილი ლანას თავიდან, სასამართლოში ჩივილს დააპირებს. კოლეგა — გიზო ვაშაკიძე მას ურჩევს, ხელი აიღოს ამ ქალაქზრახვაზე და სამუშაოდ, ახალგახსნილ ფარმაცევტულ ფირმაში ეპატიჟება, რომელიც მას და მის მეგობარს ეკუთვნის.

ლანას დიდად არც პირად ცხოვრებაში უმართლებს, რის გამოც დედამისი — თამარი განსაკუთრებით ნერვიულობს. თავად ლანა კი მართალია, გარეგნულად არაფერს იმჩნევს, მაგრამ როგორც ყველა გასათხოვარი ქალი, დიდ და ნათელ სიყვარულზე ოცნებობს.

ჯერ კიდევ საავადმყოფოში მუშაობისას, ავადმყოფის სანახავად მიმავალ ლანას თავს დაესხმება ნარკომანი, რომლისგანაც ახალგაზრდა მამაკაცი დაიხსნის. ლანას მხსნელი — ლევან მესხი კერძო სამშენებლო ფირმის მეპატრონე აღმოჩნდება. მას მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს და 6 წლის ქალიშვილს მარტო ზრდის. ახალგაზრდებს ერთმანეთი თავიდანვე მოეწონებათ. თუმცა ლანა თავს მაინც შორს დაიჭერს. ამასობაში, ლევანს რამდენიმე თვით გერმანიაში, სტაჟირებაზე მოუწევს წასვლა. წასვლამდე ის ლანას ხვდება და თავის ყველაზე დიდ საიდუმლოს უმხელს. ლევანის ახალგაზრდა მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ, თავად ლევანი კი ამ დროს თურმე, ყოფილ საყვარელთან პაემანზე ყოფილა. ამის გამო ის ძალზე იტანჯება. შემდეგ ის ლანას უმხელს, რომ იმ ქალსაც ლანა ერქვა...

ლევანის გამგზავრების შემდეგ, ლანას, გიზო შეეხმიანება და მომავალი შეფის გასაცნობად, ახალ სამსახურში მისვლას სთხოვს. შეფი — გივი გიგაური ქალს მაშინვე არშიყობას დაუწყებს. ქალს ეს დიდად არ შეაშფოთებს, მაგრამ გიგაურისა და სხვა თანამშრომლების უკეთ გასაცნობად, შეფის მდივანს — თინიკო ელიავას დაუმეგობრდება. თინიკო მას ფირმის მთელ „შიდასამზარეულოს“ გადმოულაგებს...

ორმა კვირამ ისე გაიარა, ლანას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია ფირმაში. ორ კვირას კიდევ ორი მიჰყვა და უსაქმურობითა და თინიკოსთან ჭორაობით საბოლოოდ გადაღლილი ლანა კაბინეტში შეუვარდა გიზოს.

— აა, შენ ხარ?.. — დოკუმენტებს მაშინვე თავი ანება გიზომ. — აბა, დაჯექი და მომიყევი, აქაურობას როგორ შეეწყვე. მიდის, ხომ, საქმე წინ?

— რომელი საქმე? — სკამზე ცოფიანივით დაჯდა ლანა. — მთელი თვე ისე გავიდა, რომ თითი თითზე არ დამიკარებია!.. ეს სამსახურია თუ უსაქმურების ბუდე?

— ჩუმად! — საჩვენებელი თითი ტუჩებზე გამეტებით მიიჭირა გიზომ. — ის მაინც არ გაგიგია, რომ აქ კედლებსაც ყურები აქვს?

— შენ კიდევ, რა ყველგან ყურები და კბილები გელანდება! — ხმას მაინც არ დაუწია ლანამ.

— ჰო, კარგი! — კალამი ბრაზიანად მოისროლა გიზომ. — დამიკონკრეტე, რა გინდა?

— რა მინდა და სამუშაო! საქმე!.. კიდევ როგორღა დაგიკონკრეტო?

— კარგი... — შუბლი ნერვიულად მოისრისა გიზომ. — ცოტა კიდევ გვაცალე, მე და გივი ყველაფერს დავალაგებთ და...

— როდის დაალაგებთ?

— ზუსტად არ ვიცი... ალბათ, ორი-სამი თვე მაინც დაგვჭირდება.

— მერე, მეც ორი-სამი თვის შემდეგ, ვერ დამიძახეთ?

— მერე?.. ამდენ ხანს სახლში ტყუილად იქნებოდი?

— აქ რა, ტყუილად არ ვზივარ?

— არა, აქ ტყუილად ჯდომაში ფულს იღებ, ჩემო გოგონი!

— არ მჭირდება მე ასე აღებული ფული!

— აუ, ჩემი. ეს ვინ არის!.. — თავში ხელი შემოირტყა გიზომ. — პრობლემა რომ არ ჰქონდეს, გამოიგონებს... აი, ახლაც...

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ! — გააწყვეტინა ლანამ.

— რას გეტყვი, იცი?.. — მაგიდას ხელი დაუტყაპუნა გიზომ. — პრეტენზიების წამოყენებას ის გერჩივნა, საკუთარი მუშაობის კონცეფცია თავადვე ჩამოგეყალიბებინა!

— კონცეფციაც ჩამოვაყალიბე და კონკრეტული სამუშაო გეგმაც, — მაინც არ დაუთმო ლანამ.

— მერე?

— რა, მერე?.. ორი კვირის წინ შევუტანე შენს ძმაკაცს და დღემდე ხელუხლებლად უდევს მაგიდაზე.

— კარგი. დღესვე გამოვართმევ და თვითონ გავეცნობი.

— მერე რას იზამ? — იმედი მიეცა ლანას.

— რა უნდა ვქნა?.. — მხრები დამნაშავესავით აიჩეჩა გიზომ. — თათბირზე შეფს ჩემს აზრს მოვახსენებ. მერე, ალბათ, ორივე ერთად დავსხდებით და...

— მოიცა! — გააწყვეტინა ლანამ. — აღარ გააგრძელო... უბრალოდ, ერთ კითხვაზე კიდევ მიპასუხე და მერე საერთოდ აღარ შეგაწუხებ.

— გისმენ! — გამოცოცხლდა გიზო.

— სიმართლე მითხარი — რაში დაგჭირდა ჩემი ამ „ბარდაკში“ მოყვანა? რა მიზანი გქონდა?

— რაში უნდა დამჭირვებოდა?! — მიახალა გიზომ. — უბრალოდ, შენთვის ხელის გამართვა მინდოდა..

— და შენ გგონია, რომ დაგიჯერებ?

— აბა, სხვა რა უნდა მნდომოდა?

— არ ვიცი... თავიდან ვფიქრობდი, ჩხიკვიშვილისთვის რომ არ მეჩივლა, ამიტომ დამეხმარე, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ჩემს აქ მოყვანას კიდევ რაღაც მიზანი ჰქონდა...

— მაინც, რა?

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად გავარკვევ, — ფეხზე წამოდგა ლანა.

— აბა, შენ იცი!.. გაარკვიე!.. ოღონდ, ფრთხილად, ბეჭი არ ამოიგდო!.. — ბოღმიანად დაადევნა სიტყვა გიზომ კართან მისულ ლანას.

საღამოს, შინ მისულმა ლანამ შხაპი მიიღო და სააბაზანოდან ბევრად უფრო დამშვიდებული გამოვიდა. სანამ ტელევიზორის წინ მოკალათდებოდა, შემოსასვლელი კარის შემოწმება გადაწყვიტა. კართან მივიდა თუ არა, აშკარად გაიგონა, როგორ მიუახლოვდა მას ვიღაც სვენებ-სვენებით და საკეტისთვის გასაღების მორგება სცადა. თავიდან ლანას კინაღამ შიშით გული გადაუტრიალდა, მაგრამ მალევე გაახსენდა, რომ ბინის გასაღების მეორე წყვილი დედამისს ჰქონდა და შვებით ამოსუნთქა. შემდეგ საკეტები ერთმანეთის მიყოლებით გადააატრიალა, კარი ფართოდ გამოაღო და ზღურბლთან მდგარი, პატარა ბავშვივით დამფრთხალი თამარი იხილა.

— მობრძანდით, ქალბატონო თამარ! — მაშინვე განზე გადგა ლანა და თან, დედას თავი დაუკრა.

— უჰ, შენ რა გითხარი! — გასაღებე-

ბიანი ხელი გულზე მიიხუტა თამარმა. — კინაღამ გული არ გამიხეთქე!

— სხვათა შორის, შენც ისე ფეხაკრეფით მოუახლოვდი კარს, ვიფიქრე, ქურდი ხომ არ იპარება-მეთქი!.. — თამარი გულში ჩაიკრა ლანამ. — იცი, როგორ მომენტარე?!.

— მოგენატრები, აბა, რა იქნება!.. — უმალ საწუწუნოდ მოიმართა თამარი. — მეგონა, ახალ სამსახურში მაინც გექნებოდა მეტი თავისუფალი დრო...

— დრო მე რომ მაქვს, იმდენი უნდა... ახლა სამსახურში შემიძლია, კვირაობით არ ვიარო...

— ხანდახან რა სულელერი ხუმრობა იცი... — შვილის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია თამარმა. პალტო და ჩექმა გაიხადა, შემდეგ ფეხი ფოსტლებში წაყო, სამზარეულოში შევიდა და თითქმის პირამდე სავსე ცელოფანის პარკი მაგიდაზე ფრთხილად დადგა.

— რა მომიტანე? — სკამზე თავის ჩვეულ პოზაში მოკალათდა სამზარეულოში შემოსული ლანა.

— რა უნდა მომეტანა?.. პური, კარაქი, შაქარი, ვაშლი, კარტოფილი... — პროდუქტების ჩამოთვლა დაიწყო თამარმა.

— ბარემ, მთელი მაღაზია წამოგეღო!..

— ვეღარ მოვერიე, თორემ, კომბოსტოს ყიდვაც მინდოდა, — მშვიდად გააგრძელა თამარმა. — რამდენი ხანია, „ბორშჩი“ არ გამიკეთებია.

— შენ და შენი „ბორშჩი“!.. — ლოყაწითელი ვაშლი გემრიელად ჩაკბიჩა ლანამ.

— მოიცა, გიჟო, გასარეცხია! — შვილს ვაშლი ხელიდან გამოსტაცა თამარმა. — რომ ეცი, ბებიაშენის ბაღში მოკრეფილი ხომ არ გგონია?!.

— ბებიაჩემის ბაღში ორი ამხელა ვაშლები იზრდება.

— მართლა, — შვილს გარეცხილი ვაშლი მიაწოდა და თავადაც ჩამოჯდა თამარი. — წუხელ ბიცოლაშენმა დამირეკა.

— რაო, ძალიან მომენატრეთო? — ახლა უკვე გარეცხილი ვაშლი ჩაკბიჩა ლანამ.

— როდის იყო, ბიცოლაშენს ვენატრებოდით?!.

— აბა, რა უნდოდა?

— ბებიაშენი ვერ ყოფილა კარგად. მაღალი სიცხეები აქვს და ცოტა წელსაც იტკივებსო... ეტყობა, სადღაც გაცივდა...

— მერე?.. მთელი სოფლის მკურნალი ბებიაჩემია და ახლა თავად რომ დასჭირდა, სიცხის დასაწევი წამალი მაინც ვერავინ მიაწოდა?

— მიაწოდონ, თორემ იმ წუთში არ დალიოს!.. ვითომ არ იცი, რომ არანაირ წამალს არ ცნობს!.. ბალახების ნახარში და მალამოები — აი, მაგისთვის ყველაფრის წამალი...

— იმიტომაც მიაღწია ას წელს.

— ნამეტანიც ნუ დააბერე!.. — იწყინა თამარმა. — დედაჩემი ჯერ მხოლოდ ოთხმოცდაცხრისაა...

— მხოლოდო?.. მაგის ხნობამდე, ჩემი ძვლებიც კი აღარ იქნება.

— იკბინე ენაზე! — გაუწყრა თამარი შვილს.

— ა, ბატონო! — ენაზე მართლა იკბინა ლანამ. — მაგრამ თუ ამის შემდეგ ასი წელი მაინც არ მიცოცხლია, მერე ნახე, რასაც გიზამ!..

— არა, არა, — ხელი ჩაიქნია თამარმა, — ნამდვილად გიჟი ხარ...

— გინდა, გაგახარო? — სკამზე პატარა ბავშვივით აცმუკდა ლანა.

— არ მინდა — მკაცრად უპასუხა თამარმა.

— მართლა, მართლა... — მაინც არ მოეშვა მას ლანა.

— კარგი, — მალევე დანებდა შვილს თამარი, — თუ მაინც არ დაიშლი, მითხარი, რა გინდა.

— მოდი, სამსახურში ერთი კვირით დავეთხოვები და ბებიასთან წავიდეთ.

— გაგიჟდი, გოგო? — ხმას აუწია თამარმა. — ორი დღეა, რაც ახალი სამსახური დაიწყე და უკვე გაცდენას აპირებ?

— გაცდენას, თორემ, მეც მთებს არ ვძრავდე... ჰა, დროზე გადაწყვიტე, თორემ, უკვე ძალიან მეძინება... — ერთი გემრიელად გაიზმორა ლანამ და მაღლა აწეული ხელის მტევნები რამდენჯერმე ენერგიულად მომუშტა და გაშალა.

— მოიცა! — ქალიშვილის მკლავებს მიაშტერდა შეშფოთებული თამარი, თან სათვალე მოიმარჯვა.

— რა იყო? — ხელები წამით ჰაერში გაუშეშდა ლანას. თამარმა სათვალე გაიკეთა, შვილს ხელები ჩამოაშვებინა და ორივე მკლავი გულმოდგინედ დაუთვალიერა.



— აღარ მეტყვი, რა მოხდა? — გაღიზიანდა ლანა.

— დიდი ხანია, რაც მკლავები ასე გაქვს აჭრელებული? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო თამარმა.

— არც ისე... — საკუთარ მკლავებს დააკვირდა ლანა. — რა იყო მერე?.. წელს ხომ ზღვაზე გვიან ვიყავი. იქიდან დაბრუნებულს კი, კანი ყოველთვის მექერცლება და მიჭრელდება.

— არა მგონია, ეს მხოლოდ ზღვის ბრალი იყოს... — ახლა გულმკერდიც მოუშიშვლა შვილს თამარმა და დაუმატა: — ასეც ვიცოდი: მკერდიდან უკვე ყელამდეც ასულა...

— დედა, ნუ მაშინებ! — ფეხზე წამოხტა ლანა. — რა იცოდი, რა ასულა?.. — და რადგან პასუხი ვერ მიიღო, სააბაზანოში გავარდა, ხალათი გაიხადა და საკუთარი სხეულის გულმოდგინედ თვალიერება დაიწყო. მკლავებსა და ყელზე კანი მართლაც, უცნაურად ჰქონდა აჭრელებული.

— რას გეტყვი, იცი?.. — აკანკალებული ხელებით შვილს ხალათი მხრებზე მზრუნველად მოახვია თამარმა. — ჯერ გულს ტყუილად ნუ გავიხეთქავთ. ხვალვე ნაირა ღლონტთან მიგიყვან და ყველაფერს უცბად გაგვირკვევს.

— ეგ ვინღა ეშმაკია? — ხალათს სახელოებში ხელები ნერვიულად გაუყარა ლანამ და სააბაზანოდან სასტუმრო ოთახში გავიდა.

— თავის დროზე, ჩემი თანაკურსელი იყო... — შვილს ისევ უკან მიჰყვა თამარი. — ახლა კი ძალიან კარგი და საიმედო კანის ექიმია.

— შემთხვევით ეგ „საიმედო ექიმი“ შენსავით სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსიდან ხომ არ არის გამოსული?..

— ნუ იკბინები! — ხმაში წყენა დაეტყო თამარს. — კარგად იცი, ინსტიტუტს თავი რატომაც დავანებე!.. რეზიკო და შენ ერთმანეთის მიყოლებით გამიჩნდით და რა უნდა მექნა?..

— რასაც ყველა წინდახედული ქალი შვრება... — ტონი მაინც არ შეუცვლია ლანას. — რეზო კიდევ — ჰო, პირველი შვილი იყო და მართლა რა უნდა გექნა, მაგრამ ჩემი გაჩენა რაღა გეჩქარებოდა?!. პატარა პაუზა მაინც ვერ გააკეთეთ შენ და მამაჩემმა?..

— მართლა უნდა გაგვეკეთებინა პაუზა და ამდენს ვეღარ იტლიკინებდი! — ნიშნის მოგებით უპასუხა შვილს თამარმა.

— სამაგიეროდ, ინ-

სტიტუტს დაამთავრებდი და შეიძლება, ცნობილი ექიმიც გამხდარიყავი... მამა ხომ ყოველთვის დანანებით მეუბნებოდა — დედაშენს მომავალი მე გადავუხაზეო...

— მართლა ასე გეუბნებოდა? — კინაღამ გული ამოუჯდა თამარს.

— მართლა... — დედას მხარზე ხელი მზრუნველად მოხვია ლანამ, ტახტზე დასვა და თავადაც გვერდით მიუჯდა.

— ეჰ, ნეტავ, მამაშენს ეცოცხლა და მომავალიც ბედნიერი მექნებოდა და აწმყოც... — ცრემლი ვეღარ შეიკავა თამარმა.

— არ გინდა, რა. — ხმა გაებზარა ლანას. — თორემ, აბღავლებას მეც აღარაფერი მიკლია...

— კარგი, კარგი, — ცრემლიანი თვალები ბავშვივით ხელისგულებით მოიწმინდა თამარმა. — რაღა დროს ჩემი ამბების გახსენებაა?.. ხვალვე ექიმთან უნდა წავიდეთ და შენი მდგომარეობა გავარკვიოთ.

— ვითომ, რაიმე სერიოზული იქნება? — მკლავები კიდევ ერთხელ უხალისოდ დაითვალიერა ლანამ. — მოდი, ცოტა მოვიცადოთ, იქნებ, თავისით გამიაროს. ჯერ ხომ მაინც ზამთარია და არც მკლავები მიჩანს და არც ყელი...

— არა, არა, — ხელები გაასავსავა თამარმა, — შეიძლება, სერიოზული მართლაც არაფერი იყოს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ის კი არა და, ნაირას ახლავე უნდა დავურეკო...

ნაირა ღლონტმა დედა-შვილი გულთბილად მიიღო და მოიკითხა. შემდეგ, ლანას მკლავები და მკერდი გულმოდგინედ დაუთვალიერა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

— რა იყო, ნაირა? — შეკრთა თამარი. — საშიში ხომ არაფერია?

— იმდენად საშიში — არა, რამდენადაც უსიამოვნო... — შუბლი მოისრისა შეფიქრიანებულმა ნაირამ. — დიაგნოზის დასმისას აჩქარება არ მიყვარს, მაგრამ მგონი, ვიტილიგოს დასაწყისი უნდა იყოს.

— რისი დასაწყისი? — ვერ გაუგო თამარმა.

— ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის შედეგია, — ახლა ლანას მიუბრუნდა ნაირა. — თავადაც ექიმი ხარ და ცხადია, იცი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლა რამდენ რამეს იწვევს.

— დიახ, ცხადია... — ყელიანი სვიტერი სწრაფად ჩაიცვა ლანამ.

— მაინც, რისი ბრალი უნდა იყოს? — ჩაეკითხა თამარი.

— მძიმე ცხოვრების, ჩემო თამარ... ნერვულობის, სტრესის, გადაღლის...

— ამ ბოლო ხანებში სანერვიულო მართლაც, ბევრი შეხვდა — შვილს თანაგრძნობით გადახედა თამარმა. — ჯერ მამის სიკვდილი, მერე სასახურშიც ყველაფერი აეწეწა... ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე — საკმარისია, ადამიანს ერთი ფეხი გადაუბრუნდეს, რომ...

— ვიცი, როგორ არ ვიცი... — დაეთანხმა თამარს ნაირა. — თუმცა, მოდი, დიაგნოზის დასმას მაინც ნუ ვიჩქარებთ. ჯერ ყველა გამოკვლევა ჩავატაროთ. თუმცა, აქედანვე უნდა იცოდეთ, რომ სრული განკურნების გარანტიას ვერ მოგცემთ.

— აბა?.. — შეცბა თამარი.

— მხოლოდ პროცესს შევაჩერებთ... დამიჯერე, ეს ცოტა როდია. შენი შვილი ახალგაზრდა, მიმზიდველი ქალია, თანაც — გასათხოვარი და ამის გამო დისკომფორტი რატომ უნდა შეექმნას?!. მოკლედ, ჩვენი უპირველესი ამოცანა, პროცესის შეჩერებაა. თუ, რა თქმა უნდა, ძალიან შორს არ არის წასული...

ლანა ექიმის მისაღებიდან გულდამძიმებული გამოვიდა. მართალია, არ იმჩნევდა, მაგრამ უკეთეს დღეში არც თამარი იყო.

— ამაღამ ჩემთან წამოხვალ? — ქუჩაში გასვლისთანავე უხალისოდ ჰკითხა მას ლანამ.

— შენ როგორც გინდა, შვილო.

— მე ის მინდა, რომ სულ ჩემთან იყო, მაგრამ ვინ მითმობს შენს თავს?.. — ჩაიბურდღუნა ლანამ.

— კარგი, წავიდეთ... — ლანას სახლისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსის ხელი დაუქნია თამარმა.

ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სამსახურიდან შინ დაბრუნებულ ლანას სამზარეულოში მოფუსფუსე თამარი დახვდა.

— ისეთი მადისაღმძვრელი სუნი დგას, რომ აშკარად რაღაც ძალიან გემრიელს უნდა ამზადებდე, — ქურასთან მდგარ დედას ხელი მოხვია ლანამ, მეორე ხელით კი მოთუხთუხე ქვაბს სახურავი სწრაფად მოხადა — ოჰო... მისი უდიდებულესობა ჩახოხბილი?!.

— გაიწი, ქვაბში არაფერი ჩამიგდო! — შვილის ხელი ძალით მოიშორა თამარმა.

— აბა, რა!.. მთელი გზა ერთი დიდი ქვა ვათრიე... ჰოდა, ახლა შემოვიტან და პირდაპირ შენს ჩახოხბილში ჩავუძახებ.

— ეს ჩემი კი არა, ქათმის ჩახოხბილია, — კერძს კოვზით ფრთხილად მოურია თამარმა. — ჩაგდებით კი, შეიძლება, თმის ბეწვი ჩამიგდო. — შვილის მბზინავ თმას თვალი კმაყოფილებით შეავლო თამარმა.

ლანა ქურას მოსცილდა და სკამზე ჩამოჯდა:

— მერე კიდევ მისაყვედურებ, ამხელა ქალი ხარ და კარტოფილის შეწვის მეტი არაფერი უნდა იცოდეო?!. როგორ ვისწავლო, თუ ქურას ახლოს არ გამაკარებ?!.

— როცა აქ არ ვარ, ქურაც შენს ხელშია და ყველა პროდუქტიც. რაც გინდა, ის მოამზადე!

— როცა აქ არ ხარ, ჭამა საერთოდ არ მახსენდება.

— ვითომ ხუმრობ, არა? — ხმას აუწია თამარმა. — აბა, მითხარი, ბოლოს, წვნიანი როდის ჭამე?

— ოთხი დღის წინ, შენ რომ მაწვნის „სუპი“ გამიკეთე...

— მე რომ არ გყავდე, შიმშილით უნდა მოკვდე?

— „თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ჭამაში მოკვდეს!“ — რიხიანად ჩაარაკრაკა ლანამ.

— ისევ დაიწყე, ხომ, შენებური?!. ახლა ის მითხარი, წამალს თუ სვამ?

— რომელ წამალს?

— ნაირამ რომ გამოგიწერა.

— აბა, რა! ინდაურის ჭკუკივით ვყლაპავ...

— ისემც შენ რა გითხარი!.. წელან ვნახე, ფირფიტას ერთი აბიც არ აკლია.

— ეგ მეორე ფირფიტაა. პირველი უკვე დავამთავრე.

— არ მოგბეზრდა ეს ბავშვური ტყუილები?.. თუ ისევ პატარა გგონია თავი, ცხვირზე ხელს რომ გიჭერდი, პირს ძალად გაღებინებდი და წამლებს ისე გაყლაპებდი?..

— პატარა რომ აღარ ვარ, იმიტომაც ვხვდები, რომ ეს წამალი არაფერს მიშველის და ტყუილად რატომ უნდა დავლიო?!

— საიდან იცი, რომ არ გიშველის?

— იქიდან! — ჭერს ახედა ლანამ და რომ დაინახა, თამარმაც ინსტინქტურად იგივე გაიმეორა, გაეღიმა.

— დამცინი კიდეც, ხომ?! — იწყინა თამარმა.

— არა, რას ამბობ?! უბრალოდ, რაღაც გამახსენდა... — კიდევ ერთხელ გაეღიმა ლანას.

— მართლა!.. — გაზქურა გამორთო და თავადაც მაგიდას მიუჯდა თამარი. — წუხელ ისევ ბიცოლაშენმა დამირეკა.

— რაო, ბებია როგორ არისო?

— მოიკეთაო.

— მადლობა ღმერთს! სიმართლე გითხრა, ძალიან მეშინოდა. რაც არ უნდა იყოს, უკვე ასაკოვანი ქალია და რამე არ დაემართოს-მეთქი!

— ეტყობა, ბებიაშენი თვითონაც შეშინდა და ბიცოლაშენისთვის უთქვამს, თამარს გადაეცი, სასწრაფოდ ლანა გამომიგზავნოსო.

— მართლა?!. — გაუკვირდა ლანას. — არა, ისე, ბებიის ნახვა როგორ არ მინდა, მაგრამ ჩემზე უკეთესად შენ არ მიხედავდი?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვერ ხვდები, შენ რატომ გიბარებს?

— ვერა.

— ეტყობა, შიშობს, უცბად არ მოკვდეს და საგვარეულო ცოდნა საფლავში არ ჩაიტანოს.

— რა ცოდნა?

— ამას კიდევ კითხვა უნდა?!. ბებიაშენი გამოცდილებით ბარე ერთად აღებულ ათ დამწყებ ექიმს მაინც სჯობს და თავისი ცოდნა ვიღაცას ხომ უნდა გადასცეს!

— მერე, რა პრობლემაა?!. ჩემი ბიძაშვილი ლალი იქვე არ ჰყავს?

— ლალი რა შუაშია, გოგო?!. ის მაინც არ უნდა იცოდე, რომ უკვე რამდენი თაობაა, რაც ეს ცოდნა ჩვენს გვარში

მხოლოდ დედიდან ქალიშვილზე გადადის!..

— მაშინ, შენ აგერ არ ხარ?

— ასეც იყო ჩაფიქრებული, მაგრამ დედაჩემმა ჩემზე ხელი მას შემდეგ ჩაიქნია, რაც ინსტიტუტს თავი დავანებე...

— ესეც მე ვარ?!. — დედის ბოლო სიტყვები მაშინვე აიტაცა ლანამ. — ხედავ, სად გიწია შენმა დაუფიქრებელმა საქციელმა?.. სწავლა რომ არ მიგეტოვებინა, დღეს-ხვალ ცნობილი, თუმცა, რატომ ცნობილი — სახელგანთქმული სახალხო მკურნალის პირდაპირი მემკვიდრე ხომ გახდებოდი!..

— აღარ გააგრძელო! — ხელის აწევით შეაჩერა შვილი თამარმა. — მგონი, უკვე აგიხსენი, სწავლა ვის გამოც მივატოვე. ასე რომ, ახლა შენი პირდაპირი მოვალეობაა, დედაჩემს ჩემი მაგივრობა გაუწიო.

— არის, უფროსო! — მხედრულად გაეჭიმა ლანა. — როდის უნდა გავემგზავრო „ქონების გადმოსაფორმებლად“?

— თუნდაც ხვალ.

— ხვალ არ შემიძლია. სამსახურში ხომ უნდა დავეთხოვო, თანაც, ეშმაკმა იცის, ჩემს უფროსს თავში რა წამოუვლის. იქნებ, საერთოდ არ გამიშვას.

— ჰო... ეგ კი აღარ მიფიქრია, — შეწუხდა თამარი.

— მოდი, იცი, რა ვქნათ?.. ჯერ შენ ჩადი სოფელში, სიტუაცია დაზვერე და თუ ჩემი ჩამოსვლა აუცილებელი იქნება, მაშინვე დამირეკე...

— მე ახლა არსად წასვლა არ შემიძლია, — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა თამარმა. — ჯერ აქ მაქვს საქმე.

— რა საქმე? — უმალვე ჰკითხა ლანამ. — ავადმყოფი დედის მონახულებაზე უფრო მნიშვნელოვანი რა საქმე უნდა გქონდეს?!.

— რა და... ყოველდღე, სამიდან ხუთ საათამდე, მაკა, მე მიტოვებს ირაკლის...

— თვითონ სად მიბრძანდება?

— კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე დაიწყო სიარული.

— კარგი ერთი!.. არ იცი, რა მოელანდა?

— მგონი, ბიძაშვილი რომელიღაც სერიოზულ ფირმაში ადგილის შოვნას ჰპირდება — ოღონდ, მანამდე, კომპიუტერზე მუშაობა უნდა ისწავლოო...

— ნეტავ, მთლად ბილ გეიტსის „კანტორას“ ხომ არ უმიზნებს შენი რძალი, ჰა?..

— შენი ცხვირი აშაყირე!.. — გაღიზიანდა თამარი. — სხვათა შორის, მაკა საკმაოდ გონებაგახსნილი გოგოა.

— გონებაგახსნილობისა რა გითხრა, მაგრამ ჯიბიდან გავარდნილი ნამდვილად არის. იფიქრა, იფიქრა, ირაკლი ვისთვის შეეტენა და...

— არ გრცხვენია?! — გული აუჩუყდა თამარს. — ირაკლიზე მაინც როგორ ლაპარაკობ ამას?..

— ირაკლის ჩემი თავი შემოევლოს! ანგელოზივით ბავშვია, მაგრამ მაგრად არ გაუმართლა: ერთიმეორეზე უაზრო დედ-მამა შეხვდა...

— არა, არა შენი მოსმენა ნამდვილად აღარ შეიძლება! — ფეხზე წამოდგა თამარი. — დროზე დაიბანე ხელი და ვივახშმოთ!

...ვახშმის შემდეგ, დედა-შვილმა სუფრა ერთად აალაგა, თუმცა თამარმა ლანას ჭურჭლის გარეცხვა არაფრით დაანება:

— წადი, ტელევიზორი ჩართე და როგორც კი ჩემი საყვარელი სერიალი დაიწყება, მაშინვე დამიძახე!

— შენ და შენი სერიალები!.. მაინც, როგორ შეგიძლია, ამდენი სისულელის ყურება?

— სისულელეა თუ სიგიჟე, მე კი მამშვიდებს და კარგ ხასიათზე მაყენებს და სხვა რაღა მინდა?!. არა, ისე თუ არ მაყურებინებ, ციალასთან გავალ.

— შენ და ციალა ერთსა და იმავე სერიალს უყურებთ?

— ჰო, რა იყო?

— არა, არაფერი.. უბრალოდ, იმ დღეს, ლევანი რომ არ ყოფილიყო, ციალა სერიალს ვერ უყურებდა და კიდეც გააფრენდა...

— მოიცა, მოიცა! — ყურები ცქვიტა თამარმა. — ლევანი ვინღაა?

— ვითომ არ იცი, აი!

— საიდან უნდა ვიცოდე?

— დავიჯერო, ციალამ არაფერი გითხრა?!. თუ უბრალოდ, ერთმანეთი არ გინახავთ?

— ციალა ამ დილითაც ვნახე. ბაზარში შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს... მაინც, რა უნდა ეთქვა?..

— არა, არაფერი... — სასწრაფოდ უკან დაიხია ლანამ.

— მაშ, არაფერი, ხომ?.. გადი ერთი, ტელევიზორი ჩართე და დანარჩენზე მერე დაგელაპარაკები! — თვალები გადაუბრიალა შვილს თამარმა.

ცოტა ხანში, ტელევიზორის წინ ტახტზე მჯდარ, ჩაფიქრებულ ლანას თამარი გვერდით მიუჯდა, ჟურნალების მაგიდაზე მდგარი ყუთიდან დოლარების დასტა ამოიღო, წინ დაულაგა და მკაცრად ჰკითხა:

— ამდენი ფული საიდან გაქვს?

ლანა არც კი შერხეულა.

— შენ გეკითხები! — თამარმა მხარზე ხელი მოჰკიდა ქალიშვილს და ოდნავ შეანჯღრია.

ლანა ცოტა ხანს ისევ ჩუმად იჯდა, შემდეგ დედისკენ მობრუნდა, ორივე ხელი დაუჭირა, თვალებში ჩახედა და ლევანის გაცნობის ამბავი წვრილად გადმოულაგა. თამარი შვილს ისეთი დაბნეული სახით უსმენდა, რომ ლანამ იფიქრა, ჩემი ნათქვამის ნახევარიც ვერ გაიგოო. მაგრამ, როგორც კი მოყოლა დაამთავრა, დედისგან განაჩენივით სიტყვები მოისმინა:

— შენ ის კაცი უკვე გიყვარს...

— მიყვარს არა, კიდევ ის...

— გიყვარს და ამას სამწუხაროდ, აღარაფერი ეშველება...

— ისე რატომ მელაპარაკები, თითქოს რაღაც დიდი დანაშაული მქონდეს ჩადენილი? — იწყინა ლანამ.

— იმიტომ, ჩემო შვილო, რომ ის შენი ლევანი თუ ვიღაც ეშმაკი უკვე ცხოვრებაგამოვლილი და ტკივილნანახი კაცია... შენ კი ჯერ თვალი წესიერად არც გაგიხელია...

— მერე რა?

— მერე ის, რომ თქვენი მომავალი ურთიერთობის მთელი სიმძიმე პირველ რიგში, შენზე გადმოვა. თანაც, ბავშვიც ჰყოლია...

— მერედა, ვინ გითხრა, რომ ლევანთან ურთიერთობის გაგრძელებას ვაპირებ?

— შენმა თვალებმა.

— თვალებმა არა, კიდევ ის...

— მამაკაცს, რომელთანაც ურთიერთობის გაგრძელებას არ აპირებენ, ათას დოლარს არ ართმევენ...

— მერე როდის გამოვართვი?! ხომ მოგიყევი, როგორც მოხდა ყველაფერი!

— იმ შემთხვევაშიც კი, თუ სრული სიმართლე მითხარი, ფულის დაბრუნება მაინც შეგეძლო.

— აი, თურმე, რა!.. უკვე ჩემი სიტყვებისაც აღარ გჯერა ხომ?! თუკი ასეა — დიახ! შემეძლო და არ დავუბრუნე!.. ახლა რაღა გინდა?

— შენი კარგად ყოფნა, შვილო... — დაუყვავა გაღიზიანებულ შვილს თამარმა. — უბრალოდ, ძალიან კარგად უნდა დაფიქრდე, სანამ ასეთ ტრაგიკულ ადამიანს საკუთარ მომავალს დაუკავშირებ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



როგორ ახრჩობდნენ ნუგზარ ჯუღელს მატარებლის კუპეში

რუსთაველი მეტალურგების მიერ მოყრეფილი 40 ტონა ჩაი

საქართველოში დღესდღეობით ძნელად მოიძებნება სპორტული კომენტატორი, რომელსაც კარიერის მანძილზე, 1000-მდე ტელე თუ რადიორეპორტაჟი ჰქონდეს წაყვანილი. თუმცა, ერთი ასეთი ადამიანი არსებობს და იგი ქართული ტელეჟურნალისტიკის ცოცხალი მატიანე, ბატონი ნუგზარ ჯუღელი გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ მან თავის დროზე საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი საკუთარი სურვილით დატოვა, სპორტს არ ჩამოშორებია და ამჟამად საფეხბურთო კლუბ თბილისის „ლოკომოტივის“ პრესატაშე გახლავთ. ბატონ ნუგზარს მართლაც ბევრი რამ აქვს მოსაგონარი. გულღია მასპინძელი განვლილი ცხოვრების გზაზე საკუთარ ბინაში გვესაუბრა.

გიორგი ლანჩავა

პატარა ნუგზარის გადამრჩენელი გიორგი ქავთარაძე

— თბილისის მე-19 ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი, სადაც ყოველი დილა იმით იწყებოდა, რომ სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ, ჩაგვამწკრივებდნენ და ფიზკულტურის მასწავლებელი, შოთა, ომახიანად შესძახებდა: „ლენინ-სტალინის საქმისთვის საბრძოლველად იყავ მზად!“ ჩვენც რიხით ვპასუხობდით: „მზად ვარ!“ გარდა ამისა, პარასკეობით უფასოდ გვიჩვენებდნენ პატრიოტულ ფილმებს: „ჩაპაევი“, „ალექსანდრე მატროსოვი“, „ზოია კოსმოდემიანსკაია“, „კატოვსკი“ და ა.შ. მაგრამ მთავარი სასკოლო მოვლენა, საინფორმაციო მიტინგი იყო, რომელსაც ორშაბათობით დირექტორი ლავროსი კოტრიკაძე უძღვებოდა. მისი სისინა ხმა რომ გამახსენდება, ახლაც მზარავს. ამ ხმას განსაკუთრებული ელფერი მაშინ ეძლეოდა, როდესაც ამხანაგი ლავროსი ასო „ს“-ს განაკუთრებით დიდხანს ჭიმავდა... ერთხელაც, ვდგავართ აღნიშნულ მიტინგზე და სკოლის დირექტორს ვუსმენთ: „მოსსსსსსსსკოვი, კრემლი; დიდ ბელადსსსსს იოსსსსსსებ სსსსსტალინსსსსს, მისსს ერთგულ თანამებრძოლსსსს ლავრენტი ბერიასსსსსს!“ — მოსწავლეთაგან განსაკუთრებით მე ვიყავი გასუსული, რადგან იმ პერიოდში მამაჩემი დაპატიმრებული იყო და სხვებთან შედარებით, ბატონი ლავროსის გამოსვლა უფრო ყურადღებით უნდა მომესმინა... ტექსტი დირექტორმა ასე გააგრძელა: „გასულ კვირაში სკოლაში 3531 ნიშანი დაიწერა. აქედან, 1500 — ფრიადი, 701 — კარგი. იყო შეფასება დამაკმაყოფილებელიც. თუმცა, ამხანაგო სტალინო და ამხანაგო ბერიავ, უნდა მოგახსენოთ, რომ 8 ორიანიც დაიწერა და ახლა იმათ გვარებს გაგაცნობთ, ვინც შეგვარცხვინა“. ამის გაგონებაზე ციცმა ოფლმა დამასხა, რადგან, იმ მოსწავლეთა შორის, რომელთაც ორიანი მიიღეს, მეც ვიყავი. როდესაც დირექტორის ხმა გავიგონე: მეექვსე კლასის მოსწავლემ ნუგზარ ჯუღელმა რუსულ ენაში ორიანი მიიღოო, — წამით გონი დავკარგე და მხოლოდ კოტრიკაძის გამოსვლის დასკვნითმა ნაწილმა ჩააღწია ჩემს გონებაში: „დიდო ბელადო, ამხანაგო სტალინ! და ქართველი ხალხის საამაყო შვილო, ამხანაგო ბერიავ! გთხოვთ, განსაჯოთ უღირსი მოსწავლეების უღირსი საქციელი!“ უცებ წარმოვიდგინე, რომ სტალინი კრემლში ჩვენი სკოლის საინფორმაციო მიტინგიდან გაგზავნილ დეპეშას წაიკითხავდა და ბერიას შეეკითხებოდა: ეს ის ჯუღელია, მამა რომ დავუპატიმრეთო? თავის მხრივ, ბერიაც თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევდა და ჩემი ცუდი ნიშნებისთვის, დაიჭერდნენ როგორც დედაჩემს, ასევე უმცროს ძმებს. სკოლიდან ვერის ხიდამდე ორი კილომეტრი იყო და არ მახსოვს, ეს გზა როგორ დავფარე. ადგილზე მისული კი, უკვე მტკვარში გადახტომას ვაპირებდი, რომ უეცრად ვიღაცამ ხელი მტაცა და როდესაც მოვიხედე, ჩემი მეზობლის, გოგი ქავთარაძის მამა, გიორგი შემრჩა ხელში. როდესაც ვაუწყე მას, რომ თავის მოკვლას ვაპირებდი და ამის მიზეზი განვუმარტე, ასეთი რამ მითხრა: „იმ სულელის გამო იკლავ თავს?!“ ამან სულ დამაბნია, რადგან მეგონა, ბატონმა გიორგიმ სულელი სტალინს უწოდა. თუმცა, მან უმალვე დააყოლა: „სტალინი კი არა, შენი დირექტორია სულელი, მაგრამ ამქვეყნად სულელებს რა გამოლევს? წადი, შვილო, სახლში, წადი...“ მეც რაღა დამრჩენოდა — მწერლის მოთხოვნას დავემორჩილე.

ფეხბურთი, როგორც ნარკოტიკი

— ჩემი თაობის ბავშვების მსგავსად, ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი და დილიდან საღამომდე ბურთს დავდევდი. მაგრამ მე-4 კლასში ფეხბურთის თამაშისას ფეხი მოვიტეხე და საკმაოდ დიდხანს ყავარჯნებით სიარული მომიხდა, რამაც ხელი შემიშალა იმაში, რომ 35-ე საფეხბურთო სკოლაში გამეგრძელებინა სწავლა. თუმცა, სპორტის ამ სახეობით, იმ პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე ვარ დაავადებული. მახსოვს, თბილისის „დინამო“ სტუმრად ერევნის „არარატთან“ დამარცხდა და სომხეთიდან მატარებლით გამოვემგზავრეთ. თან გზაში ვფიქრობდი: „არ გინდა, თბილისში ჩასულმა, გულშემატკივრის რისხვას გაუძლო — მით უმეტეს, რომ წაგებაში ყველა დამნაშავეა, განსაკუთრებით კი — კომენტატორი, რომელსაც თარსის“ სახელი აქვს!..“

თბილისამდე „არმისული“ მატარებელი დავტოვეთ და ქალაქში ავტობუსით უნდა შევპარულიყავით, რადგან ვიცოდით, რომ რკინიგზის სადგურზე გააფთრებული გულშემატკივრები გველოდებოდნენ. როდესაც გუნდის ავტობუსს ველოდებოდით, ნირწამხდარმა, რეზო ძოძუაშვილს ვუთხარი: „მორჩა, ეს ჩემი ბოლო მოგზაურობაა!“ ამის გამგონე რეზომ მიპასუხა: „ჩემო ნუგზარ, შეუძლებელია ფეხბურთს თავი დაანებო, — ის ხომ ნარკოტიკივითაა, რომლის მიტოვებაც წარმოუდგენელია“. ამის შემდეგ, კიდევ ბევრჯერ ვიმგზავრე და ბევრი რეპორტაჟიც წავიყვანე. ასე რომ, ძოძუაშვილი მართალი აღმოჩნდა — ფეხბურთს დღემდე ვერ დავანებე თავი.

ვახტიორის შეცდომა

— თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას, სტიპენდია არცთუ ისე დიდი მქონდა და ვინაიდან მატერიალურად მიჭირდა, 1955 წელს საქართველოს რადიოში, „უკანასკნელ ცნობებში“ შტატგარეშე კორესპონდენტად დავიწყე მუშაობა. იმ პერიოდში ინფორმაციის მოპოვება ძალიან ჭირდა და მოსკოვში ცენტრალურ რადიოში კოლეგებს ვუკავშირდებოდი, ამა თუ იმ საფეხბურთო მატჩის ანგარიში რომ გამეგო. ხშირ შემთხვევაში ისე ხდებოდა, რომ მოსკოველ ჟურნალისტებს ქართველებისთვის არ ეცალათ და მათ მაგივრად, ვახტიორი გვპასუხობდა. ერთხელაც, მორიგი ზარის შემდეგ, ვახტიორმა მითხრა, რომ მოსკოვში „ცსკა“-სა და როსტოვის არმიის სპორტული კლუბის შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა. იმ დროს თბილისის ქუჩებში რეპროდუქტორები იყო დამონტაჟებული და რადიო ინფორმაციას

მათი საშუალებით გადმოსცემდა. სტუდიაში ჩემი ხმის ჩანაწერი დავტოვე და ოპერისკენ გავემართე: სადაც სხვებთან შედარებით, კარგი რეპროდუქტორი ეკიდა, რათა საღამოს, „უკანასკნელ ცნობებში“ საკუთარი ხმა მომესმინა. მაგრამ გადაცემა ეთერში რომ გავიდა და საქმე სპორტულ ცნობებამდე მიდგა, მესმის, რომ რადიოთი გადმოვცემ: „მოსკოვში „ცსკა“-სა და როსტოვის „ასკ“-ს შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1 დასრულდა“. ცხადია, ხვდებით, რაც დამემართებოდა და თავი უკვე სამსახურიდან გათავისუფლებულად ჩავთვალე. მაგრამ მეორე დღეს გაირკვა, რომ ვახტიორს თურმე მცდარი ანგარიში უთქვამს და რაც ყველაზე გასაკვირია, თამაში იმ ანგარიშით დასრულებულა, რომელიც გამოვაცხადე.

„ვინ ანატოლი? რა ანატოლი?“

— კოტე მახარაძის რეკომენდაციით, 1958 წელს, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, მაშინდელი „დინამოს“ სტადიონის ადგილობრივი რადიოს დიქტორად მიმიწვიეს. იმ დროს სტადიონის დირექტორი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, შოთა შავგულიძე იყო. ჩემი დებიუტი, როგორც დიქტორის, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრისას შედგა. ისე ვნერვიულობდი, რომ მაყურებელს გუნდების შემადგენლობა რის ვაი-ვაგლახით გავაცანი. მეორე ტაიმში „სპარტაკის“ შემადგენლობაში ცვლილება მოხდა და მეც გამოვაცხადე: „მოსკოვის „სპარტაკის“ რიგებში ანატოლი მასლიონკინის ნაცვლად თამაშობს ანატოლი...“ — და კმაყოფილმა მიკროფონი გამოვთიშე. გავიგონე, რომ ტრიბუნაზე ხორხოცი ატყდა და გულშემატკივარი კითხულობდა: „ვინ ანატოლი? რა ანატოლი?“ სიმართლე გითხრათ, ანატოლის გვარი დღემდე არ ვიცი... ამ დროს სადიქტოროში ბატონი შოთა შავგულიძე შემოვიდა და გავიფიქრე: ახლა კი დასრულდა ჩემი სტადიონზე მუშაობა-მეთქი, — მაგრამ მან მთხოვა, რომ სხვა დროს, ფეხბურთელების სახელთან ერთად, გვარიც გამომეცხადებინა... შავგულიძის გარდაცვალების შემდეგ სტადიონის დირექტორად ბორის პაიჭაძე დანიშნეს, რომელიც ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია. თუ რამხელა ავტორიტეტი ჰქონდა ყოფილ საბჭოთა კავშირში პაიჭაძეს, ამის დასტურად ერთ მაგალითს მოვიყვან. გასული საუკუნის 70-იან წლებში, თბილისში სტუმრად ჩამოვიდა საკავშირო ტელერადიოს ხელმძღვანელი, ამხანაგი ლაპინი, რომელმაც „დინამოს“ სტადიონის დათვალიერება მოინდომა. იგი თავისი დიდი ამალით, რომელშიც მეც შევდიოდი, სტადიონს ესტუმრა და როდესაც ბორის პაიჭაძე წარუდგინეს, ლაპინმა შემოგვჩივლა: განა ვინმე დაიჯერებს და განსაკუთრებით ჩემი შვილი, რომ ბედნიერება მეღირსა, ლეგენდარული ბორის პაიჭაძისთვის ჩამომერთმია ხელიო!..

ყაზბეგის მსგავსი ყაზბეგი

— საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის ჩამოყალიბების შემდეგ, იქ შტატგარეშე თანამშრომლად დავიწყე მუშაობა. 1967 წელს 3 კონკურსში გავიმარჯვე და შტატშიც მიმიღეს დიქტორად. როდესაც გარკვეული ხანი გავიდა, ვინაიდან სტადიონის რადიოკვანძში ვიყავი ნამუშევარი, ტელევიზიის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ სპორტული ასპარეზობების რეპორტაჟებიც უნდა წამეყვანა. 1968 წლის აგვისტოში, ქუთაისში ადგილობრივი „ტორპედო“ თბილისის „დინამოს“ ხვდებოდა და ვინაიდან დასასვენებლად წასულ კოტე მახარაძეს ვერ დაუკავშირდნენ, ქუთაისში მატჩის რადიორეპორტაჟისთვის მე გამგზავნეს. ქუთაისში ჩასულს, კოტე მახარაძე დამხვდა და მას ვუთხარი: ბატონო კოტე, ისე ვღელავ, ხმის ამომღები არ ვარ და ჯობს, რეპორტაჟი თქვენ წაიყვანოთ-მეთქი. მან შემომთავაზა, რომ შეხვედრა რადიოთი ორივეს ერთად გადაგვეცა და მორიგეობით გველაპარაკა. თან დააყოლა: ფეხბურთელებში უკეთ ერკვევი და ჯობს, გუნდების შემადგენლობა შენ გამოაცხადოო. ჩემმა დებიუტმა სპორტული კომენტატორის ამპლუაში ნორმალურად ჩაიარა და მას შემდეგ, 1000-მდე რადიო და ტელერეპორტაჟში მაქვს მონაწილეობა მიღებული. სხვათა შორის, იმავე წელს, ტელევიზიით პირდაპირ ეთერში თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ საფეხბურთო მატჩის რეპორტაჟს გავუძეხი. ბაქოელთა რიგებში ორი ტუაევი თამაშობდა, რომელთაგან ერთ-ერთს ყაზბეგი ერქვა. მაშინ ასეთი ფრაზა ვთქვი: ტელემაყურებლებისთვის ძნელი გასარკვევია, ტუაევებიდან ყაზბეგი რომელია, მაგრამ ყაზბეგის მთას რომ მოგაგონებთ, ყაზბეგ ტუაევი ის არის-მეთქი.

შოთა იამანიძის თეთრი „ვოლგა“ და პროფესიონალური დავა

— ჩემს ბავშვობაში ნამდვილი ტყავის ბურთი ანუ, როგორც მაშინ მას ვეძახდით — „კამერა ობოლოჩკა“ — იშვიათობა იყო. სამაგიეროდ, გვქონდა დედის „ჩულქი“, რომელშიც სიმინდის ან ლობიოს მარცვლებს ვყრიდით და ამ ე.წ. ბურთს დაღლამდე ვკენწლავდით. შესაძლოა, დღეს ბევრმა არ იცის, რომ ბურთის ასეთი ნაირსახეობის კენწვლას „ავჭალური“ ერქვა. შოთა იამანიძე, რომელთან ერთადაც, პირველიდან მეხუთე კლასამდე ვსწავლობდი, „ავჭალურში“ სკოლის აბსოლუტური ჩემპიონი იყო. ჩვენ ერთად ვაპირებდით 35-ე სკოლაში ფეხბურთის თამაშის გაგრძელებას, მაგრამ, როგორც გითხარით, ფეხი მოვიტეხე და ვერ შევძელი. შოთა კი ქართველ გულშემატკივართა კერპი გახდა და თბილისის „დინამოში“ კაპიტნის რანგში ღირსეულად შეცვალა ბასა ღოღობერიძე... ჩემს ახალგაზრდობაში, საკუთარი ავტომანქანის ყოლა, თანაც — თეთრი ფერის ახალი „ვოლგისა“, იმის ტოლფასი იყო, რომ დღეს ადამიანს „ბოინგი“ ჰყავდეს. შოთა იამანიძე ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ, ვინც მაშინ თბილისში ასეთი ავტომობილით დადიოდა. ერთხელ, კლარა ცეტკინის (დღევანდელი წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე გოგოსთან პაემანი მქონდა დანიშნული. ამ დროს შოთამ თავისი



„ვოლგით“ ჩამოიარა და რომ დამინახა, გააჩერა, რათა მოვეკითხე. გავანდე, რისთვის ვიდექი და თან დავამატე: გოგო კი მოვა, მაგრამ არ ვიცი, სად წავიყვანო-მეთქი. იამანიძეს არც უფიქრია, ავტომანქანიდან ისე გადმოვიდა და გასაღები გამომიწოდა — აჰა, აიღე და გაიხარეო! მე გამოვუტყდი, რომ ავტომობილის მართვა არ ვიცოდი, რაზეც შოთამ მიპასუხა: არა უშავს, შიგნით ჩასხედით და ჭუკჭუკს რომ მორჩებით, გასაღები მომიტანეო. ახლა არც ის გოგო მახსოვს და არც ის, რაზე ვჭუკჭუკებდით, მაგრამ შოთას საქციელი ჩემთვის დაუვიწყარია.

ერთ-ერთი წვეულების შემდეგ, მე, შოთა იამანიძე, გივი გადელია, ჯემალ პაჭკორია, ავთო საყვარელიძე, კახი კავსაძე და ომარ მხეიძე შინ ვბრუნდებოდით. შუა გზაში იამანიძესა და მხეიძეს შორის კამათი ატყდა, თუ რომლის პროფესია გახლდათ უკეთესი. შეგახსენებთ, რომ ომარი, სუხიშვილების ანსამბლის სოლისტი იყო. ჩელუსკინელების ხიდს რომ მივუახლოვდით, იამანიძემ გაგვაჩერა და გვითხრა: ძმებო, რადგან ვდაობთ, ვის უკეთესი პროფესია აქვს, მოდი, ომარ და ამ ხიდზე დოლ-გარმონის გარეშე იცეკვეო. მხეიძემ უპასუხა: ახლა არ მითხრა, ბურთის გარეშე ფეხბურთს ვითამაშებო. შოთამ ამის გაგონებაზე, ასანთის კოლოფი მოითხოვა, რომლითაც ისე დაიწყო კენწვლა, როგორც ბურთით. ცხადია, ეს რომ დაინახა, ომარს აღარაფერი უთქვამს...

„არა, ძმაო, „პარადი“ არაა, არა!“

— სკოლის მოსწავლე ვიყავი, პირველად, ცოცხალი ეროსი მანჯგალაძე რომ ვნახე. მაშინ მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლს ვუყურებდი და ანტრაქტის დროს ხმა დაირხა: ქვევით, თამბაქოს მოსაწევ ოთახში ეროსიაო. გავქანდი და ჯერ კიდევ კიბეზე ჩავრბოდი, როცა ნაცნობი ხმა მომესმა: ეროსი მეგობარს რაღაცას უყვებოდა და გულიანად იცინოდა... ჩვენი მეორე შეხვედრა ოფიციალურ ხასიათს ატარებ-

და. თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილმა „მეექვსე სართული“ დადგა. ამ სპექტაკლში ერთ-ერთ მთავარ გმირს, ბატონ ჰოშპოს ვთამაშობდი. წარმოდგენის დაწყებამდე, გრიმწასმული, კოსტიუმში გამოწყობილი, ფოიეში სიგარეტს ვეწეოდი. ამ დროს ჩემი მეტყველების პედაგოგი ბადრი კობახიძე მომიახლოვდა ეროსი მანჯგალაძესთან ერთად და მას ჩემი თავი წარუდგინა: ეს ყმაწვილი ნუგზარ ჯუღელია, ეროსის ხმა რომ აქვსო. ეროსიმ ამხედდამხედა და ჩაილაპარაკა — „ინტერესნო“... ახალგაზრდობაში ჩემზე მანჯგალაძის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ხმით ახლობლებიც კი ვერ გვასხვავებდნენ. ჩვენი ხმის მსგავსებაზე თავის დროზე, ლეგენდაც კი დადიოდა — თითქოს მე ეროსის შვილი ვიყავი. „დინამოს“ სტადიონზე დიქტორად რომ დავიწყე მუშაობა, იმ დროს მანჯგალაძეს მამამ უსაყვედურა თურმე: ჩემი ეროსი, უკვე ცნობილი კაცი ხარ და სტადიონზე მუშაობის დაწყება რაში დაგჭირდაო?!. რუსთაველის თეატრში ახალი მისული ვიყავი, როცა დოდო ალექსიძემ „ჰამლეტი“ დადგა. ამ სპექტაკლში ჰამლეტის მამის აჩრდილს განვასახიერებდი. პრემიერის დასრულებისასა თეატრიდან რომ გამოვედი, მიშა მესხი დავინახე და საუბარი გავაბით. სანამ ვლაპარაკობდით, თეატრი დაცარიელდა და ბოლოს მიშას ვკითხე, თუ ვის ელოდებოდა. მან მიპასუხა, რომ ეროსის უცდიდა. ამან გამაკვირვა და ვუთხარი — მგონი ეროსი დღეს თეატრში საერთოდ არ ყოფილა-მეთქი. მიშამ ეს არ დაიჯერა და მკითხა: აბა, აჩრდილი ვინ იყოო? ვერაფრით დავარწმუნე, რომ აჩრდილს ეროსი კი არა, მე ვასახიერებდი. მესხი ცოტა ჯიუტი ადამიანი იყო და ამიტომ იძულებული გავხდი, გვერდზე გამეყვანა და ეროსის ხმით წარმომეთქვა: „შვილო ჰამლეტ, მე სული ვარ მამაშენისა და ხანსა ერთასა“... ალმა-ათაში ადგილობრივ „ქაირათს“ ეთამაშებოდა „დინამო“ და მატჩის რეპორტაჟს ეროსი უძღვებოდა. თამაშს მსაჯების „წყალობით“ ვაგებდით, რადგან ისინი „დინამოს“ წამოწყებულ ყველა შეტევას ხელოვნურად „შლიდნენ“. ეროსი ნერვიულობდა და ასეთი რამ თქვა: „აი, კიდევ ერთი ოფსაიტი დააფიქსირა მსაჯმა. ახლა მე დაჟინებით გავცქერი ჩემი ჯიხურიდან მოპირდაპირე მხარეს მდგომ გვერდით მსაჯს და ვგიჟდები კაცი — იმ მამაცხონებულს ალამი სულ მაღლა აწეული აქვს. ასე ვფიქრობ, მას დრო და ადგილი ნამდვილად ეშლება. მას პირველ ივნისს თავი პირველი მაისის „პარადზე“ ჰგონია და დროშას ამიტომაც აფრიალებს ასე მონდომებით. არა, ძმაო, „პარადი“ არაა, არა!..“ თბილისის „დინამო“ სტუმრად ბაქოს „ნეფთჩის“ ხვდებოდა და მარცხდებოდა. ამ დროს ეროსიმ ჩვეული იუმორით წარმოთქვა: „პირდაპირ საოცრებაა, სახლში „დინამო“ ბოლო ხანებში ყველა შეხვედრას იგებს, გასვლითი მატჩები კი არა და არ გამოგვდის. მგონი, მივხვდი — „დინამოზე“ გუნდს საკუთარი კედლები ეხმარება. კედლები კი, ჩვენი ფეხბურთელების ახლობლები არიან. ჰოდა, „დინამოელებს“ ვურჩევდი, შეაგულიანონ თავიანთი მშობლები, და-ძმა, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ბებია-ბაბუები და წაიყვანონ ისინი გასვლით მატჩებზე. ასეთ შემთხვევაში, მოგებაც გარანტირებული ექნებათ“. თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერევნის „არარატს“ ვეთამაშებოდით. პირველი ტაიმის რეპორტაჟს ეროსი უნდა გასძღოლოდა, მეორისას — მე. შევამჩნიე, რომ მანჯგალაძე ლაპარაკის ხასიათზე არ იყო და მეტოქე გუნდის ფეხბურთელების გარჩევაც უჭირდა. ამ დროს, ბურთი „არარატის“ ფორვარდმა ლევონ იშტოიანმა მიიღო. ეროსიმ ვერ გაარჩია, ვის ჰქონდა ბურთი და თვალით მანიშნა — მიკარნახეო. ცხადია, მას ჩურჩულით ვუთხარი — „ლევონ იშტოიანს“. მან გვარი კი გაიგო, მაგრამ სახელი ვერა, მაგრამ არ დაბნეულა და ტელემაყურებელს ჩვეული რიხით აუწყა: „დიახ, დიახ, ბურთი ბატონ იშტოიანს აქვს“. არადა, ეს ის დროა, როდესაც საქართველოში ბატონობით მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას მოვიხსენიებდით...

ტრიბუნიდან ტრიბუნაზე – მიშას გამო

— მიშა მესხი ფეხბურთელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლის ასპარეზზე გამოჩენისთანავე მთელი საფეხბურთო სამყარო და მათ შორის, თანაგუნდელები აღიარებდნენ, რომ იგი ფანტასტიკური მოთამაშე იყო. ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში, თბილისის „დინამო“ ყოველ წელს შავი ზღვის სანაპიროზე მიემგზავრებოდა და მე, როგორც სპორტული ჟურნალისტი, გუნდს მუდამ თან ვახლდი. ერთ-ერთ ზამთარს, ახალგაზრდა და ყველასათვის უცნობი მიშაც წამოიყვანეს მწვრთნელებმა შეკრებაზე. გუნდი დღეში სამჯერ ვარჯიშობდა და შევამჩნიე, რომ სადილის შემდეგ მესხი, დასვენების მაგივრად, სადღაც იკარგებოდა. ცხადია, დამაინტერესა, სად მიდიოდა, რაზეც მიშამ მიპასუხა: რაღაც ძალა მკარნახობს, რომ მუხლის სიძლიერისთვის მთაში უნდა იაროო, — და მეც ამას ვაკეთებო. მართლაც, იგი ფიზიკურად ისეთი ძლიერი იყო, რომ ტრავმის გამო თამაში არ გაუცდენია. მოგეხსენებათ, მიშა მარცხენა თავდამსხმელად თამაშობდა და თბილისის „დინამოს“ საშინაო მატჩების დაწყებამდე, 2000 ე.წ. „მესხისტი“ ტრიბუნაზე ადგილს არ იკავებდა და ელოდებოდა, პირველ ტაიმში მასპინძლები რომელ მხარეს შეუტევდნენ; როდესაც ეს გაირკვეოდა, ისინი იმ ტრიბუნაზე სხდებოდნენ, რომელიც თბილისელთა შეტევის მარცხენა ფრთასთან უფრო ახლოს იყო, რათა მიშას თამაშით დამტკბარიყვნენ. მეორე ტაიმში, როდესაც მესხი საპირისპირო მხარეს შეუტევდა, მისი ერთგული გულშემატკივრებიც ადგილს იცვლიდნენ და 2000 კაცი ერთად მოპირდაპირე ტრიბუნაზე ჯდებოდა. ასეთი პრეცედენტი — რომ ერთი ფეხბურთელის გამო მაყურებლებს ტრიბუნა შეეცვალათ, მსოფლიოში არ ყოფილა. მიშა ძალიან უთქმელი ბიჭი იყო და თითქმის არ ლაპარაკობდა. იგი ეროსი მანჯგალაძეზე გიჟდებოდა, რომლის სიტყვაც მესხისთვის კანონი იყო. საერთოდ, მესხი ძალიან უყვარდათ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს. მისი მეგობრები იყვნენ: გიორგი ცაბაძე, რევაზ ლაღიძე, ბიძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ძმები ბერძენიშვილები. ცოდვა გამხელილი ჯობს და ისიც უნდა ვთქვათ, რომ მიშას ცოტა ცუდი სიმთვრალე ჰქონდა. ერთხელ თბილისელი ებრაელები დამიკავშირდნენ და მთხოვეს, მესხთან „საქმე ჩაგვიწყვე“, პურმარილზე რომ დავპატიჟოთო. მართლაც, დიღომში ებრაელებმა მშვენიერი სუფრა გაშალეს. მაგრამ როცა მიშა დათვრა, მასპინძლებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ყველაფერი თავზე დაამხო... მესხი ახალგაზრდობაში თმახუჭუჭა ბიჭი იყო და ჩვენი გაცნობიდან გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც უკვე სახელი გაითქვა, ქუჩაში ვიღაც თავგადაპარსული ყმაწვილი მომესალმა. პირველი შეხედვით ვერ ვიცანი და თავად მითხრა: მიშა მესხი ვარო. თურმე, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოძახებული მესხი, სტრელცოვთან ერთად დამთვრალა და რაღაც ინციდენტის გამო, ორივე მილიციის განყოფილებაში მოხვედრილა, სადაც მათთვის თავი გადაუპარსავთ.



მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოძახებული მესხი, სტრელცოვთან ერთად დამთვრალა და რაღაც ინციდენტის გამო, ორივე მილიციის განყოფილებაში მოხვედ-

მოშიმშილე მეტრეველი

— 1963 წლის ჩემპიონატი თბილისის „დინამომ“ საკმაოდ ძლიერად ჩაატარა, მაგრამ გუნდს ოქროს მედლების მოსაპოვებლად რაღაც აშკარად აკლდა. ამიტომ იმდროინდელმა ე.წ. „კომბინატორებმა“ და დღევანდელი გაგებით ბიზნესმენებმა — ირაკლი ნემსაძემ და ძმებმა ლაზიშვილებმა — მოსკოვის „ტორპედოდან“ სლავა მეტრეველი ჩამოიყვანეს. მას ბინა ელიტარულ სახლში მისცეს და ეს ხალხი საკმაოდ დიდ პატივს სცემდა. ახალ სეზონში „დინამოს“ პირველი საშინაო მატჩის დაწყებამდე, როდესაც გუნდების შემადგენლობა უნდა გამომეცხადებინა, სადიქტორო კაბინაში ცეკას ინსტრუქტორი შემოვარდა და მითხრა: ზაურ მეტრეველი უნდა გამოაცხადო, სლავა მეტრეველის მაგივრად, რადგან პასპორტში ზაური უწერიაო. მეორე შეხვედრაზე ის ინსტრუქტორი კვლავ მესტუმრა და განმიცხადა, რომ მეტრეველი კვლავ სლავას სახელით წარმომედგინა, რადგან ცეკაში უმსჯელიათ ამის თაობაზე და ვასილ მჟავანაძეს ასე გადაუწყვეტია... მეტრეველზე თავმ-

დაბალი ადამიანი არ შემხვედრია. უკვე ცნობილი ფეხბურთელი იყო, მაგრამ რამე რომ მეთხოვა, პატარა ბავშვივით გამეგზავნებოდა. მინდა გითხრათ, რომ შოთა იამანიძე სულ ოცნებობდა, ტრესტის მმართველი ყოფილიყო. მიშა მესხს სურდა, დიდი სახლი ჰქონოდა და საფეხბურთო სკოლა გაეხსნა. ბევრი ფეხბურთელი კარიერის დასრულების შემდეგ, სამუშაოდ მილიციაში მიდიოდა. სლავას ოცნება კი ის იყო, კარგი რესტორანი ჰქონოდა, მაგრამ მისი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, შიმშილობდა და თბილისელ მეგობრებზე მეტად, მოსკოვის „ტორპედოში“ მისი ყოფილი თანაგუნდელები ეხმარებოდნენ. თუმცა, ამ ფულსაც რუსი ცოლი ტანია უჭამდა და სლავას საშინელ დღეში აგდებდა...

პოპულარული დავით ყიფიანი

— ბუბა კიკაბიძე, მოგეხსენებათ, რუსეთში პოპულარული იყო, მაგრამ არ დამიჯერებთ, რომ გითხრათ — მასზე უფრო პოპულარული დავით ყიფიანი გახლდათ. ერთხელ, მე და დათო ლენინგრადის ქუჩებში ვსეირნობდით და უკნიდან ქოშინის ხმა შემოგვესმა. მივიხედეთ და ვხედავთ, რომ ვიღაც კაცი ბავშვთან ერთად ჩვენკენ მორბის. რომ მოგვიახლოვდნენ, კაცმა მიგვაბრუნა და შუა ქუჩაში გაჩერებული ტროლეიბუსი დაგვნახვა, თან დათოს უთხრა: ავდმყოფი შვილი ექიმთან მიმყავდა, მაგრამ დაგინახეთ და სპეციალურად ტროლეიბუსი გავაჩერე, რათა ჩემს ბიჭს თქვენთვის ხელი ჩამოერთმიაო... ქართველი ფეხბურთელები კალათბურთელებზე ძალიან ეჭვიანობდნენ და ვაი, იმის ბრალი, ვინც ფეხბურთელის თანდასწრებით კალათბურთელს შეაქებდა... საბჭოთა კავშირის პირველობის მორიგ ტურში, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებთან ერთად, ლვოვში მივფრინავდი, სადაც გუნდს ადგილობრივ „კარპატისთან“ უნდა ჩაეტარებინა მატჩი. უეცრად, კახი ასათიანი მეუბნება: ნუგზარ, შენზე ამბობენ, კალათბურთი უყვარსო. მეც არ დამიმალავს და ვუპასუხე, რომ სპორტის ამ სახეობაზე მართლაც, შეყვარებული ვიყავი. ამის გამგონე, დავით ყიფიანმა თვითმფრინავის სალონში ხმამაღლა გამოაცხადა: ხალხო, ნუგზარ ჯუღელს კალათბურთი ფეხბურთზე მეტად ჰყვარებიაო. მართალია, თვითმფრინავიდან არავის გადმოვუგდივარ, მაგრამ ადგილზე ჩაფრენამდე, არც ერთ ფეხბურთელს ჩემთვის ხმა არ გაუცია. ამას ისიც დაერთო, რომ ლვოვში თამაში წავაგეთ და ცხადია, ყველაფერი მე დამაბრალეს. მაშინ, „დინამოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ტელევიზიის შეფთან მივიდა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 3 თვის განმავლობაში, გუნდთან ერთად გასვლით მატჩებზე სიარული ამიკრძალეს... თბილისის „დინამო“ მოსკოვის „ტორპედოს“ ძალზე პრინციპულ მატჩში ხვდებოდა, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვეგო. თამაშის დამთავრებამდე წამებიღა რჩებოდა, მაგრამ ანგარიში საყაიმო იყო — 1:1. დღემდე მახსოვს სიტყვები, რომლებიც იმ რეპორტაჟისას ვთქვი: „დასასრულს უახლოვდება ეს დრამატული ორთაბრძოლა. რა არ იღონეს ქართველმა ფეხბურთელებმა, მაგრამ ვერა და ვერ იქნა წარმატების მიღწევა. თუმცა მაპატიეთ, ჩვენი „დინამოელების“ კიდევ ერთი შეტევა მარცხენა ფრთიდან. ბურთი გუცაევს აქვს, რომელმაც მოატყუა ერთი მცველი, შემდეგ — მეორე... ჩაწოდებაა საჭირო... ჩააწოდა! ყიფიანი! დარტყმა! ორის ორის!.. მაპატიეთ — 2:1 „დინამოს“ სასარგებლოდ!“

კახის პანღური და რეხვოს ბუცები

— კახი ასათიანი ბუნებით დახვეწილი კაცი, არისტოკრატი იყო და სწორედ ამიტომ, ფეხბურთის სამყაროში მას კნიაზის სახელით იცნობდნენ. საქვეყნოდ ცნობილმა არბიტრმა ედუარდ შკლოვსკიმ შემომჩივლა კიდეც: მსაჯობის დროს, მოედანზე ორი ადამიანის მეშინია — ყიფიანის და ასათიანისო... 70-იან წლებში, ძალიან მოდური იყო, მატჩის მიმდინარეობისას მეტოქისთვის ბურთის ფეხებს შორის გატარება და კახი ამ ფინტს საკმაოდ ოსტატურად აკეთებდა. ერთ-ერთ შეხვედრაში კიროვაბადის ანუ ამჟამინდელი განჯის „ქიაფაზთან“, მოწინააღმდეგის რომელიღაც დაგვაჯულმა ფეხბურთელმა კახის ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა. ამის შემხედვარე, მისი თანაგუნდელები და ტრიბუნაზე მყოფი მაყურებელი გაშრნენ. კახი კი თავის „შემარცხვენელს“ გამოეკიდა და როდესაც დაეწია, ლაზათიანი პანღური ამოარტყა. მისმა მოქმედებამ მსაჯი ისე გააოგნა, რომ ყვითელი ბარათიც არ მიუცია... ტელევიზიაში დიქტორად რომ ვმუშაობდი, კახი ასათიანი და მისი მეგობარი, ვახტანგ (ბიჭი) ჭელიძე მესტუმრნენ. იმ საღამოს „მოამბე“ უნდა წამეყვანა. გადაცემის დაწყებამდე, როგორც წესი, ტექსტს ვეცნობოდი და მათ მთხოვეს: გვანახვე, რას კითხულობო. მეგობრებს ტექსტი მივაწოდე, მაგრამ ვიდრე ისინი ნაწერს თვალს გადაავლებდნენ, გადაცემის დაწყების დრო მოვიდა და რეჟისორის თანაშემწე ყვირილით შემოვარდა: რას უცდი, ეთერში გასვლის დროაო! ბოლოს და ბოლოს, ისე მოხდა, რომ კახისა და ვახტანგის გადამკიდეს, ტექსტი წაუკითხავი დამრჩა. სტუდიაში შესულმა, პირველი სიუჟეტი „ჩავაბულბულე“. თუმცა ვღელავდი და მონიტორზე გამოსახულებასაც აღარ ვუყურებდი, რადგან ჩემთვის მთავარი იყო, ტექსტი არ შემშლოდა. მეორე გვერდი შემდეგი სიტყვებით დავამთავრე: „დღეს რუსთაველმა მეტალურგებმა, რომლებიც სოცშეჯიბრის შრომით ვახტზე დგანან, წარმატებით...“ — გადავშალე ფურცელი და გავაგრძელე: „მოკრიფეს 400 ტონა ჩაის ფოთოლი...“ გადაცემა როგორ დავამთავრე, არ მახსოვს, მაგრამ სადიქტორორში როდესაც დავბრუნდი, ვახტანგი კახისკენ იშვერდა თითს: ყველაფერი ამან ჩაგიწყოო, — ხოლო კახი თავის მხრივ, მომხდარს ვახტანგს აბრალებდა... „დინამოს“ გასვლითი მატჩი ჰქონდა ბაქოში, სადაც მატარებლით გავემგზავრეთ. გუნდში ბიჭებს ასეთი ტრადიცია ჰქონდათ დამკვიდრებული: მე, დათო ყიფიანი, კახი ასათიანი და ვახტანგ ჭელიძე ყოველთვის ერთ კუპეში ვიმყოფებოდით. არ მახსოვს, რა მიზეზით, მაგრამ იმ დღეს ყიფიანი არ წამოსულა და მის მაგივრად, ჭელიძემ მეოთხე კაცად ვახტანგ რეხვიაშვილი შემოგვიყვანა. მაშინ წესად გვქონდა, რომ ფეხბურთელების უკეთ დასვენებისთვის, მე ზედა „სართულზე“ ვიძინებდი, ხოლო ისინი ქვემოთ წვებოდნენ. თუმცა ამჯერად, კუპეში რომ შევედით, კახიმ და ვახტანგმა სასწრაფოდ ზედა თაროები დაიკავეს. მართალია, ორივეს ვუთხარი: ბიჭებო, ხვალ ძნელი თამაშია, ქვემოთ ჩამოდით, კარგი ძილი და მოსვენება გჭირდებათ-მეთქი! — მაგრამ მათ მიპასუხეს: შენ და რეხვომ მანდ იძინეთ — ჩვენი დარდი ნუ გექნებათო. ახალი ჩაძინებული ვიყავი, როცა ვიგრძენი, ვიღაც მახრჩობდა. ჯერ თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ უცებ გამოვფხიზლდი და დავინახე,

ზემოდან ტიტველი რეხვო მაჯდა, რომელსაც ჩემთვის ხელები ყელში ჰქონდა წაჭერილი და ცივი ხმით გაჰყვიროდა: ბუცი, ჩემი ბუცი მომეცი! ამის შემხედვარე, კახი და ვახტანგი სიცილით დაიხოცნენ. თურმე, რეხვიაშვილს ასეთი რამ ძილში ხშირად ემართებოდა, რაც ორივემ კარგად იცოდა. ის ღამე თეთრად გავათენე, რადგან ველოდებოდი, რეხვო როდის დამახტებოდა და ბუცს მომთხოვდა... კახი ასათიანზე საუბარს კი იმით დავამთავრებთ, რომ 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მანდილოსნებმა იგი დაასახელეს ნაკრებში, რომლის სახელიც ასე ჟღერდა: „ჩემპიონატის სიმპათიური ფეხბურთელების სიმბოლური ნაკრები“.

მშვენიერი „საკალათბურთო ამინდი“

— თავის დროზე, სპორტის სასახლეში საკალათბურთო მატჩებს 10000 გულშემატკივარი ესწრებოდა, მაგრამ საშუალება რომ ყოფილიყო, ჩემი აზრით, 10-ჯერ მეტი მაყურებელიც მოვიდოდა. ასეთი ფრაზაც კი მაქვს ნათქვამი: „დღეს სპორტის სასახლეში მშვენიერი საკალათბურთო ამინდია“. ერთხელ, თბილისში „დინამო“ მოსკოვის „ცსკას“-ს ეთამაშებოდა და სტუმართა ცენტრალურ თავდამსხმელ ტკაჩენკოზე დაბოღმილი ვიყავი, რადგან, ის ტურის მატჩებში ძალიან გვამწარებდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ტკაჩენკო უხეიროდ გაისარჯა

და გაბრაზებულმა ვთქვი: ტკაჩენკო როგორც ახტა, ისე დახტა-მეთქი. ზუსტად აღარ მახსოვს, ჩვენი გუნდი ვის ხვდებოდა, მაგრამ ის არ დამვიწყნია, რომ „დინამოს“ შემადგენლობაში ოპოშნიანმა ბრწყინვალედ ითამაშა. ლევან მოსეშვილმა მას დასვენების საშუალება მისცა და დავინახე, რომ სათადარიგოთა სკამზე მჯდომი „დინამოელი“ მძიმედ სუნთქავდა. ამ დროს წარმოვთქვი: „ისუნთქე, ოპოშნიან, ისუნთქე, შენ ეს დაიმსახურე...“ მიშა ქორქია ძალიან ემოციური ადამიანი იყო და ახლაც თვალწინ მიდგას სტუმრად მინსკში ადგილობრივ „ერტეისთან“ ჩატარებული შეხვედრისას, როგორ აუვარდა საცემრად ტრიბუნაზე მჯდომ ერთ-ერთ ადგილობრივ ქომაგს, რომელმაც ქართველს შეაგინა. სხვათა შორის, ანალოგიური რამ მიშას თბილისის სპორტის სასახლეშიც აქვს გაკეთებული, როდესაც გულშემატკივარმა შეურაცხყოფა მიაყენა. ზურა საკანდელიძე იყო კალათბურთელი, რომელიც თავს უფლებას აძლევდა, არ ევარჯიშა და მაინც მაღალ დონეზე ეთამაშა. იგი ხშირად გამხდარა საკუთარი ტალანტის მსხვერპლი, რადგან ქეიფი უყვარდა და ღვინოსაც ეძალებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მოედანზე ნასვამიც კი გამოსულა! მიუხედავად ცხოვრების ასეთი წესისა, ამას ზურასთვის ხელი არ შეუშლია, 1967 წელს ევროპის საუკეთესო მცველად ეღიარებინათ და მსოფლიო ნაკრებში შეეყვანათ. გარდა ამისა, საკანდელიძე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა და ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ნებისმიერი კლუბი მზად გახლდათ მის ასაყვანად. მიუხედავად ასეთი ტიტულებისა, საკანდელიძე სიცოცხლის უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, უმუშევარი დადიოდა. სიკვდილის წინ, მან მეუღლეს ბურთის მიტანა მოსთხოვა, რადგან სურდა, სიკვდილი ზუსტი ტყორცნით „დაემარცხებინა“, მაგრამ საკალათბურთო ენით რომ ვთქვათ, სიკვდილმა ზურას „დააფარა“... თბილისის „დინამოში“ 70-იან წლებში ცენტრალურ თავდამსხმელად გაგრელი იური ძიძიგური თამაშობდა, რომელსაც მეტსახელად ცივას ეძახდნენ. მას რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობდა, რის გამოც თანაგუნდელები ხშირად აშაყირებდნენ. გარდა ამისა, ცივას მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდა. თავად ვარ მომსწრე, თუ ერთ-ერთი თამაშის დასრულებისას, დაცარიელებულ დარბაზში მოედანზე გართხმული ძიძიგური ხელების ფათურით როგორ ეძებდა რაღაცას. როდესაც ვკითხე, რას აკეთებდა, მიპასუხა: глаза потерял. მივხვდი, რომ ცივას ლინზები დაჰკარგვოდა. ძიძიგურმა კალათბურთს თავი რომ დაანება, გაგრაში დაბრუნდა და მილიციაში დაიწყო მუშაობა, სადაც მეტსახელად შლაგბაუმა შეარქვეს, რადგან დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს გასაქანს არ აძლევდა. აფხაზეთის ომის დროს, სეპარატისტების წინააღმდეგ ბოლომდე იბრძოდა და ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა გაგრის აღებისას...

■

მსახიობი ქალის ბედი ქართულ პროვინციაში

სილნაღის თეატრში, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, კარგა ხანა, სპექტაკლი არ დაუდგამთ. თუმცა, თეატრალური დასი უწინდებურად ბევრითად ცხადდება სამსახურში და ძველი დიდების ნოსტალგიით შეპყრობილი, ისუნთქავს სცენის მონატრებულ მტვერს. ამ დასს, ერთადერთი მსახიობი ქალი — ვედა სულხანიშვილი შემორჩა, რომელსაც დღეს ტკივილად ჰქცევია ის აღმაფრენა, რომელსაც ანიჭებდა არა მარტო ქართველი, არამედ ჩეხი, ფრანგი, მექსიკელი, რუსი, ინგლისელი, თურქი თუ კანადელი მაყურებლის აპლოდისმენტები.

მოყვარულთა თეატრის საერთაშორისო ფესტივალის პრიზით ხელში

მაია გოგოლაძე

ჯერ კიდევ მეორე კლასში სწავლის დროს, პატარა მედეა მეზობლების წინაშე წარდგა, როგორც რეჟისორი და მსახიობი. დადგა სპექტაკლი — „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ — და თავადვე ითამაშა პატარა კახის როლი...

— **როგორი ერეკლე იყავით?**

— მშვენიერი! თავზე ჩალმა მეხურა, წვერ-ულვაში ნახშირით დავიხატე, „მხედრებიც“ მყავდა. შემაღლებულ ადგილზე შევსვი ინგილო ქალი და იქიდან მაყრიდა ხილ-კენკრას... ბილეთები 5 კაპიკად გავყიდეთ. ბევრი მაყურებელი არ მოგვივიდა. მხოლოდ ბებიები დაგვესწრნენ. თუმცა, თანხა მაინც იმდენი მოვაგროვეთ, რომ „პრემიერის“ შემდეგ, ბანკეტი გავმართეთ, ლიმონათითა და „დათუნია“ შოკოლადით... ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ტრაგედია ბავშვობაშივე განვიცადე: უბედნიერესი ხანა, 7 წლის ასაკში მამის სიკვდილით დამთავრდა. მერე შეზღუდვებით სავსე მოსწავლეობამ დამინგრია ფსიქიკა: კომუნისტურ-პიონერული სკოლა შავ ფერებში მახსოვს. სულ მინდოდა, რაღაც მეკითხა მასწავლებლისთვის, მაგრამ ვერ ვბედავდი, იმიტომ რომ შეკითხვა აზროვნების შედეგად ებადება ბავშვს, საბჭოურ სკოლაში არსებული სწავლების პრინციპით კი, არ უნდა გვეაზროვნა... მსახიობობაზე ვოცნებობდი, მა-

ჯერ კიდევ მეორე კლასში სწავლის დროს, პაგარა მედეა მეზობლების წინაშე წარდგა, როგორც რეჟისორი და მსახიობი.

გრამ მამის სურვილს ვერ ვუღალატე და ვიოლინოზე დაკვრის ხელოვნებას დავეუფლე. ვიოლინოზე დაკვრის ერთადერთი მასწავლებელი ვარ სიღნაღის რაიონში.

— რა აქვს განსაკუთრებული ვიოლინოს, რით გამოირჩევა სხვა ინსტრუმენტისაგან?

— ვიოლინო გულში გაქვს ჩახუტებული, გულთან ახლოს არის და რასაც განიცდი, იმას გადმოსცემ...

მედეა სულხანიშვილი თეატრშიც ვიოლინომ მიიყვანა. კულტურის სახლთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლში, რომელიც მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული, ვიოლინოზე უკრავდა. ერთ-ერთ რეპეტიციაზე, თეატრში ახალდანიშნული რეჟისორი, მურად ვაშაკიძე შემოვიდა და მისთვის დამახასიათებელი იმერული კილოთი იკითხა: „რავა, სიღნაღში ვიოლინოსაც უკრავენ, ბოშო?“ იმ დროს, ვაშაკიძე მუშაობდა სპექტაკლზე ოტია იოსელიანის პიესის მიხედვით — „სანამ ურემი გადაბრუნდება“. მსახიობებიც შერჩეული ჰყავდა და მხოლოდ ცაგოს როლის შემსრულებელი აკლდა. შეხედა მედეას და უთხრა: რა ვიოლინო, რის ვიოლინო? ზუსტად ცაგო ხარ, ახლავე თეატრში წამოდიო...

ერთ თვეში პრემიერა შედგა, რომელსაც თავად ოტია იოსელიანი დაესწრო და ნანახით აღფრთოვანდა. შემდგომშიც, ასეთი აღფრთოვანება არაერთხელ მიუღია მედეა სულხანიშვილს მაყურებლებისგან, მაგრამ მსახიობი თავის შემოქმედების მწვერვალად, მაინც, ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით დადგმულ სპექტაკლს მიიჩნევს, სახელწოდებით — „ცა რომ სარკე იყოს“. მასში მედეა სულხანიშვილმა რამდენიმე რადიკალურად განსხვავებული ქალის სახე შექმნა: ბოშა ოქსანა, უკრაინელი თამარა, შვილმკვდარი დედა და სხვა.

— ყოველთვის სხვისი ცხოვრებით ცხოვრობ. ღამითაც კი სახლში, როლზე ფიქრობ, მთელი დღე და ღამე სხვის ტყავში ხარ. ერთ მშვენიერ დღეს, დაფიქრდები — შენ თვითონ სადღა ხარ?.. თუ მოახერხე და ოჯახი შექმენი, მეორე ნახევარი შეიძინე, კიდევ გადარჩენილი ხარ. თუ არა და, რჩები საშინლად მარტო და უმძიმეს დეპრესიაში ვარდები...

და მაინც, იმ როლებსა და სპექტაკლებს მისტირის, რომლებმაც ასეთი პესიმისტური საუბრისთვის განაწყო: თეატრის უმოქმედობის გამო წუხს, რადგან, როგორც ჩანს, სცენის სიყვარული ყველა ტკივილზე ძლიერია. 17 წლის მანძილზე ნათამაშები როლების რაოდენობასაც კი ვეღარ ითვლის.

ანსამბლ „ზედამეს“ წევრებთან ერთად

— პირველად დასში რომ მივედი, იქ დამხვდნენ მართლა საუკეთესო მსახიობები: აკაკი ძაძამია, ოთარ ძიძიგური, არკადი მოსაშვილი, მელორ სინჯიაშვილი, გია ქუსიკაშვილი. ახლა, როცა ვიკრიბებით — გოგო, გაზრდილხარო! — შეიცხადებენ ხოლმე. ამათ ისევ 16 წლის ვგონივარ. ცხოვრება რომ გაჭირდა და ოჯახს თეატრიდან მიღებული შემოსავალი ვეღარ არჩენდა, დასიდან ბევრი წავიდა. ვინც დავრჩით, ვართ ასე, უთეატროდ...

მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრებაც ტკივილით სავსე აქვს უსპექტაკლო პროვინციული თეატრის მსახიობ ქალს, თავს უფლებას არ აძლევს, სასოწარკვეთას მიეცეს. რაც ტაძარში ვგალობ, მას მერე ვიცი, რომ ყველაფერი უფლის ნებაა, ამიტომაც მშვიდად ვარო, — ამბობს იგი და გვიმხელს: უფალი მას შემდეგ აღმოვაჩინე, რაც, ნაადრევი მშობიარობის გამო, ბავშვი დამეღუპა. დეპრესიამ ტაძარში მიმიყვანა... ყოფილმა მსახიობმა, ამჟამად სიღნაღის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარმა მამა ექვთიმემ შეამჩნია „თავისიანი“ და ურჩია, შაბათ-კვირას წირვა-ლოცვაზე ევლო. მაშინ, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს, ასე განზრახ იყო დაწესებული — თეატრი შაბათ-კვირას მუშაობდა, რომ ადამიანებს ტაძარში არ ევლოთ. მედეა არჩევანის წინაშე დადგა — ან ტაძარი, ან თეატრი და ტაძარი არჩია. რეპეტიციებზე სიარული შეწყვიტა, მაგრამ მას დასი ვერ შეელია. უთხრეს — წირვა-ლოცვის შემდეგ იარე რეპეტიციებზეო. ურჩიეს — ნუ წახვალ, უთეატროდ ძალიან გაგიჭირდებაო. მართლებიც იყვნენ, უთეატროდ რა გააძლებინებდა?!.

— ახლა რომ არ ხართ სცენაზე?

— სცენაზე აუცილებლად დავდგებით. უბრალოდ, დენის და გათბობის პრობლემა უნდა მოგვარდეს და კიდევ, ნორმალური სპექტაკლის დადგმისთვის გარკვეული თანხაა საჭირო. აი, ნახავთ, ისეთი სპექტაკლი დაიდგმება!.. ამ ცოტა ხნის წინ, თეატრში მთელი იატაკი ჩავარდა. საკმარისი თანხები რომ ვერ მოვიძიეთ, დასის წევრებმა საკუთარი ხელით დავაგეთ იატაკი და ქვეშ დავატანეთ დალუქულ ბოთლში ჩადებული ჩვენი — „გაუქმებული თაობის“ — წერილი მომავალი თაობისადმი. ოდესმე ამ წერილს იპოვიან და შეიტყობენ, თუ რა პირობებში გვიწევდა მუშაობა, სიცივესა და შიმშილში როგორ ვატარებდით რეპეტიციებს, როგორ ვაკოწიწებდით ხურდა ფულს, რომ შესვენებაზე სული მოგვებრუნებინა ტალახივით შავი პურით... ბოლოს, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: მურად ვაშაკიძემ „ანტიგონე“ მომცა და მითხრა — გულდასმით წაიკითხე და ანტიგონეს როლზე იფიქრეო...

■

ᲤᲠᲐᲖᲔᲑ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ

ბევრს, ცუდი თვისება, თუ თვითონ აქვს, მოსწონს, თუ სხვასა — სძულს.

ხალხური

წმინდა წყლის ჰოდსტერი



Morgan Plus 4

საავტომობილო ბაზარზე ასეთი — ორადგილიანი და უსახურავო — როდსტერი სულ უფრო ნაკლები რჩება. ერთ-ერთი ამ რარიტეტთაგან, უძველესი ინგლისური ფირმის — Morgan-ის მიერ წარმოებული მანქანებია. სპორტული ავტომობილების სეგმენტში ეს კომპანია უკვე თითქმის 100 წელია მუშაობს. ერთი ოჯახის საწარმო, რომელიც ქალაქ ვუსტერშირში მდებარეობს, დღესაც ძველი ტექნოლოგიების ერთგული რჩება: მის მანქანებს ხისგან დამზადებული კარკასი აქვს, რომელიც ფურცლოვანი ალუმინითაა დაფარული.

დღევანდელ საბაზო მოდელს Plus 4 ეწოდება, უფრო სრულყოფილი და დახვეწილი მოდიფიკაციის სახელწოდება კი — Roadster გახლავთ. გარეგნულად ეს მანქანები ძალზე ჰგავს ერთმანეთს და მხოლოდ სპორტული ავტომობილის მცოდნეები შეამჩნევენ, რომ „როდსტერის“ ცხვირი რამდენადმე უფრო განიერია. მაგრამ მთავარი სხვაობა კაპოტქვეშაა დამალული: „როდსტერი“ V ტიპის 3 ლ მოცულობის 6-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 231 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს — მაშინ, როდესაც „პლუს 4“ ოთხცილინდრიანი აგრეგატით „კმაყოფილდება“ და მხოლოდ 145 ცხ.ძ-ს ავითარებს. ეს უკანასკნელი ძალზე მსუბუქია — მისი მასა სულ 880 კგ-ს შეადგენს (რაც მაგალითად, „ფოლკსვაგენ გოლფზე“ 300 კგ-ით ნაკლებია). 100 კმ/სთ სიჩქარეს ეს მანქანა 7,3 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 192 კმ/სთ-ს შეადგენს. საწვავის საშუალო ხარჯი 100 კმ გარბენზე 7,3 ლ-ს არ აღემატება.

ნაღდი როდსტერი საკმაოდ მოუხეშავი საკიდრით გამოირჩევა. ის არც საჭის მარეგულირებლით და არც ABS-ით არ გახლავთ აღჭურვილი. ბოლოს დავძენთ, რომ ძრავას მისთვის კომპანია „ფორდი“ აწარმოებს.

კონტინენტურ ევროპაში Plus 4, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალური შეკვეთით მზადდება, 43.600 ევრო ეღირება. ■

Dodge საგანგებოდ პოლიციისთვის

ამერიკულ პოლიციას მანქანები მხოლოდ კონკურსის შედეგად ხვდება, თანაც, საგანგებო ტესტები ყველა შტატში ცალ-ცალკე ტარდება. კონკურსში გამარჯვებასა და პოლიციისგან დაკვეთის მიღებას ყველა ადგილობრივი მწარმოებელი ცდილობს.

ამ ცოტა ხნის წინ, წარმატება Dodge-ის ორ მოდიფიკაციას ხვდა წილად. ესენია: სედანი — Charge და უნივერსალი — Magnum.

როგორც ცნობილია, „დოჯი“ კომპანია „კრაისლერის“ მარკას წარმოადგენს. ზემოთ ხსენებული ორივე მანქანა მიჩიგანის შტატის საპატრულო პოლიციისთვის გამოსადეგად მიიჩნიეს.

„ჩარჯერი“ და „მაგნუმი“ 5,7 ლ მოცულობისა და 344 ცხ.ძ. სიმძლავრის 8-ცილინდრიანი ძრავებითაა აჭურვილი. პოლიციისთვის განკუთვნილი ვარინტი მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით გამოირჩევა. წინა სავარძლები მყარი მასალითაა მოპირკეთებული. ძრავა, საჭის გამაძლიერებელი და გადაცემათა კოლოფი აღჭურვილია დამატებითი გამაგრილებლით, ამიტომ, საცობში მოხვედრისას, დასაშვებია, რომ მძღოლმა-პოლიციელმა, საჭიროების შემთხვევაში, ძრავა ხანგრძლივი დროის მანძილზე არ გამორთოს. ■

20 ნოემბერს სამშობლოში ჩამოასვენებენ, 21 ნოემბერს კი მთაწმინდაზე დაკრძალავენ საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს. ფიქრიანი მთაწმინდა გულში ჩაიხუტებს კიდევ ერთ ტკივილიან შვილს, რომელსაც უცხოობაში მყოფს, ვინ იცის, რამდენჯერ დაუკვნესია აკაკის დაუვიწყარი სტრიქონები:

„...დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“...

ხელცარიელები უნდა წავიდეთ აქედანო, — უთქვამს ქაქუცას...

ეკა ლომიძე

მშობლიურ მიწასთან მიახლებისთანავე, ალბათ, დიდი ქართველის ტანჯული სული ნაწილობრივ დამშვიდდება. მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან საქართველოს მიწა ისევ დაფლეთილი და დანაწევრებულია...

1924 წლის აჯანყების მონაწილეთა დამარცხების შემდეგ, ბოლშევიკები ბევრჯერ ეცადნენ, მეთაური და შეფიცულები ერთმანეთისთვის დაეშორებინათ, მაგრამ ამაოდ. „წითლებმა“ საწადელს ვერ მიაღწიეს და ამბოხებულთა მეთაური, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ვერც ხელში ჩაიგდეს და ვერც შეფიცულებს დააცილეს. გადარჩენილებმა ერთად გაიარეს უმძიმესი გზა სამშობლოდან საფრანგეთამდე, სადაც საქართველოს ნოსტალგიით ჩაფერფლილები, დღეს უკვე ლევილის სასაფლაოზე განისვენებენ.

საფრანგეთში დაბინავებიდან სულ ექვსიოდე წლის შემდეგ, 1924 წლის აჯანყების მონაწილენი მაინც მეთაურის გარეშე დარჩნენ. 1930 წელს, მისმა სიკვდილმა დააობლა შეფიცულები. მძიმედ დაავადებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამშობლოსა და ოჯახზე ფიქრში აღესრულა. უკანასკნელი სიტყვებიც თურმე, საქართველოს ეკუთვნოდა — დამწვით და ისე ჩამიტანეთ საქართველოშიო. იცოდა, რომ აქ მისი ნეშტის ჩამოტანასაც კი არავინ დაუშვებდა და ამის მცდელობას კვლავ სისხლის ღვრა და მსხვერპლი მოჰყვებოდა.

საქართველოდან წასვლამდე, აჯანყებულებს ხალხი უშიშრად მფარველობდა, რითიც შეეძლო, ეხმარებოდა. ამისათვის სიკვდილით დასჯაც არ ასცდა ბევრს, მათ შორის — ვაჟა-ფშაველას ვაჟს, ლევანს, რომელიც მხოლოდ იმისთვის დახვრიტეს, რომ აჯანყებულები შეიფარა. როდესაც ლევან რაზიკაშვილი დასახვრეტად მიჰყავდათ, სერგო ორჯონიკიძისთვის უთქვამთ — ის ვაჟას შვილიაო. საქართველოს დამაქცევარ სერგოს ამრეზით უპასუხია — მერე რა?! ქაქუცას დახმარებისთვის თვით ვაჟა-ფშაველასაც დავხვრეტდიო!..

ქაქუცას გარდაცვალების დროისთვის, ჯერაც არ იყო მინავლული 1924 წლის ტრაგიკული დღეების ცეცხლი, აჯანყებულთა მეთაურმა კი, უკვე ეროვნული გმირის სახელით დაიმკვიდრა მყარი ადგილი ეროვნულად მოაზროვნე ქართველთა ცნობიერებაში, რომელთაც წინ საშინელი 1937 წელი ელოდათ. არადა, ვერც საქართველოში და ვერც საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს ვერ წარმოედგინათ, რომ „წითელი ურჩხული“ დღეგრძელი აღმოჩნდებოდა. ქართველმა ემიგრანტებმა, იმ იმედით, რომ დიდი მეთაურის ნეშტს მშობლიურ მიწას ქრისტიანულად მალევე მიაბარებდნენ, არ დაწვეს და ქაქუცა ჯერ სენ-ანტუანის, შემდეგ კი — ლევილის სასაფლაოზე დააბინავეს.

ამბობენ — ეროვნული გმირის საფლავიც კი აძლიერებდა ემიგრანტებს. ყოველი დღე იმის იმედით იწყებოდა, რომ უახლოეს მომავალში სამშობლოში ქაქუცასთან ერთად დაბრუნდებოდნენ და ამით დამთავრდებოდა ის საშინელი გზა, რომელიც 1924 წლის აგვისტოში დაიწყო და ქაქუცას უახლოესი მეგობრის, ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნად ქცეულმა მოგონებებმაც შემოგვინახა...

დამარცხებული აჯანყებულები თურმე, გამუდმებით უტრიალებდნენ თბილისს: სიკვდილს ვეძებდითო, — ამბობდნენ. ბოლშევიკებს შეუთვლიათ ქაქუცასთვის — თქვენ ისე ცოტანი ხართ, რომ შეტაკების შემთხვევაში, ყველანი დაიღუპებით, არც ჩვენ გვინდა ზარალი, წაიყვანე შენი ცოლ-შვილი, შენი ხალხი და აქედან წადი, გზას გაგიხსნით და ხელს არავის ვახლებთო. ქაქუცას მოუთხოვია — ყველა ჩემს თანმხლებსაც უნდა მისცეთ ცოლ-შვილის წაყვანის უფლებაო. უარი უთქვამთ ბოლშევიკებს და ქაქუცას, თანამებრძოლთა სოლიდარობის ნიშნად, გადაუფიქრებია ემიგრაციაში ცოლ-შვილის წაყვანა.

სანამ ის საქართველოში იყო, მისი მცირეწლოვანი ქალიშვილები ჯერ თელავის, შემდეგ კი — მეტეხის ციხეში გამოუმწყვდევიათ „წითლებს“, თანაც დროდადრო თურმე, აჯანყებულებს უთვლიდნენ — დაგვნებდით, თორემ შვილებს დაგიხოცავთო!.. ქაქუცას უპასუხია — თუ ასეთი აკრძალული ხერხებით დაგვიწყებთ ბრძოლას, კახეთში ქვას ქვაზე დავადუღებთო. კახეთზე აქცენტი იმიტომ გაუკეთებია, რომ განსაკუთრებით მათ წინააღმდეგ თელავის კომიტეტი აქტიურობდა.

ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს, თანამებრძოლებს შეუთავაზებიათ მეთაურისთვის: საქართველოს ბანკებში არსებული ფული ბოლშევიკებს რჩებათ, მოდი, გავტეხოთ ბანკები და ფული თან წავიღოთო. შეწუხებულა ქაქუცა: ეს რამ გაფიქრებინათ?! ისედაც ბანდიტებს გვეძახიან და ასე ხომ მართლა მივცემთ სათქმელს; სულაც ხელცარიელები უნდა წავიდეთ აქედანო... მართლაც, თურქეთში გადასულებს, ცხენებისა და უნაგირების გარდა, არაფერი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი გენერალ კვინიგაძესთან ერთად

ებადათ; როცა ძლიერ გასჭირვებიათ, ეს, უკანასკნელი ქონებაც გაუყიდიათ და ამით არსებობდნენ თურმე, ერთხანს...

„წითლებს“ დანაპირები არ შეუსრულებიათ: თურქეთში გადასვლამდეც, უამრავი ხიფათი შეუქმნიათ დევნილთათვის. მოუსყიდიათ თურქებიც, რომ ქაქუცა და მისი ხალხი დაეპატიმრებინათ და ბოლშევიკებისთვის გადაეცათ. საქმეში გათურქებული, გავლენიანი ქართველები ჩარეულან და საფრთხე აუცილებიათ თანამოძმეებისთვის. მერე დაწყებულა გოლგოთასავით მძიმე გზა, გემით ევროპისაკენ.

კიდევ ერთხელ შეუთავაზებიათ ბოლშევიკებს ქაქუცასთვის — შენ დაბრუნდი, მიგიღებთ, შეფიცულებმა კი, ლათინური ამერიკისკენ გასწიონო. გმირი რა გმირი იქნებოდა უკეთურთა ზრახვებს რომ დანებებოდა?!

...საფრანგეთში, პარიზთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქში სახლი ჰქონიათ ქართველებს. ცდილობდნენ, ერთმანეთთან ახლოს ყოფილიყვნენ. ზოგს მუშაობა დაუწყია, სხვადასხვა ხელობა შეუსწავლია. ქაქუცა ძალიან მალე გამხდარა ავად. აღმოჩნდა, რომ ფილტვების სიმსივნე ჰქონდა. სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ეხმარებოდნენ თურმე, მატერიალურად. ფილტვებით დაავადებულთა საავადმყოფოში დაუწვენიათ. ერთხანს, მდგომარეობა გაუმჯობესებულა, გამოუყვანიათ კიდეც საავადმყოფოდან. მაგრამ მალევე ისევ გაუარესებია ჯანმრთელეობა და დაუბრუნებიათ. იქვე გარდაცვლილა კიდეც.

...მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, თუ რა შავ დღეში ჩააყენებდნენ საქართველოში უმწეოდ დარჩენილ მის ცოლ-შვილს, თურმე, არასდროს იმჩნევდა მწუხარებას. აქ კი, ქაქუცას წასვლის შემდეგ, მის ქალიშვილებს სწავლის საშუალებასაც არ აძლევდნენ, რის გამოც, გოგონებს სკოლიდან სკოლაში მოგზაურობა უწევდათ. დირექტორები რამდენიმე თვით თუ გაბედავდნენ მათ მიღებას... არც დასაქმების საშუალება ეძლეოდათ და თავი გაჭირვებით გაჰქონდათ. მაგრამ ყველაფერს იტანდნენ, რადგან საბედნიეროდ, ბოლშევიკებს მათი დატუსაღება ან გადასახლება არ მოსვლიათ თავში, 1942 წლამდე.

ერთ დღეს, ჩოლოყაშვილების ოჯახს უცხოეთიდან ჩამოსული ორი ქართველი მისდგომია. მათი ვინაობა დღემდე უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ ისინი გერმანიაში, ნაცისტებთან ერთად მებრძოლი, ქართველთა ლეგიონის წევრები ყოფილან. ქაქუცას ცოლ-შვილისთვის უთქვამთ — ჩვენ ქაქუცას მეგობრები ვართ და აქ კონკრეტულ პიროვნებებთან ურთიერთობის დასამყარებლად, თქვენი დახმარება გვჭირდებაო... ჩოლოყაშვილებს ცივი უარით გამოუსტუმრებიათ: ისედაც ბევრი ვიტანჯეთ და კიდევ პრობლემები არ გვინდაო. მაგრამ ეს არ დაიჯერა სუკმა, რომელიც ჩოლოყაშვილთა სტუმრებს უთვალთვალებდა და ქაქუცას ოჯახს ყაზახეთში გადასახლება და სატუსაღო მაინც არ ასცდა. რამდენიმე წლის შემდეგ, კომუნისტებს ჩოლოყაშვილები შეუწყალებიათ.

დღეს უკვე არც მეუღლე და არც ქალიშვილები ცოცხლები აღარ არიან. იმ ქვეყნად გაიყოლეს უამრავი ტკივილი და შეურაცხყოფა, რომელიც მხოლოდ იმისთვის მიიღეს, რომ გმირის ოჯახის წევრები იყვნენ.

გმირი კი დღეს, სამშობლოში ბრუნდება. ბევრ ადამიანს სურს, რომ ქაქუცას ნეშტის გადმოსვენებაშიც რაღაც კარგი ნიშანი დაინახოს. ეს განსაკუთრებით იმ ქართველთა შთამომავლებში იგრძნობა, რომელთაც თავის დროზე, „წითელი ურჩხულის“ გამო დატოვეს სამშობლო...

20 ნოემბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს, შვილიშვილთან და შვილთაშვილთან ერთად, მისი თანამებრძოლების შვილებიც ჩამოაცილებენ საფრანგეთიდან. იქნებ, ეს მართლაც, დიდი დაბრუნების დასაწყისია — მოვლენისა, რომელშიც მარტო ადამიანთა დაბრუნება არ იგულისხმება...

■

ქაქუცას საფლავი ლევილში

„ᲐᲛᲔᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ „ᲙᲘᲓᲝᲛᲜᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲤᲘᲚᲛᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲛᲡ



ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ, ᲟᲐᲜ-ᲞᲘᲔᲠ ᲟᲔᲜᲔ ᲙᲐᲜᲐᲓᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ, ᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ — „ᲞᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“ — ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲑᲡ. „ᲐᲛᲔᲚᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ 16 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ 9 ᲗᲕᲔ ᲜᲐᲕᲨᲘ ᲑᲔᲜᲒᲐᲚᲘᲣᲠ ᲕᲔᲤᲮᲕᲗᲐᲜ, ᲐᲤᲗᲐᲠᲗᲐᲜ, ᲖᲔᲑᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲐᲜᲒᲣᲢᲐᲜᲒᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ. ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲡ — Fox 2000 — ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ. ᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲛᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲛᲐ 2000 ᲬᲔᲚᲡ, ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ „ᲑᲣᲙᲔᲠᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ. ᲡᲐᲝᲙᲔᲐᲜᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ. ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 16 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲘ, ᲠᲘ ᲠᲐᲢᲔᲚᲘ, ᲕᲔᲤᲮᲕᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲛᲐᲪ ᲘᲛᲠᲝᲕᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ „ᲙᲘᲓᲝᲑᲜᲘᲗ“ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲔᲡ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲡ ᲟᲐᲜ-ᲞᲘᲔᲠ ᲟᲔᲜᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲗᲐᲜᲐᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ, �გᲘᲝᲛ ᲚᲝᲠᲐᲜᲗᲐᲜ („ᲐᲛᲔᲚᲘ“, „ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲜᲘᲨᲜᲝᲑᲐ“) ᲔᲠᲗᲐᲓ ᲬᲔᲠᲡ. „ᲞᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ 2006 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ■

ᲞᲔᲢᲠᲐ ᲜᲔᲛᲙᲝᲕᲐ — ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲔᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲝᲡ

ᲩᲔᲮᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲞᲔᲢᲠᲐ ᲜᲔᲛᲙᲝᲕᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ. ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲪᲣᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲐᲑᲝᲑᲝᲥᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲠᲝ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲞᲔᲢᲠᲐ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ.

„ᲓᲦᲔᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲮᲕᲐᲚ ᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲔᲑᲐ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲞᲔᲢᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲑᲠᲔᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲙᲐᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲜᲘ.

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲩᲔᲮᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ Rampage-ᲡᲐ ᲓᲐ Bensimon-ᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ �გᲐᲮᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲛᲐ ᲞᲔᲢᲠᲐ ᲜᲔᲛᲙᲝᲕᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ „ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲣᲚᲔᲑᲘ“ 25.000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲔᲡ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲨᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, 26 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲔᲢᲠᲐ ᲜᲔᲛᲙᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲝᲘᲤᲠᲔᲜᲓᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲡᲐᲘᲛᲝᲜ ᲔᲢᲚᲘ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ. ᲔᲢᲚᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ, ᲞᲔᲢᲠᲐᲛ 8 ᲡᲐᲐᲗᲘ ᲮᲔᲖᲔ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲦᲣᲞᲐᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ. ᲜᲔᲛᲙᲝᲕᲐᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ — „ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ ᲛᲣᲓᲐᲛ, ᲞᲔᲢᲠᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲬᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲣᲗᲮᲠᲝᲑᲡ, ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ. ■

ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲢᲔᲠ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ — „ᲙᲘᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘᲡ“ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ 14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ Universal-ᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ 2 ᲡᲗ ᲓᲐ 40 ᲬᲗ-ᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, 3 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 32 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲯᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲞᲘᲢᲔᲠ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲐᲕᲡ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ, ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲙᲐᲛ�პᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲚᲔᲑᲘᲗ, 207 ᲛᲚᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ. ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ — ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲙᲘᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘ“ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 1933 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲠᲘᲛᲔᲘᲥᲘᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲣᲠᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ — ᲯᲔᲙ ᲑᲚᲔᲙᲘ ᲓᲐ „ᲝᲡᲙᲐᲠᲝᲡᲐᲜᲘ“ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ — ᲜᲐᲛᲘ ᲣᲝᲢᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲓᲠᲘᲐᲜ ᲑᲠᲝᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ. ᲙᲘᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲡ ᲔᲜᲓᲘ ᲡᲔᲠᲙᲘᲡᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ. ᲐᲛ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲛᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ — „ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲚᲘ“ — �გᲝᲠᲚᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲐᲮᲐᲚ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲡᲔᲠᲙᲘᲡᲘᲡ ᲘᲡᲔᲒ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲜᲒᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ.

ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲙᲘᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲘᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲑᲘᲝᲖᲘᲐ. ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ, ᲡᲔᲠᲙᲘᲡᲘ ᲠᲣᲐᲜᲓᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲐᲣᲠ ᲜᲐᲙᲠᲫᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲑᲘᲜᲐᲓᲠᲔ ᲒᲝᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲪᲔᲕᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ. „ᲘᲡ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲒᲝᲠᲘᲚᲐ ᲠᲝᲛᲓᲘᲐ — ᲙᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲕᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲔᲠᲙᲘᲡᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲞᲘᲢᲔᲠ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲛᲐ.

ᲙᲘᲜᲝᲞᲠᲘᲛᲐᲢᲘ 120-150 ᲬᲚᲘᲡ, 25 ᲤᲣᲢᲘᲡ (7,5 Მ) ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲐ. ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲙᲘ �გᲝᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ 6 ᲤᲣᲢᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ 30 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ, ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ 50 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲔᲜ.

ᲜᲐᲛᲘ ᲣᲝᲢᲡᲘ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ ᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ 1933 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲤᲘᲚᲛᲡᲐ ᲓᲐ 1976 ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲠᲘᲛᲔᲘᲥᲘᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲯᲔᲡᲘᲙᲐ ᲦᲐᲜᲣᲛᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ. „ᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲡ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ ᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲦᲠᲛᲐᲐ. ᲛᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲣᲠ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲨᲘ, ᲠᲐᲚᲐᲪ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲭᲕᲘᲕᲘᲡ. ᲓᲐ ᲔᲡ ᲮᲛᲝ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲨᲘ ᲕᲔᲫᲔᲑᲗ?“

ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲙᲘᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪᲔᲤᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲝᲠᲒᲖᲘᲡ „ᲝᲡᲙᲐᲠᲝᲡᲐᲜᲛᲐ“ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Weta Ltd-ᲛᲘ ᲓᲐᲓᲒᲐ („ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲚᲘ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ). ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ, 30-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲘᲧᲝ. ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ, 30-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ „ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥ ᲕᲘᲚᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲐᲜᲡ, ᲚᲝᲕᲔᲠ ᲰᲐᲢᲡ ᲮᲕᲓᲐ ᲬᲘᲚᲐᲓ. ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲐᲗᲐᲛᲑᲯᲔᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲣᲒᲘᲐᲗ, ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲪᲐᲗᲐᲛᲑᲯᲔᲜᲘᲡ 3 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲘᲛᲘᲢᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲜᲔᲑ. „ᲛᲔ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲘᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲧᲝ... ᲙᲘᲜᲒ-ᲙᲝᲜᲒᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲔᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑ, ᲐᲥ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ — ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘ, ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘ. ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲠᲘᲛᲔᲘᲥᲘᲡ ᲕᲘᲦᲔᲑ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ. ■

ალენ დელონი სიკვდილზე ფიქრს თავს ანებებს და კინოს უმრუნდება!

ერთ დროს პლანეტის ნომერი პირველი მამაკაცი დღეს შვეიცარიაში ლემანოს ტბის ნაპირზე მდებარე საკუთარ ვილაში მარტოდმარტო, მხოლოდ ძაღლების გარემოცვაში ცხოვრობს და დღენიადაგ სიკვდილსა და თვითმკვლელობაზე ფიქრობს. „უფალს ნებას არ მივცემ, რომ ჩემი გარდაცვალების დღე თავად შეარჩიოს“, — განაცხადა მსახიობმა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ თეატრალური დადგმით, „რუსული მთები“ მთელი საფრანგეთი შემოიარა, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო 6 სექტემბერს ტურნე მოულოდნელად შეწყვიტა და შვეიცარიაში განმარტოვდა. თავდაპირველად, მსახიობი ამაყად აცხადებდა, რომ მას და პირველ ფრანგს (ჟაკ შირაკს) ერთი და იგივე დაავადება — ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა აწუხებთ, მაგრამ საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ალენ დელონს დეპრესიამ შემოუტია. „მე ჩემი არსების იმ ნაწილით ვიტანჯები, რომელიც მუდამ ძალზე მგრძნობიარე იყო, ეს — გულია!“ — განაცხადა მსახიობმა ყოველკვირეული Paris Match-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. როგორც ჩანს, ალენ დელონი უკანასკნელ მეუღლესთან, როზალი ვან ბრემენთან განქორწინებას დღესაც მტკივნეულად განიცდის. ავანტიურებით აღსავსე ცხოვრების უკანასკნელი 15 წელი ალენ დელონმა ახალგაზრდა ნიდერლანდელ მოდელთან ერთად გაატარა. 2002 წელს როზალიმ ქმარი მიატოვა და მეწარმე ალენ აფლელუს გაჰყვა ცოლად. „ჩემი ნაღვლიანი ამბების მოყოლით თავს არ შეგაწყენთ. ყველამ მშვენივრად იცის, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში თავს ცუდად ვგრძნობდი. ჩემი შვილები ძალიან მიყვარს. მათ გაჩენას დიდხანს ველოდი. ამ განქორწინებამ ცხოვრება დამინგრია. იმაზე ფიქრიც კი მაგიჟებს, რომ შვილების ნახვა თვეში მხოლოდ ორჯერ შემიძლია“, — ამბობს სახელგანთქმული მსახიობი, რომელსაც 8 ნოემბერს 70 წელი შეუსრულდა.

ალენ დელონმა დიდების მწვერვალს 60-70-იან წლებში მიაღწია. ლუკინო ვისკონტის „როკო და მისი ძმები“ და „ლეოპარდი“, მიქელანჯელო ანტონიონის „მზის დაბნელება“, ჟან-პიერ მელვილის „სამურაი“, ჟაკ დერეის „ბორსალინო“, პატრის ლეკონტის „ერთი შანსი ორისათვის“ — ეს ის ფილმებია, რომლებმაც მსახიობს მსოფლიო სახელი, დიდება და მაყურებლის უსაზღვრო სიყვარული მოუტანა, რამდენიმე წლის წინ, ალენ დელონმა კინოკარიერა დაასრულა და ფილმებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, მაგრამ

ბოლო ხანებში, მის თაყვანისმცემელთა გასახარად, ცნობილი გახდა, რომ ახალ ფრანგულ სურათში — „ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე“ ალენ დელონი რომაელ მხედარმთავარს და დიქტატორს იულიუს კეისარს განასახიერებს. ახალი ფილმი ეკრანებზე 2007 წელს გამოვა. ■



ტომ კრუზი ოვიდლ დას საქმისაგან ათავისუფლებს

ტომ კრუზმა საკუთარი და — ლი ენ დევეტი პრესაგენტის თანამდებობიდან გაათავისუფლა. მისი ადგილი საზოგადოებასთან ურთიერთობის ცნობილმა სპეციალისტმა, გავლენიანი PR კომპანია Rogers&Cowan-ის დამფუძნებელმა პოლ ბლოხმა დაიკავა. კინოვარსკვლავის უფროსმა დამ ტომ კრუზის ატაშეად 20 თვე იმუშავა. „ლი ენმა ჩემთვის და კომპანია Cruise-Wagner Productions-სთვის ძალზე ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მას საქველმოქმედო პროგრამები მუდამ უფრო მეტად იზიდავდა“, — განაცხადა ტომ კრუზმა Associated Press-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. პოლ ბლოხის მომსახურებით ჰოლივუდის მრავალი ვარსკვლავი სარგებლობს. მათ შორის: ბრიუს უილისი, კევინ კოსტნერი, ლიზა მარია პრესლი და დაიანა როსი. ახლა მათ რიგებს ტომ კრუზიც შეემატა, რომელმაც 2005 წელს მრავალი ისეთი შეცდომა დაუშვა, რამაც მისი იმიჯი საგრძნობლად შელახა: ტომმა ანტიდეპრესანტების გამოყენებისათვის მსახიობი ბრუკ შილდსი საჯაროდ გააკრიტიკა, ტელეწამყვანი მეთ ლაუერი პირდაპირ ეთერში გამოლანძღა, ოპრა უინფრი გადაცემაში — მისსა და კეტი ჰოლმსის ურთიერთობებზე საუბრის დროს დივანზე დახტოდა და სხვა. ■

სტივ მარტინი მარკ ტვენთან შესვედრაზე ოცნებობს

მსახიობმა სტივ მარტინმა კომიკოსთა და იუმორისტთა უმთავრესი ამერიკული ჯილდო — მარკ ტვენის სახელობის პრემია მიიღო. როდესაც „პირწავარდნილი არამზადების“ ვარსკვლავმა ჯილდოს მინიჭების შესახებ სასიხარულო ცნობა მიიღო, განაცხადა: „ჩემი აზრით, მარკ ტვენი დიდი ადამიანი იყო. მასთან შეხვედრას მოუთმენლად ველი“. დაჯილდოების ცერემონია კენედის სახელობის ხელოვნების ცენტრში (ვაშინგტონი) 23 ოქტომბერს ჩატარდა. ტომ ჰენკსმა აღნიშნა, რომ სტივ მარტინმა „ჩვენი ეპოქა ისევე განსაზღვრა, როგორც ეს თავის დროზე ძმებმა მარქსებმა და ჩარლი ჩაპლინმა გააკეთეს“. მსახიობ ლილი ტომლინის აზრით, სტივ მარტინის სამსახიობო ხელოვნებამ „უნატიფესი სიბრიყვისა და ღვთაებრივი აბსურდის“ სიმაღლეებს მიაღწია.

სტივ მარტინმა კინოში ათეულობით როლები ითამაშა. მათ შორისაა „პირწავარდნილი არამზადები“, „სასიმამრო“, „ბითუმად იაფია“ და სხვა. სტივ მარტინის კალამს ეკუთვნის რამდენიმე სცენარი, პიესები და წიგნები. გაზეთ The New York Times-თან და ყოველკვირეულ The New Yorker-თანაც აქტიურად თანამშრომლობს. მარკ ტვენის სახელობის პრემია 1998 წელს დაარსდა. სხვადასხვა წლებში პრემიის ლაურეატები იყვნენ: რიჩარდ პრაიორი, ჯუნი გოლდბერგი, ლილი ტომლინი და სხვები. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
822-009-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

„პატარა სიკვდილი“ პეტისათვის

მინდოსია

დაბადების თარიღი: 1970 წლის 22 სექტემბერი

დაბადების ადგილი: დეპი (საფრანგეთი)

ამპლუა: ნახევარმცველი

კლუბები: „მონაკო“ (1988-1997), „არსენალი“ (1997-2000), „ბარსელონა“ (2000-2001)), „ჩელსი“ (2001-2004).

ეროვნულ ნაკრებში: 63 მატჩი (1990 წლის აგვისტოდან 2002 წლის ივლისამდე).

მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (1998), ევროპის ჩემპიონი (2000), საფრანგეთის ჩემპიონი (1993, 1997), ინგლისის ჩემპიონი (1998), საფრანგეთის თასის მფლობელი (1991), ინგლისის თასის მფლობელი (1998).

გასული საფეხბურთო სეზონის მეორე ნახევარში ემანუელ პეტის არც ერთ კლუბში არ უთამაშია. სეზონის მიწურულს კი, ის მიხვდა, რომ კარიერა უნდა დაესრულებინა. თუმცა, დიდი სპორტიდან წასვლა, მას ჯერ კიდევ

წლის დასაწყისში ჰქონდა გადაწყვეტილი. საყვარელ საქმესთან გამოთხოვების მომენტს ემანუელ პეტიმ (რომლის გვარიც ითარგმნება, როგორც „სიკვდილი“) „პატარა სიკვდილი“ უწოდა...

ფრანგ ოსტატთა პლეადის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ემანუელ პეტი, რომელმაც „მამლაყინწებთან“ ერთად ჯერ მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, ხოლო ორი წლის შემდეგ, ევროპის პირველობაშიც იზეიმა გამარჯვება, ფეხბურთის მილიონობით ქომაგს გრძელი თმითა და 1998 წლის მუნდიალის ფინალში ბრაზილიელთა კარში გატანილი მესამე გოლით დაამახსოვრდება. იმ დაუვიწყარი მატჩის გმირები ერთიმეორის მიყოლებით ეთხოვებიან აქტიურ სპორტს. მათ შორის, ვისაც 1998 წელს „სტად დე ფრანსზე“ მსოფლიო თასის აღმართვის პატივი ხვდა წილად და ვინც უკვე დაასრულა საფეხბურთო კარიერა, პეტი რიგით მეშვიდე იყო. მასზე ადრე ეს არცთუ ისე იოლი გადაწყვეტილება ყველასათვის კარგად ცნობილმა ლორან ბლანმა, ალენ ბოგოსიანმა, ლიონელ შარბონემ, დიდიე დე შამმა, სტეფან გივარშმა და ბერნარ ლამამ მიიღეს. „მსოფლიო პირველობაში გამარჯვება — რაღაც განსაკუთრებულია. ეს ტიტული ჰგავს ალმასს, რომელიც გინდა, რომ მუდამ ხელში გეჭიროს და მისი ცქერით ტკბებოდე“, — ამბობს პეტი.

რა თქმა უნდა, 35 წლის ასაკში მას კვლავ შეეძლო, თუნდაც ერთი ან ორი წელი დარჩენილიყო დიდ ფეხბურთში, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ამაზე უარის თქმა მოუხდა. პეტი ფიზიკურ პრობლემებთან ბრძოლამ დაღალა. საფეხბურთო გრანდებს მისი შეძენა აღარ სურდათ, ხოლო ნაკლებად ცნობილ გუნდებში თამაშის უფლებას თავისი მდიდარი სპორტული წარსული არ აძლევდა. „უფალი დიდხანს მიფარავდა ტრავმებისაგან, მაგრამ შემდეგ, ფიზიკური პრობლემები ერთიმეორის მიყოლებით მომეძალა. ერთი წლის განმავლობაში 3 ოპერაცია გადავიტანე!“ — დასძენს ემანუელი.

პეტი 18 წლის ასაკიდან „მონაკოს“ ღირსებას იცავდა. ამ კლუბში გატარებული ცხრა სეზონი საფრანგეთის ჩემპიონატში გამარჯვებით დასრულდა. არსენ ვენგერმა კი, ლონდონის „არსენალში“ გადასვლისთანავე ის თავისთან იხმო. როგორც ჩანს, ცნობილ ფრანგ მწვრთნელს ემანუელის დიდი იმედი ჰქონდა. ფეხბურთელსაც მისთვის იმედი არ გაუცრუებია: 1998 წელს „მეთოფეებმა“ დუბლი შეასრულეს — ინგლისის ჩემპიონატშიც გაიმარჯვეს და თასის გათამაშებაშიც, რაშიც თავისი დიდი წვლილი პეტიმაც შეიტანა.



2000 წელს „ბარსელონამ“ ლუიშ ფიგუ (დღევანდელი სატრანსფერო ფასების გათვალისწინებითაც კი) სარფიანად მიჰყიდა „რეალს“, რის შემდეგაც კატალონიური კლუბის იმჟამინდელი პრეზიდენტი ჟოან გასპარი დაუდევრად ხარჯავდა ფულს. ასე აღმოჩნდა პეტი „ბარსაში“. იმხანად გუნდს ლორენსო სერა ფერერი ედგა სათავეში, ის ფრანგ ნახევარმცველს ნამდვილად არ სწყალობდა. ამიტომ პეტის ძალზე იშვიათად უხდებოდა მოედანზე გამოსვლა. ერთი წლის შემდეგ, ის ისევ ნისლიან ალბიონზე აღმოჩნდა და ამჯერად, მეორე დედაქალაქურ გუნდში — „ჩელსიში“. ემანუელმა ინგლისში ისევ 3 წელი დაყო, მაგრამ ძველი წარმატებისათვის აღარ მიუღწევია. ქრონიკული ტრავმების გამო, ის თავის პოტენციალს ვეღარ ავლენდა. ფრანგი გამოიფიტა, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად. „ჩელსისთან“ საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე, მან კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. „ფრანგული „ლიონისა“ და „ბორდოს“ წარმომადგენლები დამიკავშირდნენ, მაგრამ მათ მიერ შემოთავაზებულ წინადადებას არ აღვუფრთოვანებივარ. თამაშის გაგრძელება რომ გადამეწყვიტა, ასპარეზობას მხოლოდ ინგლისის პრემიერლიგაში ვისურვებდი, — ამბობს პეტი და დასძენს: — ჩემი კარიერით შემიძლია ვიამაყო. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ის გახლავთ, რომ ტრავმებმა მეტისმეტად შემიშალა ხელი. ისევე, როგორც ვან ბასტენს ან ჰოდლს“.

■

ვეა ქალთან პაექრობაში დამარცხდა



„პარი სენ-ჟერმენისა“ და „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი, 1995 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 39 წლის ჟორჟ ვეა ლიბერიის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში კანდიდატ ქალთან პაექრობაში დამარცხდა. ვეამ ხმათა საერთო რაოდენობის 41,2% მოაგროვა, ხოლო მისმა მთავარმა კონკურენტმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტმა, ელენ ჯონსონ-სირლიფმა — 57,9%. ამ შედეგის მიხედვით, ჯონსონ-სირლიფი აფრიკის კონტინენტზე პირველი პრეზიდენტი ქალი გახდა. ვეა კი, გამარჯვების შემთხვევაში, ისტორიაში შევიდოდა, როგორც საქვეყნოდ ცნობილი პირველი ფეხბურთელი, რომელმაც თავისი ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მან ხმათა საერთო რაოდენობის 28% მიიღო, ხოლო აწ უკვე გამარჯვებულმა ჯონსონ-სირლიფმა მხოლოდ 20%. წარმატების შემთხვევაში, ვეა სამშობლოში სიღატაკის დასაძლევად, აქტიურ ბრძოლას აპირებდა. სხვათა შორის, არჩევნების წინ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ლიბერიელის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ მოულოდნელად, გამარჯვება ელენ ჯონსონ-სირლიფს დარჩა. ■

ლაილა ალის, ლესბოსელობა დააბრალეს

მუჰამედ ალის ქალიშვილმა, მსოფლიო ჩემპიონმა ლაილამ ცოტა ხნის წინ, პრესისთვის საგანგებოდ გაკეთებულ განცხადებაში თავის სექსუალურ ორიენტაციას გაუსვა ხაზი და ყველას აცნობა, რომ ჰეტეროსექსუალია. ასეთი ნაბიჯის გადადგმა სახელოვანი მძიმეწონოსნის ქალიშვილს იმიტომ დასჭირდა, რომ მეუღლესთან, მენეჯერ ჯონ მაკლეინთან განქორწინების შემდეგ, მის ლესბოსურ ორიენტაციაზეც ალაპარაკდნენ. განქორწინების მიზეზად სკანდალებზე მონადირე ამერიკელი ჟურნალისტები „უცნობ მსახიობ ქალთან“ ლაილას ინტიმურ კავშირს ასახელებდნენ. „მართალია, ამჟამად განქორწინების პროცესში ვარ, მაგრამ არც ადრე ვხვდებოდი ქალს და არც მომავალში ვაპირებ ამას, რადგან ლესბოსელი არ გახლავართ, — ნათქვამია ლაილა ალის განცხადებაში. — სამწუხაროა, რომ ჩემი განქორწინება, სიმართლესთან შეუსაბამო ხმების გავრცელების საბაბი გახდა“. ამჟამად, ლაილა უკრაინელ ანჟელიკა ტორსკისთან საპაექროდ ემზადება. ეს მატჩი გერმანიაში 17 დეკემბერს შედგება. საერთოდ, სახელგანთქმული მძიმეწონოსნის ქალიშვილები ხშირად ხვდებიან პრესის ყურადღების ცენტრში. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, კრივის ცოცხალი ლეგენდის ერთ-ერთი შვილი, ჰანა იასმინ ალი მაღაზიაში ქურდობის ბრალდებით დააკავეს. იმისათვის, რომ პატიმრობა თავიდან აეცილებინა, ჰანას, ქურდობის საწინააღმდეგო ლექციების კურსის გავლამ მოუწია. ■

ეროტიკა მძლეოსნობის ნაცვლად

გერმანელმა სპრინტერმა ზინა შილკემ, რომელიც არაერთი მისი თანამემამულე მამაკაცის საოცნებო ქალია, Playboy-სთვის მოწყობილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ბოლო დროს, 24 წლის მორბენალი გამარჯვებით არცთუ ისე ხშირად ახარებს თაყვანისმცემლებს, სამაგიეროდ, მისი სხეული კვლავაც იპყრობს პოპულარული გამოცემების მესვეურთა ყურადღებას. ამ ქერათმიან ლამაზმანს „მძლეოსნობის ანა კურნიკოვას“ უწოდებენ, რაც არც არის გასაკვირი: მას ხომ ეროტიკულ ფოტოებზე უფრო ხშირად იხილავთ, ვიდრე სარბენ ბილიკზე. „არ მინდა, რომ ანა კურნიკოვას შემადარონ“, — ამბობს თავად ზინა, რომელიც ყოველი გარბენის შემდეგ (მიუხედავად იმისა, თუ რამდენად წარმატებულად იასპარეზებს), ფოტორეპორტიორთა გარემოცვაში ექცევა. ლამაზმანიც პაპარაცების მოლოდინს ამართლებს და მოურიდებლად პოზირებს მათ წინაშე. Playboy-ს ფურცლებზე გამოჩენამდე, ზინა მამაკაცთათვის განკუთვნილი სხვა ჟურნალებისთვის მოწყობილ ფოტოგადაღებებშიც მონაწილეობდა. მისი ბოიფრენდი, ასევე სპრინტერი-ბარიერისტი, თომასი ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა. ■

ფრენბურთის სექსსიმბოლომ საქმრო „იშოვა“

იტალიელი ფრენბურთელი, ფრანჩესკა პიჩიჩინი არა მარტო სპორტული მიღწევებით, არამედ თავისი მომხიბვლელი გარეგნობითაცაა ცნობილი. იგი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ღირსებასაც იცავს და ეროტიკულ ფოტოგადაღებებსა თუ სარეკლამო რგოლებშიც ხშირად მონაწილეობს. ერთ-ერთი ფოტოსესია ჟურნალ Men`s Health-ისთვის ცოტა ხნის წინ მოეწყო. გარდა ამისა, მან დედობაც გადაწყვიტა. სპორტსმენს თურმე, სულაც არ აღელვებს ის გარემოება, რომ ფეხმძიმობა უარყოფითად იმოქმედებს მის ფიგურაზე. ფრენბურთელის თქმით, ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად მას დროებით სპორტთან განშორება მოუწევს. „ოჯახის შექმნა და ბავშვების ყოლა მსურს, ისევე, როგორც ნებისმიერ ნორმალურ ქალს“, — ამბობს პიჩიჩინი, რომელსაც ადრე ოცნების ასრულებაში ერთი პრობლემა აბრკოლებდა — ის თავისთვის შესაფერის და მოსაწონ საქმროს ვერ პოულობდა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა: იტალიური საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ფრანჩესკას, „პალერმოს“ გოლკიპერთან, ნიკოლო სანტონისთან აქვს რომანი. მოუცლელობის გამო, სპორტსმენები ერთმანეთს იშვიათად ხვდებიან, მაგრამ ყოველდღე ლაპარაკობენ ტელეფონით. აღსანიშნავია ისიც, რომ ცოტა ხნის წინ, „პალერმოს“ თავკაცმა, ლუიჯი დელ ნერიმ სანტონის თამაშით უკმაყოფილება გამოთქვა და ამ უკანასკნელს სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი. ფრანჩესკამ კი, ამ ამბის შეტყობისთანავე, შეყვარებული მოინახულა, რათა გაემხნევებინა. ერთი სიტყვით, ორივემ ჩინებულად გაატარა უიკ-ენდი. ■



მიშელ დე ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებანი

(რა გველოდება მომავალში)

პროგნოზის ალბათობა +/-1 წელი

2006 — მუსლიმანები გამოიგონებენ იარაღის ახალ, საშინელ სახეობას. ყველა მოემზადება ომისთვის. შეიქმნება იარაღის, პროდუქტის, მედიკამენტის, სასმელი წყლის, აირწინაღის მარაგი. ყველა გაიხიზნება ტყეში, მთებში, უკაცრიელ ადგილებში...

2008 — თავდასხმა 4 სახელმწიფოს მეთაურზე. კონფლიქტი ინდოეთში, ეს გახდება ერთ-ერთი მიზეზი მესამე მსოფლიო ომის დასაწყისისა.

2010 — მე-3 მსოფლიო ომის დასაწყისი. ომი დაიწყება 2010 წლის ნოემბერში და დასრულდება 2014 წლის ოქტომბერში. დაიწყება როგორც ჩვეულებრივი ომი, მერე გამოიყენებენ ჯერ ბირთვულ, შემდეგ უკვე ქიმიურ იარაღს.

2011 — რადიოაქტიური ნალექების მოსვლის შედეგად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში განადგურდება ცოცხალ არსებათა 80% (მათ შორის ადამიანებისაც). მუსლიმანები დაიწყებენ ქიმიურ ომს ცოცხლად დარჩენილი ევროპელების წინააღმდეგ.

2014 — ადამიანთა უმეტესობა დაიტანჯება ჩირქოვანი დაავადებებით, კანის კიბოთი და სხვა კანის დაავადებებით (ეს ქიმიური იარაღის გამოყენებით იქნება გამოწვეული).

2016 — ევროპის ტერიტორიაზე თითქმის აღარ დარჩება მოსახლეობა.

2018 — ახალი მსოფლიო „უანდარმი“ გახდება ჩინეთი. განვითარებადი ქვეყნები გადაიქცევიან ზესახელმწიფოებად და დაიწყებენ სხვების დამორჩილებას.

2023 — უმნიშვნელოდ შეიცვლება დედამიწის ორბიტა.

2025 — ევროპაში ხელახლა დაიწყება ადამიანების ცხოვრება, ოღონდ მცირე ტერიტორიაზე.

2028 — შეიქმნება ახალი ენერგიის წყარო (სავარაუდოდ, ეს იქნება კონტროლირებადი თერმობირთვული რეაქცია). შიმშილი ნელ-ნელა დაიძლევა. კოსმოსური ხომალდი, სადაც ადამიანი იჯდება, შეძლებს ვენერაზე დაჯდომას.

2033 — პოლარული ყინულები მასობრივ დნობას დაიწყებს. მოიმატებს მსოფლიო ოკეანის დონე.

2043 — მსოფლიო ეკონომიკა აყვავდება. ევროპაში „გამეფდებიან“ მუსლიმანები.

2046 — „გამოზრდიან“ ადამიანის ნებისმიერ ორგანოს. ორგანოების შეცვლა მკურნალობის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი გახდება.

2060 — ბირთვული დარტყმა აშშ-ზე.

2066 — მუსლიმანურ „რომზე“ თავდასხმის დროს აშშ გამოიყენებს ახალი ტიპის იარაღს — კლიმატურს. დაიწყება მკვეთრი აცივება.

2076 — უკლასო საზოგადოება (კომუნიზმი?!).

2084 — ბუნების აღდგენა.

2088 — ახალი ავადმყოფობა — დაბერება რამდენიმე წამში!!!

2097 — სწრაფი დაბერების სინდრომი დამარცხებული იქნება.

2100 — ხელოვნური „მზე“ გაანათებს დედამიწის ბნელ მხარეს.

2111 — ადამიანები გახდებიან კიბორგები (ცოცხალი რობოტები).

2123 — ომი პატარა სახელმწიფოებს შორის. დიდი ქვეყნები ამ კონფლიქტში არ ჩაერევიან.

2125 — უნგრეთში მიიღებენ სიგნალებს კოსმოსიდან.

2130 — წყალქვეშ გაჩნდება პირველი კოლონიები და დასახლებები (უცხო ცივილიზაციის რჩევით).

2164 — ცხოველებს აქცევენ ნახევარადამიანებად.

2167 — ახალი რელიგიის შექმნა.

2170 — დიდი გვალვა.

2183 — კოლონია მარსზე შექმნის ახალ ბირთვულ იარაღს და მოითხოვს დამოუკიდებლობას (დედამიწისგან).

2187 — შესაძლებელი გახდება ორი დიდი ვულკანის ამოფრქვევის შეჩერება.

2195 — საზღვაო კოლონიებს ექნებათ საკუთარი საკვები და ენერგია.

2196 — აზიელებისა და ევროპელების სრული ურთიერთმიგრაცია.

2201 — მზეზე დაიწყება თერმობირთვული პროცესები. აცივდება.

2221 — არამიწიერი ცივილიზაციის ძებნაში ადამიანები კოსმოსში გადაეყრებიან რაღაც საშინელებას.

2256 — კოსმოსური ხომალდი დედამიწაზე მოიტანს ახალ საშინელ ავადმყოფობას.

2262 — ნელ-ნელა შეიცვლება პლანეტათა ორბიტები. მარსს დაემუქრება კომეტა.

2271 — დაიწყება ფიზიკური „კონსტანტების“ ახალი გათვლები და ცვლილებები.

2273 — ყვითელი, შავი და თეთრი რასების ახალი ურთიერთმიგრაცია. ახალი რასის წარმოქმნა.

2279 — მიიღება ენერგია „არაფრისგან“ (სავარაუდოდ, ვაკუუმიდან ან „შავი ხვრელებიდან“).

2288 — დროში მოგზაურობა. ახალი კონტაქტები უცხო ცივილიზაციებთან.

2291 — მზე დაიწყებს გაცივებას. იქნება მცდელობები მისი ხელახალი „ანთების“.

2296 — მძლავრი აფეთქება მზეზე. შეიცვლება მიზიდულობის ძალა. დედამიწაზე ჩამოცვივდება ძველი კოსმოსური სადგურები და თანამგზავრები.

2299 — საფრანგეთში დაიწყება პარტიზანული მოძრაობა ისლამის წინააღმდეგ.

2302 — გაიხსნება სამყაროს ახალი და ამასთან, ძირითადი საიდუმლოებები და კანონები.

2304 — გაიხსნება მთვარის საიდუმლო.

2341 — დედამიწას კოსმოსიდან რაღაც საშინელი მოუახლოვდება!!!

2354 — ერთ-ერთ ხელოვნურ „მზეზე“ ავარია მოხდება, რაც გამოიწვევს გვალვას.

2371 — დიადი ქალაქი („ახალი იერუსალიმი“?!).

2378 — ახალი სწრაფად მზარდი რასა.

2480 — მოხდება ორი ხელოვნური „მზის“ შეჯახება. დედამიწაზე ბინდი ჩამოწვება.

3005 — დაიწყება ომი მარსზე. მოხდება პლანეტათა ტრაექტორიების მკვეთრი ცვლილებები.

3010 — კომეტა დაეცემა მთვარეს. დედამიწის გარშემო გაკეთდება ქვის ნამტვრევებისა და მტვრის სარტყელი.

3797 — ამ დროისთვის დედამიწაზე დაიღუპება ყველა ცოცხალი არსება, მაგრამ კაცობრიობა შეძლებს თავის გადარჩენას (სხვა ვარსკვლავურ სისტემაში საკუთარი სიცოცხლის გატანას).



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ბაბილო; 2. ბეტა; 3. ნემისიდა; 4. ტერასა; 5. ბავარია; 6. ბინომი; 7.ლუსაკა; 8. კერამიკა; 9. პაგოდა; 10. კოიოტი; 11. ნამაზი; 12. ტონგა; 13. სირინოზი; 14. ტახი; 15. სიგელი; 16. აპნისი; 17. პაპა; 18. ჯოტო; 19. მადა; 20. მინდია; 21. გოლგოთა; 22. მირაჟი; 23. ჯინი; 24. ანა; 25. ტურინი; 26. ნარზანი; 27. თავლა; 28. პანგა; 29. ნიქოზია; 30. პლატინა; 31. ჯართი; 32. ნინია.

სურათზე: ვანესა მეი.

გენოსიდის ცხოვრებიდან

მწერალმა **შერიდანმა** ერთ-ერთ თავის კომედიაში უპატივცემულოდ მოიხსენია ინგლისის პარლამენტი. ამის გამო, მას სასამართლომ გამოუტანა სასჯელი — პარლამენტში მუხლმოყრილს, ბოდიში უნდა მოეხადა კანონმდებლებისთვის. შერიდანმა შეასრულა საჭირო რიტუალი, მაგრამ როცა ფეხზე დგებოდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, მუხლიდან მტვერი ჩამოიბერტყა და თქვა:

— ღმერთო ჩემო, რა სიბინძურეა ამ დარბაზში!..

როგორც ჩანს, **მარკ ტვენს**, მის თანამედროვეთათვის ერთობ ტიპური გარეგნობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ის ხშირად იღებდა წერილსა და ფოტოსურათს თავისი ორეულისაგან. ერთ-ერთ მათგანს, მწერალმა ასე უპასუხა: „სერ, მადლობას მოგახსენებთ წერილისა და ფოტოსურათისთვის. თქვენსა და ჩემს შორის მართლაც, საუცხოო მსგავსებაა. დარწმუნებული ვარ, სარკის მაგივრად ჩემ წინ რომ დადგეთ, პირის გაპარსვაც კი არ გამიჭირდებოდა...“

ვოლტერი ერთ პრუსიელ გენერალს, რუსული სამხედრო კამპანიის ამსახველი მისი დღიურების ფრანგულ ენაზე თარგმნაში ეხმარებოდა. ამ დროს, მწერალთან მოვიდა იმპერატორ ფრიდრიხ მეორის შიკრიკი: გვირგვინოსანი პოეტს თავის ნაშრომს უგზავნიდა და მის შეფასებას სთხოვდა. როცა შიკრიკი წავიდა, ვოლტერი გენერალს მიუბრუნდა და უთხრა:

— უნდა მაპატიოთ, მეგობარო, თქვენი ნამუშევრის გადადება მომიწევს: საქმე ის არის, რომ მეფემ თავისი ჭუჭყიანი სარეცხი გამომიგზავნა და რაც შეიძლება მალე უნდა გავრეცხო. საინტერესოა, რომ ვოლტერის ამ სიტყვებმა ფრიდრიხის ყურამდე მიაღწია, რის შემდეგაც, პოეტსა და მას შორის მანამდე დამყარებულ კეთილ ურთიერთობას წერტილი დაესვა. ■

მე-40-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.

ანეკდოტები

***

სვანი ცოლის მოყვანას დააპირებს. დედა ურჩევს:

— ისეთი ქალი მოიყვანე, შვილო, ცოლად, რომელიც მტერს მახვილით დახვდება და მოყვარეს კი სასმლით გაუმასპინძლდება!

წავიდა სვანი თბილისში.

ცოტა ხანში დედამისთან პოლიცია მიდის:

— თქვენი შვილი სად არის?

— ცოლის მოსაყვანადაა წასული!

— ჰოდა, რომ დაბრუნდება, გადაეცით, ქართვლის დედა ადგილზე დააბრუნოს!!!

***

სვანი ელექტროსკამზე დასვეს. იჯდა, იჯდა, ელექტროსკამი გადაიწვა. სვანი ადგა და სახლში წავიდა.

***

— ბიჭიკია არ წევიდეთ, სიმონ, ბუხუტიას დედის პანაშვიდზე?

— მეიცა სიმონ, გუშინ და გუშინწინ ხო ვიყავით და მკვდრის ხამი ხვარა ხარ?!

***

გუშინ ჩემს ვაჟს დღიური გამოვართვი. ჩავხედე და... შიშველი ქალი ხატია! რა არის-მეთქი ეს? ვეკითხები და იცით, რა მითხრა: — ეს ჩემი პირველი მასწავლებელიაო.

***

მიხო ექიმთან მივა. ექიმი:

— რაღაც არ მამწონხარ, მიხო.

— დედიშენისა, შენ ხომ ძაან გულზე მეხატები?!.

***

ვინც საფოსტო მარკებს აგროვებს — ფილატელისტია. ვინც აქციზურ მარკებს — ფულატელისტი.

***

— ბიჭიკია, ძამა, შენზე მითხრეს, ცალყვერააო... — ქუთაისელის გაშაყირებას ცდილობს გურული.

— ილარიონა, ბუჯო, შენ ცოლს გადეეცი, სახლში ენის მიტანას თავი დაანებოს...

***

მიხოს სახლში მეზობელი ქეთო წაკუზულა და მაგიდის ქვეშ რაღაცას ეძებს. მოულოდნელად დაბრუნებულ მიხოს თავისი ცოლი ეგონება და მიადგება. ქალი გამოხედავს და ეტყვის:

— რას შვრები, მიხო? მარო კი არა, ქეთო ვარ ქეთო!

— ქეთოი კი არა, აწი თუ გინდა, კოტე იყავი, მაგაი მნიშვნელობა აღარა აქვს.

***

განცხადება:

გვჭირდება მდივანი. მართლა. ინტიმს ნუ შემოგვთავაზებთ.

***

ცოლი და ქმარი იყრებიან.

მოსამართლე მიზეზს კითხულობს.

ცოლი:

— მაგას კაცობა არა აქვს?

მოსამართლე:

— როგორ? თქვენმა მეუღლემ წარმოადგინა ცნობა, რომ ყველაფერი რიგზეა.

წამოხტა გამწარებული სიდედრი:

— ჩვენ ცნობა კი არა... ის გვინდა! ის!!!

***

დაბოლილი ჭიანჭველა გდია ბუჩქის ძირას.

ჩამოივლის სპილო, მოაქვს ორი პური.

— სპიილოო! სპიიილოოოო! — ეძახის ჭიანჭველა.

— რა გინდა?

— აბა, ერთი პური თავზე დაიდე! — სპილომ დაიდო.

— აბა, მეორე პური ქვეშიდან ამოიდე! — სპილომ ამოიდო.

უყურებს ჭიანჭველა და.

— აუ, რა ჰამბურგერია!!!

***

ვეფხია აბანოში შევა, შარვალს ჩაიხდის და წელზე რეზინი აქვს შემოკრული.

— ვენაცვალე ამის შემკერსა, ასე ტკბილად ჯერ „ტრუსიკი“ არ გამიცვეთია!..

***

ალპინისტმა სვანებმა მანქანა იყიდეს.

მჭედელს ჯაჭვი გააკეთებინეს და მანქანა კლდეზე გადაჰკიდეს.

ჯაჭვი გაწყდა და მანქანა გადაიჩეხა. ერთი ეუბნება მეორეს:

— ახლა რა ვქნათ?!

— მჭედელი მოვკლათ!

— არა, მჭედელი ერთი გვყავს!

— აბა, რა ვქნათ?

— მოდი, პარიკმახერი მოვკლათ!

— რატომ?!

— ორი გვყავს!

***

ქალაქელმა სვანმა „კაზაჩოკები“ იყიდა.

ეკითხებიან:

— რატომ იყიდეო?

— ოთახის კუთხეში ტარაკნები რომ მოვკლა!

***

ერთმა გურულმა უსაყვედურა მეორეს:

— ცუდად რომ ვიყავი, რეიზა არ მნახე, ძამა?

— რავა მეგონა, რომ გადარჩებოდი, თვარა, რაფერ არ გნახავდი?

***

ცოლი დაბრუნდა მივლინებიდან და კარიდანვე ყვირილი დაიწყო:

— პარაზიტო! ისევ ქალები გყავდა შინ, არა?!

— ჯერ ერთი, ქალები კი არა, მარტო ერთი ქალი. და მეორეც, შენ არ მითხარი წასვლის წინ, „აბა, ერთხელაც გაბედეო!“

***

20 წლის შემდეგ სასაფლაოზე

— პარმენა მასწავლებელო, ხომ ვყოფილვარ სწორი, სსრკ ისტორიას რომ არ ვსწავლობდი?!

***

ოსი ტუალეტში შევა. დაჯდება, დააბოყინებს და გაიფიქრებს:

— მგონი, უკუღმა დავჯექი სენი წილიმე!..

***

სამი ქალი თავის ქმრებს ჭორავს:

— ჩემს ქმარს საჯდომზე ბანჯგვლები აქვს!

— ჩემსასაც!

— აუ, მე კიდევ ჯერ არ დავკვირვებივარ — ამბობს ახალგათხოვილი მესამე.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ხვდებიან.

იმ მესამეს თვალი აქვს ჩალურჯებული და ქალები ეკითხებიან:

— მაკა, რა მოგივიდა?

— ჩემს ქმარს დავაკვირდი, იმასაც ჰქონია და გახარებულმა ვუთხარი:

— შენ რა ჩემი დაქალების ქმრებივით ბანჯგვლიანი ტრა... გქონია-მეთქი.

სიყვარულის ასაკი



ყოველთვის საინტერესოა იმის ცოდნა, თუ როგორი ადამიანია თქვენი რჩეული. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როცა ურთიერთობების პირველი ქარიშხალი ჩაცხრება, უპასუხეთ ამ ტესტის შეკითხვებს და თქვენ შეიტყობთ, მამაკაცთა რომელ ტიპს განეკუთვნება თქვენი რჩეული.

1. რას თამაშობს?

ა) ელექტროთამაშებს;

ბ) სასმლითა და პორნოფილმებით იქცევს თავს;

გ) ბილიარდს;

დ) დადის დოღზე.

2. მის სახლში:

ა) ელექტროხელსაწყოების სიმრავლე იგრძნობა;

ბ) უამრავი სასმელი და პორნოკასეტაა;

გ) უამრავი საოჯახო ინვენტარია;

დ) უამრავი ყოვლად გამოუსადეგარი, მაგრამ მეტად ორიგინალური ნივთია.

3. რისი კოლექცია აქვს?

ა) კომპიუტერული თამაშების;

ბ) თაყვანისმცემლების ქვედა საცვლის;

გ) სპირტიანი სასმელების და ლუდის კათხების;

დ) ანტიკვარული ნივთების.

4. დილაობით ფინჯანი ყავის სმის დროს რას კითხულობს?

ა) კომიქსებს;

ბ) პორნოჟურნალებს;

გ) ბიზნესსიახლეებს;

დ) მაღალი საზოგადოების ქრონიკას.

5. სად ისვენებს?

ა) საქართველოს ზღვის კურორტებზე;

ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ან კუბაში;

გ) უმეტესწილად თურქეთში ან ეგვიპტეში;

დ) ევროპის საუკეთესო კურორტებზე.

6. რომელი ჟანრის მუსიკას უსმენს?

ა) „ტექნოს“;

ბ) როკს;

გ) მელოდიურ პოპსის ან ინსტრუმენტულ კრებულებს;

დ) ჯაზს ან კლასიკას.

7. სად სძინავს?

ა) კომპიუტერის სავარძელში თუ პატარა დივანზე;

ბ) ვეებერთელა, გასაშლელ დივანზე;

გ) ორადგილიან იტალიურ საწოლში;

დ) ორთოპედიულ საწოლში.

8. მისი გამოსავლელი კოსტიუმია:

ა) ბოტასი, ჯინსი და სპორტული მაისური;

ბ) ჯინსი და ტვიდის პიჯაკი;

გ) კლასიკური, იტალიური ტიპის კოსტიუმი;

დ) სმოკინგი, ფრაკი.

9. რომელი სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობს?

ა) დადის ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით;

ბ) ტაქსით ან მამამისის ჯიპით;

გ) ხშირად იცვლის უცხოურ ავტომობილებს;

დ) საკოლექციო „როლს-როისით“.

10. რაზე ოცნებობს?

ა) საკუთარ ჯიპზე;

ბ) ინდივიდუალურ ჰარამხანაზე, რომელსაც საკუთარი თვითმფრინავით გამუდმებით თან ატარებდა;

გ) საოკეანო იახტაზე;

დ) საკუთარ კუნძულსა და ციხესიმაგრეზე.

11. მაცივარში აქვს:

ა) „მაკდონალდსის“ ჰამბურგერები;

ბ) ლუდი, ზეთისხილი და სოსისი;

გ) უამრავი უგემრიელესი სასუსნავი;

დ) მხოლოდ დელიკატესები.

ტესტის შედეგები

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „ა“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „თინეიჯერია“. ის ჯერ კიდევ თავად საჭიროებს მეურვეობას, მხარდაჭერასა და მზრუნველობას, ასე რომ, ყოველივე ამას თქვენ ვერ შემოგთავაზებთ. მაგრამ არ ინაღვლოთ — მასთან ყოველთვის გრძნობ, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის. მის საზოგადოებაში ყოფნისას არასოდეს მოიწყენ. ის საოცრად მხიარულია და ზოგჯერ ეიფორიაშიც კი ვარდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის საიტზე ვირტუალური პარტნიორის მიერ გამოგზავნილ წერილს აღმოაჩენს ხოლმე. საკმაოდ რბილად მოეპყარით მას და ნუ იქნებით მეტისმეტად მომთხოვნი. მასთან საურთიერთოდ საუკეთესო პრინციპია: „ოღონდ ბავშვმა არ იტიროს და რითიც უნდა შეიქციოს თავი“. მაგრამ თუკი თქვენ მიიჩნევთ, რომ დედის როლში ყოფნა არ გაკმაყოფილებთ, დროა, საფუძვლიანად დაფიქრდეთ.

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „ბ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „მარადიული ყმაწვილია“. ის საკმაოდ ცნობისმოყვარეა, უყვარს რისკი და მძაფრი შთაბეჭდილებების განცდა. თუკი ცხოვრებაში პრობლემები ისედაც საკმაოდ გაქვთ და არც მძაფრი შეგრძნებების ნაკლებობას უჩივით, მაშინ ჩათვალეთ, რომ ამ ტიპის მამაკაცი თქვენ არ შეგეფერებათ.

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „გ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „მამიკოა“. ის დარწმუნებულია საკუთარ თავში და ცხოვრებაში უკვე ბევრსაც მიაღწია. მას შეუძლია თქვენზე ზრუნვა და ამასთან, საოცრად პრაქტიკულია. ოღონდ გაფრთხილებთ, არ ეცადოთ მის მეურვეობას, დედობრივი მზრუნველობის გამოვლენასა თუ მასზე მბრძანებლობას: წინასწარ იცოდეთ, რომ მასთან ეს არ გაგივათ. მოდუნდით და „შვილიკოს“ როლს დასჯერდით.

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „დ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „ბაბუაა“. გიხაროდეთ, თქვენ ძალზე გაგიმართლათ. არანაირი პრობლემები და საზრუნავი, ამასთან, უამრავი საჩუქარი. ის საკუთარ თავზე აიღებს ყველანაირ საზრუნავს და თავადვე მოაგვარებს ყველაფერს, რადგან ზურგს უკან კოლოსალური ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს და კარგად იცის, როგორ უნდა ასიამოვნოს ქალს. მან იცის ცხოვრების გემო და სათანადოდ აფასებს კიდეც მას.

თუკი თქვენს პასუხებში სხვადასხვა ვარიანტი თანაბრად დომინირებს, მაშინ თქვენი მეგობარი ყველა ზემოჩამოთვლილი ტიპის თვისებების მატარებელია. დილაობით, ის „თინეიჯერია“, სადილობისას — „მარადიული ყმაწვილი“, საღამოობით — „მამიკო“, ღამღამობით კი — „ბაბუა“. თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი საპირისპირო თანმიმდევრობითაც იყოს. ყოველ შემთხვევაში, მისგან ყველაფერს უნდა ელოდეთ. სწორედ ამაშია მისი მომხიბლაობა!

ხელი — ნიშან-თვისებების მაჩვენებელი

შუბლზე მარჯვნივ — გონიერება, რომელსაც წარმატებისაკენ მიჰყავხართ, **მარცხნივ** — ექსტრავაგანტურობა და უსუსურობა;

თვალებთან — მშვიდი, თავდაჯერებული ხასიათი;

ყურზე — დაუნდობლობა;

ლაწვზე — წარმატება, იღბლიანობა;

ტუჩებთან — ბედნიერება, მგრძნობიარობა;

ნიკაპზე — სუსტი ჯანმრთელობა;

ცხვირზე — დიდი იღბლიანობა, მოგზაურობა, სექსუალურობა;

ლოყაზე მარჯვნივ — ბედნიერება, განსაკუთრებით ოჯახურ ცხოვრებაში, **მარცხნივ** — სირთულეებთან ბრძოლა;

წარბთან მარჯვნივ — ბედნიერება და ნაადრევი ქორწინება, **მარცხნივ** — წინააღმდეგობები ცხოვრებაში;

ხელზე მარჯვნივ — იღბლიანობა, **მარცხნივ** — ფულთან დაკავშირებული პრობლემები;

ხელის მტევანზე — ბუნებრივი მონაცემები, რომლებსაც წარმატებისკენ მიჰყავხართ;

მხარზე — სიძნელეები;

მუცელზე — საკუთარ თავზე შეყვარებული ადამიანის ნიშანი, სიზარმაცე და შესაძლოა, სიძუნწე;

თეძოებზე — ძლიერი, ჯანმრთელი შვილები და ბევრი შვილიშვილი;

ფეხზე — სიზარმაცე, მუხლზე **მარჯვნივ** — ბედნიერი ქორწინება, **მარცხნივ** — მოუსვენრობა;

მკერდზე მარჯვნივ — ბედის ცვალებადობა; **მარცხნივ** — იღბლიანობა და ბედნიერება (მამაკაცი), ტემპერამენტი (ქალი);

მკერდზე შუაში — კარგი შემოსავალი, ოღონდ — არა დიდი ქონების მომტანი;

ტერფზე მარჯვნივ — მოგზაურობის სიყვარული, **მარცხნივ** — მახვილგონიერება;

კოჭზე — დახვეწილი გემოვნება;

ნეკნებზე მარჯვნივ — მშიშარა, უგრძნობი და თავის მომაბეზრებელი ადამიანი, **მარცხნივ** — საკუთარი თავისადმი ირონია. ■

ᲯᲘᲤᲠᲘᲕᲝᲠᲓᲘ

	9		23		17	25	15	28	8		16		1	
11	1	4	16	21	8		1		28	2	30	2	28	8
	12		13		27	12	8	14	1		10		12	
33	1	10	8	26	1		18		2	32	8	22	16	1
25		2		12		6	8	1		8		8		10
28	16	10	8	16	5	8		10	2	24	32	2	24	8
13		25		24		17	8	1		11		24		4
1	24	1	10	8	4	8		2	22	8	28	8	22	8
	8		16		12		24		2		1		1	
31	29	12	8	10	8		8		5	1	24	16	28	1
	12		6		24	1	19	12	8		32		5	
20	8	13	8	10	8		10		1	15	1	21	8	1
2		1		1		26	1	8		2		28		4
6	8	3	2	10	1		12		1	10	7	8	28	8
16		1		8		19	8	1		2		1		1

ა1	ბ	გ11	დ	ე16	ვ	ზ4	თ21	ი8	კ	ლ
მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ
ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲯᲘᲤᲠᲘᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ა-5; ბ-17; გ-1; დ-22; ე-12; ვ-7; ზ-14; თ-28; ი-8; კ-26; ლ-18; მ-19; ნ-4; ო-23; პ-11; ჟ-30; რ-2; ს-33; ტ-21; უ-15; ფ-31; ქ-9; ღ-13; ყ-29; შ-6; ჩ-27; ც-16; ძ-10; წ-24; ჭ-32; ხ-3; ჯ-25; ჰ-20

20 კითხვა და დიაგნოზი დასმულია...

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართო გავრცელება პოვა რ. სელინჯერის კითხვარმა, რომლის დანიშნულებაა ქრონიკული ალკოჰოლიზმის დადგენა.

1. კარგავთ თუ არა სამუშაო დროს ლოთობის გამო?
2. გაუარესდა თუ არა თქვენი ოჯახური ცხოვრება ლოთობის გამო?
3. ხომ არ სვამთ იმიტომ, რომ უხერხულობას გრძნობთ საზოგადოებაში?
4. იმოქმედა თუ არა ლოთობამ თქვენს რეპუტაციაზე?
5. გქონდათ თუ არა ლოთობის გამო ფინანსური სიძნელეები?
6. ხომ არ გაუარესდა თქვენი სოციალური მდგომარეობა ლოთობის გამო?
7. გულგრილი გახდით თუ არა ოჯახის მიმართ ლოთობის გამო?
8. შესუსტდა თუ არა თქვენი დადებითი ამბიციები ლოთობის შედეგად?
9. გაქვთ თუ არა უძილობა ლოთობის გამო?
10. გაწუხებთ თუ არა ნაბახუსევი დილით?
11. დაქვეითდა თუ არა თქვენი საქმიანობის ეფექტურობა ლოთობის გამო?
12. გულგრილი ხომ არ გახდით საქმიანობისადმი ლოთობის გამო?
13. ხომ არ სვამთ იმიტომ, რომ განიტვირთოთ უსიამოვნებისგან?
14. სვამთ თუ არა მარტო?
15. გქონდათ თუ არა მეხსიერების სრული დაკარგვა ლოთობის გამო?
16. მკურნალობთ თუ არ ალკოჰოლიზმის გამო?
17. ხომ არ სვამთ საკუთარი პერსონის მნიშვნელობის ასამაღლებლად?
18. მკურნალობდით თუ არა ალკოჰოლიზმის გამო სპეციალურ კლინიკაში?
19. გაქვთ თუ არა სინანულის გრძნობა დალევის შემდეგ?
20. გიჩნდებათ თუ არა ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, დალევის დაუძლეველი სურვილი?

კითხვარის ავტორს მიაჩნია, რომ თუ ადამიანმა ერთ კითხვას მაინც უპასუხა დადებითად, საქმე გვაქვს „შესაძლო ალკოჰოლიზმთან“; 2 კითხვაზე დადებითი პასუხი მიუთითებს იმაზე, რომ ქრონიკული ალკოჰოლიზმის გზაზე დგას; 3 კითხვაზე დადებითი პასუხი ადასტურებს დიაგნოზს — ქრონიკული ალკოჰოლიზმი. ■

რუბრიკა მოამზადა თამუნა კვინიკაძემ

ფოტოკუჩიოზები

18 ნოემბრიდან!

№21(92), 18 ნოემბერი-1 დეკემბერი, 2005

ფასი 80 თეთრი

ალილუია

მართლმადიდებლური ჟურნალი

668/30

ნოემბრის თემა:
ლოთობა და ნარკომანია

მე ვიყავი მეასე სამღვდელო პირი მთელ საქართველოში

აღარც სიყვარული მახსოვდა და აღარც ცოლ-შვილი, არც დედ-მამის ცრემლიანი თვალები მილბობდა გულს

მონყალების მიცემისას არ შევხედოთ მათ სახეს და არც მათი ცხოვრება გამოვიძიოთ

რწმენა მეცნიერულად არ შეისწავლება

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ